სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი

# საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები

რამინ რამიშვილი

80

თბილისი 2008

UDC (უაკ) 904(479. 22)

ს–323

კრებული - საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ეძღვნება შუასაუკუნეთა ხანის საქართველოს არქეოლოგიის ღვაწლმოსილი მკვლევარის პროფ. რამინ რამიშვილის 80 წლის იუბილეს. კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეხება აღმოსავლეთ საქართველოს ნასოფლარების შესწავლის მდგომარეობასა და პერსპექ-ტივებს; ბოლო ხანებში ზოგიერთ ძეგლზე (თბილისის სინაგოგა, «სვეტები» - პანკისის ხეობა, გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე) ჩატარებულ საველე-არქეოლოგიუ-რი კვლევა-ძიების შედეგებს; რუსთავში აღმოჩენილი ხელოსნური ნაწარმის, კერძოდ მინის ბეჭდების ანალიზს; კრებულში განხილულია ჟინვალის ნაქალაქარზე გამოვლენილი კვირაცხოვლის ეკლესიისა და სამაროვნის მასალები; ქრიზმის ასახვის ვერსიები ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. კრებულს ერთვის პროფ. რამინ რამიშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია.

კრებული განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთავარი რედაქტორი: *ი.მ.დ.* დავით მინდორაშვილი

სარედაქციო საბჭო: *ი.მ.დ. პროფ.* გელა გამყრელიძე
*ი.მ.დ. პროფ.* ბესარიონ მაისურაძე
*ი.მ.დ.* გოდერძი ნარიმანიშვილი

ISBN 978-9941-0-0963-1



რამინ რამიშვილი 80 წლისაა

# რამინ რამიშვილი - მეცნიერი და მასწავლებელი

ბატონი რამინ რამიშვილი, ცხოვრების ნირითა და ხასიათით, მეტად თავისებური, სხვათაგან მკვეთრად გამორჩეული პიროვნებაა. წინასწარ უნდა გავიმეორო ის აღიარებული ჭეშმარიტება, რომ სწორედ ასეთი ადამიანები ხშირად უპრეტენზიოდ და ერთი შეხედვით ჩუმად რომ ცხოვრობენ და საქმიანობენ ჩვენს გვერდით, მატებენ შნოსა და ლაზათს სააქაოს მეტწილად პროზაულ, მოსაწყენ ყოფას. სწორედ ამიტომ და იქნებ მხოლოდ ამიტომ, მე არ შემიძლია მისი იუბილესადმი მიძღვნილი ეს მილოცვა-წერილი შევადგინო ასეთი შემთხვევებისათვის შესაფერისი ტრაფარეტის მიხედვით (დაიბადა ამ დროს, აქა და აქ, მუშაობდა იქ და იქ და ა. შ.).

ყველასათვის ცნობილია, რომ ბ-ნი რამინ რამიშვილი არქეოლოგია, მაგრამ ჩვენ, ვისაც მის გვერდით გვიხდებოდა და გვიხდება ყოფნა, მოწმენი ვართ, რომ მისი მოღვაწეობა მიმართული იყო და არის ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის სხვა სფეროებისკენაც. ამიტომ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომის შექმნა მოითხოვს ხანგრძლივ შრომასა და სხვადასხვა ხასიათის დიდძალი მასალის დამუშავებას. წინამდებარე წერილი-მილოცვა ვერანაირად ვერ დაისახავს მიზნად ამგვარ ქმედებას. თუმცა, აქვე შევნიშნავ, რომ ამის გაკეთება, სულ ერთია, ჩვენი, მისი მოწაფეების ვალია. ვფიქრობ, სხვადასხვა მიზეზთა გამო გადავდოთ ეს შრომა მომავალი იუბილესათვის. ამჯერად კი, შევეცდები მოკლედ შევეხო ბ-ნი რამინის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ძირითად შტრიხებს და მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა მის დამოკიდებულებას დიდი მასწავლებლებისადმი (ნიკო ბერძენიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, ანდრია აფაქიძე და განსაკუთრებით გიორგი ლომთათიძე). ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ეს არის იდეალური მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ახალი თაობის თვითეული წარმომადგენლის დამოკიდებულება თავისი მასწავლებლების, თუ საერთოდ წინა თაობების ღვაწლმოსილი პიროვნებების მიმართ. სამწუხაროდ, არაიშვიათად შევხვედრივართ საზოგადოების ცალკეულ, საკმაოდ აქტიურ წევრთა მიერ დიდ წინაპართა დამცირების, ჩაქოლვის ისტერიულ ცდებს. ასეთი ქმედების მიზანი ხშირად თვითდამკვიდრების მცდარი არაჯანსაღი მისწრაფებაც ყოფილა, რაც საზოგადოებაში ყოველთვის იწვევს სამართლიან აღშფოთებას. სწორედ ამ ფონზე სამაგალითო და მისაბაძია ბ-ნი რამინის უზომო მოწიწება და პატივისცემა წინაპართა მიმართ, რაც სრულიადაც არ გამორიცხავს მათი ნამოღვაწარისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას.

აქედან გამომდინარე, ასევე მისაბაძი და დასაფასებელია ბ-ნი რამინის დამოკიდებულება ახალი თაობის და კერძოდ მოწაფეების მიმართ. თავის დროზე მეც და ალბათ სხვებიც სათანადოდ ვერ აღვიქვამდით, თუ ვერ ვაანალიზებდით ამ რეალობას, რაც დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვა სიცხადითა და შინაარსით წარმომიდგება. ეს ნათქვამი რომ ცარიელ განცხადებად არ დარჩეს, შევეცდები მოკლედ ავხსნა მისი ძირითადი არსი. ცნობილია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის,

თუ საერთოდ ცხოვრების ნებისმიერ დარგში ვერ ჩამოყალიბდება პიროვნება ნამდვილ პროფესიონალად, თუ არ გაიარა შესაფერისი სკოლა შესაბამისი დარგის სპეციალისტ-პროფესიონალთან. უნდა ვაღიარო, ძალიან გვიან მივხვდი, რომ თურმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენ ექსპედიციაშივე გვქონდა ასეთი სკოლა, თუმცა ბ-ნი რამინი არასოდეს არ არქმევდა მას ამ სახელს. ეს იყო უპირველეს ყოვლისა «საღამოს საუბრები», ჩვეულებრივ საექსპედიციო ვახშმის შემდეგ, სადაც თვითეული ჩვენგანი ვალდებული იყო, დაწვრილებითი ანგარიში წარმოედგინა ველზე მიმდინარე სამუშაოს და მისი შედეგების შესახებ. ეს იყო ხშირი გასვლები ექსპედიციის ცალკეულ სამუშაო უბნებზე, სადაც უბნის ხელმძღვანელი ვალდებული იყო, მიმდინარე გათხრების შესახებ დაწვრილებით მოეთხრო კოლეგებისათვის. ეს იყო ჩვენი ხელნაწერი «ნაშრომები» (ანგარიშები, დასაბეჭდი სტატიები), რომლებზეც ბ-ნი რამინი ღამეებს ათენებდა და გვიბრუნდებოდა შენიშვნებით აჭრელებული და ზოგჯერ თავიდან დაწერილი, სადაც არქეოლოგიასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, გამართულ ქართულ წერა-კითხვას ვსწავლობდით და კიდევ რამდენი სხვა რამ. აღარ ვლაპარაკობ ხშირ ექსკურსიებზე შორეულ ძეგლებზე თუ სხვა მოქმედ ექსპედიციებში, სხვადასხვა რანგის კონფერენციებზე და სხვ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო ჩვენი იუბილარის ნამოღვაწარისა, რა თქმა უნდა, მისი პირადი სამეცნიერო შრომის შედეგებია მონოგრაფიებისა და სტატიების სახით, რომელთაგან ბევრი სამწუხაროდ გამოუქვეყნებელია და ელის პირუთვნელ შეფასებასა და დაფასებას. ამჯერად ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს მონოგრაფიები (ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I სიონი, თბ., 1970; ერწოს ველი გვიან არმაზულ ხანაში, თბ., 1979) საუკეთესო ნიმუშებია იმისა, თუ როგორი სკრუპულოზულობით უნდა აწარმოოს არქეოლოგმა ჯერ საველე სამუშაოები და მერე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შესწავლა. ამავე თვალსაზრისით არ შემიძლია არ ვახსენო ბ-ნი რამინის ერთი სტატია (მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, «ჟინვალის ექსპედიცია» თბ., 1981), რომელშიც მოცემულია არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგ-ლების კვლევის შედეგების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიის უწყვეტი სურათის აღდგენისა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების ცალკეული ეტაპების დადგენის წარმატებული ცდა. ეს სტატია არამარტო თავად არის მნიშვნელოვანი შენაძენი ჩვენი ისტორიოგრაფიისა, არამედ იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ აქტიურად უბიძგებს მკვლევართა შემდეგ თაობებს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელებისაკენ.

ორიოდ სიტყვით უნდა შევეხო იუბილარის პუბლიცისტურ ნამოღვაწარსაც, რაც თამამად შეიძლება გავუტოლოთ მხატვრულ შემოქმედებას. ამის უმშვენიერესი მაგალითია ამ ოცდაათიოდე წლის წინ გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია «ჟამი მივიას-მოვიას, მუცოს თორღვაის კარადა». ეს არის ნიმუში ფშავ-ხევსურეთის წარსულისა და აწმყოს უზადო ცოდნის გადმოცემისა მხატვრული ესსეს სახით, რომელიც ერთი ამოსუნთქვით კარგი ლექსივით იკითხება და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველივე ეს, გარდა პიროვნული ნიჭისა და თეორიული ცოდნისა, შედეგია იმ ხანგრძლივი პრაქტიკული საქმიანობისა, რომელსაც ბ-ნი რამინი მთელი ცხოვრების მანძილზე ეწევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეში. აქვე მოკლედ ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მოყოლებული, ბ-ნ რამინს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი უჯარმის,

ბიჭვინთის, მცხეთისა და სხვა პუნქტების ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. ჩვენი იუბილარი დღეისათვის გახლავთ ის იშვიათი მეცნიერი - მკვლევარი, რომლის ხელშიც თავმოყრილია უდიდესი და მრავალმხრივი ცოდნა აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინეთის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, მითოლოგიის სფეროებიდან. ეს ცოდნა-გამოცდილება აძლევდა და აძლევს მას შესაძლებლობას, განსაზღვროს ძირითადი მიმართულებანი საქართველოს ისტორიის ძირეული პრობლემების მომავალი კვლევისა. ეს კი ფართო პერსპექტივებს უქმნის საქართველოს ისტორიის მკვლევართა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

შეიძლება, აქამდეც უნდა მეთქვა, მაგრამ არც ახლაა დაგვიანებული ხაზგასმით აღნიშვნა იმისა, რომ მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ბ-ნ რამინისა მიმდინარეობს ღრმად ეროვნული ნიშნით. მისთვის მთავარი ამოსავალი ჭეშმარიტების ძიებასთან ერთად ყოველთვის იყო და არის ეროვნული პოზიცია. ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამის ნათელი მოწმობაა მისი მუდმივი ზრუნვა ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლებზე. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ბ-ნი რამინის უშუალო ძალისხმევით მოხდა ივრის სიონის ტაძრისა და კამაროვანი აკლდამის გადმოტანა კუს ტბის ღია ცის ქვეშა მუზეუმში, ასევე დასაღუპად განწირული რამდენიმე ძეგლის გადმოტანა ჟინვალის წყალსაცავის ტერიტორიიდან დაბა ჟინვალთან და მილახვრიანთკარის არქეოლოგიურ ბაზაზე. აქ ყურადღება უნდა გავამახვილო თავად ამ ბაზის ისტორიაზე. მისი აღდგენა-აღორძინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამსახურებაა ჩვენი იუბილარისა. დღესაც ნათლად მახსოვს 1973 წლის გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე, როდესაც ბ-ნმა რამინმა პირველად მიმიყვანა სოფ. მილახვრიანთკარში, ჭილაშვილების სასახლის მართლაც გრანდიოზულ ნაშთებთან. სასახლის დიდი ნაწილი ხანძრისგან იყო განად-გურებული. საზარელი სანახავი იყო ცაში აწვდილ გაშავებულ კედლებში გამოჩრილი ხის კოჭების დანახშირებული ნაშთები. ხანძარს გადარჩენილ კოშკებსა და დარბაზებში, რომლებიც ასევე დაქცევის პირას იყო მისული, განეთავსებინათ სოფლის სკოლა, კლუბი, მაღაზია და რამდენიმე უსახლკარო ოჯახი. შედარებით უკეთ გამოიყურებოდა სასახლის კომპლექსის გვიანდელი ნაგებობა, რომელშიც ფუნქციონირებდა დუშეთის «სოფტექნიკის» დირექცია, ხოლო ჭილაშვილების ღვთისმშობლის გვერდებგამონგრეული კარის ეკლესია ტრაქტორების სარემონტო სახელოსნოდ იყო გადაქცეული. შეძრწუნებული და გაოცებული ვუყურებდი ამ უმძიმეს სანახაობას და უნდობლად ვუსმენდი ბ-ნ რამინს, რომელიც ჩემთვის გაუგე-ბარი პათოსით მიხსნიდა, თუ როგორ უნდა გადაქცეულიყო ეს ნანგრევები კეთილ-მოწყობილ არქეოლოგიურ ბაზად. ისე ყველაფერი კეთილად აგიხდეთ, როგორც ბ-ნი რამინის მაშინდელი «წინასწარმეტყველება» ახდა. ყველა, ვისაც უნახავს ან ამის შემდეგ ნახავს ამ ბაზას, დამემოწმება ამაში.

აქ არ არის ადგილი და ალბათ არც აუცილებლობა იმის მოსაყოლად, თუ რამდენი დრო და ენერგია იყო საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს იმდროინდელი მთავრობა იძულებული გამხდარიყო, აეშენებინა ახალი შენობა-ნაგებობები «სოფტექნიკისათვის», მაღაზიისა და სკოლისათვის, ხოლო რაიონის ხელმძღვანელობა - გამოეყო ნაკვეთები ჭილაშვილების სასახლეში შეკედლებული ოთხი ოჯახისათვის სახლების ასაშენებლად. ასევე არ იყო ადვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გამოეყო შესაფერისი ფინანსები სარესტავრაციო სამუ-

შაოებისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ყველაფერს ბ-ნი რამინი შორიდან კი არ უყურებდა, არამედ თვითონ იდგა მუშებს შორის ექსპედიციის წევრებთან ერთად. ტვირთავდა ქვიშასა და ქვას დუშეთის ხევში, ჭოჭონაქზე გადაგდებული თოკით აჰქონდა საამშენებლო ხსნარი და მასალები ზედა სართულებზე. ყოველთვის სადღაც დაკარგული სამუშაოთა მწარმოებლის (ასეთი მან შვიდი თუ რვა გამოიცვალა) მაგიერ ხელმძღვანელობდა მიმდინარე სამუშაოებს. რამდენად დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ეს ხდებოდა ჟინვალის მომავალი წყალსაცავის ზონაში ფართოდ გაშლილი საველე არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად. აქამდე სიტყვა იმიტომ გავაგრძელე, რომ სრულიად გულწრფელად მიმაჩნია - მილახვრიანთკარის არქეოლოგიური ბაზის შემქნა არის ჩვენი იუბილარის ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება ქვეყნისა და საზოგადოების, შთამომავლობის წინაშე და დროის გასვლასთან ერთად ეს დამსახურება სულ უფრო მეტად წარმოჩინდება და დაფასდება.

არანაკლები მნიშვნელობისაა ჟინვალის კომპლექსური ექსპედიციის ჩამოყალიბება და უცვლელი ხელმძღვანელობა. ამ ექსპედიციის ისტორია, ჩემი ღრმა რწმენით, ცალკე უნდა დაიწეროს. ამისათვის უმდიდრესი მასალა თავად ექსპედიციის არქივშია თავმოყრილი. ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია არაგვის ხეობებსა და მომიჯნავე რეგიონებში გაშლილი ფართო სადაზვერვო თუ გათხრითი სამუშაოების შედეგები. რად ღირს თუნდაც ექსპედიციაში საგანგებო მზვერავი რაზმის შექმნა (ხელ-ლი ეთნოგრაფი ივანე წიკლაური), რომლის დაუღალავი მუშაობის შედეგებიდან მარტო დავათის სტელების მიკვლევა-გამომზეურების გახსენებაც კმარა. აღარას ვამბობ არაგვის ხეობების, მთისა და მთისწინა ზოლის ცალკეული რეგიონების არქეოლოგიური რუკების შედგენაზე.

ჟინვალის (1985 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) ექსპედიციის მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია სტატიების, კრებულებისა და მონოგრაფიების სახით, დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მაგრამ უმეტესი ნაწილი მომზადებულია გამოსაცემად. ამ ნაშრომების გამოქვეყნება ფართოდ წარმოაჩენს ქართული საზოგადოების წინაშე იმ დიდ ნაღვაწს, რომელიც შექმნა ამ მართლაც კომპლექსურმა ექსპედიციამ, სადაც არქეოლოგთა გვერდით თავდაუზოგავად შრომობდნენ ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტები, ანთროპოლოგები და სხვა დარგის წარმომადგენლები. ყოველი ახალი წამოწყების, ყოველი ახალი მიმართულების დაგეგმვისა და განხორციელების ინიციატორი და უშუალო მონაწილე იყო ბ-ნი რამინ რამიშვილი.

ორიოდე სიტყვით უნდა მოვიხსენიო ის ადამიანებიც, ექსპედიციის მუდმივი წევრები, რომელთაგან სამწუხაროდ ბევრი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის. უპირველეს ყოვლისა ეს არის ბ-ნი ბესარიონ ჯორბენაძე, რომელიც უცვლელი თანაშემწე და თანამებრძოლი იყო ბ-ნი რამინისა ათწლეულების განმავლობაში. მისმა უდროოდ წასვლამ ამ ქვეყნიდან დიდი ტკივილი მიაყენა ბ-ნ რამინს და თვითეულ ჩვენგანს, ვინც ახლოს ვიცნობდით ამ უკეთილშობილეს, ფუტკარივით მუყაითად მშრომელ ადამიანს. მე სულ მიკვირდა, როგორ არსებობდნენ სხვა ექსპედიციები, რომლებსაც ბესო ჯორბენაძე არ ჰყავდათ. თუმცა, მერე მივხვდი, რომ ასეთი ადამიანები, რაღაც ჩემთვის აუხსნელი კანონზომიერების შედეგად, თავისით ჩნდებიან საჭირო ადგილზე. ისე, რომ ყველა დიდ ექსპედიციას აუცილებლად ჰყავდა თავისი ბესარიონ ჯორბენაძე.

არანაკლებ მძიმე იყო ყველასთვის ექსპედიციის ღირსეული წევრების ნელი მუხიგულაშვილის, ცისანა რობაქიძის, მაყვალა მარგველაშვილის, ზურაბ კალანდაძის, იზოლდა მოძმანაშვილის, მერაბ ვაჩნაძის, ომარ ვარსიმაშვილის უდროოდ წასვლა.

ცალკე უნდა აღვნიშნო ბ-ნი რამინის დამოკიდებულება ექსპედიციის თანამშრომელთა მიმართ განურჩევლად იმისა, მეცნიერი მკვლევარები არიან ისინი თუ ტექნიკური სფეროს წარმომადგენლები. ამ მხრივ ფრიად საგულისხმო მაგალითია ექსპედიციის სამეურნეო ნაწილის უცვლელი ხელმძღვანელის ალექსი ვარსიმაშვილისა და ბ-ნი რამინის ურთიერთობა, რომელიც დღემდე გრძელდება.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ბ-ნი რამინის გულისხმიერი დამოკიდებულება მისი ყურადღების არეში მოქცეული ნებისმიერი ადამიანის მიმართ. ყველა მოწმე ვართ, თუ როგორ შემოიყვანა მან ექსპედიციაში და საერთოდ არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში უკვე ჩამოყალიბებული არქეოლოგი და შესანიშნავი პიროვნება ბ-ნი დავით მინდორაშვილი. ბ-მა დავითმა სწორედ ჩვენი იუბილარის ხელდასხმით დაიცვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციები, წარმატებით ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ხევის რაზმს. მასვე გადაულოცა ბ-ნმა რამინმა შუასაუკუნეების განყოფილების გამგის თანამდებობაც. ყველა დამემოწმება, რომ ასეთი რამ ხშირად არ ხდება ჩვენს სინამდვილეში.

არ მინდა, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს საგანგებოდ ვაიდეალებდე ჩვენი ექსპედიციის ყოფა-ცხოვრებას. ცნობილია, რომ ერთი ოჯახის წევრებსაც კი უჭირთ ურთიერთშორის სრული სიამტკბილობის მუდმივად შენარჩუნება. მითუმეტეს შეუძლებელია ეს მრავალრიცხოვან ექსპედიციაში. რა თქმა უნდა იყო ცალკეული სირთულეებიც, რისი «ინიციატორებიც», როგორც წესი უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ, ახალგაზრდები ვიყავით. მაგრამ ეს წინააღმდეგობები მალევე განიმუხტებოდა ხოლმე ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვანი და შემთხვევითი იყო და მეორეც, ბ-ნ რამინს არასოდეს ღალატობდა მიტევების უნარი. ის ამითაც გვაძლევდა ყოველთვის მართლაც ქრისტიანული მიმტევებლობის გაკვეთილებს, რაც პირადად მე ხშირად მშველის უკვე ჩემს მოწაფეებთან ურთიერთობაში.

ცხოვრება ხშირად ზედმეტად მკაცრი და დაუნდობელია ცალკეული პიროვნებების მიმართ. ამ მხრივ, სამწუხაროდ, არც ჩვენი იუბილარია გამონაკლისი. მან უდროოდ დაკარგა ოჯახისა და სამეგობროს უახლოესი წევრები. მათგან არ შემიძლია არ გავიხსენო უმცროსი ძმა, რევაზ რამიშვილი და უახლოესი მეგობარი გურამ აბრამიშვილი, რომლებიც ჩვენი ექსპედიციის წევრები და ჩვენი უფროსი მეგობრებიც იყვნენ. ბატონი რეზო, მევენახეობის ცნობილი სპეციალისტი, საარაგვოს ტყეებში შემორჩენილ, გაველურებული ვაზის ჯიშებს იკვლევდა, ხოლო ხელოვნებათმცოდნე ბ-ნი გურამ აბრამიშვილი ახლადმიკვლეულ არქიტექტურულ ძეგლებს. მათი უზადო პიროვნული ხიბლის გამო ჩემთვის დაუვიწყარია ერთად გატარებული დღეები. ისინი ბ-ნ რამინთან ერთად, როგორც ჭეშმარიტ ქართველებს შეეფერება, დიდი პატივისმცემელნი იყვნენ ქართული სუფრისა და სტუმარ-მასპინძლობისა. ჩვენ, შედარებით ახალგაზრდები, მათს გარემოცვაში ვღებულობდით არამარტო მეცნიერების, არამედ ადამიანობის, კაცობის, სიკეთის გაკვეთილებს. ეს ყოველივეც შესაფერისად ახასიათებს ჩვენს იუბილარს საუკეთესო პოზიციიდან.

ამ დიდმა და გამოუსწორებელმა დანაკლისმა ვერ გატეხა ბ-ნი რამინი. ის კვლავაც დაუღალავად აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას და საერთოდ ცხოვრებას თავისი შესანიშნავი შვილებითა და მრავალრიცხოვანი შვილიშვილებით. ჩვენც, მისი მოწაფეები არც აქ ჩამოვრჩებით მასწავლებელს. ვერა ჩიხლაძე, გურამ ჩიქოვანი, გიორგი გოგოჭური, კახი წერეთელი და სხვები შეძლებისდაგვარად ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას და არ ვივიწყებთ მოვალეობებს.

მე შევსწრებივარ ზოგიერთი «დიდი» მეცნიერის საიუბილეო სამზადისს, სადაც თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უცებ აღმოჩენილა, რომ იუბილარს თურმე არ ჰყოლია მოწაფეები. ჰოდა დაწყებულა ძებნა ადამიანებისა, რომლებიც იკისრებენ საიუბილეოდ არარსებული «მოწაფეების» როლის შესრულებას.

ბატონო რამინ, თქვენ რა თქმა უნდა ეს «ხიფათი» არ გემუქრებათ ისევ თქვენივე დაუღალავი პედაგოგიური მოღვაწეობის გამო. ჩვენ აქა ვართ, თქვენს გვერდით, თქვენი მოწაფეები, რომლებიც ვამაყობთ ამით და ძებნა არ გვჭირდება. გილოცავთ ოთხმოცი წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ წარმატებებს საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში. ისე რომ ვერ დაგემშვიდობებით.

მომავალ იუბილემდე, ჩვენო, ბატონო რამინ!

**გიორგი რჩეულიშვილი**

**რამინ რამიშვილი**

## აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნასოფლარები

(ალაზნის, ივრისა და არაგვის ხეობათა მასალების მიხედვით)

ქართველი «სამოციანელები» და განსაკუთრებით მათი ლიდერი ილია ჭავჭავაძე ფეოდალური საზოგადოების წიაღში შექმნილ «ქართლის ცხოვრებას» სწორედ იმას უწუნებდა, რომ მასში არ ჩანს ხალხი, ისტორიის შემომქმედი საზოგადოება. ის საზოგადოება კი რომელთა ისტორიასაც დიდი ილია მოისაკლისებდა «ქართლის ცხოვრებაში», უმთავრესად სოფლად ისხდა. ბუნებრივია, ისტორიული წყაროების სიმცირის პირობებში მაშინ, როდესაც წერილობითი ძეგლების შესაძლებლობები ჩვენს ისტორიოგრაფიაში თითქმის ამომწურავადაა რეალიზებული, ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულს და იმედის მომცემს წარმოადგენს არქეოლოგიური ძიებით მოპოვებული ინფორმაცია, მაგრამ თუ ზოგადად თვალს გადავავლებთ ქართული არქეოლოგიის განვითარების დღევანდელ სურათს, გაირკვევა, რომ ყველაზე დიდი ხარვეზი სწორედ ნასოფლარების შესწავლის საქმეში გაგვაჩნია. ეს

განსაკუთრებით ითქმის ადრეულ შუასაუკუნეებზე. უნდა შეინიშნოს, რომ შუასაუკუნეთა ნასოფლარების შესწავლას საქართველოში შედარებით გვიან მიექცა ყურადღება და იგი დაკავშირებულია ნ. ბერძენიშვილის სახელთან. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს არქეოლოგიურ რუკაზე აისახა მრავალი ასეული ნასოფლარი, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთია გათხრილი. ფეოდალური სოფლის არქეოლოგიურ გამოკვლევაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი გ. ლომთათიძეს, ი. გძელიშვილს, ვ. ჯაფარიძეს, ო. ტყეშელაშვილს, ა. ბოხოჩაძეს, მ. სინაურიძეს, გ. ნასიძეს, ვ. ართილაყვას და სხვ. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ნასოფლართა არქეოლოგიური შესწავლა თავიდანვე ერთგვარად ცალმხრივად წარიმართა, უფრო მეტი ყურადღება მიექცა განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებს, რაც ალბათ განპირობებულია იმით, რომ შოთა რუსთაველის ორგზისი იუბილეს მზადების პერიოდში, აქცენტი სწორედ ამ პერიოდის ნასოფლარებზე იყო გამახვილებული. ადრეული შუასაუკუნეების ნასოფლარების შესწავლა ჩვენგან გაცილებით მეტ ყურადღებს მოითხოვს და ქართულ არქეოლოგიაში ეს ხარვეზი სასურველია უმოკლეს დროში იქნეს დაძლეული, მაგრამ ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნასოფლარების შედარებით ცუდი შესწავლილობა მარტო არქეოლოგიურ სამუშაოთა არასწორი დაგეგმვის შედეგი არ გახლავთ. ეს გამომდინარეობს ამ პერიოდის ძეგლთა თავისებური ხასიათიდანაც, რაზედაც ამ კრებულის შესავალ წერილში უკვე გვქონდა საუბარი.

ადრექრისტიანული ხანის ნასოფლარების რიცხვის და ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დიდად გვეხმარება იმავდროული ეკლესიების და სამაროვნების ლოკალიზაცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრე შუასაუკუნეთა ნასოფლარები ამ სამაროვნებიდან ძალიან შორს არაა საძებნი, ხოლო ეკლესიათა ნაშთები კი უშუალოდ ნასოფლარის მდებარეობას მიუთითებს.

როგორც არაგვის ხეობაში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ გვიჩვენა, ადრე შუასაუკუნეთა ხანის ბევრი ნასოფლარი პირდაპირ გვიანარმაზული ხანის სამოსახლოებზეა აღმოცენებული და მათ ბუნებრივ გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს. სადღეისოდ, როცა ჩვენ გაგვაჩნია მნიშვნელოვანი ხარვეზი საკუთრივ ადრე შუასაუკუნეთა ნასოფლარების შესწავლაში, ფართოდ ვიყენებთ მათ სინქრონული სამაროვნებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებს და მართალია ცალმხრივად, მაგრამ მაინც ვცდილობთ გავაშუქოთ ამ სამაროვანთა შემქმნელი საზოგადოების ყოფა, მატერიალური კულტურის დონე და კულტურული წრისადმი კუთვნილება.

გარკვეული დახმარების გაწევა ნასოფლარებზე მსჯელობისას შეუძლიათ გაგვიწიონ ნაქალაქარების შესწავლისას მოპოვებულმა მრავალრიცხოვანმა მასალებმა. საკვლევი პერიოდისათვის ქალაქური კულტურის რადიაცია სოფლებზე და განსაკუთრებით საქალაქო ხორაზე ძალზე დიდი იყო. ნაქალაქარების არქეოლოგია კი როგორც ცნობილია, ჩვენში განსაკუთრებითაა დაწინაურებული.

წინამდებარე ნაშრომში ბუნებრივია, შეუძლებელია განვიხილოთ ყველა ის ძეგლი რომელიც სადღეისოდაა აღნუსხული ან გამოკვლეული. ჩვენ შევეცდებით მათ შორის შევარჩიოთ ისეთები, რომლებიც უკეთ წარმოგვიდგენენ ალაზნის, არაგვისა და ივრის ხეობების ნასოფლარების სახეს და შინარსს.

**ალაზნის აუზის ნასოფლარები.** მდ. ალაზნის აუზი გვიანარმაზულ და ადრექრისტიანულ ხანაში საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზედაც

ნათლად მეტყველებს ამ პერიოდით დათარიღებულ ძეგლთა სიმრავლე და მათი გეოგრაფიული განლაგება. როდესაც ადრე შუასაუკუნეთა ხანის ძეგლებს ვახსენებთ, რა თქმა უნდა ვგულისხმობთ არა მხოლოდ ნასოფლარებს, არამედ ძეგლების ფართო წრეს (ნაქალაქარებს, ნაციხვარებს, ნამონასტრალებს, ეკლესიებს და მათ ნანგრევებს, სამაროვნებს, ცალკეულ აკლდამებს, სახელოსნო კერებს, ნაგზაურებს, ნაარხალებს და სხვ.). ადრე შუასაუკუნეების ალაზნის აუზის ნასოფლარების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა მოპოვებული ზემო ალაზნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965-1966 წწ. [1, გვ. 7, 8; 2, გვ. 38-45].

ალაზნის ზემო წელზე, პანკისის «ქვეყანაში», მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ომალოში დადასტურებულია გვიანარმაზული და ადრექრისტიანული ხანის დიდი სამაროვანი, რომელიც მოთავსებულია ალაზნის მეორე ტერასის თითქმის მთელ სიგრძეზე დღევანდელი სოფლის ფარგლებში [3, გვ. 9-19].[1] სამაროვნის აღმოსავლეთით უშუალოდ სამაროვნის მიჯრით და ზოგჯერ თვით სამაროვნის ტერიტორიაზე თავს იჩენს ფენისეული მასალა და საოჯახო ნამუსრევით ამოვსებული ორმოები, რომელთა შორის საკმაოდ მრავლადაა ადრე შუასაუ-კუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელთა ნატეხები. თანამედროვე სოფლის მჭიდროდ დასახლების პირობებში შეუძლებელია იქ ფართო არქეოლოგიური კვლევის ჩატარება, მაგრამ ის მასალებიც კი, რაც ომალოს მცხოვრების ბაბალე ფარეულიძის ეზოში იქნა მიკვლეული გვიჩვენებს, რომ ახ. წ. II ს-დან მოყოლებული ადრექრისტიანულ ხანამდე ალაზნის სათავეში არსებულა საკმაოდ დიდი სოფელი, რომლის ამგვარ მოცულობაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი ორმოსამარხები და მათი შემცვლელი და მემკვიდრე ქვის სამარხები. თუმც უნდა შეინიშნოს, რომ სიპებით ნაგები სამარხები გავრცელებულია უფრო სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

საყურადღებოა, რომ ალაზნის ზემო წელის თითქმის მთელ სიგრძეზე მის ორივე მხარეს მოსახლეობა საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ადრექრისტიანული ხანიდანვე, რაზედაც მეტყველებს სოფლების: ბირკიანის, ჯოყოლოს, ბალთაგორის, ქვემო და ზემო ხალაწანის, საკობიანოს, დუისის, კუწახტის, ბაყილოვანის და სხვ. პუნქტების მასალები, იქ აღმოჩენილი ადრე შუასაუკუნეების ეკლესიების ნაშთები, სამაროვნები და კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალა. ასე მაგ.: სოფ. დუისის ჩრდილოეთით, ადგილ «კაკლინების ხევში» სოფ. დუისის მცხოვრებთ მიუგნიათ ძვირფასი ნივთების შემცველი ქვის სამარხებისათვის. ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ ქვის სამარხები ადრექრისტიანული იერისაა და კირქვის ფილების გარდა მათ მშენებლობაში გამოყენებული ყოფილა შირიმის ქვათლილებიც. სოფ. ქვემო ხალაწან-ში კი შემონახულია სამაბსიდიანი ეკლესიის (ბაზილიკის) ნაშთი, რომლის გარშემოც გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად მოპოვებულია გვიანარმა-ზული ხანისა და ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

[1] გარდა ამისა, კახეთის, კერძოდ ალაზნის აუზის ძეგლების კვლევისას ფართოდ ვიყენებთ საველე დღიურებს და სადაზვერვო ჩანაწერებს, რომლებიც შესრულებულია ჩვენს მიერ ზემო ალაზნის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დროს 1965-1970 წწ. (დღიურები ინახება ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრის დუშეთის ბაზაზე).

ადრეული შუასაუკუნეების ძეგლთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მიკვლეულია მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადის კურტანაძეულის ხევში, სადაც გარდა რამდენიმე მცირე ნასოფლარისა, დადასტურებულია ადრე შუასაუკუნეთა ხანის ფეოდალური საერისთავოს ცენტრი მარელისი _ მარილელ ერისთავთა რეზიდენცია, სადაც შემონახულია წმინდა მარინეს ეკლესია, საცხოვრებელ-საბრძოლო მრგვალი კოშკი და სამი სასახლის ნანგრევი, რომლებიც გეგმარებით, მხატვრულ-სტილური ნიშნებითა და სამშენებლო ხელოვნებით ძალზე ახლო დგანან ნეკრესის, კვეტერის, იყალთოს, ვაჩნაძიანის, ჭერემის და სხვ. სასახლეებთან [4, გვ. 543, 546, 557, 565, 569]. ამ პუნქტის გარშემო მდებარე ნასოფლარებიდან სამწუხაროდ არც ერთი გათხრილი არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ უკვე გაბატონებულია შენობათა კედლების ქვითკირით ამოყვანა, რაც კახეთის VIII-X სს-ის სასახლეების მიხედვით უკვე კარგად ჩანს.

მნიშვნელოვან ძეგლს, ნასოფლარს, რომელიც ადრეული შუასაუკუნეებით თარიღდება, წარმოადგენს ერალაანთ საყდარი და მისი მიმდგომი სამარხები, სადაც 1966 წ. გაითხარა საკმაოდ ვრცელი სამაროვანი [5, გვ. 111-127]. აღნიშნულ სამაროვანზე ძირითადად გაბატონებულია ქვის ფილებით გადახურული ორმო-სამარხები და ქვის სამარხები. ადრექრისტიანული ხანის ამ სამარხებში, რომლებიც მონაპოვარი მასალების მიხედვით ძირითადად V ს-ით თარიღდება, კიდევაა შემორჩენილი დაკრძალვის წარმართული პოზა, რაც ამ რეგიონისათვის ე. ი. მთის-წინეთისათვის არ უნდა იყოს უჩვეულო. მთისწინეთში და მთისა და ბარის ზღვარზე მდებარე სოფლები, როგორც ჩანს, წარმართულ წეს-ჩვეულებებს უფრო დიდხანს ინარჩუნებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ იაღსარის სამაროვანი იქვე გათხრილი ერალაანთ საყდრის სინქრონულია და მიუთითებს, რომ სამაროვნის ჩრდილოეთით, იაღსარის გორის შეფენებაზე, საკმაოდ მოზრდილი სოფელი არსებობდა. ჩვენ სამწუხაროდ სამაროვნის სინქრონულ ნაგებობებს ვერ წავაწყდით, ალბათ იმის გამო, რომ მათი შენობების კედლები ალიზით იყო ნაგები, მაგრამ იაღსრიგორის ფერდობებზე გაჭრილ საკონტროლო თხრილებში მიკვლეული თითო-ოროლა კერამიკული ნატეხი აშკარად ადრეული შუასაუკუნეებისაა.

მატნის «ქვეყანაში» ადრე შუასაუკუნეთა ხანაში მჭიდრო მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს იქ ამ პერიოდის სხვა ძეგლების არსებობაც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მატნის ცხრაკარას სამონასტრო კომპლექსი, რომლის შემოგარენშიც არაერთი ნასოფლარია აღრიცხული. საკმაოდ პერსპექტიულია ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი ადგილ ახმეტის ჯვრებთან, რომლის სიახლოვესაც აკრეფილი კულტურული ფენისეული კერამიკული მასალა აშკარად ადრე შუასაუკუნეთა იერისაა [3, გვ. 12; იხ. აგრეთვე ჩვენი დღიური].

ასევე საყურადღებოა ადრექრისტიანული ხანის ეკლესიისა და საკმაოდ დიდი ნასოფლარის აღმოჩენის შემთხვევა მატნის სიახლოვეს, ჟამთა საყდრის ეკლესიასთან [6, გვ. 41, 42], სადაც სამარხთა ყველაზე ადრეული ფენა IX-X სს-ითაა დათარიღებული. ამ სამაროვნის სინქრონულ ნასოფლარში უკვე ქვითკირით ნაგები შენობებია ფიქსირებული, თუმც სამწუხაროდ სახსრების უქონლობის გამო იქ მუშაობის გაშლა ვერ მოხერხდა.

ასეთივე ნასოფლარი მიკვლეულია სოფ. ბაყილოვანშიც, სადაც ადგილ ახალუბნის ყურეს სამხრეთ ფერდობზე დადასტურებულია ადრე შუასაუკუნეთა ხანის ეკლესიაც [3, გვ. 13].

ადრე შუასაუკუნეთა ხანის შედარებით გვიანდელი ეტაპის რამდენიმე ნასოფლარი დადასტურებულია სოფლებში: ქისტაურში, აწყურში, იყალთოში, რუისპირში, ალავერდის მიდამოებში, ყვარელში, შილდაში, გულგულაში, ვანთაში, კალაურში, შაშიანში, ჩუმლაყში, გურჯაანში, ყოღოთოში, ხორნაბუჯში და სხვა პუნქტებში, რომელთა დათარიღება და განსაზღვრა ხერხდება მირითადად იქ აღმოჩენილი სამაროვნებისა და ეკლესიების ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე. ამ ძეგლებს შორის არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა სოფ. კალაურის ნასოფლარი, სადაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს, რომ IX-X სს-ში სოფლური დასახლებები უკვე ქვითკირით შენდებოდა.

**ივრის აუზის ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნასოფლარები.** ივრის აუზში უკანასკნელი 4 ათეული წლის მანძილზე ჩატარდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური მიება, რომლის მეშვეობითაც გამოვლენილია მრავალი ნასოფლარი, რომელთაგან რამდენიმე ასე თუ ისე კარგადაა შესწავლილი.

IX-X სს-ის კუთვნილი ვრცელი ნამოსახლარები, გამოქვაბული სახლები და სამაროვნებია აღმოჩენილი ივრისპირების «ქვაბების» მიდამოებში, სადაც 1970 წლიდან გაითხარა რამდენიმე ობიექტი [7, გვ. 157; 8, გვ. 68-78; 9, გვ. 17-30]. შენობათა კედლებში, ამ ნამოსახლარზე გამოყენებულია რიყისა და კლდის ქვები და დუღაბი. ამავე დროს, სოფლის მოსახლეობა, როგორც ჩანს, კარგად იყენებდა ბუნებრივ პირობებსაც და საცხოვრებელ სათავსოებს კვეთდა ივრისპირებში აღმართულ ქვიშაქვის კლდოვან მასივებშიაც. თუმც ცალკეული კედლების ამოსაყვანად აქაც გამოყენებულია თიხის ხსნარზე დალაგებული რიყის ქვები. სათავსოთა იატაკი თიხატკეპნილია.

ამ ნახევრად კლდეში ნაკვეთ სოფლურ სამოსახლოში განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. «ქურებიანი» სათავსო, რომელის შიდა ფართობი 12 კვმ-ს არ აღემატება. ამ სათავსოში აღმოჩნდა სამი ქურის ნაშთი და მათ გარშემო მიმობნეული სამზარეულო და საოჯახო ჭურჭლის (ქოთნების, ქვაბქოთნების, ჭრაქების, ხელადების და სხვ.) ნატეხები. «ქვაბების» მცხოვრებნი, როგორც არქეოლოგიური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, მისდევდა ლითონის დამუშავებას (რაზედაც მიუთითებს წიდების სიმრავლე), მინის წარმოებას (ნაპოვნია წუნდებული სა-მაჯურები და მინის წიდა) და ეგების მეთუნეობასაც. ძეგლის გამთხრელის ბ. მჭედ-ლიშვილის ვარაუდით, ივრისპირების ნასოფლარი აოხრებული უნდა იყოს XI ს-ში თურქ-სელჩუკების მიერ [7, გვ. 162].

ადრე შუასაუკუნეთა საკმაოდ ადრეული ეტაპის ნამოსახლარი უნდა ვივარაუდოთ სოფ. ნინოწმინდაში, სადაც შემონახულია ადრექრისტიანული ხანის საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლები [4, გვ. 244-246].

რამდენიმე ნასოფლარი ფიქსირებულია ხაშმის მიდამოებში, კერძოდ სამების ბაზილიკის სიახლოვეს და ძველი ხაშმის ტერიტორიაზე, თუმც იქ არქეოლოგიური კვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა.

ეტყობა საკმაოდ ძლიერი სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონი გაჩნდა ისტორიულ ქალაქ უჯარმას, რომელიც ადრექრისტიანული ხანის გარიჟრაჟზეა ჩამო-ყალიბებული. სამწუხაროდ ამ ნასოფლარების მოსინჯვა უჯარმის გარშემო დღემდე

ვერ მოხერხდა, თუმც სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე, ტახტების ღელეში და უჯარმის ჩრდილოეთით არაერთი სამაროვანი და ნასოფლარია ფიქსირებული, რომელთა ადრე შუასაუკუნეებით დათარიღება ეჭვს არ უნდა იწვევდეს [10, გვ. 39, 40; 11, გვ. 11, 12; 12, გვ. 64, 103, 124; 13].

საკმაოდ ხელშესახები შედეგებით დაგვირგვინდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ივრის შუა და ზემო ნაწილში, სადაც 1950 წლიდან არა ერთი საყურადღებო ძეგლია გათხრილი. როგორც ცნობილია, აღნიშნული რეგიონი წარმოადგენდა ისტორიული კახეთის ცენტრს და მასში შემავალი შედარებით მომცრო სამი «ქვეყანა» დღეისათვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი. ეს «ქვეყნებია»: ჟალეთი, ერწო და თიანეთი. სამივე «ქვეყანაში» ადრე შუასაუკუნეთა ნასოფლარებთან დაკავშირებით გარკვეული წარმატება გაგვაჩნია, მაგრამ შედარებით უკეთ მაინც ერწოს «ქვეყნის» ძეგლებია გამოკვლეული [14; 15, გვ. 154-170; 16, გვ. 143-162; იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა].

ჟალეთის ქვეყნის სოფლური ტიპის დასახლებიდან აღსანიშნავია ზადაანის ცხრაკარას გაგრძელებაზე მდებარე ნამოსახლარი, სიონისა და საყარაულოს გარშემო მდებარე ნამოსახლარები და სამაროვნები.

ეწოს «ქვეყანაში» აღრიცხულ მრავალრიცხოვან ნასოფლარებს შორის არქეოლ-ოგიურად მეტნაკლები სისრულით გამოკვლეულია მაგრანეთის ორი ძეგლი: ჭიჩო-ულების უბნის ნამოსახლარი და ქუშანაანთგორის ნამოსახლარი, რომლის გარშემოც ადრექრისტიანული ხანის ვრცელი სამაროვანია დადასტურებული [17, გვ. 28; 18, გვ. 51-56; 19, გვ. 123-131; 20, გვ. 73-82; 21, გვ. 36-79].

მაგრანეთის ჭიჩოულების უბნის ნამოსახლარზე დადასტურებულია ადრე შუასაუ-კუნეთა ხანის ნამოსახლარის ნაშთი, თუმც ძეგლის ფრაგმენტულობისა და სამუშაოთა ფრონტის უქონლობის გამო ვერ შევძელით დაგვედგინა შენობათა თავისებურებანი და გეგმარება. არქეოლოგიური მონაპოვრის ანალიზისა და შედარებითი მასალების საფუძველზე [22, გვ. 26, 27; 23, გვ. 112, 113; 24, გვ. 52, 53; 25] ზ. ჯორბენაძე აღნიშნულ ნამოსახლარს VI-VIII სს-ით ათარიღებდა. «ქუშა-ნაანთგორის» მაგალითით თუ ვიხელმძღვანელებთ ჭიჩოულების უბნის ნამო-სახლარზე არსებულ შენობებს უნდა ჰქონოდათ ალიზით ნაგები კედლები.

შედარებით ვრცლად შევჩერდებით მაგრანეთის ქუშანაანთგორის ადრე შუასაუ-კუნეებით დათარიღებულ ნამოსახლარზე, რომელიც თავისი გეგმარებით, სამშე-ნებლო ხელოვნებითა და მონაპოვარი მასალით, შესაძლოა მივიჩნიოთ ივრის აუზის (და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს) ეტალონურ ძეგლად, რომლის მონაცემებმაც შესაძლოა შუქი მოჰფინოს არასათანადოდ შესწავლილ სხვა ძეგლებსაც.

ქუშანაანთგორის ნამოსახლარი მდებარეობს ერწოს ველის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფ. მაგრანეთის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, თრანულას ხევის მარჯვენა ნაპირზე.

1966 წ. აღნიშნული ადგილი გადაიხნა პლანტაჟის გუთნით, რის დროსაც სამუდამოდ დაიღუპა დიდძალი არქეოლოგიური ძეგლები. ერთი მონაკვეთი, იმის გამო, რომ რიყის ქვების მძლავრი ფენით იყო მოფენილი, ხელუხლებელი დარჩა. ამტომაც აღნიშნული ადგილი გადაურჩა ნგრევას. ერწოს ველის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სწორედ იმ ხელუხლებელ ნაკვეთზე ჩაატარა კვლევა-ძიება.

1967-1969 წწ. გაითხარა 1000 კვმ მეტი ფართობი, რის შედეგადაც მთლიანად გაშიშვ-ლდა საკმაოდ დიდი და მრავალოთახიანი ხუროთმოძღვრული კომპლექსი. მსგავს

ნაგებობათა ნაშთები, მაგრამ უკვე ღრმა ხვნის დროს დანგრეული, მრავლად აღმოჩნდა ქუშანაანთგორის სხვადასხვა უბნებზე.

თავისი მდებარეობით ჩვენს მიერ გათხრილი კომპლექსები ყველაზე უფრო ხელსაყრელი და შეიძლება ითქვას, თვალსაჩინო ადგილზე მდგარა. ადგილი, სადაც აღნიშნული შენობის ნაშთია გათხრილი წარმოადგენს ბუნებრივ შემაღლებას, რომელიც ცალი მხრიდან (სამხრეთიდან) ხელოვნურად ჩაჭრილი «ყელითაა» მოზღუდული. ასევე შედარებით «ძნელად მისასვლელია» ნამოსახლარი დასავლეთიდან ე. ი. მდ. თრანულას ხევიდან. დანარჩენი ორი მხრიდან ნამოსახლარი ერწყმის მდ. აბეძისაკენ დახრილ საკმაოდ ფართო ველს, რომელიც ჩრდილოეთ ნაწილში XX ს-ის 30-იან წლებამდე დაჭაობებული იყო.

არქეოლოგიური დაზვერვებით გაირკვა, რომ ჭაობები გვიანდელი წარმოშობისაა, ალბათ იმ დროისა, როდესაც ერწოს ველის სამეურნეო ყოფა საფუძვლიანად მოიშალა. ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში კი რომ ეს ასე არ იყო, იქიდან ჩანს, რომ ქუშანაანთ გორაზე ჩვენს მიერ შესწავლილი გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ჩრდილო ზოლი და ნასახლართა ნაშთები «შეჭრილია» ნაჭაობარში ე. ი. ანტიკურ ხანაში ხმარებაში მყოფი მიწის სავარგულები მოგვიანებით ჩანს ჭაობქვეშ მოხვედრილი.

წინა წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადგენილი იყო, რომ ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნამოსახლართა გაჩენამდე ქუშანაანთ გორა მთლიანად ყოფილა ათვისებული გვიანარმაზული ხანის საზოგადოების მიერ. იმ აღმოჩენებს შორის, რომელიც აღნიშნულ ხანას განეკუთვნება, განსაკუთრებით საყურადღებოა მდიდრული სამაროვანის ერთი უბანი, სადაც მცხეთის პიტიახშთა სამარხების რანგის რამდენიმე სამარხია გათხრილი [26, გვ. 71-74].

გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარის დაქცევის შემდეგ არც თუ ისე დიდი დროის შემდეგ ქუშანაანთ გორაზე კვლავ აღმდგარა სიცოცხლე. მოპოვებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქრონოლოგიური წყვეტილი ამ ორი პერიოდის მასალებს შორის დაახლოებით ერთი საუკუნეა.

ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნამოსახლარზე არქეოლოგიური თხრის დაწყებამდე ყურადღებას იქცევდა რიყის ქვებისგან შედგენილი მოგრძო 50 მ სიგრძის ქვაყრილი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. საკმაოდ რელიეფურად შეზვინულ ნამოსახლარზე მოქცეული გრძელი ქვაყრილი წარმოქმნილი იყო კედლების ნგრევის შედეგად, მაგრამ როგორც ჩანს, იგი აზვინული იყო დამატებით იმ ქვებით, რომლებსაც ხვნა-თესვის დროს პოულობდნენ შენობის მიდამოებში (ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ის ფაქტი, რომ მიწის ხვნის დროს ამოყრილ ქვებს აგროვებდნენ ან ნაკვეთების მიჯნაზე ან ხვნისთვის უვარგის ადგილებში).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხელოვნურად გაჭრილი «ყელი», რომელიც ქუშანაანთ გორას დაბალ ქედობს ნასახლარის ოდნავ სამხრეთით ე. ი. ოდნავ ზემოთ მერიდიანულად გადაჰკვეთს. იგი მდინარის ჭალიდან შემოდის და დაახლოებით 10 მ სიგანის თხრილის სახით დამრეცად აივაკებს ქუშანაანთ გორაზე.

აღნიშნული «ყელის» რაობის გარკვევის მიზნით 1967 წ. იქ გავავლეთ საკონტროლო თხრილი. დაახლოებით 0,5 მ სიღრმეზე თხრილის შუა ნაწილი რიყის ქვებით აღმოჩნდა მოფენილი. გარდა ორიოდე კერამიკული მატეხისა არაფერი გვინახავს. ასე, რომ «ყელის» ფუძე ჯერ-ჯერობით არქეოლოგიურად დაუთარიღებელია.

ჩვენი აზრით, აღნიშნული «ყელი» გარდა იმისა, რომ ნამოსახლარისათვის სამხრეთიდან ქმნიდა ერთგვარ თავდაცვით ზღუდეს, ჩანს წარმოადგენდა იმ გზის ნაწილს, რომელიც ერწოს ველზე გადიოდა გვიანანტიკურსა და ადრე შუასაუკუნეებში. ამის ერთ საბუთად შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ თრანულას მარცხენა ნაპირზე ნამოსახლარის მოპირდაპირე მხარეს სოფ. თრანის ბოლოზე კიდევ იყო შემონახული რიყის ქვით მოკირწყლული ვიწრო გზის ნაწყვეტები, რომელიც სწორედ აღნიშნული «ყელისაკენ» მიემართებოდა.

ქუშანაანთ გორაზე მიკვლეული ნაგებობა, რომლისგანაც მხოლოდ საძირკვლის დონეა შემორჩენილი, წარმოადგენს რიყის მომსხო ქვებით ტალახზე ნაგებ საკმაოდ რთული გეგმის მქონე შენობის ნაშთს, რომელიც მრავალი ოთახისგან შედგება.

საყურადღებოა, რომ საძირკვლის დონეზე სულ ერთი ან ორმწკრივიანი წყობაღაა შემორჩენილი და მათ ზემოდან ფარავდა ძალზე თხელი კორდოვანი ფენა, რომლის სისქეც 30-35 სმ არ აღემატებოდა. შენობის გეგმა იკითხება თითქმის მთლიანად, მაგრამ მისი ჩრდილოეთი ნაწილი უფრო კარგადაა შემორჩენილი. რაც შეეხება სამხრეთ ნახევარს, აქ უკიდურესი კედელი სანახევროდ დანგრეულია, რაც სახნისის იქ მრავალი საუკუნის განმავლობაში მუშაობის ნაყოფი უნდა იყოს.

შენობის გეგმა ასე გამოიყურება, შენობის ცენტრში თითქმის ოთხკუთხა მოყვანილობის დიდი ოთახია (სათავსო №4, ფართობი 9X8 მ), რომელსაც გარს ერტყმის შედარებით მომცრო ოთახები. ამათგან №2 სათავსო ჩატიხრულია თითქმის დიდი ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, ხოლო №3 სათავსო კი ამ დიდ ოთახს გარს უვლის სამხრეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი მხრიდან. №5 სათავსო კი ჩატიხრულია №4 დიდი სათავსოს ჩრდილოეთი კედლის უკიდურეს ჩრდილოეთ კართან. იქ ჩვენი ვარაუდით, მოთავსებული იყო ღუმელი და საკურთხევლის მსგავსი ბაქანი.

განსაკუთრებულ ინტერესს გეგმის დახასიათებისას იწვევს შენობის ჩრდლოეთი ნახევარი, სადაც გარდა ვიწრო კორიდორისა, რომელიც დასავლეთი კედლიდან დიდი ოთახისაკენ შემოდიოდა, მოქცეულია კიდევ ორი სათავსო (№№6, 7), რომელთა კედლების ნაშთებიც უფრო უკეთ იყო გადარჩენილი, ვიდრე დანარჩენი სათავსოებისა. სწორედ აქ, ამ კედელზე კარგად ჩანდა ალიზის კედელთა ის ნაშთები, რომლებიც ალბათ ქვაყრილის წყალობით იქნა გადარჩენილი. შენობის ამ ნაწილის შესწავლით ჩანს, რომ ქუშანაანთ გორის სამოსახლოზე არსებულ დიდ ნაგებობას ქონია ქვის საძირკველზე დაფუძნებული ალიზის კედლები. საყურადღებოა, რომ თუ მთელი შენობის სამხრეთი ნაწილი გეგმაში სწორკუთხედია და, თუ შეიძლება ითქვას, ერთი გეგმითაა ნაგები, კომპლექსის ჩრდილოეთი ნაწილი თავისი გეგმარებ-ით ამას არ პასუხობს.

გეგმის ანალიზისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აქ საქმე გვაქვს ორ სამშენებლო პერიოდთან. ამასთან უადრესი უნდა იყოს №4 დიდი სათავსო, თავისი გარშემოსავლელით (მასში მოთავსებული ოთახებით). უფრო მოგვიანებით ეს სახლი უნდა გაედიდებინათ ჩრდილოეთი მხრიდან, რასაც მოჰყოლია კედლების გაგრძელება და იქ, გარდა ორი ასიმეტრიული მცირე სათავსოსი, გაუმართავთ დიდი აივანი, რომელიც აძეძს გადაჰყურებდა. გარდა ამისა, ძირითადი შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, იქვე გაითხარა კიდევ ერთი ცალკე მდგომი ერთოთახიანი შენობა, რომელიც საერთო გეგმარებითა და ქვის წყობის მანერით უფრო ახლოსაა ძირითადი ნაგებობის პირველი სამშენებლო პერიოდის ოთახებთან.

ამრიგად, ქუშანაანთ გორის სამოსახლო კომპლექსი შედგება ძირითადი შენობისაგან, რომელსაც აქვს 7 სათავსო, ერთი დიდი ვერანდა და ერთი ცალკე მდგომი ოთახი, რომელიც აშკარად პირველთანაა დაკავშირებული.

მთელი ამ ნაგებობის თხრისას ყველა სათავსოში და საერთოდ კედლების გარეთაც ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები, მაგრამ იმ ნაწილში, სადაც ხვნა-თესვა წარმოებდა, კრამიტის ნაშთები შედარებით ცოტა ჩნდებოდა. იმ ადგილებში კი, რომელიც ქვაყრილის ზვინულით იყო დაფარული, კრამიტები უფრო დიდი რაოდენობით იყო შემონახული. კერძოდ, №№6, 7 სათავსოები მთლიანად აქ ჩახვავებული კრამიტებით იყო ამოვსებული. ამის საფუძველზე ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ შენობას ჰქონდა კრამიტის სახურავი, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტების კომბინაციით იყო შედგენილი. ყოველივე ეს გულისხმობდა საკმაოდ მძლავრ ხის კონსტრუქციებს, რისი ნაშთებიც მრავლად იქნა მიკვლეული ხანძრით გადაბუგული შენობის ნანგრევებს შორის. დანახშირებული ხის ძელები მიმოფანტული იყო იატაკის მთელ ფართობზე და მიუთითებდა იმაზე, რომ ნაგებობის განადგურება მოხდა ერთბაშად დიდი ხანძრის შედეგად.

გარდა კრამიტებისა, მთელი შენობის იატაკის დონეზე და საერთოდ მის მომცველ კულტურულ ფენებში ჩნდებოდა დიდძალი კერამიკული ნატეხები, რომელთა შორისაც მრავლადაა სამზარეულო ჭურჭლის, ხელადების, დერგებისა და სხვ. ნატეხები.

არქეოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა №5 სათავსო, სადაც ძლიერ ნახანძრალ ფენაში იატაკის დონეზე აღმოჩნდა სახურავის ჩაქცევის შედეგად ადგილზევე ჩალეწილი მრავალი ჭურჭელი. გარდა ამისა, ზოგიერთი ჭურჭელი, კერძოდ ორი ქოთანი და ერთი ხელადა სავსე იყო ტყის ხილით პანტითა და მაჟალოთი.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ამ სათავსოში კერის აღმოჩენის ფაქტი. კერა მოთავსებული იყო ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში და წარმოადგენდა თიხა-ბათქაშის სპეციალურ ნაგებობას, რომლის მხოლოდ ნაშთიღა იყო შემორჩენილი. აქვე, ოთახის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ტახტისებრი შემაღლება, რომელიც უშუალოდ კერის უკანაა მოქცეული. «ტახტის» ზედაპირი მოფენილი იყო ბრტყელი ქვებითა და ერთი კრამიტით.

საყურადღებოა, რომ გარდა კერამიკული ნატეხებისა №5 სათავსოში აღმოჩნდა ვერცხლის 4 ბიზანტიური მონეტა. ფული გაბნეული იყო იატაკზე, ჩალეწილ ჭურჭლებს შორის სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და უდავოა, რომ ისინი აქ იმ მძვინვარე ხანძრის დროს მოხვდნენ, როდესაც სამზარეულოსთან ერთად განადგურდა მთელი ნაგებობა. მონეტებიდან სამი მოჭრილია ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტი II-ის (641-668 წწ.) სახელით, ერთი ეკუთვნის კონსტანტინე IV პორფიროგენეტს (668-685 წწ.).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი ოთახის სამხრეთ ნაწილში IV სათავსოში შესასვლელი კარის ზღურბლის წინ 1967 წ. აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების უნიკალური განძი, რომელიც შედგება ხოსრო II

სასანელის (590-628 წწ.) და ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ.) სახელით მოჭრილი ოთხი მონეტისაგან.[2]

ძირითად მონაპოვარს ქუშანაანთ გორის ნამოსახლარზე წარმოადგენდა თიხის ნაკეთობა, მათ შორის ყველაზე მრავლადაა საოჯახო-სამეურნეო ჭურჭლის ნიმუშები და სამშენებლო კერამიკა, რომელიც უპირატესად კრამიტის სახითაა წარმოდგენილი. მთელი ეს მასალა მონეტებთან ერთდ ქმნის ძეგლის დათარიღების საკმაოდ მყარ საფუძველს. ქუშანაანთ გორის ნაგებობები ერთბაშად დიდი ხანძრითაა განადგურებული VII ს-ის ბოლოსათვის. რა თქმა უნდა, ეს თარიღი რამდენადმე დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ №5 სათავსოში აღმოჩენილი მონეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხანძარი უნდა მომხდარიყო VII ს-ის 80-იან წლებში. ეს ხანა საერთოდ ხასიათდებოდა არაბობის მკვეთრი დამძიმებით და საერთოდ არაბთა ხალიფატის ახალი მძარცველური ღონისძიებებით.

მაგრამ აღნიშნული ხანისათვის იმის გამო, რომ საკუთრივ ბიზანტიასა და არაბეთს შორის ძალზე გართულებული ვითარება სუფევდა, რაიმე დიდი დამსჯელი ღონისძიებები ან ლაშქრობები კავკასიაში არ განხორციელებულა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ისტორიული წყაროები სდუმან.

შესაძლოა ერწოს ნამოსახლარის ნგრევა გამოეწვია ამ პერიოდში ხაზართა შემოსევებს, როდესაც მათ თბილისთან ერთად საშინლად ააოხრეს მთელი აღმოსავლეთ საქართველო.

ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ არქეოლოგიური მასალების საერთო მონაცემებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ქუშანაანთგორის ნამოსახლარის არსებობის ძირითადი ხანა VI-VII სს-ია. მაგრამ გარდა დამათარიღებელი მნიშვნელობისა, ქუშანაანთ გორის სამონეტო მონაპოვარს ერწოს ველის ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად ის ღირებულებაც აქვს, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მეშვეობით უაღრესად ფართო ხასიათის დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი.

პირველ რიგში საყურადღებოა, რომ გვიანანტიკური ხანის მსგავსად ადრე შუასაუკუნეთა ხანაშიც ერწოს მხარე კვლავ ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ძველი ტრადიცია და ძველი ფაქტორები, ეტყობა ადრე შუასაუკუნეთა ხანის პირველ საუკუნეებშიც ისევე ინტენსიურად მოქმედებდნენ, როგორც არმაზულ ხანაში. ჩვენს მიერ აღმოჩენილი მონეტების სიუხვე და მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ ივრის ხეობა და კერძოდ ეს კუთხე კვლავ იყო ჩაბმული საერთაშორისო ფულად ურთიერთობაში და რომ ერწო-ჟალეთზე გადიოდა ალბათ დიდი მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელთანაც ადგილობრივი მოსახლეობა მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული. რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, ამას არა მარტო ერწოს მონაპოვარი უჭერს მხარს, არამედ ნუმიზმატიკური მასალების მთელი სერია, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, ებმის ერწოს ველის მონაპოვარს და ქმნის ერთიან ჯაჭვს.

როგორც ცნობილია, ნუმიზმატიკური მასალა ყველაზე მეტი რაოდენობით «ილექება» ასეთი სავაჭრო მაგისტრალების გასწვრივ და ყველაზე უფრო სანდო საბუთია ასეთი ტრასების საძებნად.

ადრე შუასაუკუნეთა ხანის, კერძოდ V-VII სს-ის საკმაოდ მძლავრი ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. თრანშიც. მართალია, საკუთრივ ნამოსახლარის ნაშთები ჯერ-ჯერ-

[2] მონეტები განსაზღვრეს ნუმიზმატებმა: თ. აბრამიშვილმა და ირ. ჯალაღანიამ.

ობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა სოფლის ჩრდილოეთ განაპირას, ხეხილის ბაღში აღმოჩენილი სამაროვანი, სადაც უპირატესად შირიმის კარგად დამუშავებული ქვის სამარხებია დადასტურებული. სამაროვანზე გაითხარა მხოლოდ ერთი მცირე მონაკვეთი (ოთხი სამარხი, რომელთაგან ერთი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია). მათ მშენებლობაზე შირიმის კარგად დამუშავებული ბლოკების გამოყენების ფაქტი და ის, რომ სამარხეულ კომპლექსებში საკმაოდ მდიდრული სამკაულებია გაერთიანებული (მშვილდსაკინძი, საკინძები, მათ შორის ოქროს თვალბუდიანი თავებით და სხვ.) [21, გვ. 56, 57], იქნებ იმის მანიშნებელი იყოს, რომ თრანში ადრე შუასაუკუნეებისათვის სახლობდა სოციალურად დაწინაურებული საზოგადოება. მსგავსად გვიანი შუასაუკუნეებისა, როდესაც თრანის რკინისკალოს მოპირდაპირედ აღმართული ყოფილა ამ რეგიონის ერთ-ერთი წარჩინებულის თავად ჩოლოყაშვილის სახლი. აღსანიშნავია, რომ თრანის სამოსახლოც იმავე გზაზეა აღმოცენებული, რომელზედაც მაგრანეთის ქუშანაანთგორის დასახლება.

საკმაოდ მძლავრი სოფლური სამოსახლოებია საძებნი თანამედრვე სიონთგორსა და სიმონიანთხევში [16, გვ. 149-151]. ამ უკანასკნელში სოფლური სამოსახლო აღმოცენებული ჩანს გვიანანტიკურ ტრადიციებზე და სამაროვნის სიდიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო ერწოს ველზე. ამ ძველ ნასოფლარს გადაჰკვეთდა ერწოს ველზე გამავალი ერთ-ერთი გზა, რომელიც ივრისპირეთიდან სოფ. გორანის გავლით ახატანში და იქიდან მცხეთის «ქვეყანაში» მიდის.

ადრე შუასაუკუნეთა ხანის საკმაოდ მრავალი ნასოფლარია საძებნი ივრის ზემო წელზე მდებარე «თიანეთის ქვეყანაშიც». მაგ. სოფ. ჯიჯეთში უჯარმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1950 წ. გამოიკვლია ჯიჯეთის VI-VII სს-ით დათარიღებული ქვის სამარხი, რომელიც შემთხვევითაა მიკვლეული ჯიჯეთის სამაროვანზე. აგრეთვე საკმაოდ მრავლისმეტყველი მასალაა მოპოვებული იარაჯულების სამაროვანზეც [21, გვ. 61], რომელშიც გაერთიანებულია IV-VIII სს-ის კუთვნილი სამკაულები [21, გვ. 61]. ჩანს, აქაც ადრე შუასაუკუნეთა ნასოფლარი აღმოცენებული იყო გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიმონიანთხევის გვიანარმაზული ხანის სამაროვანზე აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომელიც შეიცავდა არმაზისხევის ნეკროპოლზე აღმოჩენილი ინვენტარის მსგავს მასალას და ოქროს მონეტას. ამათგან გადარჩა მხოლოდ ოქროს მონეტა, ხოლო დანარჩენი ინვენტარი მეცნიერებისათვის დაიკარგა [27, გვ. 99].

თუ მოკლედ შევაჯამებთ ივრის ხეობის შესახებ აქ მოტანილ მსჯელობას შევამჩნევთ, რომ მსგავსად ალაზნის აუზისა, მთისწინეთი და მთის რეგიონის ნასოფლარები თავისი მატერიალური კულტურით, წეს-ჩვეულებებით, დაკრძალვის რიტუალით და სულიერი მოთხოვნილებებით ფეხდაფეხ მისდევდა ბარს. ამიტომაცაა, რომ მთის ამ ზონისა და ბარის ნასოფლარებისა და სამაროვნების მატერიალური კულტურა ასეთ დიდ ურთიერთმსგავსებას ამჟღავნებს.

**არაგვის აუზის ადრე შუასაუკუნეთა ნასოფლარები.** არაგვის აუზში არქეოლოგიური კვლევა-ძიება გაიშალა XX ს-ის 70-იანი წლებიდან. მანამდე შედარებით უკეთ იყო შესწავლილი არაგვის ქვემო წელი მცხეთის ფარგლებში.

ადრე შუასაუკუნეებში არაგვის ხეობის ორივე სანაპირო საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს

არაგვის მარცხენა ნაპირზე, სადაც როგორც სამართლიანად ვარაუდობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, გადიოდა ჩრდილოეთის გზის უმთავრესი ტრასა (წიწამურ-ჭოპორტ, აბანოსხევ-ბულაჩაურ, ჩინთი-ჟინვანის ხაზზე) [28, გვ. 60]. ამიტომაცაა, რომ უაღრესად საყურადღებო რამდენიმე ნასოფლარი აღრიცხულია არაგვის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ჭოპორტსა და ჟინვანს შორის. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეცა იმის საშუალება, რომ ნასოფლარზე ჩაგვეტარებინა ფართო საველე კვლევა-ძიება. ხეობის ორივე სანაპიროზე მდებარე ნასოფლარებს შორის მოკლედ განვიხილავთ რამდენიმეს.

**სოფ. აბანოსხევი** მდებარეობს დუშეთის რ-ნის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჭოპორტ-ბულაჩაურისაკენ გამავალ ხიდის სიახლოვეს და უჭირავს არაგვის მარცხენა შენაკადის, ისტორიული ნოკორნისხევის ორივე ნაპირი. აღნიშნული სოფელი ახლად დასახლებულია, თუმც ის უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს. როგორც არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, იგი ენეოლოთური ხანიდან ყოფილა დასახლებული. გვიანანტიკური ხანის დასასრულისათვის იქ უნდა არსებულიყო საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრე, რისი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა ერთის მხრივ იმ ადგილებში გვიანი შუასაუკუნეების ძლიერი ციხის არსებობის ფაქტი [29, გვ. 174]. ჩვენი ვარაუდით ამ ციხის და საერთოდ, აწინდელი სოფ. აბანოსხევის ადგილას უნდა არსებულიყო «ქართლის ცხოვრებაში» და სხვა ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ხიდარი და ხიდარის ციხე. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით: «ხოლო კუალად არაგვის პირს არს ოხერხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხიდარი, სადაცა აღაშენნა ვარაზბაქარ ციხე და უკუჯდა ხევსა კახეთისასა და არაგვის პირს» [30, გვ. 353]. აღნიშნული ცნობა როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონს აღებული აქვს უფრო ძველი წყაროდან, სადაც ხიდარის ციხის მშენებლობა მიეწერება ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარს, რომელიც მეფობდა IV ს-ის მეორე ნახევარში [31, გვ. 86]. ხიდარი ქართლის ცხოვრებაში ერთხელ კიდევ მოიხსენიება მეფე არჩილის საქმიანობასთან დაკავშირებით: «გარდავიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხვარსა თანა ხიდარისსა» [31, გვ. 154]. ამ ტექსტიდან ჩანს, რომ VIII ს-ის შუა ხანებისათვის ხიდარი უკვე ნაციხვარი ყოფილა. ის, რომ ეგრისიდან ქართლში გადმოსული არჩილ მეფე თანამედროვე აბანოსხევის ადგილას მდებარე ხიდარს თუ ხიდარის ციხის ნანგრევებს ირჩევს თავის რეზიდენციად, მიუთითებს ამ პუნქტის დიდ მნიშვნელობაზე ადრე შუასაუკუნეთა ხანის საქართველოში.

ადრეულ შუასაუკუნეებში, კერძოდ V-VIII სს-ში თანამედროვე აბანოსხევის ადგილას მდებარე პუნქტი მართლაც კვლავ რომ ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას, ეს კარგად ჩანს 1977-1980 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც, როდესაც გამოვლინდა საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი სამაროვანი. იქ ჯერ-ჯერობით გათხრილია 40-მდე სამარხი, რომელთა დიდი ნაწილი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია, ხოლო ნაწილი ქვის სამარხებს წარმოადგენდა. სამაროვანი გამოირჩევა ინვენტარის უკიდურესი სიღარიბით.

გვიანდელი შუასაუკუნეების ციხის ტერიტორიაზე ჩატარებულმა თხრამ ადრეული ხანის ნაგებობათა ნაშთები ვერ გამოავლინა, რაც იმას გვავარაუდებინებს, რომ ვარაზ-ბაქარის დროინდელი ციხე შესაძლებელია ნაგები ყოფილიყო ალიზის კედლებით (მსგავსად ურბნისისა და მცხეთის გალავნისა) და ამიტომაც იგი უკვალოდ გაუჩინარდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ციხე-სიმაგრე, რომელიც იცავდა კახეთის

ხევში (ქვეყანაში) შესასვლელს, უნდა მდგარიყო აზანოსხევის ორივე მხარეს, რომ შესძლებოდა ისტორიული კახეთის მისადგომების დაცვა სამხრეთ-დასავლეთიდან. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სოფლის აღმოსავლეთით, აზანოს ხევის ნაპირას, შემორჩენილია ზურგიანი კოშკის მეტად ცუდად დაცული ფრაგმენტი.

**ქვემო ჩინთის ნამოსახლარი.** მდებარეობს თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალ გზაზე. აქ ადრე შუასაუკუნეთა კიდევ ერთი დიდი ნასოფლარი იქცევს ყურადღებას, თუმც ჯერ-ჯერობით არქეოლოგიური ძიება არ ჩატარებული. ანაკრეფი მასალის მიხედვით აღნიშნული ნამოსახლარი აღმოცენებული უნდა იყოს ელინისტურ ხანაში, რაზედაც მიუთითებს იქ აღმოჩენილი წითელი საღებავით მოხატული თიხის დიდრონი ჭურჭლის ნატეხები. იმავე ანაკრეფი მასალით ჩანს, რომ ეს ვრცელი ნამოსახლარი ადრეულ შუასაუკუნეებში კიდევ უფრო გაძლიერებულა. გამოვლენილია დიდრონ ნაგებობათა ნაშთები და სამაროვანი, სადაც ადრე შუასაუკუნეთა ასაკის ქვის სამარხებია ფიქსირებული. ანაკრეფ მასალაში ჭარბობს თიხის საოჯახო-სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლის ნატეხები. აღნიშნული ნამოსახლარი გარშემორტყმული ყოფილა ნაყოფიერი სავარგულებით, რაც იქ გამვალ სავაჭრო-სატრანზიტო გზასთან ერთად, ალბათ უმთავრეს პირობას წარმოადგენდა ქვემო ჩინთის ნამოსახლარის წარმოქმნა-განვითარებისათვის.

**ახალი ჟინვალის ნასოფლარი** ახალი ჟინვალის ტერიტორიაზეა, რომელსაც ეწოდება «ზანდუკლიანი ნავენახარი» და რომელიც მოქცეულია ქვემო არანისსა და ბიჩნიგაურებს შორის. იქ 1971-1973 წწ. გაითხარა რამდენიმე ნამოსახლარი და სამაროვანი, რომელთა შორისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადრე შუასაუკუნეების მასალებსაც.

ახალი ჟინვალის საკმაოდ დიდი დასახლება აღმოცენებული ჩანს ელინისტურ ხანაში [32, გვ. 187-189, ტაბ. LXXXIII], მაგრამ ამ პერიოდისათვის უფრო ინტენსიურად ჩანს ათვისებული ზანდუკლიანთ ნავენახარის შუაზე ჩამომავალი ჩუმათხევის მარცხენა ნაპირი. გვიანარმაზულ ხანაში კი სამოსახლოს უმთავრესი ნაწილი განვითარებული ჩანს ჩუმათხევის მარჯვენა ნაპირზე, იმ ადგილებში, სადაც ამჟამად ჟინვალმშენის მუშათა დასახლებაა აღმოცენებული. ამ ადგილებში ჩატარებულმა საკმაოდ ფართო კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ გვიანარმაზული ხანისათვის ახალი ჟინვალის ადგილას მდებარე პუნქტი წარმოადგენდა დიდი მნიშვნელობის სამასახლოს. ეგების არაგვის ხეობის გარკვეული მონაკვეთის პოლიტიკურ ცენტრს. იქ არმაზისხევის ტიპის მდიდრული სამარხების აღმოჩენამ და განსაკუთრებით კი სარეცელის ფეხთა ვერცხლის გარსაკრავების მიგნებამ №5 სამარხში, ჩვენ საშუალება მოგვზა აღნიშნულ დასახლებაზე გვემსჯელა, როგორც საკვანძო მნიშვნელობის პუნქტზე [33, გვ. 167, 170; 34, გვ. 181]. საყურადღებოა, რომ იგივე პუნქტი დიდი წარმატებით განაგრძობს არსებობას ადრეულ შუასაუკუნეებშიც. უნდა შეინიშნოს, რომ მსგავსად გვიანარმაზული ხანისა, ადრეულ შუასაუკუნეებშიც საცხოვრებელ ნაგებობათა კედლები შენდებოდა ალიზის აგურით. სამშენებლო ხელოვნებისა და ყოფის სრული მემკვიდრეობითობა ახალი ჟინვალის მასალების მიხედვით სრულიად ეჭვმიუტანელია. სამაგიეროდ საკმაოდ მკვეთრი ცვლილება შეინიშნება დაკრძალვის წესში, რაც ახალი იდეოლოგიის (ქრისტიანობის) გავრცელების შედეგია. მართლაც, ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, არსებითად შეცვალა დაკრძალვის მთელი რიტუალი, შეცვალა სამარხთა აღნაგობა, პოზა, დამხრობა და სამარხეული ინვენტარი. ჩვენ წერილობითი წყაროებითა და სხვა უტყუარი ნიშნებით რომ არ

ვიცოდეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და კულტურული უწყვეტობა იმ დროისათვის, შესაძლოა დაკრძალვის წესის მიხედვით და სამარხეული ინვენტარის ანალიზით მივსულიყავით საკმაოდ მცდარ დასკვნამდე. იმდენად დიდია განსხვავება წინაქრისტიანულსა და ადრექრისტიანულ რიტუალებს შორის.

ახალი ჟინვალის ორ სამაროვანზე გამოკვლეულ 100-მდე სამარხს შორის თითქმის ნახევარზე მეტი ადრექრისტიანული ხანისაა, რომელთა შორის შედარებით ადრეულებში შესანიშნავად ჩანს ის თანდათანობითი, მაგრამ მკვეთრი ცვლილებები, რაც არაგვის ხეობის საზოგადოებამ, დანარჩენ საქართველოსთან ერთად განიცადა ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგ, საკმაოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში. IV ს-ის მეორე ნახევარში დაკრძალვის ქრისტიანული წესი, როგორც ჩანს, დაბალ საარაგვოში (მეურნეობრივ ბარში) უკვე საყოველთაოდ ჩანს გავრცელებული.

სამარხების აღნაგობის, დაკრძალვის წესისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ახალი ჟინვალის სამაროვნის შემქმნელი საზოგადოება თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მცხეთის, კარსნისხევის, დიღმის, თბილისის, ლოჭინის, მატნისა და სხვა კუთხეთა მოსახლეობისგან. რაც შეეხება სამოსახლოს პოლიტიკურ მნიშვნელობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი ადრე შუასაუკუნეებში უნდა დარჩენილიყო საკმაოდ ძლიერ სამოსახლოდ ოღონდ, გარკვეული მიკროპო-ლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა მას უნდა დაეკარგა.

არაგვის ხეობის სიღრმეში ადრე შუასაუკუნეთა ხანის კიდევ არა ერთი პუნქტია მიგნებული. თუმც, ჩვენ მხოლოდ ერთ მათგანზე, ხერთვისის II სამაროვანსა და ნამოსახლარზე შევჩერდებით.

**ხერთვისის II სამაროვანი და ნამოსახლარი.** ნამოსახლარი აღმოცენებულია ორი არაგვის შეერთებიდან რამდენადმე დაშორებით, ადგილ ბალებიანის ფერდობზე, მდინარის დონიდან საკმაოდ მაღლა. გამორიცხული არაა, რომ ხერთვისის ამ მონაკვეთზე არსებულ სამოსახლოს ჰქონდა ერთზე მეტი სამაროვანი. კულტურულ ფენაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამაროვნის სინქრონული ნამოსახლარი, აღმოცენებული გვიანარმაზული ხანის ტრადიციებზე, იქვე უნდა არსებულიყო, თითქმის სამაროვნის გაგრძელებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ ფენაში ადრექრისტიანული ხანის თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხებთან ერთად გვხვდება გვიანარმაზული ხანის კერამიკული ფრაგმენტებიც. თვით სამარხები კი აშკარად ადრექრისტიანული ხანისაა და შეიცავს როგორც ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებს, ისე ტიპიურ ქვის სამარხებს, რომელთა გვერდები და თავ-ბოლო კედლები შედგენილია კირქვის ფილაქვებისაგან. სამარხთა სიხშირისა და რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ V-VII სს-ით დათა-რიღებული სამაოსახლო არ უნდა ყოფილიყო დიდი. ჩანს, აქ საქმე გვაქვს მთის-წინეთის და მთისათვის დამახასიათებელ მცირე სამოსახლოსთან, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონია გაწყვეტილი კავშირი გვიანარმაზული ხანის ტრადიციებთან. ხერთვისის II სამაროვნის მფლობელი მოსახლეობა რამდენადმე კონსერვატული ჩანს და იქ, მიუხედავად საკუთრივ ჟინვალის სიახლოვისა, სადაც ქალაქური ტიპის სამო-სახლო გვაქვს ნავარაუდევი, დაკრძალვის წარმართული რიტუალის გადმონაშთები უფრო ხანგრძლივად ყოფილა შემონახული. საყურადღებოა, რომ ხერთვისის II სამა-როვნის ერთ-ერთ ქვის სამარხში აღმოჩენილია ცხენის თავის ქალა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ამ სამოსახლოს მცხოვრებთაგან ცხენის კულტის თაყვანისცემაზე.

უაღრესად საინტერესო მასალებია გამოვლენილი ფშავის არაგვის ხეობაში _ კარ-თანას სამაროვანზე. სამაროვნის მასალები გამოქვეყნებული აქვს გ. რჩეულიშვილს [35], ამდენად მასზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნასოფლარების ძალზე ზოგადი მიმოხილვიდანაც ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჩვენში მათ კვლევა-ძიებას.

ამრიგად, შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ისტორიის შემუშავე-ბისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სოფლური სამოსახლოების ყოველმხრივ გამოკვლევას, რადგანაც შუასაუკუნეებში სოფელი მთელი სისავსით განასახიერებდა მაშინდელი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონეს. სოფელი ფეოდალური საზოგადოების წიაღში იყო არა მარტო მატერიალური დოვლათის უმთავრესი მწარმოებელი, არამედ მატერიალური და სულიერი კულტურის ფუძემაგარი კერაც, ხალხური აზრისა და შესაძლებლობების აკვანი.

ლიტერატურა

1. **ბუგიანაშვილი თ., დედაბრიშვილი შ., თუშაბრამიშვილი დ., მუსხელიშვილი დ., რამიშვილი რ., ფიცხელაური კ.** კახეთის 1965 წლის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართვე-ლოში 1965 წელს, თბ., 1966.

2. **ბუგიანაშვილი თ., დედაბრიშვილი შ., ფიცხელაური კ., რამიშვილი რ., ჩიკოიძე ც.** ზემო ალაზნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წელს ჩატარებული საველე მუშაობის ანგარიში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1966 წელს, თბ., 1967.

3. **Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш. М.** Работы Кахетской археологической экспедиции в зоне строительства Верхне-Алазанской оросительной системы (1965-1966 г.г.), ТКАЭ, т. I, Тб., 1969.

4. **Чубинашвили Г. Н.** Архитектура Кахетии, Тб., 1959.

5. **Рамишвили Р. М.** Исследование раннефеодального могильника «Иагсари», ТКАЭ, т. I, Тб., 1969.

6. **ფიცხელაური კ., დედაბრიშვილი შ., რამიშვილი რ., უზუნაშვილი მ.** კახეთის არქე-ოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971.

7. **მჭედლიშვილი ზ.** ივრისპირის «ქვაბების» არქეოლოგიური დაზვერვები, სსმაე, ტ. V, 1977.

8. **კერატაშვილი მ.** რამდენი მონასტერია გარეჯში, ძმ, №27-28, 1971.

9. **თოდუა თ.** გარეჯი, ძმ, №31-32, 1973.

10. **ლომთათიძე გ.** უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, «მეცნიერება და ტექნიკა», №11, 1950.

11. **ლომთათიძე გ.** უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1953.

12. **ლომთათიძე გ.** საქართველოს მოსახლების კულტურა და ყოფა I-XIII ს.ს. თბ., 1977.

13. **მუსხელიშვილი დ.** ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.

14. **რამიშვილი რ.** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, სიონი, თბ., 1970.

15. **რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ.** ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, მაცნე . . . ისტ. სერია №4, 1977.
16. **რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ.** ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, მაცნე . . . ისტ. სერია №1, 1978.
17. **რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ასათიანი ლ., კობაიძე ლ.** ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967-1968 წ.წ. მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისშედეგებისადმი,თბ., 1969.
18. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, ძმ, №27-28, 1971.
19. **ჯალაღანია ირ.** სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფ. მარგნეთიდან (ერწო), მაცნე... ისტ. სერია, №4, 1975.
20. **Абрамишвили Т. Я.** Клад монет из Магранети, Нумизматический сборник, Тб., 1977.
21. **ჯორბენაძე ბ.** ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982.
22. **ბოხოჩაძე ალ., კალანდაძე ალ.** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969.
23. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
24. **სინაურიძე მ.** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი, ტ. I, თბ., 1966.
25. **ჩიკოიძე ც.** ქალაქი თელავი, თბ., 1979.
26. **რამიშვილი რ.** ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1966 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967.
27. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, III, თბ., 1979.
28. **ბერძენიშვილი ნ.** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
29. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. и др.** Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ в 1977 г., Тб., 1980.
30. **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
31. **ქართლის ცხოვრება,** ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
32. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. и др.** Работы Жинвальской комплексной экспедиции, ПАИ в 1976 г., Тб., 1979.
33. **რამიშვილი რ.** ჟინვალის ექსპედიცია 1971 წელს, მაცნე ...ისტ. სერია, №4, 1971.
34. **რამიშვილი რ.** ჟინვალის ექსპედიცია 1972 წელს, მაცნე ...ისტ. სერია, №1, 1973.
35. **რჩეულიშვილი გ.** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1990.

Р. Рамишвили

**Селища раннего средневековья Восточной Грузии**
(по материалам Алазанского, Иорского и Арагвского ущелий)


резюме

Археологическими разветками и в некоторых случях раскопками на территории Восточной Грузии исследованы следующие сельские поселения раннего средневековья:

В Алазанском ущелье – Омало, Биркиани, Джоколо, Балтагори, Халацани, Сакобиано, Дуиси, Куцахта, Бакиловани, Марилиси, Яхсари, Матани, Кистаури, Ацкури, Икалто, Руиспири, Шилда, Гулгула, Ванта, Калаури, Чумлаки, Когото, Хорнабуджи и др.

В Иорском ущелье – Иврииспиреби, Ниноцминда, Хашми, в окрестностях Уджарма, Цхракара, Сакараулo, Кушанаантгора, Трани, Сионтгори, Джиджети, Симониантхеви и др.

В Арагвском ущелье – Абаносхеви, Квемо Чинти, Ахали Жинвали, Квемо Арaниси, Хертвиси, Картана и др.

По археологическим материалам и случайным находкам указанные поселения датируются IV-VIII вв. н. э.



ივანე წიკლაური


## პირიქით ხევსურეთის ნასოფლარები

(შატილ-მიღმახევის ხეობები)

ხევსურეთი კავკასიონის მთავარი ქედით გაყოფილია პირიქით და პირაქეთ ხევსურეთად. პირიქითი ხევსურეთი ტერიტორიალურად აღემატება პირაქეთს. მთლიანად ისტორიული ხევსურეთი 1050 კვ კმ-ს შეადგენს [3, გვ. 117]. პირიქითი ხევსურეთი სამი მდინარის აუზის სათავეებშია განლაგებული და შეიცავს დაახ. 565 კვ კმ-ს. პირაქეთი კი _ 428 კვ კმ-ს. პირიქით ხევსურეთი ადმინისტრაციულად დუშეთის რ-ნის შემადგენლობაშია. მოსახლეობის სიმჭიდროვით პირაქეთი ხევსურეთი ყოველთვის ჭარბობდა პირიქითს. 1873 წ. აღწერით მთლიანი ხევსურეთის მოსახლეობა 4872 სულს შეადგენდა. 1926 წ. პირაქეთა ხევსურეთში იყო 536 კომლი, 2202 სულით. პირიქითაში _ 407 კომლი, 1683 სულით. 1926 წ. მონაცემებით შატილის თემში, რომელშიც შედიოდა მუცო-არხოტ-ხახაბოს ანუ მიღმახევის მოსახლეობაც, იყო 232 კომლი, 1057 სულით. არხოტის თემში 179 კომლი, 626 სულით (დღეისათვის მთელ ხევსურეთში 132 კომლია, 600-მდე სულით). მოსახლეობის მკვეთრი შემცირების შედეგად ძველ ნასოფლარებს მრავლად დაემატა ახალი ნასოფლარებიც.

ეთნოლოგიური მასალის მიხედვით, არხოტის ხეობას, პირიქითს ან მთისიქითს არ უწოდებენ. მას არხოტის სახელით მოიხსენიებენ და იქაურებს არხოტიონს ან არხოტივნებს ეძახდნენ. სხვა სიტუაცია იყო შატილის თემში, რომელშიც XVIII ს-ის მიწურულისათვის ორი ხეობა იყო გაერთიანებული: ლებაისკარ-გურო-შატილის და მუცო-ხონე-არდოტ-ანდაქის და ხახაბოსი. უკანასკნელს მიღმახევი ეწოდებოდა. შატილის თემში სამი გვარი მოსახლეობდა: ჭინჭარაულები, გოგოჭურები და ჯალაბაურები. ჯალაბაურებს ანატორელთაც უწოდებდნენ, რადგან ანატორში მათ წინაპრებს უცხოვრიათ. ზოგიერთი გადმოცემით ანატორში სისაურები და წითელაურებიც მოსახლეობდნენ. მიღმახევში გვართა სიჭრელეა. მარტო ერთ სოფელში ხახაბოში ხუთი გვარის მოსახლეობაა: მამიაური, ხახიაური, ხოსიაური, მინდიკაური და ზვიადაური. პირაქეთი ხევსურეთის მოსახლეობა შემდეგი გვარებისაგან შედგებოდა: არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური, წიკლაური, ლიქოკელი, ქისტაური, ალუდაური, ქერაული, გიგაური, ბურდული, ფიცხელაური და ანთაური. საერთოდ, პირიქით ხევსურეთში თერთმეტი გვარი მოსახლეობდა. არხოტის თემში გვარების სიჭრელით გამოირჩეოდა სოფელი ახიელი, სადაც ხუთი ძირითადი გვარი მოსახლეობდა: ოჩიაური, ნაროზაული, ცისკარაული, ბალიაური, ჯაბუშანური. დემოგრაფიული სურათი და გვარ-სახელთა მონაცემები სოფლებისა და ნასოფლარების მიხედვით უთუოდ გასათვალისწინებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხშირად სხვადასხვა წვრილწვრილი გვარების გაერთიანება სხვადასხვა გვარ-თემთა შორის მიწაზე დავით იყო გამოწვეული [5, გვ. 10-12, 27-31].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში ეთნოლოგიურ-არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ზოგიერთ საკითხებში ახალი თვალ-საზრისები წარმოშვა [9]. ბოლო ათწლეულებში გამოვლინდა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები. გუდანის ჯვარში მივაკ-ვლიეთ XVIII ს-ის მიწურულის გიორგი XII-ის მიერ გაცემულ სიგელებს, რომელთა მეშვეობითაც დადასტურდა ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი ზეპირი გადმოცემები. ჩვენს მიერვე იქნა მიკვლეული გასული საუკუნის დასაწყისში ხევსურეთის თემთა შორის მიწა-წყლის გამო დავის შედეგად დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც სხვადასხვა თემ-სოფელთა და გვარების ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ ახალ თვალსაზრისთა წამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ხევსურეთმა საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებთან შედარებით ისეთი ისტორიული ფაქტები და თქმულება-ლეგენდები შემოინახა, რომელთა შესახებაც წერილობით წყაროებში ან ძალიან სქემატურადაა საუბარი ან საერთოდ არაფერია ნათქვამი. მაგ. ვახტანგ გორგასალზე არსებობდა რამდენიმე თქმულება-გადმოცემა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა დალაშქრა ოსეთი, რომ ყვარის ხეობაში (მდ. იორის სათავე) არსებული მგელათ ციხე ვახტანგის აშენებულია და ა. შ. 1951 წ. ხევსურეთის მოსახლეობის პირწმინდად აყრისა და ბარად ჩამოსახლების გამო ბევრი რამ დაიკარგა. აკად. ა. შანიძის მიერ გასული საუკუნის 10-იან წლებში შეკრებილი და წიგნად გამოცემული ხევსურული პოეზიის ნიმუშები თავისი ვარიანტებით, შენიშვნებითა და კომენტარებით, დღეისათვის მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს [7]. კრებულში წარმოდგენილი ტაქსტების ზოგიერთი ნიმუში 200-300 წ. წინ უნდა იყოს შექმნილი. ასეთებად მიგვაჩნია ზურაბ არაგვის ერისთავის ხევსურეთში ლაშქრობის ამსახველი ტექსტები და სხვ. ამ ტექსტებში საუბარია იმ

სოფლებზე და გვარებზე, რომლებიც დღეს ნასოფლარებია, ხოლო ის გვარები ხევსურეთში საერთოდ აღარ გვხვდება ან მათი ნაწილი ქართლ-კახეთშია მიმოფანტული. მაგ. გუდანში ვინმე კივკოზაურს (ზოგი ვარიანტით კინკოზაური, კავკაზაური), მარიამულებს უცხოვრიათ. ლიქოკის ხეობაში უცხოვრიათ: კვათიონებს, ლომოურებს, ბასილაურებს, როსტომაულებს. არხოტის მხარეში, ტანიის ხეობაში უცხოვრიათ: ბოსელაურს, გოგჩას. კოლოთანის ხეობაში, სადაც ბოლო ჟამს ქიბიშაურები ცხოვრობდნენ, ძველად ბოსელაურსა და ყაბიჯოურთა გვარი ჩანს. სოფ. ამღაში, სადაც ახლა ეს ტერიტორია ჯვარის მიერაა დაკავებული, ოშაყმათ ნამოსახლარებია. მთხრობელი ბეწინა წიკლაურის თქმით ვაშაყმაძეების გვარი აქედან იყო წარმომდგარი [9]. კვირიწმინდაში უცხოვრია ბალახაურის ძეს, იგივე ბალახაურს, აგრეთვე გიგაურებს. გურო-შატილის ხეობაში მდებარე სოფ. გიორგიწმინდაში უცხოვრია ვინმე ხოშაქისტურას, რომელიც ლეკი ყოფილა. ციხე-სოფელ მუცოს განაგებდა თორღვა ძაგანი. ანატორთან მდებარე მარცხენა მხარეს სისაურების ნასოფლარია (ზოგი ვარიანტით წითელაურებისა).

პირიქითა ხევსურეთის სოფლებისა და ნასოფლარების საერთო მახასიათებელი ის არის, რომ საცხოვრებელი ნაგებობები ციხე-ქვიტკირების სახითაა წარმოდგენილი [6, გვ. 35-37], რომელთა გადახურვა ბანური ან ორფერდიანი იყო. პირიქითა ხევსურეთის საბრძოლო კოშკების გადახურვა გარდა ჭიმღის ციხე-კოშკისა, არის პირამიდულ-საფეხურიანი ანუ სანაწვეთებიანი. ასეთი ციხე-კოშკები და ციხე-სახლები არა მარტო პირიქითა ხევსურეთისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ასეთივე კოშკები და ციხე-სახლებია მთელს ჩეჩნეთ-ინგუშეთში [6, გვ. 21-30]. თავდაცვითი ნაგებობის სიხშირე ისტორიულ ფხოვში, განპირობებული იყო მისი მონაპირე-სასაზღვრო მდებარეობით.

პირიქით ხევსურეთში ისეთი ნამოსახლარებიც გვხვდება, სადაც კედლების ნაშთი აღარაა შემორჩენილი. ეს განსაკუთრებით ხშირია იმ ნასოფლარებში, რომელთა მახლობლად ჩნდებოდა ახალი დასახლებანი. ქვა, როგორც საშენი მასალა, ხევსურეთში ძნელად შესაგროვებელი იყო და ახალი სახლის მშენებლობისას ძველ ნამოსახლართა კედლებს ანგრევდნენ. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ფშავ-ხევსურეთში და მთიულეთ-გუდამაყარში ძველი ნასოფლარ-ნაციხრები ჯვარ-ხატების ან ავი სულებისაგან _ დევებისგან დაკავებულად მიაჩნდათ და ამ ადგილებზე არა თუ ძველი კედლების ნგრევას, არამედ იქ ღამე გავლასაც ერიდებოდნენ. ზოგიერთი ძეგლის (ნამოსახლარი, ციხე-კოშკი) კედლები უზარმაზარი ლოდებითაა ნაშენი, მშრალად და ძალიან წააგავს სამცხე-ჯავახეთის ძეგლებს, რომლებსაც მეგალითებს ან ციკლოპურ ნაგებობებს უწოდებენ. პირიქით ხევსურეთში ამ სახის ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ სოფ. გიორწმინდის ციხეგორის სამხრეთით დავაკებულ ადგილზე საშუალო სიდიდის ქვებისაგან გაკეთებული «ქვანაყარები» გალავნისნაირი სახე რომ აქვთ და საკმაოდ დიდ ფართობს რომ მოიცავენ. ამ ქვანაყარებს გარკვეული რეგულარული წყობა აქვთ და ასეთი მოსაზრებისაკენ მივყავართ. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ქვანაყარებიდან ჩრდილოეთით 400-ოდე მ-ის დაცილებით, ციხეგორის სამხრეთის ციცაბო ფერდობზე სამანქანო გზის გაჭრისას ნიადაგის ჩამორეცხვის შედეგად გამოვლინდა ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხები, რომლებიც შეისწავლა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული არქეოლოგიური და ეთნოლოგიური დაზვერვების შედეგად მეგალითური კულტურის ძეგლები გამოვლინდა ქსნის ხეობის სათავეში (ელოიანთ ნასოფლარი); მთიულეთში (დიდველზე და ხადის

ხეობაში); გუდამაყარში, სოფ. გამსის ჩრდილო-დასავლეთით; ფშავში _ უკანა ფშავის ციხეგორზე; ყაზბეგის რ-ნში, თერგის მარცხენა შენაკად ჩხერეს ხევში. რაც შეეხება სოფ. გიორწმინდის ციხეგორს, ის მდებარეობს გურო-შატილის წყლის მარცხენა ნაპირზე და წარმოადგენს კლდოვან კონცხს, სადაც შემორჩენილია გაურკვეველ ნაგებობათა ნაშთი. ამ ადგილზე ახლა შარის ყარაულის სალოცავია. აღნიშნულ ნაგებობათა ბოლოზე გადიოდა ხეობაში შატილისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა, რომელიც ალბათ, იქ მჴდომთაგან კონტროლდებოდა.

შარის ყარაულს მოსახლეობა გზა-მგზავრობაში დახმარებას ეხვეწებოდა. გადმოცემით ეს სალოცავი უზრუნველყოფდა ამ მონაკვეთზე გამვლელის კეთილ მგზავრობას. ზოგიერთი მთხრობელი აღნიშნავს, რომ გიორწმინდაში ოდესღაც თუშები ყოფილან და იმათი სალოცავი ციხე გორის ჯვარი იყო. აღნიშნულ ადგილზე, ნანგრევებთან აშენებულია დროშათ საბრძანებელი _ მშრალად ნაგები ტიპიური კოშკი, რომელსაც კედელში ბრტყელი ფიქალის ქვა აქვს დატანებული. სიპი ქვა კედლიდან თაროსავითაა გამოწეული და სამი წრიული ნახვრეტი აქვს. ამ ნახვრეტებში დროშის ტარს ჩაარჭობდნენ ანუ დროშებს დააბრძანებდნენ. ჩვენ მსგავ-სი დროშათ საბრძანისი კოშკი ფშავ-ხევსურეთში არსად შეგვხვედრია. დროშებს კოშკზე მიაყუდებდნენ და მხოლოდ ერთ, «სამრისხველო» დროშას კოშკზე ზემოდან დააბრძანებდნენ. თუშთის სალოცავებში კი თითქმის ყველგან ასეთი დროშათ საბრძანებია გამართული. ციხე გორის ნანაგრევებში ვერ ხერხდება ნაგებობათა გეგმარების დადგენა. ციხე გორის მოპირდაპირე მხარეს ტყით დაფარულ ფერდობზე მდინარის მარჯვენა მხარეს ოთხკუთხა თავმორღვეული ციხე-კოშკია.

ტოპონიმ ციხეგორთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ფშავ-ხევსურეთში ყველგან, გარდა ბლოს ციხე გორისა, ხატ-სალოცავებია და ყველა ციხეგორი სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს, რომელიც აკონტროლებდა ხეობას და ადრე-ული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ თვალსაზრისით ბლოს ციხეგორიც ხეობის ჩამკეტია. უკანა ფშავის ციხეგორზე დღესაც შემორჩენილია უზარმაზარი ლოდებით შემოზღუდული პატარა ვაკე. ვაკეზე შეინიშნებოდა რაღაც ნაგებობათა ნაშთი. აკუშოს ციხეგორზე კოპალას სალოცავია, სადაც არსებობს ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების ტიპიური კომპლექსი. როშკის ციხეგორზე იახსარის ნიშია და ამაღლების დროს იქ დღეობა ღამისთევით იმართებოდა. აღნიშნული ციხეგორები არქეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელია. ვფიქრობთ, ყველა ციხეგორზე ადრეული ეპოქის ნამოსახლართა ნაკვალევი უნდა იყოს.

ძველი ნასოფლარია სოფელ ლებაისკარის ჩრდილოეთით დაახ. 400-500 მ-ის დაშო-რებით, მდინარის მარცხენა მხარეს, დავაკებულ ფერდობზე. ამ ნასოფლართან, XIX ს-ის ბოლო ოცეულში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ აშენებული ეკლესიის ნაშთია. ნასახლართა კედლები არც აქაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად იკვეთება ცალკეული ნასახლარები. თანამედროვე სოფელი ლებაისკარი და მიღმახევის სოფლები: ანდაქი და არჭილო არ გვხვდება დასტურლამალის მინაწერში, სადაც ფშავ-ხევსურეთის სადედოფლო სოფლებია ჩამოთვლილი. მართალია, დასტურლამალის მინაწერი 1789 წ. გაკეთებული, მაგრამ თვით აღწერა სადედოფლო სოფლების შესახებ შესრულებული 1780 წ. დავით რექტორის მიერ, რომელიც ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს ახლდა ფშავ-ხევსურეთში [8, გვ. 41], მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ სოფელთა ტერიტორიები მანამდე არ იყო დასახლებული. ამაზე მეტყველებს ძველი ნაფუძარები. არის ისეთი ძველი

ნასოფლარები, რომელთა შესახებ თვით მთხრობელთა ხსოვნასაც არაფერი შემორჩა და მიანიშნებენ მხოლოდ იქ არსებულ სალოცავებს (ადგილის დედა ღვთისმშობელი, ჭიშველის მთავარანგელოზი და ა. შ.). მაგ. შატილიდან ჩრდილოეთით მდებარე შატილელთა საზოსლო სოფელ ფიჭვნში, ციხე-კოშკის ნანგრევთან არსებობს ხატი, სადაც შატილელები ადგილის დედა ღვთისმშობლის სახელზე ლოცულობდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძველი კისტანის ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს კისტნისა და ჭალის სოფლის წყალგამყოფ ქედზე, სადაც ციხე-კოშკებია შემორჩენილი. ქედის ზემო ნაწილში მდებარე ორი კოშკი გალავნითაა დაკავშირებული [6, გვ. 111]. ამ კოშკებსა და გალავანს შორის მოქცეული ეზო და მასში გამართული სათავსოები გვაფიქრებინებს, რომ თავის დროზე ის წარმოადგენდა საცხოვრებელ კომპლექსს. კოშკები სამსართულიანია. მხოლოდ აბულერთაურთ ანსამბლში მდგომი კოშკია ხუთსართულიანი, რომელიც პირამიდულ-საფეხუროვანი გადახურვით მთავრდება. ყველა კოშკის კედელში სათოფურებია. ციხე-კოშკების ზოგიერთ კედელზე შეინიშნება ხაზოვანი ფიგურები, გაურკვეველი ორნამენტტები. ასეთი ქვები კედლების წყობაში თვალსაჩინო ადგილზეა ჩაშენებული და მეორადი გამოყენების უნდა იყოს. ქედის ჩრდილოეთ მხარეს ვაკე-ფერდობზე ნასოფლარია და მის შესახებ ქრონოლოგიური თვალსაზრისით რაიმეს თქმა ძნელია.

ნასოფლარი ჭეჭყეთი მდებარეობს წუზროვანის წყლის მარჯვენა მხარეს, სადაც გამოდის პატარა ხეობა. ნასოფლარი შედგება 2-3 სართულიანი ოთხკუთხა საცხოვრებელთა ნაშთებისაგან. ასეთი ტიპის საცხოვრებლებს ქვიტკირს უწოდებენ და მსგავსი კოშკური საცხოვრებლები პირაქეთშიც იყო გავრცელებული (სოფ. ბლო, ძველი ბისო) [6, გვ. 137].

ჭეჭყეთიდან წუზროვნის წყალი ეშვება მკვეთრი დაქანების ხეობაში, რომლის ბოლოშიც მარცხენა მხრიდან გუროს წყალი ერთვის. გუროს ხეობა იყო ძირითადი საკომუნიკაციო არხოტის, შატილის და ბუდე ხევსურეთის თემებს შორის. ტანიისა და კალოთანის ხეობებიდან ცროლის გავლით გზა ანატორის გასასვლელით გუროს ხეობის სათავეში ეშვებოდა. არხოტის თემთან გუროს უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე პირაქეთი ხეობის სხვა თემ-სოფლებთან. ნასოფლარი გურო ერთობ ხელსაყრელ, სათიბ-საძოვრებით მდიდარ ხეობაში მდებარეობს. საინტერესოა ისიც, რომ ნამოსახლარები აქ პირიქითი ხევსურეთის სხვა სოფლების მსგავსად ციხე-კოშკებს კი არ წარმოადგენს, არამედ პირაქათი ხევსურეთის მსგავსად ჭერხოიანი და კალოიანი სახლები ჰქონდათ. სოფელ გუროს აღმოსავლეთის მისადგომში, საიდანაც გზა შედის ნასოფლარში, დგას ტიპიური პირამიდულ-სიპებიანი გადახურვის მქონე ხუთსართულიანი კოშკი, რომლის გარშემოც რამდენიმე სათავსოს ნაშთია და ზათაკათ ციხის სახელით იხსენიებენ (ზათაკანი გოგოჭურების ერთ-ერთი მამიშვილობაა). გუროს იმ ნასოფლართან, საიდანაც 1952 წ. იძულებით აყარეს მოსახლეობა და სამგორში ჩაასახლეს, მდებარეობს უფრო ადრეული ნამოსახლარები, იქ სადაც დღეს სანების ჯვარია. სანების ჯვარი იგივე სამების ჯვარია და მას საღმთოსაც უწოდებენ. სანების თავდაპირველი საარსო იყო მაღალი მთა _ გუროს თავი. მთხრობელთა გადმოცემით იქ რაღაც ნაგებობის ნანგრევებია (ეკლესია?). ზამთარში მოსახლეობა სალოცავად ვერ ადიოდა და შემდგომ სალოცავი სოფლის ახლოს გადმოუტანიათ. გუროდან არხოტისაკენ მიმავალი გზა ცროლის მთის სამხრეთი ფერდობების გავლით, ტანიისა და კალოთანის გადასასვლელებით,

არხოტის ხეობაში ჩადის. ხოლო მეორე მხრივ ბუდე ხევსურეთში – გორშეღმის თემში გადადის.

ქაჩუს ციხე-სიმაგრე მდებარეობს შატილის სამხრეთ-აღმოსავლეთით 600-700 მ-ის დაშორებით, მდ. არაგვის (არღუნის) მარჯვენა მხარეს კლდოვან კონცხზე [6, გვ. 86]. ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან კომპლექსი მიუდგომელია. მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება ციხესთან მისვლა. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემის მიხედვით, ვიდრე შატილი აშენდებოდა, ჯერ ქაჩუს ციხე აუშენებიათ. ხუთი კოშკიდან მხოლოდ აღმოსავლეთიდან მიშენებული კოშკის კედელშია ჩატანებული სათოფურები. კოშკთა სართულიანობის შესახებ ძნელია რაიმეს თქმა, რადგან კედლები ძლიერაა დაზიანებული. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ კოშკები 3-4 სართულიანი იყო. ვფიქრობთ, ორი კოშკის გამოკლებით ისინი 4-5 სართულიანი უნდა ყოფილიყო. ქაჩუს ციხე და მუცოს ის ციხე-კოშკი, რომელიც მუცოს კომპლექსში თორღვას ციხის სახელითაა ცნობილი, შესაძლოა ყველაზე უფრო ადრეულ ხანას (IX-X სს-ს) განეკუთვნებოდეს არა მარტო არღუნის, არამედ ასის ხეობაშიც. რაც შეეხება სახელწოდება ქაჩუს, ეს ტოპონიმი გვხვდება თუშეთშიც და პირაქეთ ხევსურეთშიც (ქაჩუს უღელტეხილი თუშეთში გირევიდან ჩეჩნეთში გადასასვლელი; ქაჩის გორი სოფ. მოწმაოსთან; ქაჩუს კალო სოფ. როშკის ძველი ნასოფლარი). ხევსურეთში თიხა-ფიქალებს «ქაჩის ქვას», «ქაჩს» ეძახიან. აღნიშნულ ადგილებში თიხა-ფიქალის ქანებია. ასეთი სახის ქვის კარიერებზე ხდებოდა ბრტყელი ქვების ახეთქვა («აყრა»). პირიქით ხევსურეთში ასეთ ქვებს სიპებს უწოდებენ და მათ სახლების გადასახურავად იყენებდნენ. ასეთი ქვები გამოიყენებოდა აგრეთვე კოშკების სართულშუა გადახურვაში. სიპები კრამიტებივით იყო დალაგებული ცალფერდა სახურავზე და მათ სიპერდიან სახლებს უწოდებდნენ. ასეთი სახლები დღეისათვის მხოლოდ ხონის ჭალაში შემორჩა.

შატილის ერთ-ერთი კოშკის (თიაყათ კოშკის) სამხრეთი კედლის სარკმელის თაღად ჩასმულია დაუმუშავებელი შირიმის ქვა, რომელსაც ფასადზე, გამოსახული აქვს რელიეფური ჯვარი. შატილის ის უბანი, სადაც ეს კოშკი დგას, როგორც არქიტექტორები ფიქრობენ, სხვა უბნებთან შედარებით უფრო გვიანდელია. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ადგილ პირმზითში, იქ სადაც ღვთისმშობლის საზარე და დროშათ საბრძანისი კოშკებია, ძველად ეკლესია მდგარა და აღნიშნული არქიტექტურული დეტალი იქიდან უნდა იყოს მოტანილი. ამჟამად ამ ეკლესიის რაიმე ნაშთის დადგენა გათხრის გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე სასაფლაოს სამხრეთით, ტყით დაფარულ ფერდობზე ავკრიფეთ ხელსაფქვავები და კერამიკული მასალა, რომელიც იქ არსებულ ძველ ნამოსახლარებზე მიგვითითებს. მთის ფერდობზე, ახალი შატილისაკენ მიმავალი სამანქანე გზის გაჭრისას გამოვლინდა ქვების წყობა და სამარხის რამდენიმე ნაშთი. მთელ ფერდობზე შემორჩენილია გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობათა კედლების ნაშთები, რომლებშიც მრავლადაა ჩატანებული ნავისებური ხელსაფქვავის ქვები. ვვარაუდობთ, რომ აქაც ბრინჯაოს ხანის ძველი ნამოსახლარები უნდა იყოს.

სისვაურთ (სისაურთ) ნასოფლარი მდებარეობს ანატორთან, მდინარის მარცხენა მხარეს, იქ, სადაც ოდითგანვე მდინარეზე ხიდი იყო გადებული [11, გვ. 75, 76]. კოშკური ტიპის ნამოსახლარების კედლები მშრალადაა ნაგები საშუალო სიდიდის ქვებით. ხელსაფქვავის ნიმუშები ამ ნასახლართანაც დიდი რაოდენობით გვხვდება. გადმოცემით აქ სისაურებს უცხოვრიათ. ზოგი წითელაურების გვარსაც ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ წითელაურთა ნასოფლარი მდებარეობს პირაქეთ ხევსურეთში, სოფ. ბლოს ხეობის სათავეში, მდინარის მარჯვენა მხარეს. აღნიშნულ ნასოფლარებში ნადარბაზალსაც მიანიშნებენ. ნადარბაზალში კი ხშირად სათანადო შესწავლის შემდეგ ნაეკლესიარი გვხვდება. მაგ. არხოტის თემში, კალოთანის ხეობაში, ძველ ნასოფლარში, სადაც კარგად იკვეთება ნაეკლესიარი; ასეთივე ნადირბაზალია არხოტის თემის ნასოფლარ კვირიწმინდასთან ადგილ წყალთშუკში, სოფელ ჭიმღისა და ცირცლოვანის წყალშესაყართან. ეს ნადარბაზალი თითქმის მიწის ზედაპირთანაა გასწორებული. ასეთივე ნადარბაზევს (ნადარბაზალს) ვხვდებით სნოს ხეობაში, იქ, სადაც ჯუთის ხეობისკენ მიმავალი გზა ვაკე ადგილიდან აღმართს შეუყვება. გადმოცემის მიხედვით იქაც ძველად სალოცავი ყოფილა. ნაგებობის ნაშთი იქაც მიწის პირამდეა გასწორებული.

ანატორის ნასოფლარი მდებარეობს მიღმა ხევის წყლისა და გურო-შატილის არაგვების შესაყართან (ხევსურეთში ყველა მდინარეს არაგვს უწოდებენ ან იმ სოფლის «წყალს», რომელიც ამა თუ იმ ხეობაშია. მაგ. შატილის წყალი, გუროს წყალი, ქმოსტის წყალი, ჭიმღის წყალი და ა. შ.). სამანქანე გზამ, რომელიც შატილიდან არდოტამდე გაჭრეს, ანატორის კონცხის რელიეფი დაარღვია. ანატორის ცნობილი აკლდამები მოსწყვიტა ნასოფლარს, რომელიც მდებარეობდა ტყით დაფარულ ფერდობზე, სადაც გამოვლინდა ადრე უცნობი 26 აკლდამა მძლავრი ნასოფლარით. ნასოფლარის კედლები ნაშენია საშუალო და წვრილი ქვებით მშრალად. ნასოფლარის დასაწყისში, შუაში და სათავეში ოთხკუთხა კოშკების ნაშთებია შემორჩენილი. ნასოფლარის სულ ზედა ნაწილში, საიდანაც ფრიალო კლდე იწყება, გამოვლინდა ეკლესია, რომელიც შიგნიდან გაიწმინდა და გაითხარა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. რ. რამიშვილი) მიერ. არქეოლოგიური მასალა XII-XIII სს-ს განეკუთვნება. ეკლესია IV-V სს-ით დათარიღდა. ეკლესიიდან ზემოთ შეიმჩნევა კლდეზე ნაკვეთი საფეხურები, რომლებიც ადის კლდოვანი გორაკის თავზე, სადაც პატარა ვაკე ადგილია. მასზე გაურკვეველი ნაგებობების ნაშთია და ამ გორას მოსახლეობა მარიემწმიდის გორას უწოდებს. ეს ტერიტორია მოსახლეობისაგან მკაცრად იყო ტაბუირებული. იქ შესვლა არ შეიძლებოდა, რადგან ის ანატორის ჯვრის მთავარანგელოზის კვრივს წარმოადგენდა (კვრივი – ფეხდაუდგმელი ადგილი, სადაც ესა თუ ის სალოცავი თავის საყმოსთან დაახლოებისათვის მიწაზე ეშვებოდა და საიდანაც კვლავ ზეცაში ადიოდა. ერთმანეთის «მოდე-მოძმე» ხთისშვილები სწორედ ამა თუ იმ კვრივში იკრიბებიან საყმოს დახმარებისთვის).

მიცუ (იგივე მუცო) საყოველთაოდ ცნობილი ციხე-სოფელია, რომელიც სამ ტერასადაა დაყოფილი. სამი მხრიდან მიუდგომელია. მისასვლელი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან, სადაც საკმაოდ დამრეც კლდოვან ფერდობზე გაჭრილია ვიწრო ბილიკი, რომელიც ადგილ-ადგილ კედლებით ყოფილა გამაგრებული. ამავე მხრიდან ციხე-სოფელი ორპირი გალავნითაა შემოზღუდული, რაც მას პრაქტიკულად მიუდგომელს ხდიდა. დასავლეთი მხრიდან მას პატარა ხევი ჩამოუდის, საიდანაც ციხე-სოფელში თიხის მილებით წყალი ისეთ სიმაღლიდან იყო შეყვანილი, რომ იგი ციტადელამდე აღწევდა. ანსამბლში ყურადღებას იქცევს სამსართულიანი ციხე-სახლი, რომელიც მეორე ტერასის დასაწყისშია აშენებული. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სათოფურებიანი ციხე-კოშკების მშენებლობა უნდა დაწყებულიყო XVI ს-დან [6, გვ. 122-128]. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ XVI ს-მდე ძველი ნასოფლარების ტერიტორიები ათვისებული არ იყო.

საინტერესო გადმოცემასთან გვაქვს საქმე იმის შესახებ, რომ ძველად სამეფო კართან დაპირისპირებულ და ცნობილ გვარებს ოდესღაც ხევსურეთისათვის შემოუფარებიათ თავი. ამ გვართა ნამოსახლარები ძირითადად პირიქით ხევსურეთში, მათ შორის არხოტშიც გვხვდება. გადმოცემით მუცოს ციხე-სოფლები ძაგანისძეთა კუთვნილი ყოფილა და დავით ულუსთან ბრძოლის დროს ძაგანისძეთა შთამომავალი თორღული აქ გადმოხვეწილა [2, გვ. 95, 96]. საინტერესოა, რომ გადმოცემით სამეფო კარისაგან სხვადასხვა დროს დევნილ მძლავრ ფეოდალურ საგვარეულოთა ცხოვრებას ადასტურებენ ძველი ანდრეზ-სიმღერები [2, გვ. 84-112]. მაგ. არხოტში ორბელიანებს უცხოვრიათ იქ, სადაც ახლა ორბეულთას ეძახიან. ბარა-თაულებს ზოგი ვარიანტით ხახმატში, ზოგი გადმოცემით _ გუროში უცხოვრიათ. აბულეთისძეები მოსახლეობდნენ სოფ. კისტანში, სადაც დღესაც არსებობს აბულეთაურთა ციხე-კოშკი და სხვა სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც გალავნითაა შემოზღუდული. აბულეთაურთა «მამიშვილობა» დღესაც არსებობს, რომლებიც ჭინჭარაულთა გვარზე იწერებიან.

მუცოდან სამხრეთ-დასავლეთით დაახ. 1 კმ-ის დაშორებით არდოტის წყალს მოერთვის ხონის ჭალის წყალი, საიდანაც იწყება ხონის წყლის ხეობა, რომელიც სათავეში იყოფა სამ ხეობად. ამ ხეობებზე გამავალი გზა ორად განშტოვდება: ერთი გზა ხონის ჭალის, ხონისა და თებულოს გადასასვლელით ჩადის მაისტის თემის საზოსლოებში: ჯიალებსა და ჯიხუეში. თებულოს გადასასვლელთან დაახ. 3200 მ სიმაღლეზე ადგილ არჭეხში მთავარანგელოზის სამონასტრო კომპლექსია. ხონის ხეობაში, გორაკზე, იქ, სადაც ხონის წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უხვევს, მდინარის მარჯვენა მხარეს მთავარანგელოზის სალოცავია, რომელიც «არჭეხით გამოსული, ყინვარზე მაზურთვალის» სახელით იხსენიება. ეს სალოცავი ძველ ნასოფ-ლარზეა დაფუძნებული. მისგან დასავლეთით 300-400 მ-ის დაცილებით მდებარეობს თანამედროვე სოფელი ხონე, რომლის გარშემო სახნავი მიწებია. ხოლო სულ ზემოთ, რასაც ხონის ხორხს ეძახიან, საძოვრები და სათიბებია. ხონის ჭალის მოსახლეობა ხონეში ზამთარში ადიოდა საქონლის გამოსაზამთრებლად.

მეორე ხეობა _ ჰუროს ხეობა, რომელიც ციცაბო და მაღალი მთებით ბოლოვდება, გაუვალია. ამ ხეობაში, ქვემოთ შემოზღუდული ეხები და რამდენიმე პატარა ხოლებია, რომლებიც საგანგებოდ იყო გამოყოფილი მშობიარე ქალებისათვის [10, გვ. 29, 30]. ხონე-ხონის ჭალაში ქალი სხვაგან ვერ იმშობიარებდა, მიუხედავად იმისა ზამთარი იყო თუ ზაფხული (ასეთ ადგილებს «საჩეხთ» ეძახდნენ პირიქითშიც და პირაქეთშიც).

მესამე ხეობა ხაროჰკის ხეობაა, რომელზეც აწუნთის გადასასვლელით გზა ჩადის თუშეთის როგორც პირიქითა, ისე პირაქეთა ალაზნების სათავეებში. ამ ხეობათა სათავეებზე გავლით, სადაც თუშების საზაფხულო საზოსლოები იყო, საყორნის უღელტეხილით გზა უკავშირდება ალაზნის სათავეებს. აქედან გზა წიფლოვანის ხეობით ჩადის პანკისის ხეობაში. ჩვენ სწორედ ეს გზა გვესახება მაისტის, ლამუროსა და წყალსიქითის თემების პანკისში ჩამოსახლების გზად. ხაროჰკის ხეობა უერთდება ხიდოტანის შედარებით ვაკე-მთიან მასივს, სადაც ზემოთ ნახსენები არდოტიდან ბახაოზე გამავალი გზა ხაროჰკის გზას უერთდება. სწორედ ამ გზათა შესაყართან არის ძველი ნასოფლარი, რომელიც ხიდოტანის ნასოფლარის სახელითაა ცნობილი. აქედან კარგად მოჩანს კახეთის იორ-ალაზნის, თუშეთის ალაზნებისა და არღუნის სათავეების გადასასვლელები.

სოფ. არდოტი თანამედროვე სოფელია, რომლის ქვემო უბანი დაფუძნებულია ძველ ნასოფლარზე. იგი მდებარეობს ანდაქის წყლის მარცხენა მხარეს, იქ სადაც ბისოს ხევი უერთდება არაგვს. არდოტი გარდა სამხრეთის მხრისა, ძნელი მისადგომია. შემორჩენილია ოთხკუთხა ციხე-სახლების ნანგრევები. სოფლის სამხრეთ ნაწილში დგას მცირე მოცულობის ეკლესია ორფერდა სანაწვეთეებიანი გადახურვით. სამხრეთ მხარეზევე, საიდანაც სოფელში შესასვლელია, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე კლდოვან ფერდობზე აღმართული იყო ხუთსართულიანი კოშკი სანაწვეთეებიანი გადახურვით. ანალოგიური - არხოტის ხეობაში კვირეწმიდის კოშკის, ახიელის ხარათ ციხის, ლებაისკარისა და აბულეთურთ კოშკებისა. ანალოგიური კოშკები მრავლად გვხვდება ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ოსეთის ტერიტორიაზეც [6, გვ. 10-24].

არდოტის ჩრდილოეთით პატარა ხეობის სათავეში, რომელსაც ბისოს ეძახიან, მდებარეობს ძველი ნასოფლარი, სადაც ახლა ხთიშობლის სალოცავია. იქ არის ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ აშენებული გუმბათიანი ეკლესია. ამ ეკლესიაში დღეს არავინ ლოცულობს. ნამოსახლარები ხოლების სახითაა შემორჩენილი. ბისოში ინახება «ხთიშობელას» ხატი _ სპილენძით შემოჭედილი ხეზე ნაკვეთი გამოსახულება. ხატი შემკულია ჭრელი თავსაფრით, ყელზე ჩამოკიდებული სხვადასხვანაირი მძივებით _ «ყელსადებებით». მისი დღეობა უძრავია და 7 ივნისს იმართება. დღესასწაულის დღეს სოფლის თავზე დავაკებულ ადგილზე ღთისშობელას გამოაბრძანებდნენ დროშასთან ერთად და ქალები მას სხვადასხვა სამკაულებს წირავდნენ. დღესასწაულზე მოდიოდა უკლებლივ ყველა ოჯახის წევრი, მოჰყავდათ ბავშვები. ეს დღეობა იყო მიღმახევის ყველა სოფლის და გვარის დიდი დღესასწაული, რომელიც დატიობის სახელითაა ცნობილი და რომლის მსგავსიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არცერთ კუთხეში არ გვხვდება.

ბახაო _ ესაა არდოტელთა საზოსლო სოფელი (როგორც შატილისათვის აცეხი და ფიჭავნი). ის ამავე დროს ძველ ნასოფლარს წარმოადგენდა და ხოლების სახითაა შემორჩენილი. ნაგებობათა კედლების შესახებ აქ ვერაფერს ვიტყვით.

ბახაოდან სამხრეთით ოთხიოდე კმ დაშორებით მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფელი ანდაქი. დაახ. ამდენივე მანძილის დაშორებით სამხრეთისაკენ არის სოფელი არჭილო. ორივე ეს სოფელი მოგვიანებითაა დასახლებული. აქ ძირითადად არდოტიდან მოსული მოსახლეობაა, რადგან ისინი იქ სამეურნეო სავარგულების ნაკლებობას განიცდიდნენ. მოგვიანებით აქ ხონის ჭალიდანაც ჩასახლდნენ. ანდაქი და არჭილო არაა ნახსენები სადედოფლო სოფელთა სიაში [3, გვ. 41]. დედოფალს სოფლები მეფისგან საჩუქრად გადაეცემოდა, როგორც მისი პირადი საშემოსავლო ერთეული. ამით სოფლები სახასო საკუთრებად იქცეოდა. ხევსურეთის სადედოფლო სოფლები ძირითადად იხდიდნენ ცხვარ-საქონელს, რასაც საზალახე ერქვა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი პირიქითი ხევსურეთის ტერიტორია შატილ-არდოტის თემები, დედოფლის განკარგულებაში იყო და ეს გადასახადი ფეოდალური სახელმწიფოს ბეგარა-გადასახადებთან შედარებით ერთობ მიზერულ ხასიათს ატარებდა ანუ თავისუფალ მთიელებს შეახსენებდა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ გარკვეული სამსახური გაეწიათ სამეფო კარის წინაშე. ამ ხასიათის ვალდებულება ამსუბუქებდა და სოციალურ დაქვემდებარებას თითქმის შეუმჩნეველს ხდიდა ისეთ სტრატეგიულ მხარეში, როგორიც პირიქითი ხევსურეთია.

ანდაქ-არჭილოს ხეობები და სათავეები საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს და პირაქეთი ხევსურეთის ძლიერი თემი საგანგებო ძალასა და

მონდომებას არ აკლებდა ამ საძოვრების დაუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ ეს სხვა თემაა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ აღნიშნული ტერიტორიის გამოწვლილვით გამოკვლევა. ვფიქრობთ, რომ მესაქონლეობისათვის ერთობ ხელსაყრელ ტერიტორიაზე შეიძლება გამოვლინდეს ადრეული ეპოქების ნასახლარები, ნასადგომარები.

ამჯერად კი ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ანგელოზათ ხევში, ვიდრე მისი წყალი ანდაქის წყალს შეუერთდება, ადგილ ანგელოზაში არის გალავნით შემოზღუდული ნაგებობათა ნანგრევები. ერთ-ერთი ნაგებობა ქვითკირის დუღაბითაა ნაშენი და თითქოს ზურგიანი კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარშემო შეიმჩნევა ნამოსახლარები, რომლებიც მიწითაა გადაფარული. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პუნქტიდან მოჩანს ჭანჭახისა და ანდაქის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ხოლიგის გადასასვლელი. ამ გადასასვლელთან არის ხოლიგის წვერის ანგელოზი. მთხრობელთაგან უკვე არავინ იცის თუ როდის და ვინ ლოცულობდა მასზე. აღნიშნავენ, რომ იქ რაღაც შენობათა ნანგრევებია. არის ნადარბაზალიც. სხვა შემთხვევებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადაც მთხრობელები ნადარბაზალს მიუთითებენ, თითქმის ყველგან ძველი ეკლესიის ნაშთებია გამოვლენილი. საყურადღებოა, რომ კისტან-ლებაისკარით გზა ხოლიგის გადასასვლელით გადადის ხახაბოში, საიდანაც შეიძლება როგორც უკანა ფშავში, ისე კახეთში ჩასვლა. ხშირად ეკლესია-მონასტერსა თუ ციხე-კოშკს გარდა სალოცავისა და თავდაცვისა, სასიგნალო ფუნქციაც გააჩნდათ აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მთისწინეთში.

ხახაბოს ნასოფლარი მდებარეობს ჭანჭახის წყლის შუა წელზე, კლდოვან ციცაბო გორაზე. ნასოფლარზე შემორჩენილია 3-4 სართულიანი ციხე-სახლები. ხახაბოს კოშკებიდან მოსახლეობამ მოგვიანებით გაშლილ ადგილზე გადაინაცვლა. გაჩნდა ახალი სოფელი ახლა «ჭალას» რომ უწოდებენ. ხახაბოს კომპლექსიდან ყურადღებას იქცევს ძველსა და ახალ დასახლებას შორის ფერდობზე აშენებული სიპერდიანი დარბაზი, რომელიც გიორგი წყაროთგორულის სახელითაა ცნობილი. დარბაზიდან არის ვიწრო შესასვლელი, სადაც წყლის აუზია გამოკვეთილი. მთხრობლები აღნიშნავენ, რომ იქ ადრე წყარო არ ყოფილა და იგი მას მერე წარმოდინდა, როცა აქ წმინდა გიორგი დაარსდა. გადმოცემით ის კახეთიდან, კერძოდ, მატნიდან მოსულა. წყლის აუზში დონე არც იკლებდა და არც მატულობდა. სამლოცველო დარბაზს ეტყობა ძველი ნაგებობის ახლებურად გადაკეთების კვალი.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვეცადეთ ესა თუ ის ნასოფლარი ანდა სოფელი, რომელიც ძველ ნასოფლარზე ან მოგვიანო ხანაში მის ახლოსაა წარმოქმნილი, დაგვეკავშირებინა საკომუნიკაციო სისტემასთან, რადგანაც ამ ნასოფლართა არქიტექტურული თავისებურებანი პირაქეთ ხევსურეთთან შედარებით ძირეულად განსხვავდება. პირიქითა ხევსურეთის ნასოფლარები და ნამოსახლარები ძირითადად კოშკური ნაგებობებია _ ციხე-სახლებია, რაც ძირითადად განპირობებული იყო სასაზღვრო-თვდაცვითი ფუნქციით.

მდინარე იორისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვების სათავეებიდან არღუნის ხეობაზე გავლით გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც კახეთს აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამჯერად სტატიაში ვერ მოხერხდა წარმოდგენა საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონში ისტორიულად მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებისა, როგორც ტომთაშორისი, ისე შიდა ტომური ურთიერთობების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, თემთა და გვართა

მონაცვლეობის შესახებ, რის შედეგადაც ჩნდებოდა ახალი დასახლებები ან წარმოიქმნებოდა ნასოფლარები, სადაც არსდებოდა ახლად მოსულთა თემისა თუ სოფლის სალოცავები.

### ლიტერატურა


1. **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
2. **გოგოჭური დ.** ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977.
3. **მაკალათია ს.** ხევსურეთი, ტფ., 1935.
4. **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
5. **ოჩიაური თ.** მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ.,1967.
6. **ქალდანი ა.** ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კოშკური კულტურა, თბ., 1990.
7. **შანიძე აკ.** ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, ტ. I, ტფ., 1931.
8. **წერეთელი კ.** ანატორის მარიამწმიდის ეკლესიის დათარიღებისათვის, ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2002.
9. **წიკლაური ივ.** 1975, 1976, 1979 წწ. საველე მუშაობის ანგარიშები და 1976-1978 წწ. წლიური თემები (აღმ. საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციების არქივი, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის დუშეთის ბაზაზე).
10. **ხიზანიშვილი ნ.** ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.



**И. Циклаури**


## Хевсурские сельбища за Кавказским хребтом

(Мигмахевское и Шатилское ущелья)


резюме

В труде представлены выявленные нами хевсурские сельбища в процессе многолетных этнографическо-археологических исследовании в указанных ущельях. Отмечены особенности этого региона по сравнению с сельбищами южного склона Кавказского хребта. Речь идет о встречающихся остатках церквей и монастырского комплекса, о комунникациях и перевалах, проходящих через эти ущелья. В труде представлены этнологические материалы о народных праздниках. Обобщен причини изменении демографического характера в этом регионе и др.

კახი წერეთელი

# ჟინვალის კვირაცხოვლის სამაროვანი და ეკლესია

1972-73 წწ. არქეოლოგიურად შესწავლილი კვირაცხოვლის სამაროვანი და ეკლესია (მ. რჩეულიშვილი) [1, გვ. 48-49; 2, გვ. 155-158], რომელიც ხევსურეთის დროებითი ტრასის გაყვანასთან დაკავშირებით 1976 წ. მთლიანად დაანგრიეს, მდებარეობდა სოფ. ჟინვალს გაღმა, არაგვის მარცხენა ნაპირზე.

საკუთარ ნანგრევებში ჩამარხული ძეგლის გაწმენდის შედეგად გამოვლინდა საგანგებო სუბსტრუქციაზე დაფუძნებული, O ფასადით ხელოვნურად ჩამომტვრეულ-ჩამოსწორებულ კლდეზე მიჯრით მიშენებული, მნიშვნელოვნად კედლებმორღვეული, გეგმაში თითქმის კვადრატული (6,6X6 მ) ერთნავიანი ეკლესია, რომლის O ნაწილში ჩაწერილი იყო ერთი საფეხურით შემაღლებული, თითქმის ბრტყელი, SO და NO კიდეებში ოდნავ მორკალული საკურთხევლის აბსიდი (ტაბ. I 1, 2). O კედლის ცენტრში მიდგმული იყო კუბური ფორმის ტრაპეზი, რომელსაც S-ით მისივე სიგანის ხარისხი გასდევდა. აბსიდის და დარბაზის სიგრძე თანაბარი იყო (2,3 მ), ხოლო დარბაზი სიგანეში (3,1 მ) სიგრძეს აღემატებოდა კიდევაც. ეკლესიის, უფრო ზუსტად კი სუბსტრუქციის N განიერ (2 მ) კედელში გამოვლინდა ორი მეტ-ნაკლებად დიდი და ერთიც მომცრო, კირხსნარით შელესილი სიცარიელე (ტაბ. I 1, 2; ტაბ. II 2), რომლებსაც ბრტყელი, მასიური ქვები ეხურა. N მხარეს ეკლესიას უშუალოდ კედელში მოწყობილი ვიწრო სათავსი ექნებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია ამ სიცარიელე-სამალავების დანიშნულება, ისინი სუბსტრუქციის მდგრადობა - სიმტკიცეს საგრძნობლად ასუსტებენ, გარდა ეკლესიის ინტერიერისა, სხვა მისადგომი არ გააჩნიათ და თუ არა უტილიტარული ფუნქცია, ამ სიცარიელეთა მოზათქაშებას სხვა მიზეზი არ ეძებნება. გაიწმინდა სუბსტრუქციის W კედლის N კიდეში ჩართული ნახევარწრიულთაღიანი ნიშა (ტაბ. II 1), აგრეთვე გალავანი, რომელიც NW-დან ეკლესიას ეკვროდა, S-ით ებჯინებოდა ციცაბო, კლდოვან მთას, ხოლო O მხარეს ზღუდის ბუნებრივ გაგრძელებას უშუალოდ ციცაბო მთა ქმნიდა. ეკლესია და გალავანი აგებული იყო ნაირგვარი ზომა-ფორმის ნატეხი კლდის ქვის ირეგულარული წყობით მტკიცე დუღაბზე.

ეკლესიის ეზოში გაითხარა სხვადასხვა დონეზე განლაგებული 11 სამარხი. სულ ზედა ფენაში 4 ქვის სამარხი გამოვლინდა. №1 სამარხში აღმოჩნდა თავით N-საკენ დამხრობილი ბავშვის ჩონჩხი, უინვენტარო. №2 სამარხში გამოვლინდა მარჯვენა გვერდზე «მძინარე» პოზაში დასვენებული და თავით O-საკენ ორიენტირებული მამაკაცის ჩონჩხი. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს აბზინდა, ქვის სალესი და რკინის დანის ნატეხები. იმავე დონეზე გათხრილ ორ ქვის სამარხში დადასტურდა ქრისტიანული დაკრძალვის წესი. ამ სამარხებში მოპოვებული ინვენტარიდან აღსანიშნავია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მინის სამაჯურები (ტაბ. IV, 2, 3) და ბრინჯაოს ბეჭდები.

შუათანა სამარხები ქვის სამარხებია. მათგან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი. ამავე იარუსის №8 სამარხში დაფიქსირდა სამარხის მეორადი გამოყენების ფაქტი.

აშკარად ადრინდელია სულ ქვედა, პირველი იარუსის სამარხები, რომლებზეც გადადიოდა გალავანი. №14 ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხში ჩონჩხი თავით W-საკენ იყო დამხრობილი; თავის ქალის არეში აღმოჩნდა მშვილდსაკინძის ნატეხი. №10 სამარხში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში იყო დაკრძალული და უსწორმასწორო ქვებით შემოფარგლული. №11 ძალზე უხეირო ქვის სამარხში გაშოტილი ჩონჩხი თავით W-საკენ იყო ორიენტირებული.

გათხრებით გამოვლინდა კერამიკული მასალის რამდენიმე ჯგუფი: გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული ქოთნების, ჯამების, ქილების, ქვევრების ნატეხები და სხვ. ეკლესიის სუბსტრუქციის ნაწილში არსებულ სამალავებში აღმოჩნდა XI-XII სს-ის მოჩალისფროდ გამომწვარი სასმისების ნატეხები; XII-XIII სს-ის ნაირფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც გალავნის შიდა ეზოს სხვადასხვა უბანზე იქნა მოპოვებული.

თხრის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სუბსტრუქციის ნიშმა, რომელიც ამოვსებული იყო გვიანი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნამტვრევებით; იქვე აღმოჩნდა იმავე პერიოდის მინიატურული უღელი ოთხივე ტაბიკით (ტაბ. IV 1). ასევე გვიანი შუა საუკუნეებისაა ეკლესიის ამოწმენდისას გამოვლენილი მომცრო სპილენძის ზარი (ტაბ. IV 6), აგრეთვე ეკლესიის წინ, თხრილში აღმოჩენილი ბადია 11 ვერცხლის და 2 სპილენძის შეწირული მონეტით და ორი ვერცხლისავე ჯვრით (ტაბ. IV 4, 5) [2, გვ. 157].

ეკლესიის მშენებლობის პერიოდის გარკვევის საკითხი უშუალოდ სამარხთა ქრონოლოგიასთანაა დაკავშირებული. ძეგლის მკვლევრის აზრით, ზემოხსენებული ქვის სამარხების ერთი ნაწილი, ნაგებობის ხარისხით და ინვეტარით, ემსგავსებიან სამთავროს ველზე გათხრილ იგივე ტიპის VI-VIII სს-ის სამარხებს. მისი დაკვირვებით ორივე სამაროვნის სამარხებისათვის საერთო მახასიათებელი ნიშნებია: ქვის სამარხების არამკვიდრად შეკვრა, კედლების გადაკერება და სხვა მასალით ამოშენება, სახურავის ქვების ზერელედ დამუშავება. ამასთანავე ეკლესიის სუბსტრუ-ქციის ნაწილში მოპოვებული მოჩალისფროდ გამომწვარი სასმისების ნატეხთა გათვალისწინებით, ეკლესიის თარიღი XI-XII სს-ით განისაზღვრა [2, გვ. 158].

ვფიქრობთ, კვირაცხოვლის ადრეული ქვის სამარხების ხნოვანების საკითხის რკვევისას მხოლოდ მშენებლობის ხარისხზე, აგრეთვე აღნაგობის სპეციფიკაზე დაყრდნობა და მათთვის პარალელად VI-VIII სს-ის სამთავროს ველის მსგავსი სამარხების [3, გვ. 113-121] მოხმობა, რეალურ ქრონოლოგიურ სურათს ვერ ასახავს. კერძოდ, მსგავსი აგებულებისაა როგორც სამთავროს ველის სინქრონული ბეთანიის [4, გვ. 103-122] და დიღმის [5, გვ. 87-98], ასევე IV-V სს-ის კარსნისხევის [6, გვ. 18-27] და V-VI სს-ის იაღსარის [7, გვ. 119-121] სამაროვნების ქვის სამარხები. ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხების სტრუქტურაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მათი კონსტრუქციული თუ ხარისხობრივი მსგავსება, ან სულაც იდენტურობა უცილობლივ ქრონოლოგიურ თანხვედრას არ უნდა გულისხმობდეს. ასე მაგალითად, ჭერემის გვიანრომაული III და III-IV სს-ის მიჯნის ქვის სამარხები, რომელთა უმეტესობა დამხრობილია W-O ღერძზე [8, გვ. 77-107], ქვემო ალევის V-VII

[9, გვ. 45] და რუსთავის VI-VII სს-ის [10, გვ. 71] სამარხთა მსგავსად, აწყობილია ერთიანი გვერდებისა და თავკედლების ქვიშაქვის ფილებით.

კვირაცხოვლის სამაროვანზე გამოიყოფა სამარხი ნაგებობის სამი ტიპი: 1. ქვის სამარხი, 2. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი, 3. ქვებით შემოწყობილი სამარხი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წარმოებულმა ფართომასშტაბური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებმა აჩვენა, რომ IV ს-ის პირველ მეოთხედამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და მთისწინა ზოლში გვიანრომაულ ხანაში დასაკრძალავად ქვის სამარხები არ გამოიყენებოდა. რ. რამიშვილის დაკვირვებით, აღნიშნულ რეგიონში ქვის სამარხები ვრცელდება ქართ-ლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ახლო პერიოდში [11, გვ. 92]. სახელდობრ, ჟინვალს ზემოთ, სოფ. ნეძიხში გაითხარა ორ-სამ იარუსად განლაგე-ბული გვიანრომაული და ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი (ც. რობაქიძე), სადაც ცალკე ჯგუფად გამოიყო ორი-სამი გვერდითი და თითო თავ-ბოლოს კედლებით შეკრული IV და V-VI სს. ქვის სამარხები. ძვ. წ. I - ახ. წ. VIII სს-ით დათარიღებულ ჟინვალის სამაროვანზე 286 სამარხი ქრისტიანულია, მათ შორის 127 ქვის სამარხია, რომელთაგან ადრეულები IV ს-ს განეკუთვნებიან [12, გვ. 32]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ კვირაცხოვლის სამაროვნის ადრეული ქვის სამარხების (№№1, 2, 8, 11) ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა არაუადრეს IV ს-ის პირველი მეოთხედით განისაზღვროს.

რაც შეეხება კვირაცხოვლის სამაროვნის ქვის ფილებით გადახურულ №14 ორმოსამარხს, აგრეთვე ქვის ფილებით შემოფარგლულ ე. წ. «ქვის არშიიან» №10 ორმოსამარხს, პარალელების მოძიება შორს რომ არ მოგვიწიოს, კვირაცხოვლის კომპლექსის გაღმა, არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჟინვალის სამაროვნის მაგალითზე ირკვევა, რომ ყველა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი, აგრეთვე «ქვის არშიიანი»: №73 და №93 ორმოსამარხები IV-VI სს-ის ფარგლებში ექცევიან და სინქრონულნი არიან ამავე სამაროვნის №№29, 80, 49 და №50 ქვის სამარხებისა [13, გვ. 95-101; 14, გვ. 98]. არაგვის ხეობაში, სოფ. აბანოსხევში გათხრილ სამაროვანზე (გ. რჩეულიშვილი, ივ. წიკლაური), ორმოსამარხებისა და ქვის სამარხე-ბის გვერდით, გაითხარა ზოგადად IV-VIII სს-ით დათარიღებული 7 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი [15, გვ. 49-57]. სპეციალურ ლიტერატურაში გაზია-რებული თვალსაზრისის თანახმად, ქვის ფილებით გადახურული სამარხის ტიპი სამართლიანად ითვლება ქვის სამარხზე გადასვლის წინა საფეხურად და სამარხის ორივე სახე თანაარსებობას აგრძელებს არაუგვიანეს V ს-ის დამდეგისა [15, გვ. 55; 16, გვ. 27], რაც კვირაცხოვლის №14 სამარხის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნად იგივე თარიღს მონიშნავს. აღნიშნულის კონტექსტში ფრიად მნიშვნელოვანია, რომ სამთავ-როს სამაროვნის უკიდურეს N და NW ნაწილში ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები უშუალოდ გვიანრომაულ ქვის სამარახებზე ან მათ შორისაა განლაგებული ისე, რომ მათი გამყოფი სტერილური შრე არ შეინიშნება [18, გვ. 109]. იმავე აბანოსხევში, ხიმშიაანთმიწის სამაროვანზე გაითხარა ექვსი ორმოსამარხი (გ. გოგოჭური); აქედან №42 სამარხი ორმო რიყის ქვებით იყო შემოწყობილი. ამ და №38 სამარხის ინვენტარის (მინის მძივები, ვერცხლის და ოქროს საყურეები და სხვ.) გათვალისწინებით სამარხთა ეს ჯგუფი IV-V სს-ით თარიღდება [11, გვ. 92]. ამ ეტაპზე ჟინვალის სამაროვნის ადრექრისტიანული სამარხები პუბლიკაციისათვის მოსამზადებელ სტადიაშია და მათზე სრული ინფორმაცია არ გაგვაჩნია. წინასწარი

დასკვნით, ჟინვალის სამაროვნის №73 და №93 «ქვის არშიიან» სამარხებში აღმოჩენილი წიფლისკვირტისებურთავიანი საკინძი და ბრინჯაოს ჭვინტიანი რკინისენიანი მშვილდსაკინძი V-VI სს-ით თარიღდება [14, გვ. 98-99]. ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ხიმშიაანთმიწის №42 სამარხი, ფორმით და სტრუქტურით, ერთგვარ შუალედურ რგოლად გამოიყურება ჟინვალის სამაროვნის გარშემო ქვიშაქვისა და რიყის ქვის ერთრიგი არშიაშემოვლებული №12 და №20, აგრეთვე ანალოგიურად გამართულ, ოღონდ ოვალური ფორმის №22 სამარხებს შორის [13, გვ. 96-97]. ისიც უთუოდ საყურადღებოა, რომ IV ს-ის მოდინახეს ორმოსამარხები ქვებითაა შემოწყობილი [17, გვ. 45-54]. აქედან გამომდინარე, კვირაცხოვლის სამაროვნის №10 სამარხის თარიღი IV-V სს-ის შუალედით უნდა განისაზღვროს, თუმცა ქრონოლოგიური ჩარჩოების IV ს-ით დავიწროება უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია.

როგორც არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, წინაქრისტიანულ ხანაში მიცვალებულთა ე. წ. მძინარე პოზა ხასიათდებოდა კიდურების მკვეთრი მოხრილობით, ხოლო გვიანრომაულ ხანაში ჩონჩხის ხელ-ფეხის მოკეცილობა ნაკლებად მკვეთრია. არქაულ პოზაში დაკრძალულთა გვერდით გვხვდება ოდნავ მოხრილი და გულზეხელდაკრეფილი პოზაც. დაკრძალვის ამ წესმა, ცალკეულ შემთხვევებში, ჩანს საკმაოდ დიდხანს შემოინახა თავი [19, გვ. 112-113]. მართლაც, მოხრილ პოზაში დაკრძალვის არქაული ტრადიცია განაგრძობს არსებობას უკვე მრავალგზის ნახსენებ გვიანრომაულ-ადრექრისტიანულ, აგრეთვე შედარებით მოგვიანო ხანის მოდინახეს (IV ს), ვარდისუბნის (IV-VIII სს) [20, გვ. 37-41], ურბნისის (IV-V სს) [21, გვ. 76], ბეთანიის (VI-VIII სს), ვაშლაჯვარას (VI-VIII სს) [22, გვ. 76], სანთას (VI-VIII სს) [23, გვ. 21], რაჭისუბნის (VI-VIII სს) [24, გვ. 31], ქვემო ალევის (V-VII სს) [9, გვ. 47-48] სამაროვნებზე. არსებობს აზრი, რომ VI-VIII სს-ში ქრისტიანული დაკრძალვის წესი მკაცრად კანონიზირებული არ იყო და ქრისტიანთა ზოგჯერ ხელ-ფეხ მოკეცილი გვერდზე «მძინარე» პოზით დაკრძალვა, რიტუალის დიდ დარღვევად არ ითვლებოდა [25, გვ. 22-23]. მთისწინა რეგიონში მდებარე კვირაცხოვლის სამაროვანთან მიმართების თვალსაზრისით ინტერესს აღძრავს ფშავის არაგვის ხეობის სიღრმეში არქეოლოგიურად გამოკვლეული კართანას VI-VIII სს-ის სამაროვანი (გ. რჩეულიშვილი), სადაც უკვე გაბატონებულია დაკრძალვის ახალი წესი (სამარხთა აღნაგობა, დამხრობა), თუმცა ჯერ კიდევ ვხვდებით კლასიკურ «მძინარე» პოზაში დაკრძალულ მიცვალებულებს, რასაც, სავსებით არგუმენტირებულად, მთაში ქრისტიანული რელიგიისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების ერთგვარი შეფერხებით, მაგრამ, ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, გარდაუვალად აუცილებელ გავრცელებისა და განმტკიცების პროცესს უკავშირებენ [15, გვ. 53; 26, გვ. 20].

სოფ. ნეძიხის სამაროვნის გვიანრომაულიდან ადრექრისტიანულზე გარდამავალი პერიოდის სამარხების მაგალითზე თავს იჩენს ერთი საყურადღებო სპეციფიკა. კერძოდ, მთისწინეთში, ადმინისტრაციულ-საქალაქო ცენტრების კუთვნილ ამ დროის სამაროვნებზე მიცვალებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავით თუ W მხარესაა დამხრობილი, რაშიც მკვლევრები ქრისტიანული წესებისა და რიტუალის ხალხის ყოფაში თანდათანობით შეჭრა-გაბატონების ტენდენციას ხედავენ [19, გვ. 113], იმავე ხანის ნეძიხის სამაროვნის სამარხები ამ ნოვაციისაგან ერთგვარად განზე დგომის მაჩვენებლია; სახელდობრ, III-IV სს-ის 98 ორმოსამარხიდან გვერდზე მწოლიარე, მცირედმოხრილი 77 მიცვალებული თავით S მხარეს იყო დამხრობილი,

ხოლო W მხარეს - 21. იმავე სამაროვნის IV და V-VI სს-ის ქვის სამარხებიდან ადრეულებში დაფიქსირდა მიცვალებულების «თავისუფლად» მოხრილი პოზა, ხოლო დანარჩენებში - გულაღმა გაშოტილი. კვირაცხოვლის მოპირდაპირე არაგვის გაღმა სამაროვანზე III-IV ს-ის პირველი მეოთხედის 240 სამარხში შედარებით «თავისუფლად» მოხრილი მიცვალებული თავით W-საკენ იყო დამხრობილი; გაცილებით მეტად კიდურებმოკეცილი, თავით O-საკენ ორიენტირებული სამი მიცვალებულის სამარხი, ინვენტარის მიხედვით, ექცევა III ს-ის ფარგლებში; ძვ. წ. I - ახ. წ. II სს-ის 10 სამარხში მიცვალებულები თავით N-საკენ იყვნენ დამხრობილნი, ხოლო ახ. წ. I-II სს-ის 19 სამარხში დაკრძალულების თავები S მხარეს იყო მიმართული. რაც შეეხება ამ სამაროვნის ადრე შუა საუკუნეების სამარხებს, მათში დაკრძალვის ქრისტიანული წესია გაბატონებული (გულაღმა გაშოტილი, თავით W-საკენ); გამონაკლისის სახით გვხვდება ოდნავ კიდურებმოკეცილი პოზა [14, გვ. 94; 27, გვ. 9].

ჟინვალის კვირაცხოვლის სამაროვნის განსახილველი სამარხები, დაკრძალვის ტრადიციის რიგ ნიუანსებში (პოზა, დამხრობა), აშკარად არქაულ ნიშნებს ამჟღავნებენ; მეტიც, აქ ქრისტიანული დაკრძალვის ჩამოყალიბებული წესი მხოლოდ განვითარებული შუა საუკუნეების სამარხებისთვისაა ნიშანდობლივი და მათ თარიღს არქეოლოგიური მასალაც აკონკრეტებს; მაგრამ, როგორც ითქვა, ქვის სამარხები საკვლევ რეგიონში მხოლოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (ახალი დაზუსტებული ქრონოლოგიით - 326 წ.) ახლო ხანებში ჩნდება და, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო სამარხების ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნად IV ს-ის პირველი მეოთხედი მოვნიშნეთ. ქრისტიანული წესითაა დაკრძალული (გულაღმა გაშოტილი, თავით W მხარეს) №14 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხის მიცვალებული. იგივე ითქმის №10 სამარხის თავით W-საკენ მიმართულ, კიდურებმოკეცილ მიცვალებულზეც.

№2 სამარხი WO ორიენტირებული ქვაყუთის ტიპისაა (ორ-ორი გვერდის და თითო თავ-ბოლოს ზერელედ დამუშავებული ფილები), რაც იმას ნიშნავს, რომ ის, კვლავდაკვლავ რეგიონის ტრადიციიდან გამომდინარე, IV ს-ის პირველ მეოთხედზე ადრე ვერ გაჩნდებოდა; ე. ი. ქრისტიანულ სამარხთან უნდა გვქონდეს საქმე, თუმცა ამ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის მარჯვენა გვერდზე ე. წ. თავისუფლად მოხრილ პოზაში დასვენებული და თავით O-საკენ დამხრობილი მიცვალებულის ჩონჩხი. საერთოდ, მიცვალებულის თავით O-საკენ ორიენტაციას აშკარა ტენდენციის ხასიათი გააჩნია მარნეულის რ-ნის სოფ. სიონის ძვ. წ. VII-VI სს-ის სამაროვნის ქვის სამარხების მაგალითზე [29, გვ. 27-32], თუმცა ესოდენ ადრეული ძეგლი კვირაცხოვლის სამაროვნის პარალელად ვერ გამოდგება. III-IV სს-ის დამდეგის ახალი ჟინვალის სამაროვანზე თავით O-საკენ დამხრობის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რაც თანაბრად ითქმის არაგვისპირისა და ნეძიხის სამაროვნების იგივე პერიოდის სამარხებზე. ჟინვალის სამაროვნის ძვ. წ. I ს - ახ. წ. IV ს-ის პირველი მეოთხედის სამარხებში დაკრძალული მიცვალებულებიდან მხოლოდ სამი იყო ორიენტირებული O-საკენ და, როგორც ზემოთ ითქვა, ინვენტარის მიხედვით ისინი ექცევიან III ს-ის ფარგლებში [27, გვ. 9]. 1976 წ. განათხარ მასალაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ სამთავროს სამაროვნის გვიანრომაული ხანის სამარხებში მიცვალებულები იწვნენ გულაღმა გაშოტილნი, თავით O და W დამხრობით. 36 სამარხში W-საკენ დამხრობილი იყო 9 სამარხის მიცვალებული, O-საკენ კი 23 სამარხის ჩონჩხი. საყურადღებოა,

რომ №5 სამარხში სამი მიცვალებულიდან ერთს თავი W-საკენ ჰქონდა, ორს კი O-საკენ [18, გვ. 106]. 1986 წ. სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთით, ზაიათხევში გათხრილ III ს-ის 35 სამარხში გაშოტილად დაკრძალულთა უმეტესობა თავით O-საკენ იყვნენ ორიენტირებულნი [29, გვ. 80]. გვიანრომაულ-ადრექრისტიანულ ხანაში მიცვალებულთა გულაღმა გაშოტილი და თავით O-საკენ დამხრობით დაკრძალვის წესს ქრისტიანულ სარწმუნოებას უკავშირებენ [18, გვ. 113; 29, გვ. 79-80], თუმცა არსებობს აზრი, რომ ამგვარი ორიენტაცია დაკრძალულთა ეთნიკური, შესაძლოა რელიგიური სიჭრელის მაჩვენებელიც იყოს [30, გვ. 261]. კვირაცხოვლის სამაროვანს ისევ დავუბრუნდებით, მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ თავით W-საკენ დამხრობის ტენდენცია გვიანრომაულ ხანაში უმჭიდროესად ქრისტიანობის თანდათანობით გაძლიერებასა და IV ს-ის დასაწყისისათვის გაბატონებული პოზიციის დაკავებასთანაა დაკავშირებული, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა თუ მთისწინეთის სამაროვნებზე თვალნათლივაა წარმოჩენილი. აქედან გამომდინარე, დასახელებულ პერიოდში მიცვალებულთა თავით O მხარეს დამხრობის შემთხვევების ქრისტიანული დაკრძალვის წესით ინტერპრეტაცია ერთობ საპრობლემო ჩანს.

№1 ქვის სამარხში გვერდზე მწოლიარე და ოდნავ კიდურებმოკეცილი ბავშვის ჩონჩხი თავით N-საკენ იყო დამხრობილი. კვირაცხოვლის მოპირდაპირე ჟინვალის სამაროვანზე მკვეთრად კიდურებმოკეცილი და თავით N მხარეს ორიენტირებული იყო ძვ. წ. I - ახ. წ. II სს-ის 10 სამარხში დაკრძალული მიცვალებული [27, გვ. 9]. მომდევნო პერიოდში მიცვალებულთა თავით N-საკენ დამხრობის პრეცედენტი ჩვენთვის უცნობია. ამგვარად, დაკრძალვის წესით (პოზა, ორიენტაცია) კვირაცხოვლის სამაროვნის №1 და №2 სამარხები წინაქრისტიანული ხანის კუთვნილებად წარმოჩნდებიან, მაგრამ დასაკრძალავ ნაგებობად ქვის სამარხის გამოყენება, რომელიც, კვლავ განვმეორდებით, საკვლევ რეგიონში ამ დროს პრაქტიკულად არ გვხვდება, დასახელებულ პერიოდს გამორიცხავს.

კვირაცხოვლის სამაროვნის სამარხებში მოპოვებული მასალა უაღრესად მწირია. როგორც ითქვა, ზედა ფენის განვითარებული შუა საუკუნეების სამარხებში აღმოჩნდა აღნიშნული პერიოდისათვის (XI-XIII სს) ტიპიური მინის სამაჯურები და ორიოდე ბრინჯაოს ბეჭედი. №14 და №10 სამარხებში გამოვლენილი ძლიერ ეროზირებული მშვილდსაკინძის მცირე ნატეხები, ბრინჯაოს თავგადასული რკალები და ბეჭედი (ტაბ. IV 7, 8, 9) რაიმე მყარ ქრონოლოგიურ მონაცემს არ შეიცავენ. გამონაკლისია №2 სამარხში მოძიებული ბრინჯაოს აბზინდა-სამმანჭვალიანი ტყავის დამჭერი სწორკუთხა ფირფიტა ზედაპირზე ნაჭდევი ხაზებით, თითქმის კვადრატული ყუნწის მხარეს უმნიშვნელო ნაშვერით, რომელზეც გამოდებული და წრიულ საქამრე რგოლზე გადასული ენა წააგავს გველის სტილიზებულ გამოსახულებას (ტაბ. IV 10). ცალკეული ელემენტებით, საერთო შედგენილობითა და მთლიანი ფორმით კვირაცხოვლის აბზინდა ემსგავსება საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის IV-VII სს-ის აბზინდებს [9. გვ. 54; 31, გვ. 61-62; 32, გვ. 141, 150; 33, გვ. 125], თუმცა საქამრე რგოლის წრიული ფორმით მეტ სიახლოვეს და, რიგ შემთხვევებში, პირდაპირ ანალოგებს III-IV სს-ის ჟინვალის [27, გვ. 16], განსაკუთრებით კი იგივე პერიოდის ახალი ჟინვალის სამაროვნის №5 მდიდრულ სამარხში გამოვლენილ აბზინდებთან პოულობს [19, გვ. 92, ტაბ. XXVIII-1].

ჟინვალის კვირაცხოვლის ეკლესიის განსაკუთრებულ საკრალურ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა მაშინაც, როდესაც შენობა ნანგრევებად იქცა, მისი არსებობა არც არავის ახსოვდა და მლოცველნი მხოლოდ ნიშში ანთებდნენ სანთლებს და იქვე მიჰქონდათ შესაწირი. თუ გავითვალისწინებთ ძეგლის სტრუქტურას, მისი ადგილმდებარეობისათვის შერჩეულ უაღრესად არახელსაყრელ რელიეფს, მივხვდებით, რომ მშენებელი ერთობ რთული ამოცანის წინაშე მდგარა - ეკლესია აუცილებლად იმ კლდეზე დაეფუძნებინა, რომლის გაშიშვლებული ნაწილი შემდგომ ნიშის შიდა კედლად წარმოდგა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შემკვეთ-მშენებელთა ესოდენი ძალისხმევა რაღაც აუცილებლობამ განაპირობა, მით უმეტეს, რომ გალავნით შემოფარგლული ეზო მშენებლობისათვის გაცილებით გამოსადეგ რელიეფზე იყო განფენილი.

ძეგლის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია კვირაცხოვლის სამხრეთით 50-60 მ-ში, დამრეც ფერდობზე მდებარე, არქეოლოგიურად გამოკვლეული მრავალფენიანი საკულტო ძეგლი (მ. ღლონტი), რომლის კულტურულ ფენათა სიმძლავრე 3 მ-დე აღწევდა, განფენილი იყო დიდ ფართობზე და N-ით კვირაცხოვლის კომპლექსს სწვდებოდა. ძეგლზე მოპოვებული კერამიკული მასალის მიხედვით სტრატიგრაფიულად გამოიყოფა: ადრე შუა საუკუნეთა, გვიანრომაული, შედარებით მკრთალად-ელინისტური, გვიანბრინჯაოს, შუაბრინჯაოს და მტკვარ-არაქსული კულტურული ფენები. განათხარი მასალიდან განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს სულ ქვედა ფენაში გამოვლენილი საკურთხეველი, თიხის ნაძერწი ანტროპომორფულ-ზოომორფული გამოსახულებით [34, გვ. 15-17]. რ. რამიშვილის დაკვირვებით: «სტრატეგიულად ასე ხელსაყრელ ადგილას (არაგვის ჭიშკარი) აღმოცენებული სამლოცველო შესაძლოა უკვე საერთოც ყოფილიყო თუ მთელი ხეობისათვის არა, მისი გარკვეული ნაწილისათვის მაინც» [35, გვ. 68]. ძეგლის გამთხრელის მ. რჩეულიშვილის აზრს, რომ აღნიშნულ ადგილას მოქმედებდა ძლიერი ხატსალოცავი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სამუდამოდ «დაიპყრო» ქრისტიანულმა ეკლესიამ [2, გვ. 158], ჩვენც ვეთანხმებით და ვფიქრობთ, რომ ეკლესიისათვის მაინცდამაინც ესოდენ არახელსაყრელი ადგილის შერჩევა და უაღრესად შრომატევადი გარჯა, ამ ამოცანის გადაჭრის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო კომპლექსების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სასანთლე - კოშკურა ტიპის გულსავსე ყრუ ნაგებობა, აგრეთვე კვრივი-ღვთისშვილის მთავარი «საბრძანისი კოშკი», რომელთაც გააჩნიათ ნიშები, ზოგ შემთხვევაში თაღოვანი ნიშიც [36, გვ. 29, 118, 120, 188, 221].

დღესდღეისობით საქართველოს მთიანეთში უცნობია ადრეული ხანის ზემოხსენებული ნიშების ანალოგი, ან კი, საერთოდ, წინარექრისტიანული პერიოდის საკულტო ნაგებობის სახე. ამ ეტაპზე, ვიდრე ამ მიმართულებით გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ დაწყებულა, მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ხანის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებზე შეგვიძლია მსჯელობა. საერთოდ კი სავსებით შესაძლებელია, რომ კვირაცხოვლის ნიშს, აგრეთვე ისტორიული ფხოვისა და თუშეთის ანალოგიურ საკულტო ობიექტებს ქრისტიანული შინაარსობრივ-ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა. კერძოდ, სანთლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნიშები ქრისტიანულ ტაძრებში არც თუ იშვიათი მოვლენაა, ხოლო ჯვარ-ხატების მეტი წილი ნიშები ამა თუ იმ ქრისტიანი წმინდანის სახელობისაა. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს,

მტკიცედ დამკვიდრებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რწმენა-წარმოდგენათა სისტემა და მასთან დაკავშირებული რიტუალი განიხილება ქრისტიანობის კონტექსტში და გააზრებულია ამ უნივერსალური რელიგიის პაგანიზირებულ გამოვლინებად [37].

ნიშებიანი სასანთლეებისა და კვრივების გენეზისის საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ვაინახთა მსგავსი აღნაგობის საკულტო ობიექტები. მკვლევრების დასკვნით ისინი თავდაპირველად, ვიდრე IX ს-მდე, ანუ ვაინახთა ინტენსიური ქრისტიანიზაციის პროცესის დაწყებამდე, წარმართულ ღვთაებათა სახელზე აღმართულ ნიშებიან კოშკურა ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდნენ, ხოლო მონოთეისტური ეგზოგენური რელიგიების (ჯერ ქრისტიანობა, გაცილებით გვიან - ისლამი) გავრცელების შემდეგ სინკრეტული ბუნების საკურთხევლებად ტრანსფორ-მირდნენ [38, გვ. 112; 39, გვ. 7].

ძეგლის აღწერისას ითქვა, რომ ნიშში გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების ხანის კერამიკული მასალა და რკინის უღლის მინიატურული ასლი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სხვადასხვაგვარი და დიდი რაოდენობის შეწირული ნივთების ნიშში დაწყობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო [36, გვ. 29]. ხატისუღლის ანუ იგივე კირკალის შეწირვის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. სოფ. შენაქოს ნიშტაყოს ძვ. წ. II-I სს-ია წარმართულ სალოცავში გამოვლინდა 3 მ სიგრძის ჯაჭვი მასზე შებმული საკისრე რკალით [40, გვ. 16]. ჟინვალის სამაროვნის I-II სს-ის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილია 2 ვერცხლის, 1 ბრინჯაოსი და 1 რკინის ხატისუღელი, რომლებიც წარმოადგენენ წრიულად მოხრილ თავგახსნილ რკალებს [27, გვ. 19]. გარდა ამისა, ქართული ეთნოლოგიიდან ცნობილია სხვადასხვა მასალი-საგან დამზადებული და განსხვავებული ფორმის ხატისუღლები [36, გვ. 25; 41, გვ. 91-92; 42, გვ. 173], რომლებიც საქედურიანი რკინის ჯაჭვის ეკვივალენტურნი იყვნენ თავისი დანიშნულებით [40, გვ. 18].

სტრაბონის მიერ იბერიის საზღვარზე მდებარე მთვარის ტაძარში ყელზე შანა შებმული ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალის დაწვრილებითი აღწერის [43, გვ. 134-135] საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ აწყურის თეთრიგიორგის ეკლესიაში მლოცველთა მიერ ე. წ. მონის უღლის ტარების წესჩვეულებაში ნათლად ჩანს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რეალური სურათი [41, გვ. 92-94]. ვ. ბარდავე-ლიძის დასკვნით: «არც საკულტო ჯალამბარს თუ ჯაჭვს და არც საკულტო ჯარჯს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი და მათთან დაკავშირებული რიტუალი ხატისმონობის სიმბოლური გამოხატულებაა და ქრისტიანობაზე ადრინდელი რელიგიის კუთვნილება უნდა იყოს» [36, გვ. 28]. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ხატისუღლის (იგივე ჯალამბრისა თუ ჯაჭვის) ტარების ტრადიცია ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს, მაგრამ საკამათოდ მიგვაჩნია ქრისტიანობასთან მისი კავშირის სრული უარყოფა. თავად ის ფაქტი, რომ ხატისუღელი მთისა და ბარის ეკლესიებში (აწყურის თეთრიგიორგი, გორისჯვარი, ლომისი) რიტუალური დანიშნულებით გამოიყენებოდა და ამას ოფიციალური ეკლესიის მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ გადაწყდომია, ვ. ბარდაველიძის დებულებას საეჭვოს ხდის.

კვირაცხოვლის ხატისუღელი თუ მონის უღელი ამ საკრალური ნივთის არც ერთ ცნობილ სახესხვაობასთან არ ავლენს მსგავსებას. იგი ფორმით და ცალკეული შემადგენელი ელემენტებით რეალური უღლის მინიატურული ასლია. ისე კი, ძველი

ქართული ლითონპლასტიკიდან ცნობილია უღლის საკმაოდ ეფექტური იმიტაციის ნიმუში - ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის საბრძოლო ეტლის მოდელი გოხების მთიდან [44, გვ. 170], თუმცა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარეგნული მსგავსებაღაა თვალშისაცემი. სხვა მსგავსი ნიმუშების არარსებობის მიუხედავად, კვირაცხოვლის უღლის მოდელი საკულტო რიტუალთან დაკავშირებული ხატისუღლის ეკვივალენტური საკრალური ფუნქციისა უნდა იყოს, თუმცა ამ კონკრე-ტულ შემთხვევაში რიტუალი მხოლოდ სიმბოლურ-ფორმალური ხასიათისა იქნებოდა, ანუ რეალური უღლის მინიატურული ასლი, მართალია, ყელზე სატარებლად არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სალოცავისადმი მისი შეწირვის ფაქტი შემწირველის ხატისადმი რაღაც ფორმით დამოკიდებულების უეჭველ მოწმობად უნდა აღვიქვათ.

ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, რომ «ხატისუღლის ტარების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ავადმყოფობისა და შეცოდების სიმძიმეზე» [36, გვ. 26]. ცოდვილიანობის განცდა და სინანული ძველი და ახალი აღთქმის რწმენის ქვაკუთხედია. საკუთარი ცოდვის გაცნობიერება განწმენდის სურვილს ბადებს, ეს კი მთელი რიგი შეზღუდვებითა და, ხშირად, მღვდლის მიერ განწესებული ეპიტიმიით მიიღწევა, რაც, საბოლოოდ, მომნანიებლის აღსარებითა და ზიარებით, ანუ სულის დახსნით სრულდება და სწორედ ესაა ქრისტიანული ცხოვრების წესის სავალდებულო ნორმა [72, გვ. 69-70]. ამიტომაც წინარექრისტიანული ხანიდან მომდინარე და, ერთი შეხედვით, ორთოდოქსული ეკლესიისათვის თითქოს სრულიად უცხო და მიუღებელი ხატისუღლის ტარების რიტუალი, თავად ეკლესიის მხრიდან რაიმე არსებით წინააღმდეგობას არ გადაწყდომია. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კვირაცხოვლის ეკლესიის ნიშის თაყვანისმცემელთა რელიგიური მრწამსი არსებითად ქრისტიანული იყო, თუმცა იგივე ხატისუღელი მოწმობს თუ რაოდენ სიცოცხლისუნარიანია წინარექრისტიანული რწმენის რიტუალიდან მომდინარე ერთ-ერთი ატრიბუტი და როგორ ხდება მისი შერწყმა - ადაპტაცია ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, რაც, თითქოსდა, რელიგიურ სინკრე-ტიზმში ჰპოვებს გამოხატულებას, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში უფრო გამართლებული ჩანს პაგანიზაციის კონტექსტში მსჯელობა. კერძოდ, კვირაცხოვლის ხატისუღლის მაგალითზე შესაძლებელია თვალი გავადევნოთ პროცესს ამ ნივთის თავდაპირველი ფუნცქიის დესაკრალიზაციიდან ე. წ. გახალხურებულ ქრისტიანობაში ახალი-მონანიების შინაარსის მქონე სარიტუალო ინვენტარად ტრანსფორმაციამდე, ანუ მასში სრულიად წაშლილია წარმართული ხანის სალოცავისათვის ადამიანის მსხვერპლშეწირვისა თუ ხატის მონობის არსობრივი ასპექტი. ისიც ცხადია თუ როგორ კარგავს ეს ნივთი უტილიტარულ ფუნქციას და, ალბათ, ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, მზადდება რეალური უღლის მინიატურული ასლი, რომელიც არქაული ხატისუღლის მხოლოდ შორეული რემინისცენციაღა თუა.

ზემორე მსჯელობიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ ჟინვალის კვირაცხოვლის ეკლესიის ადგილას მდებარეობდა მნიშვნელოვანი ტრადიციული კულტმსახურების ცენტრი. ეკლესიის მშენებლებმა, გაითვალისწინეს რა ადგილობრივი მოსახლეობის რწმენის სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული კულტმსახურების ტრადიციები, განახორციელეს რიგი რთული ღონისძიებები, რათა ძეგლი ფრიად მოუხერხებელ ადგილზე აეგოთ. კვლავ ძველ ჟინვალელთა (და არა მარტო მათი) კულტმსახურების

თავისებურებებიდან გამომდინარე, ტაძრის სუბსტრუქციაში ჩართულ იქნა თაღოვანი ნიში, რომელსაც პარალელები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საკულტო ძეგლებში ეძებნება. ამგვარი გზითა და ხერხით ქრისტიანუ-ლმა ეკლესიამ საბოლოოდ «დაიპყრო» ძლიერი წარმართული ხატ-სალოცავი.

კვირაცხოვლის ეკლესია, გეგმის სიმარტივისა და დაზიანების დიდი ხარისხის გამო, რაიმე მნიშვნელოვან მათარიღებელ მონაცემებს მოკლებულია. მისი საკურთხევლის აბსიდი თითქმის სწორკუთხა მოყვანილობისაა და მხოლოდ SO და NO კუთხეებში ოდნავ შესამჩნევად ირკალება. ამგვარად, კვირაცხოვლის ეკლესია, ზოგადი შთაბეჭდილების ფარგლებში, მსგავსებას პოულობს სწორკუთხა აბსიდიან ეკლესიებთან. ამ რიგის ძეგლებში ერთნავიანი ტიპის ეკლესიები ჭარბობენ. სწორკუთხა აბსიდიანი ტაძრების მთელი რიგი ნიმუშები, მათი კომპოზიციურ-კონსტრუქციული თავისებურებანი, სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდაა გაშუქებული [45, გვ. 27-63; 46, გვ. 104-105; 47, გვ. 80-81]. ანალოგიური ფორმის აბსიდები გააჩნია ადრე შუა საუკუნეების სასანიდურ, სირიულ, მესოპოტამიურ, ბრიტანეთის კუნძულების და ანგლოსაქსურ დასავლეთ ევროპის [51, გვ. 63-65], აგრეთვე განსხვავებული ტიპებისა და სხვადასხვა პერიოდის სომხეთის რიგ ტაძრებს [52, გვ. 1-9]. სწორკუთხა აბსიდები გადახურულია როგორც ცილინდრული კამარით, ასევე ტრომპებზე, ან ერთმანეთზე საფეხუროვან ნაშვერებად დალაგებულ ქვებზე გადაყვანილი სფეროს მეოთხედი ფორმის კონქით. კვირაცხოვლის ეკლესიის აბსიდის ძლიერ შებრტყელებული ფორმა შეიძლება მის უხერხულ ადგილმდე-ბარეობას დავუკავშიროთ, მაგრამ უთუოდ ანგარიშგასაწევია, რომ ძეგლის გეგმის სტრუქტურაში, მის საკმარისად ღრმა საკურთხეველში ნახევარწრიული ან ნალისებური აბრისის აბსიდის ჩაწერას ხელს არაფერი შეუშლიდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში რაღაც სპეციფიკური მომენტი იკვეთება და თუ გავითვალისწინებთ არაგვის ხეობების მთელ რიგ შებრტყელებულ აბსიდიან ეკლესიებს (ხანდოს ხეობის დავითურები, ჩარგლის ხევის დიყელა, კუდო, საყვირალი და სხვ. (ტაბ. III 1-6), რომლებიც ზოგადქრონოლოგიურ ფარგლებში V ს-დან მოკიდებული XIII ს-ის ჩათვლით თარიღდებიან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემული რეგიონის გარკვეულ ეკლესიებში ასეთი მოყვანილობის აბსიდებს ტენდენციის ნიშანი გააჩნიათ.

ნ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით კიდეებში ოდნავ მორკალული, აღმოსავლეთით შებრტყელებული აბსიდების გაჩენის გამომწვევი მიზეზი გაურკვეველია. მკვლევარი თვლის, რომ ამ ტიპის აბსიდები (მისი ტერმინოლოგიით - ნახევრადოვალური) და სხვა ცალკეული არქიტექტურულ-მხატვრული ნაკლოვანებები, არ შეიძლება მხოლოდ ხელოსანთა საამშენებლო საქმიანობის სპეციფიკაში გაუთვითცნობიერებლობით აიხსნას; თუმცა იქვე დასძენს, რომ ამ რიგის ძეგლებს აშკარად ატყვია ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციების გავლენის კვალი. ამავე დროს მეცნიერი შენიშნავს, რომ, ერთგვარი მსგავსების მიუხედავად, აღმოსავ-ლეთით შებრტყელებული აბსიდიანი ეკლესიები სწორკუთხა აბსიდიანების გამარტივებულ ვარიანტად არ უნდა იქნეს მიჩნეული [45, გვ. 62]. მართლაც, ამ ორი ჯგუფის ძეგლებს მკვეთრად განასხვავებს საკურთხევლის გადახურვის ტექნიკურ-კონსტრუქციული ამოცანისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში საკურთხევლის სწორკუთხედიდან კონქის ქუსლის რკალზე გადასვლა ტრომპების, ან კუთხეებში ცერად დაწყობილი ქვის ფილების მეშვეობით თუ

ხორციელდებოდა, XI ს-ის დასაწყისისათვის ეს კონსტრუქციული ხერხი არსებობას წყვეტს [45, გვ. 62], ხოლო პარალელურად, ცალკეულ შემთხვევებში, კონქს ცილინდრული კამარა ენაცვლება. ამავე დროს, მეტ-ნაკლებად დაცულ შებრტყელებულ აბსიდიან ეკლესიებში მხოლოდ კონქებს ვხვდებით და ტრომპების გამოყენების შემთხვევა ჩვენთვის უცნობია, თუმცა აშკარაა, რომ აბსიდის ამგვარი კონფიგურაცია კონქის გაწყობის ტექნიკურ მხარეს საგრძნობლად ართულებს, მით უმეტეს, რომ ხშირად აბსიდი არასწორი მოხაზულობისაა. ასე მაგალითად, VIII-IX სს-ის კუდოს ეკლესიის დარბაზი აღმოსავლეთით დასრულებულია არასწორი აბრისისა და ძლიერ შებრტყელებული საკურთხევლის აბსიდით. ეკლესია აშენებულია განსხვავებული ზომის ნატეხი კლდის ქვის ირეგულარული წყობით, ხოლო აბსიდის მკვეთრად დისპროპორციული O კედლიდან კონქის ქუსლის გადასვლის ხაზზე, რათა თვალისთვის ნაკლებად შესამჩნევი დარჩეს აშკარა უზუსტობანი, წყობაში ჩართულია შირიმის ნახერხი კვადრების ორი ჰორიზონტალური მწკრივი, თუმცა ეს ხერხი საკურთხევლის მოცულობის ზერელე აგებულების შთაბეჭდილებას მაინც ვერ აქარწყლებს [49, გვ. 63-70]. ძლიერ შებრტყელებული, დეფორმირებული აბსიდისა და კონქის ურთიერთშერწყმის ტექნიკურ სირთულეს ვერც ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გამორჩეული თირის მონასტრის ეკლესიის (XIII ს) მშენებელმა დააღწია თავი [47].

კვირაცხოვლის ეკლესიაში აბსიდი და დარბაზი სიგრძით ტოლფარდოვანია, რასაც პარალელი ამ რიგის სხვა ძეგლებში არ ეძებნება. საკურთხევლის აბსიდის აბრისით კვირაცხოველთან მსგავსებას ავლენს საინგილოში, კავკასიის «გრძელი კედლის» მახლობლად გამოვლენილი და არქეოლოგიურად გამოკვლეული V-VI სს-ის მიჯნის ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი [50, გვ. 119-120], თუმცა აქ აბსიდი კვირაცხოველთან შედარებით გაცილებით მოკლეა. როგორც ითქვა, შებრტყელებულ აბსიდიან ეკლესიებში საკურთხევლის ნაწილს კონქი ჰხურავს, მაგრამ კვირაცხოვლის ღრმა აბსიდის სიგრძე-სიგანის შეფარდების გათვალისწინებით, აქ, ალბათ, უფრო ცილინ-დრული კამარის გამოყენება ივარაუდება. შებრტყელებულ აბსიდიანი ეკლესიის წარ-მოშობის საკითხის გარკვევას ქვემოთ შევეცდებით, აქ კი გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ კვირაცხოვლის მშენებელმა ნიმუშად ერთდროულად სწორკუთხა და შებრტყელებუ-ლი აბსიდიანი ეკლესიები მოიხმო, რამაც საკუთხევლის აბსიდში ორივე გადაწყვეტის შერწყმის სახით ჰპოვა გამოხატულება (შებრტყელებული აბსიდი გადახურული სწორკუთხა აბსიდიან ეკლესიებში ზოგჯერ გამოყენებული ცილინდრული კამარით).

ძეგლის აღწერისას ითქვა, რომ სუბსტრუქციის N ნაწილში არსებული სიცარიელე-ებიდან მოპოვებული კერამიკული მასალის გათვალისწინებით, ეკლესიის მშენებლობის თარიღი XI-XII სს-ით განისაზღვრა. ჩვენი აზრით, დასახელებული თარიღის არგუმენტაცია არამყარია და გადასინჯვას საჭიროებს. სუბსტრუქციაში არსებული სიცარიელეები ბათქაშით იყო შელესილი და, მაშასადამე, მათ გარკვეული ფუნქცია გააჩნდათ, ე. ი. აქ სამალავი უნდა ყოფილიყო. ლოგიკურად ჩნდება კითხვა თუ რა უნდა შეენახათ იქ? ალბათ რელიქვიები, საღმრთისმსახურო ნივთები ან საეკლესიო შენაწირი. ყველა შემთხვევაში, აუცილებელი იქნებოდა ამ სამალავების დროდადრო გახსნა, რაც იქ ეკლესიის მშენებლობის დროზე გაცილებით გვიანი პერიოდის მასალის მოხვედრას არ გამორიცხავს. ასე რომ არ იყოს, ალბათ შეუძლებე-ლი იქნება ავხსნათ, მშენებლობის პროცესში საგანგებოდ გამართულ და ბათქაშით შელესილ ყრუ სიცარიელეებში რა მოსაზრებით ჩატოვეს დამტვრეული, უფუნქციო

ჭურჭლის ნატეხები. ამ კითხვას იოლად ეძებნება პასუხი - რადგან სამალავებში რაღაც ნივთები ინახებოდა, მათ დროდადრო ხსნიდნენ და კვლავ გმანავდნენ. სხვა მხრივ თუ ამ, კონსტრუქციული დატვირთვის არმქონე სამალავებს, რაიმე კონკრეტული დანიშნულება არ გააჩნდა, მათი არსებობა აზრს დაკარგავდა და აუხსნელი დარჩებოდა მშენებელთა ფუჭი ძალისხმევის მიზანი. როგორც ჩანს, საჭირო ინვენტარისა და საეკლესიო განძის შესანახად მცირე ზომის ეკლესიაში ადგილი ვერ გამოყვეს; ამიტომაც სუბსტრუქციაში გამართეს სამალავები (ქვის «ორმოები»), რომლებშიც შეღწევა უთუოდ რაიმე საიდუმლო მისადგომიდან იქნებოდა შესაძლებელი (სავარაუდოდ ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კიდიდან, ანდა უშუალოდ ეკლესიის ინტერიერიდან). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებულ სამალავებში მოპოვებული XI-XII სს-ის არტეფაქტები მშენებლობის დროს კი არ აკონკრეტებს, არამედ ეკლესიის ამ პერიოდში ფუნქციონირებაზე მიანიშნებს.

კვირაცხოვლის კომპლექსი ძველი თუ გვიან კვლავ აღორძინებული ქალაქ ჟინვანის და მისი შემოგარენის სულიერ-მატერიალური კულტურის ერთ-ერთი შემორჩენილი ნიმუშია, ამიტომ, რაიმე კონკრეტული, მყარად მათარიღებელი არქიტექტურული და, აგრეთვე, არქეოლოგიური მონაცემების სიმწირის პირობებში, ძეგლის გაჩენა-ფუნქციონირების პერიოდთან დაკავშირებულ საკითხზე პასუხი უშუალოდ ამ პუნქტისა და მისი მიმდებარე რეგიონის მდიდარსა და მრავალი პერიპეტიებით აღსავსე წარსულშია საძიებელი.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, კვირაცხოვლის არქიტექტურულ კომპლექსს (ეკლესია-გალავანი) XI-XII სს-ით ათარიღებენ და ამ ძეგლის წარმოშობის მიზეზს ქრისტიანული ეკლესიის მიერ ძლიერი წარმართული ხატ-სალოცავის საბოლოოდ «დაპყრობის» ფაქტით ხსნიან, რაც, ჩვენი აზრით, ქრონოლოგიურ ჭრილში არ ითვალისწინებს რეალურ ისტორიულ ვითარებას, რის შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ. ერთდროულად ყურადღება მახვილდება ძეგლის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილმდებარეობაზე: «კვირაცხოვლის კომპლექსი, თავისი მძლავრი გალავნით ეტყობა ამ ადგილას შემთხვევით არ უნდა აღმოცენებულიყო. ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთ მხარეს იწყება გზა, რომელიც ნასოფლარ მღვიმეს გავლით წობენში გადადის. ამ გზას, როგორც არაოფიციალურს, მაგრამ მაინც არსებულს, ეტყობა ჩრდილოეთიდან კონტროლს უწევდა ნაგებობათა ის კომპლექსი, რომლის ეზოშიც მოქცეული იყო კვირაცხოველი. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე გზა წობენის მხრიდანაც საგანგებოდ იქნებოდა დაცული» [2, გვ. 158]. გამოთქმული ვარაუდი დადასტურდა სოფ. ჩინთის NO მხარეს, ნასოფლარ ზანთარეულში გათხრილი უნიკალური სასიგნალო კედელ-სვეტით და ზანთარეულშივე მდებარე დიდი კოშკით, რომლებიც ჩართულნი უნდა ყოფილიყვნენ არაგვის ხეობისა და საკანაფე ხევის ერთიან სასიგნალო სისტემაში. ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით ჩინთი, მასში მდებარე ზანთარეულის ნასოფლარით მოქცეული იყო ჯერ წობენის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში, შემდეგ კი წობენთან ერთად გარკვეულ დროს კუხეთის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა და წარმოადგენდა ამ საერისთავოს უკიდურეს N პერიფერიას. გათხრის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა აღნიშნულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს XI-XII სს-ით ათარიღებს, თუმცა აქვე გამოვლენილი VI-VIII სს-ის სამაროვანი გზის ამ მონაკვეთის ადრეულ ხანაში გაკონტროლების შესაძლებლობას სავსებით რეალურს ხდის [53, გვ. 76-78].

გარდა ზემოხსენებული ე. წ. არაოფიციალური გზისა, კვირაცხოვლის კომპლექსს ორმოცდაათიოდე მეტრში მიადგებოდა უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო მაგისტრალი – დარიალის გზა, რომლის ერთი დიდი მონაკვეთი, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, წიწამურ-ჟინვანს შორის იყო და ჟინვანამდის სწორედ არაგვის მარცხენა მხარეს უნდა ყოფილიყო [54, გვ. 60].

პატივცემული მკვლევრის აღნიშნული დებულება ფაქტობრივად დაადასტურა: «ჟინვალის სამხრეთ მისადგომებთან, არაგვის ვიწროებში, წობენისაკენ გამავალ გზაზე აღმოჩენილმა კედელმა და ოთხკუთხა კედლის ნაშთმა ... მთის დამრეც, თითქმის მიუვალ კლდოვან ფერდობიდან ჩამომავალი ქვითკირის კედელი და არაგვის ნაპირის სიახლოვეს შეკავებულ ადგილას, ამ კედელში ჩართული ოთხკუთხა კოშკი, გამჭოლი გასასვლელით, მიჩნეულ იქნა არა მარტო ქალაქში, არამედ საერთოდ არაგვის ხეობაში შემავალი გზის ჭიშკრად ... ასევე საყურადღებო იყო ძველი ხიდის მარჯვენა ბურჯის გათხრაც» [55, გვ. 14], რომელიც, როგორც ჩანს, მოქმედებდა ჟინვალის ქალაქობის პერიოდში (XI-XIV სს), თუმცა სავსებით რეალურია მისი ამ ადგილზე ადრეც არსებობა. ეს ასეც იქნებოდა, რადგან პევტინგერის ტაბულაზე (რომ-ელიც IV ს-ის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკას წარმოადგენს) ფიქსირებული ე. წ. შემოვლითი გზის ერთი განშტოება გამოივაკებდა რა მისაქციელთან, თავის ორბიტაში იქცევდა არაგვის ხეობას, ხოლო ბულაჩაურიდან ჩინთის გავლით, არაგვის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, ჟინვალში შედიოდა და იქიდან კავკასიონის ქედის გადალახვა შეიძლებოდა როგორც ხევის გავლით, ასევე დათვისჯვრის უღელტეხილით ჩეჩნეთისაკენ [27, გვ. 23]. ე. ი. ისტორიული ფხოვისაკენ ჩრდილოეთით მიმავალი გზა უძველესი დროიდანვე კვირაცხოვლის კომპლექსის (ადრე კი წარმართული სალოცავის) სიახლოვეს გადიოდა. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ძველი ქალაქი ჟინვალი, რომლის აღმავლობა ახ. წ. II-III სს-დან შეიმჩნევა, ძირითადად არაგვის მარჯვენა ნაპირზე იყო განლაგებული, თუმცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არაგვის მარცხენა ნაპირზეც მსხდარა [35, გვ. 24].

არაგვის ხეობაზე გამავალ გზებსა და ძველ ქალაქ ჟინვალის ისტორიაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რათა ცხადად წარმოჩნდეს თუ რამდენად მნიშვნელოვან პუნქტში მდებარეობდა კვირაცხოვლის კომპლექსი. უძველესი ქართული წერილობითი წყაროებიდან ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა ორი არაგვის შესართავსა და მის შემოგარენს მთიელთა მოქცევის საქმეში მაშინვე, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიის რანგში იქნა აყვანილი. «მოქცევაი ქართლისაი» უძველესი ნუსხის თანახმად წმიდა ნინოს ქადაგებას მთიელების ნაწილის, კერძოდ ფხოვლების ნებით ქრისტეს სჯულზე მოქცევა არ მოჰყოლია, რაც სამხედრო რაზმსა და მთიელებს შორის შეტაკებით და ამ უკანასკნელთა კერპების დამსხვრევის ინცინდენტით დასრულდა [56, გვ. 125]. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისით: «ქართლის სამეფო კარის ყველა აქცია მთიელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო ჟინვალის მეშვეობით. ამიტომაც იყო, რომ მეფემ ისინი ნათლისღებისათვის მოიხმო წობენს ... წმ. ნინოს შეჩერება წობენში მიუთითებს ჟინვან-წობენის დიდ მნიშვნელობაზე იმ დროისათვის ... ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად მოასწავებს ახალი საფეხურის დასაწყისს მთისა და ბარის ურთიერთო-ბაში. ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მიძალებას მთის მიმართ ზედ

დაერთო იდეოლოგიურიც. ეს იყო ერთიანი, ზეაღმავალი პროცესი, რომლის შეჩერება მთას უკვე აღარ შეეძლო (იგულისხმება განვითარების ნორმალური პროცესი) და იგი ვახტანგ გორგასლის ხანაში მთის სრული ათვისებით დამთავრდა... მთა-ბარის ერთობლივი ფლობა, მისი ერთობლივი ექსპლოატაცია ადრეულ შუასაუკუნეებში აუცილებელ, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებად იქცა» [57, გვ. 114-115]. ბოლოდროინდელ არქეოლოგიურ მონაცემებისა და წერილობითი წყაროების ცნობებზე დაყრდნობით, გამოითქვა ფრიად საყურადღებო მოსაზრება ქართლის ნათლისღების და მის ახლო პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მთის გაქრისტიანების საქმეში ბარზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები ძალისხმევის თაობაზე [58, გვ. 57-67].

რასაკვირველია, ისეთ პირობებში, როდესაც არა თუ ქართლის მთიანეთი, არამედ იმიერკავკასიის დიდი ნაწილი ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას მორჩილებს [57, გვ. 115], მთისწინეთი ვერანაირად ვერ დააღწევდა თავს ბარის პოლიტიკურსა თუ იდეოლოგიურ ექსპანსიას, რაც უეჭველად საკულტო ხუროთმოძღვრებაში ჰპოვებდა ასახვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვირაცხოვლის ეკლესიის XI-XII სს-ით დათარიღება ისტორიულ კონტექსტს არ ითვალისწინებს, რადგან ძირძველი და რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წარმართული სალოცავისათვის ამ დრომდე აქ ფუნქციონირების ყველანაირი პირობა თუ საფუძველი უცილობლივ მოიშლებოდა. მაშასადამე, თავის დროზე ძლიერი კულტმსახურების ცენტრი ეკლესიას «დაუპყრია» არა XI-XII სს-ში, არამედ მაშინ, როდესაც ადრე შუა საუკუნეების დამდეგს ქრისტიანობა იპყრობდა მთას. კვირაცხოვლის ეკლესიის მშენებლობის დროის საკითხის გარკვევისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს იქვე, მთის ფერდობზე გათხრილი მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია, რომლის ზოგადად განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღების საფუძველია მისი ხუროთმოძღვრულ-სტილისმიერი მონაცემები და სწორედ ამ ნიშნით სხვაობს მისგან კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც არქიტექტურულად აშკარად დაუხვეწავი ნაგებობაა, მაგრამ უფრო მეტად გამოსაჩენ ადგილასაა და გაცილებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ უშუალოდ ძველი წარმართული სალოცავის ადგილზეა აგებული. თუ კი კვირაცხოვლის საკვლევი ეკლესია წარმართულ სალოცავზე მართლაც XI-XII სს-ში ააშენეს, მაშინ მის არქიტექტურაში სწორედ ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივი ელემენტები უნდა ფიგურირებდეს, რომლებიც ასე გამოკვეთილად იკითხება მის მახლობლად მდებარე, მაგრამ ვიზუალური აღქმისა თუ ფუნქციური დატვირთვის კუთხით გაცილებით უმნიშვნელო, მომცრო ერთნავიან ეკლესიაში. აქედან გამომდინარე, ამ ორი ძეგლის ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეში განხილვის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ქრისტიანობის აღიარების პირველი აქტები ქართლში ნათლისცემასა და ხის ჯვრების აღმართვაში გამოიხატებოდა [59, გვ. 238]. ასეთი ტრადიციის დამკვიდრება მნიშვნელოვნად განაპირობა ქართლის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში - მცხეთაში აღმართულმა ჯვრებმა, რაც შემდგომ მიმბაძველობის საგნად იქცა [60, გვ. 81]. ქრისტიანობის აღიარების სიმბოლოდ აღმართული ჯვრები ტრადიციულად მდინარეების და ხევების მახლობლად ამაღლებულ და ადვილად დასანახ ადგილზე იდგმებოდა. როგორც ჩანს, ჯვრებს გაუქმებულ წარმართულ ცენტრებშიც აღმართავდნენ [61, გვ. 35]. აწინდელი ბაგინეთის თავზე, არმაზის კერპის სავარაუდო ადგილზე მსჯელობისას ნ. ბერძენიშვილი გაკვირვებით შენიშნავს: «არის საკმაო

ფართობი ქურუმობისათვის, აქვს მას საკუთარი კედელი (ნინოს ცხოვრებით რომ იგულისხმება) და როგორ მოხდა, რომ ამ ადგილას ჯვარი არ აღმართეს და (შემდეგ) ქრისტიანული სამლოცველო არ ააგეს» [62, გვ. 228-229]. იმისდამიუხედავად, რომ ქართლის გაქრისტიანების საწყის ეტაპზე აღმართული ჯვრების ადგილას ეკლესიები ყველგან ერთდროულად არ აუგიათ, ჯვრები სათანადო ნაგებობათა გარეშეც ასრულებდნენ თავის დანიშნულებას [63, გვ. 31]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ძნელად დასაჯერებელია, რომ ფშავის არაგვის კართან მდებარე წარმართული საკერპო ხელუხლებლად დაეტოვებინათ წობენის ქადაგების მახლობელ ხანაში და მაშინ, როდესაც არაგვის ხეობების სიღრმეში «მუსრავენ» კერპებს, 326 წელსვე თუ არა, ამ თარიღიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ იქ ეკლესია, ან კი ჩვეულებრივ ჯვარი მაინც არ აღემართათ, რაც, თავისთავად, ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარმართული ხატ-სალოცავის «დაპყრობას» ნიშნავდა.

ჟინვალის წყალსაცავის დაჩქარებული ტემპით მშენებლობის გამო, დიდი ნაწილი სამაროვნისა, არქეოლოგთა იქ მისვლამდე, კარგა ხნით ადრე განადგურდა. ამიტომ სამარხთა სტრატიგრაფია-ქრონოლოგიაზე მსჯელობის საშუალებას ათიოდე გათხრილი ძეგლი თუ იძლევა, ხოლო სამაროვნის რადიაციის მასშტაბების თაობაზე, ხსენებული მიზეზისდა გამო, უკვე ვერაფერს ვიტყვით. ისიც დაუდგენელი დარჩა, წარმოადგენდა ის დამოუკიდებელ, ცალკე სასაფლაოს თუ ჟინვალის არაგვსგაღმა სამაროვნის ნაწილი იყო. შესწავლილი მცირერიცხოვანი სამარხების ქრონოლოგიურ ჩარჩოდ IV ს-ის პირველი მეოთხედი და V ს-ის დამდეგი პერიოდი ვივარაუდეთ (მხედველობაში არ მიიღება განვითარებული შუა საუკუნეების ქვის სამარხები, რომელთაც ადრეულ სამაროვანთან კავშირი არ უნდა გააჩნდეთ). იმის შესახებაც ითქვა, რომ №1 და №2 სამარხები, გარკვეული ნიშნების მიხედვით, შეიძლება გვიანრომაულ ხანასაც განეკუთვნოს. გათხრის შედეგად წარმოჩენილი სიტუაციიდან გამომდინარე თუ დავუშვებთ, რომ კვირაცხოვლის სამაროვანზე დაკრძალვა IV-V სს-ის მიჯნაზე წყდება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რაღაც აუცილებლობით იქნა გამოწვეული, მით უმეტეს, რომ არაგვს გაღმა სამაროვანზე VIII ს-მდე იკრძალებოდნენ. ისევ გავიმეორებთ - თუ სამარხთა თარიღი კვირაცხოვლის სამაროვნის ქრონოლოგიას რეალურად ასახავს, მაშინ ვარაუდის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ ამ სამარხებს, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებშიც მიცვალებულები არქაული წესით იყვნენ დაკრძალულნი, კვირაცხოვლის ეკლესიასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. საქმე ისაა, რომ არსებობს ფრიად საყურადღებო მოსაზრება სამაროვნების ეკლესიებთან მასიურად გვიან, VIII ს-დან გაჩენის შესახებ [63, გვ. 54] (ისიც უთუოდ ანგარიშგასაწევია, რომ კვირაცხოვლის ეკლესიის თანადროული გალავანი ნაწილობრივ ადრეულ სამარხებზეა დაშენებული). თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კვირაცხოვლის ადგილზე ახალი სარწმუნოების სიმბოლოდ აღმართული ჯვრის სიახლოვეს, რომელიც სათანადო ნაგებობის გარეშეც ასრულებდა ეკლესიის ფუნქციას, ნეოფიტ და, მით უმეტეს, მოუნათლავ გარდაცვალებულთა დაკრძალვას მოერიდებოდნენ, ხოლო აქ ეკლესიის აგების შემდეგ ეს პროცესი შეწყდებოდა. გვიანრომაულ-ადრექრისტიანული სამაროვნების არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე შესაძლებელია კვირაცხოვლის ადრეული სამარხების თარიღის უფრო მეტი სიზუსტით განსაზღვრის შესახებ მსჯელობა. როგორც ითქვა, ადმინისტრაციულ-საქალაქო ცენტრებში III-IV სს-ის მიჯნაზე და განსაკუთრებით კი IV ს-ის პირველ ნახევარში ქრის-

ტიანული დაკრძალვის წესი გაბატონებულ პოზიციას იმკვიდრებს, რაც ფაქტობრივად არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, აგრეთვე ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ჟინვალის სამაროვნების მაგალითზე ჰპოვებს დადასტურებას. საკვლევ რეგიონში ქვის სამარხების გაჩენის ხანად ქართლის ნათლისღების მომდევნო პერიოდია მიჩნეული [11, გვ. 92; 27, გვ. 3], რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. კერძოდ თუ მოსახლეობის ფართო ფენებში, მით უფრო ადმინისტრაციულ-საქალაქო ცენტრებში, როგორიც, ალბათ, იმ დროის ჟინვალი იყო, ქრისტიანული სარწმუნოება და მასთან დაკავშირებული დაკრძალვის წესი ფაქტობრივად დადასტურებულია, სამარხ ნაგებობად ქვის სამარხის გამოყენება დროში რატომ უნდა დაყოვნებულიყო, მით უმეტეს, რომ მცხეთის სამთავროს ველის სამაროვანზე ამ ტიპის სამარხები აღნიშნულ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. გარდა ამისა, არსებობს კი IV ს-ის პირველი მეოთხედის და დროში უშუალოდ მასზე წაბმულ არქეოლოგიურ ნივთიერ კულტურაში ისეთი სხვაობა, რაც ამ პერიოდის სამარხთა კატეგორიული გამიჯვნის საბაბს იძლევა? ჩვენი აზრით, ოც თუ ოცდაათწლიან მონაკვეთში ამ კუთხით რაიმე არსებითი სხვაობა არ უნდა შეინიშნებოდეს, მით უმეტეს თუ ეს ნივთიერი კულტურა საერთო ქრისტიანულ სუბსტრატზეა აღმოცენებული. ამიტომ, როდესაც საკითხი ეხება ე. წ. წინარექრისტიანულიდან უშუალოდ ქრისტიანულზე გარდამავალ ეტაპს, ქართლის ნათლისღების თარიღი მყარად დადგენილ ქრონოლოგიურ მიჯნად არ უნდა განიხილებოდეს. მსჯელობა იქითკენ მიგვყავს, რათა დავასაბუთოთ კვირაცხოვლის სამარხების არაუგვიანეს IV ს-ის I ნახ. გაჩენა. სხვათა შორის, №2 ქვის სამარხში მოპოვებული მასალის (ბრინჯაოს აბზინდა, ქვის სალესი და რკინის დანა) მიხედვით, რიგ პუბლიკაციებში კვირაცხოვლის სამარხები გვიანარმაზული (გვიანრომაული) ხანითაა დათარიღებული [64, გვ. 70; 65, გვ. 37; 66, გვ. 160]. კვირაცხოვლის სამაროვნის გაჩენის დროისა და მიზეზთა საკითხების კვლევისას მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: IV ს-ის საწყის ეტაპზე უკვე პრაქტიკულად გაქრისტიანებულ ჟინვალის მოსახლეობას (III-IV სს-ის სამარხების აღნაგობა და იქ დაკრძალულთა ქრისტიანული წესით დამხრობა) გამოეყო ძველი ტრადიციების მიმდევართა შედარებით მცირე ნაწილი, რომელთაც სამაროვნისათვის ადგილი მათთვის ორგანულ «საკერპოსთან» შეარჩიეს. ამ სამაროვნის სამარხი ნაგებობები და რიგ შემთხვევაში მათი ორიენტაცია, აგრეთვე დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, რაც დაკრძალვის არქაულ წესში ქრისტიანული ელემენტების ერთგვარი ფორმალური სახით შეჭრაზე უნდა მიანიშნებდეს, მაგრამ, განსხვავებით არაგვსგაღმა სამაროვნისა, აქ აშკარად წარმართული ტრადიციითაც იკრძალებოდნენ. IV ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულს «საკერპოს» ადგილას ჯვარი აღმართეს, რის შემდეგაც «ტრადიციონალისტ» ჟინვალელთა სამაროვანი მალევე წყვეტს არსებობას. ასეთ მოსაზრებას ამყარებს ის, რომ კვირაცხოველზე IV ს-ზე ადრეული სამარხები არ გამოვლენილა და ეს მაშინ, როდესაც არაგვსგაღმა სამაროვანზე დაკრძალვა ძვ. წ. I ს-დან ახ. წ. VIII ს-მდე უწყვეტად გრძელდება; ე. ი. IV ს-ში ახალი სამაროვნის გაჩენის სხვა რაიმე მიზეზი (ვთქვათ ადგილის სიმცირე), თუ არა სარწმუნოებრივი უთანხმოება, არ უნდა არსებულიყო. ძველ წარმართულ სალოცავზე ჯვრის აღმართვა ჟინვალისა და მისი შემოგარენის უპირობო და საბოლოო გაქრისტიანების ნიშანი იყო და ამის შემდეგ იმ მცირერიცხოვან წარმართულ თემსა თუ სექტას, ქრისტიანულ მრევლში გათქვეფის გარდა, სხვა გზა არ გააჩნდა.

ამრიგად, კვირაცხოვლის არქიტექტურული კომპლექსის, უფრო ზუსტად კი, ალბათ, მის ადგილზე თავდაპირველად აღმართული ჯვრის, ანუ ქრისტიანული ტაძრის წინამორბედის ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნად დაახლოებით IV ს-ის პირველი მეოთხედის გასულს ვსახავთ, ხოლო უშუალოდ ეკლესიის მშენებლობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად არაუგვიანეს V ს-ის მიწურულს, ე. ი. ვახტანგ გორგასლის ზეობის პერიოდს მივიჩნევთ. საქმე ისაა, რომ «ვახტანგ გორგასლის მარცხის შემდეგ, როდესაც ირანის მოძალეობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და ცეცხლთაყვანისმცემლებით აივსო ქვეყანა, ქრისტიანობას არა მარტო მთაში, არამედ ბარშიც უნდა განეცადა უკუსვლა განსაკუთრებით 523 წლის შემდეგ, როდესაც ქართლში სამეფო ხელისუფლება იქნა გაუქმებული ... ამდენად, VI საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში და მით უმეტეს მთაში შეუძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ რაიმე მნიშვნელოვანი ქრისტიანული ნაგებობის აღმართვა» [67, გვ. 18].

ვფიქრობთ, ჟინვალის კვირაცხოვლის ეკლესიის მშენებლობის ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოების საკითხი გარკვეულია - ძეგლი აიგო IV ს-ის პირველი მესამედისა და V ს-ის მეორე ნახევრის ფარგლებში. უფრო კონკრეტული თარიღის დასადგენად რაიმე მყარი არგუმენტი არ გაგვაჩნია.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ მომდევნო საუკუნეები და ვნახოთ, მოსალოდნელი იყო თუ არა იმ დროს კვირაცხოვლის ეკლესიის მშენებლობა. VI ს-ის 80-იანი წლებიდან ვიდრე VII ს-ის პირველ მეოთხედში ხაზართა მონაწილეობით ბიზანტია-ირანის ომამდე და, განსაკუთრებით რამდენამდე მოგვიანებით არაბთა ხალიფატის აგრესიამდე, რამაც VIII ს-ის 30-იან წლებში შეიწირა ჟინვალის ადგილას გაშენებული ქალაქური სამოსახლო, ქვეყნის ცხოვრებაში იწყება გარკვეული აღმავლობა [67, გვ. 18], მაგრამ კვლავ გავიმეორებთ - პრაქტიკულად შეუძლებლად მიგვაჩნია VI ს-ის მიწურულამდე ქრისტიანული ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და საერთაშორისო სატრანზიტო პუნქტში ერთ-ერთი წარმართული საკულტო ცენტრის თვალსაჩინოდ არსებობა.[3] მართალია, ჯუანშერის ცნობით «ხევსა მას ლოპოტისასა ქვეყანასა მას კლდეთა მოზღუდულთა ... იყუნეს სოფლისა მის კაცნი წყლისა და ცეცხლის მსახურნი» [56, გვ. 98], მაგრამ თავად წყარო მოწმობს, რომ ეს წარმართნი გარიდებულად, კლდით მოზღუდულ ქვეყანაში მსახურებდნენ ცეცხლსა და წყალს. IX ს-დან ძლიერდება კახეთის სამთავრო და არაგვის ხეობები მის საზღვრებში ექცევა [68, გვ. 131]. სწორედ ამ პერიოდზე მოდის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საეკლესიო აღმშენებლობის გააქტიურება, თუმცა არქეოლოგიური გათხრებით გაირკვა, რომ ჟინვალის ისტორიაში შემდგომი წყვეტილია და იქ ცხოვრების განახლება შეინიშნება X ს-დან მაინც, განახლებული ჟინვალის ზრდა და დაწინაურება კი XI-XII სს-ზე მოდის [35, გვ. 71-73]. ამ დროს უნდა აღდგენილიყო თითქმის მივიწყებულ-მიტოვებული კვირაცხოვლის საკრალური ფუნქცია, რაც აქ ამ პერიოდის სამარხების არსებობითაც დასტურდება. კვირაცხოვლის ზემოთ მდებარე მცირე ერთნავიანი ეკლესიაც მაშინ უნდა იყოს აგებული.

---

[3] განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქალაქ ჟინვალის ერთ-ერთ უბანში აღმოჩნდა კონსპირაციული სათავსები საკურთხევლებით [35, გვ. 73], მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა, სპეციფიკური რიგის მოვლენასთან გვქავს საქმე და აქ მასზე ყურადღებას არ ვამახვილებთ.

განვითარებული შუა საუკუნეების ჟინვალისა და მისი შემოგარენის ეკლესიები რაიმე განსაკუთრებული ღირსებით არ გამოირჩევიან, ქართული ქრისტიანული არქიტექტურის რიგით ძეგლებს წარმოადგენენ, თუმცა ეპოქის ნიშანდობლივ არქიტექტურულ ელემენტებს მეტ-ნაკლებად შეიცავენ და მკვეთრად განსხვავდებიან აშკარად ხალხური სამშენებლო ტრადიციებით აღბეჭდილ და, მთლიანობაში, მდარე ხარისხის კვირაცხოვლისაგან. აქედან გამომდინარე, ჟინვალთან, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ისტორიულ ფხოვში ქრისტიანული სარწმუნოების პოზიციების დაცვა-განმტკიცება იყო [69, გვ. 37-49], წარმოუდგენელია, ამ დროს, «სავიზიტო ბარათად» ქალაქში შემავალი გზის პირზე, აეშენებინათ კვირაცხოვლის დარი უსახური ეკლესია.

შებრტყელებულ აბსიდიან ეკლესიებზე მსჯელობისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა თუ რა აუცილებლობამ განაპირობა ასეთი, კონსტრუქციული თვალსაზრისით ერთობ მოუხერხებელი, ვიზუალურადაც უმეტესად არაეფექტური და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებული აბსიდის გაჩენა და რატომ მაინცდამაინც მთიან რეგიონებშია ამ ტიპის ძეგლების სიმრავლე. ვფიქრობთ, ამ კონკრეტული საკითხის კვლევა საქართველოს მთისა და ბარის ისტორიულ ურთიერთობათა პროცესების კონტექსტში უნდა წარიმართოს. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთა და კონკრეტულად ფხოვი ქართლის ნათლისღების პირველსავე ეტაპზე მკვეთრად შეეწინააღმდეგა ახალ სარწმუნოებას. მიუხედავად ქართლის სამეფოს მესვეურთა მხრიდან მთაში გატარებული რიგი წარმატებული ღონისძიებებისა, რისი გამოხატულებაც აქ ეკლესიათა მშენებლობა იყო და რაც არქეოლოგიურმა გათხრებმა ფაქტობრივად დაადასტურა [70], საკმარისი იყო ბარის ოდნავი შესუსტება, რომ დაწყებულიყო მთაში მოპოვებული წარმატებათა ძირითადი საყრდენების - ციხესიმაგრეებისა და ეკლესიების დარბევის პროცესი [57, გვ. 121]. მთაში ფეოდალიზმის წარმატებებს «მეთემეთა რევოლუციის» ტალღა ენაცვლებოდა, რასაც ფეოდალიზმის წარმატებების გაუქმება მოსდევდა [71, გვ. 41]. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთ ექსტრემალურ პირობებში, როდესაც მთური ტრადიციული სოციალური სისტემები ვერ ჰგუობს ბარის (სახელმწიფოს) ინტერესების დამნერგავ ინსტიტუტებს და მათ შორის ოფიციალურ ეკლესიას, აქ პოლიტიკურად ხელსაყრელ პირობებშიაც გაჭირდებოდა არქიტექტურული ნორმების შესატყვისი სატაძრო მშენებლობის გაშლა. ეკლესიების მშენებლობას ექნებოდა ექსტენსიური ხასიათი და ამ პროცესში, სამეფო ხელისუფლების და ეკლესიის მესვეურთა მიერ განწესებულ ხელოსანთა გვერდით, უმთავრესად ქრისტიანული არქიტექტურის სპეციფიკაში გაუთვითცნობიერებლი ადგილობრივი მოსახლეობა იქნებოდა ჩართული, რომელთაც, ცხადია, დასახული მიზან-ამოცანათა წარმატებით განხორციელება არ ხელეწიფებოდათ და რაც მათი მონაწილეობით აგებულ ეკლესიებს დაეტყო კიდევაც. ეს არცაა მოულოდნელი, რადგან სტრუქტურულად უმარტივესი ტაძრის ტიპის - ერთნავიანი ეკლესიის (რომელიც აქ და, საერთოდ, საქართველოში ყველაზე მრავლადაა) სფეროს მეოთხედი ფორმის კონქით გადახურული საკურთხევლის აბსიდი, კონსტრუქციული გადაწყვეტის თვალსაზრისით ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ელემენტია, რომლის ნორმალურად გამართვა არა მხოლოდ პროფესიონალი ხუროთმოძღვრის ხელმძღვანელობით, არამედ მაღალკვალიფიციური კალატოზების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. მაშასადამე, ასეთი სახის ძეგლებზე მსჯელობისას ხალხურ ტრადიციად უნდა ვიგულისხმოთ არა წინარექრისტიანული ხანიდან

მომდინარე რომელიმე სამშენებლო ხერხი, არამედ ხალხიდან გამოსულ მშენებელ-ოსტატების მიერ ქრისტიანული არქიტექტურის წიაღში თავისდაუნებურად შეტანილი და შემდგომ დამკვიდრებული სპეციფიკური ელემენტი, რომელიც გვიან უკვე მართლაც მიბაძვის საგნად იქცა და თავისებურ ტრადიციას დაუდო სათავე.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ კვირაცხოვლის ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული კომპლექსი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ბარის ისტორიული ურთიერთობების კვლევის კუთხით, საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ძეგლია.

## ლიტერატურა


1. **რჩეულიშვილი მ.** არქეოლოგიური ძიება კვირაცხოველზე, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975.
2. **რჩეულიშვილი მ.** კვირაცხოვლის კომპლექსი, არქეოლოგიური ძიებანი (II და III სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1982.
3. **ტყეშელაშვილი ო.** ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (IV-VIII სს.), სსმმ, ტ. XIX, 1959.
4. **კიკვიძე ი., ჭილაშვილი ლ.** ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ზეთანიასთან, სსმმ, ტ. XXII, 1961.
5. **აბრამიშვილი რ., ნიკოლაიშვილი ვ., რამიშვილი ა.** არქეოლოგიური გათხრები დიღმის ხეობაში, მაცნე, ისტორიის ... სერია, №2, 1972.
6. **ნიორაძე გ.** კარსნისხევის სასაფლაო, სმმ, ტ. 4, 1926.
7. **Рамишвили Р.** Исследования раннесредневекового могильника Иагсари, ТКАЭ, I, 1969.
8. **მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ.** ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კაეშ, VI, 1984.
9. **აფხაზავა ნ.** ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.
10. **Иващенко М.** Руставский могильник (археологические раскопки в 1946 г.), რუსთავი I, არქეოლოგიური გათხრები 1946-1965 წლებში, თბ., 1988.
11. **Рамишвили Р., Джорбенадзе В.** Археологическая экспедиция горного региона восточной Грузии, ПАИ в 1986 году, Тб., 1991.
12. **ჩიხლაძე ვ., ნიკოლაიშვილი ვ.** ჟინვალის სამაროვანზე წარმოებული მუშაობის ანგარიში, ჟინვალის ექსპედიცია (II სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980.
13. **ჩიხლაძე ვ.** სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე, აძ, თბ., 1977.
14. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვანი (1976 წლის მასალების მიხედვით), აძ (II და III სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1982.
15. **ლომიძე ც.** აბანოსხევის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი, ფსაძ, ტ. VI, თბ., 1988.
16. **ჩიხლაძე ვ., რობაქიძე ც.** არაგვის ხეობა რომაულ და ადრექრისტიანულ ხანაში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი აღმოსავლთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისთავისადმი (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1996.
17. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

18. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს სამაროვანი (1976 წლის განათხარის მიხედვით), აძ (II და III სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1982.
19. **რამიშვილი რ.** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, კრ. ჟინვალი I, თბ., 1983.
20. **ბოლქვაძე გ.** ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი დმანისის რაიონიდან, ძმ, №66, 1984.
21. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
22. **ნიკოლაიშვილი ვ.** ვაშლიჯვარის სამაროვანი, სას, II, თბ., 1978.
23. **Куфтин Б.** Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
24. **Синауридзе М.** Результаты археологического изучения Болнисского района, Тб., 1977.
25. **პაჭიკაშვილი ნ.** რუსთავის სარკოფაგები, ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბ., 2000.
26. **რჩეულიშვილი გ., როზაქიძე ც., ჩიხლაძე ვ.** დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის გავრცელების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (არაგვის ხეობის მასალების მიხედვით), ადრეული ქრისტიანობა და საქართველო, თბ., 1996.
27. **ჩიხლაძე ვ.** არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით), ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
28. **მენაბდე მ., კიღურაძე თ., გოცაძე კ.** ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის შედეგები, სსმაე, ტ. VII, 1980.
29. **Апакидзе А., Николаишвили В. и др.** Мцхетская экспедиция, ПАИ в 1986 году, Тб., 1991.
30. **კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ.** სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარები, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 1990.
31. **მინდორაშვილი დ.** არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ., 2005.
32. **Афанасьев Г.** Пряжки катакомбного могильника `Мокрая балка˜, Северный Кавказ в древности и средние века, М., 1980,
33. **Деопик В.** Классификация и хронология аланских украшений IV-IX вв., Материалы и исследования по археологии Кавказа, М., 1963.
34. **ღლონტი მ.** უძველესი ძეგლი ჟინვალის ნაქალაქარზე, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975.
35. **რამიშვილი რ.** ნაქალაქარი ჟინვანი, ფსაძ, ტ. IV, 1982.
36. **ბარდაველიძე ვ.** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, თბ., 1974.
37. **კიკნაძე ზ.** ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.
38. **Крупнов Е.** Средневековая Ингушетия, М., 1972.
39. **Бараниченко Н.** Доисламские верования и культы в исторических систематх общественных отношений вайнахов, Автореферат, М., 1985.
40. **დოლაბერიძე რ.** II-I სს. სალოცავი ნიშტაყოს ბორცვზე სოფ. შენაქოში, სსმმ, XI-B, 1991.
41. **ჯავახიშვილი ივ.** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.
42. **მაკალათია ს.** მთიულეთი, ტფ., 1930.
43. **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

**44. Лордкипанидзе О.** Наследие древней Грузии, Тб., 1989.
**45. Чубинашвили Н.** Зедазени, Клики Джвари, Гвиара, ქართული ხელოვნება, ტ. 7-A, თბ., 1971.
**46. Меписашвили Р., Цинцадзе В.** Архитектурные памятники исторической провинции Грузии - Шида-Картли, Тб., 1975.
**47. ანდღულაძე ნ.** თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.
**48. წერეთელი კ.** ანატორის ეკლესია, ძიებანი, №4, 1999.
**49. წერეთელი კ.** ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები კუდოს და საყვირალის ნასოფლარებზე, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003.
**50. ადამია ი.** ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (საინგილო), თბ., 1979.
**51. Чубинашвили Н.** დასახ. ნაშრომზე გ. ჩუბინაშვილის სარედაქციო დანართი.
**52. Асратян М.** Архитектура грузинских и армянских церквей с прямоугольным внутри алтарем, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.
**53. ლომიძე ც.** ნასოფლარი ბანთარეული, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003.
**54. ბერძენიშვილი ნ.** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
**55. რამიშვილი რ.** ჟინვალის ექსპედიცია, მიზანი, პირველი შედეგები, პრობლემები. კრ. ჟინვალი I, თბ., 1983.
**56. ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
**57. რამიშვილი რ.** მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ჟინვალის ექსპედიცია (II სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980.
**58. გაგოშიძე ი.** ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის, სსმმ, ტ. 43-B, 1999.
**59. ჯანაშია ს.** შრომები, ტ. I, თბ., 1948.
**60. Чубинашвили Г.** Памятники типа Джвари, Тб., 1948.
**61. ჩუბინაშვილი ნ.** ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, ძმ, №30, 1972.
**62. ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII თბ., 1990.
**63. რამიშვილი რ.** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, სიონი, თბ., 1970.
**64. რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ. და სხვ.** ჟინვალის ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბ., 1974.
**65. Рамишвили Р., Джорбенадзе В.** Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР., Тб., 1976.
**66. Чихладзе В., Робакидзе Ц.** Арагвское ущелье в I-VIII веках, Душетская научная конференция посвященная проблеме взаимоотношении между горными и равнинными регионами Грузии, Тб., 1984.
**67. რამიშვილი რ.** აღმოსავლეთ საქართველოს გაქრისტიანების ძირითადი საფეხურები და თავისებურებანი არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, ადრეული ქრისტიანობა და საქართველო, თბ., 1996.

68. **მუსხელიშვილი დ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხე-ბი, ტ. II, თბ., 1980.
69. **წერეთელი კ.** ქალაქი ჟინვანი და დარიალის საუღელტეხილო მაგისტრალი, ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XVI, თბილისი-მონრეალი, 2006.
70. **წერეთელი კ.** ისტორიული ფხოვისა და მისი მთისწინეთის ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლები, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
71. **მელიქიშვილი გ.** ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, მაცნე, ისტორიის ... სერია, №1, 1979.
72. **სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად**, თბ., 1994.

## ტაბულების აღწერილობა

**ტაბ. I.** 1. კვირაცხოვლის ეკლესიის გეგმა; 2-1. ეკლესიის განივი განაკვეთი აღმოსავლეთისაკენ; 2-2. ეკლესიის სიგრძივი განაკვეთი სამხრეთისაკენ.
**ტაბ. II.** 1. ნიში ეკლესიის სუბსტრუქციის დასავლეთ კედელში; 2. სამალავები ეკლესიის სუბსტრუქციის ჩრდილოეთ კედელში.
**ტაბ. III.** შებრტყელებულ აბსიდიანი ეკლესიები: 1. სალაღოს წვერი (VIII-IX სს), 2. «ევედრაულების» ეკლესია ხანდოს ხევის სოფ. დავითურებში (IX-X სს), 3. დიყელას ეკლესია ჩარგლისხევში (VIII-IX სს), 4. ჟინვალის კვირაცხოველი (IV-V სს). 5. კუდოს ეკლესია (VIII-IX სს), 6. «საყვირალის» სამონასტრო კომპლექსი (VI-VII სს).
**ტაბ. IV.** 1. რკინის მინიატურული უღელი; 2-3. მინის სამაჯურები (XI-XIII სს); 4-5. ვერცხლის ჯვრები გვიანი შუა საუკუნეების განძიდან; 6. სპილენძის ზარი, ეკლესიის იატაკის დონიდან; 7-9. ბრინჯაოს რკალები და ბეჭედი ადრე შუასაუკუნეთა სამარხებიდან; 10. ბრინჯაოს აბზინდა №2 სამარხიდან (III-IV სს).

К. Церетели

### Могильник и церковь Квирацховели близ городища Жинвали

резюме

В связи строительством Жинвальского гидротехнического комплекса, полностью унечтоженный памятник находился южнее городища Жинвали на расстоянии 600 м.

В 1973-74 гг. проведенные археологические раскопки показали, что возведенная на достаточно высокой субструкции церковь имела огороженную стеной внутренний двор, где на разных уровнях были раскопаны 11 захоронении: 9 каменных ящиков, одно грунтовое погребенные и одна могила с `каменной каймой˜. Хронологически эти

могилы делятся на две группы: I группа IV в; II группа XI-XII вв. В некоторых ранних захоронениях ориентация усопших христианская, однако скорченная поза указывает на переходной от язычество к христианству период, что потверджается найденном в #2 каменном ящике типичной для позднеримско-раннехристианской эпохи бронзовой бляхой, с головой язычка змеевидной формы. Часть погребений без инвентаря, но в остольных захоронениях обноруженные стеклянные браслеты и бронзовые кольца определенно относятся к XI-XIII вв. Найденны при очистке двора керамический материал делится на следующие группы: горшки, миски, пифосы и т. д. Выявленные несколько полихромно-глазурованные черепки, вместе упомянутой керамической утварю дотируются XI-XII вв. В северной части субструкции, в тайнике под полом церкви были найдены обломки керамики светлого обжига XI-XII вв. Арочная ниша в западной стене субструкции была заполнена черепками разновидной посуды позднесредневековой эпохи. Тамже нашли миниатюрное ритуальное ярмо того же времени. Опираясь на археологические данные, в свое время, дату постройки церкви определили XI-XII веками.

Учитывая топографические, стратиграфические и архитектурные данные памятника, а также историю города Жинвали, приходим к выводу, что ранне предложенная датировка подлежит основательной коректировке.

Среди раскопочного материала этой местности особый интерес вызывает антропоморфно-зооморфное лепное изображение божества из самого нижнего - Куро-Аракского культурного слоя, которое если не для всего ущелья Пшавис Арагви, то по крайней мере его большой части являлось главным святилищем.

Летопись `Обращения Картли~ довольно достоверно описывает происходящие в IV в. вблизи данного памятника события, сязанные с усилением царской власти, для насождения христианства в нагорье на начальном же этапе крещения Грузии. Исходя из сказанного, нагорье Грузин никойм обрахом не могло избежать культурной экспансии государства. Это значит, что после упомянутых мероприятии все ресурвы и возможности для дальнейшего функцианирования древнего и в сое время важнейщего святилища польностью иссякли. Принимая во внимание древнюю традицию, вполне допустимо на месте упраздненного святилища по началу воздвижение креста, вскоре же, а именно во второй половине V века строительство церкви. Скалистый рельеф для строительство церкви был обсолютно непригоден, однако опять таки же пункт святилища само по себе указал на конкретное место, по кой причине церковь приобрела довольно непреглядный облик. Что касается ниши субструкции, которая до сноса церкви являлась обьектом особого поклонения и найденного в нем сакрального ярма, то можно судить об определнно синкретическом характере данного культового памятника.

ტაბ. I




1




ჟინვალი XIV-73
ჭრილი 2-2
M 1:50



1



2

ტაბ. III




1




2




3




4



5




6

ტაბ. IV



მერი ჩხატარაშვილი

# მინის ათი ბეჭედი რუსთავიდან

სამკაულს ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა. თავდაპირველად მას მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა და ბუნებრივი ნედლეულისგან ამზადებდა. შემდეგ, ხელოვნური მასალისგანაც. ერთ-ერთი ასეთი ხელოვნური მასალა იყო მინა, რომელსაც ადრეული ხანიდანვე იყენებდნენ ლამაზი და ფართო მოხმარების ნივთების დასამზადებლად. თავისი მდგრადობის თუ გამჭვირვალობის, სხვადასხვა მეთოდით დამუშავების შესაძლებლობებით, თუ ფერთა გამის ფართო დიაპაზონით, მინამ სამკაულის წარმოებაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

მინის სამკაული (მძივები, ბეჭდები, სამაჯურები, ჩასასმელი თვლები, საკინძის თავები და სხვ.) ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნეების საქართველოში. რუსთავის არქეოლოგიური მინა ერთ-ერთი საუკეთესო კოლექციაა საქართველოს ნაქალაქარების მასალებს შორის. ამ კოლექციის საკმაოდ დიდ ჯგუფს მინის სამკაული წარმოადგენს. ამჯერად განვიხილავთ რუსთავში აღმოჩენილ ადრეული შუასაუკუნეების მინის ბეჭდებს.

ბეჭედი სამკაულის თავისებური, საინტერესო და უძველესი სახეობაა. მას ამზადებდნენ სხვადასხვა ლითონისგან და ქვისგან, ძვლისგან და მინისგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სიტყვა «ბეჭდის» წარმომავლობისა და მისი მრავალგვარი დანიშნულების შესახებ [5, გვ. 166-175. ლიტ. იხ. იქვე], ამიტომ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რუსთავის ადრეული შუასაუკუნეების მინის სამკაული ძირითადად IV-V, IV-VI და VI-VIII სს-ის სამაროვნებიდან მომდინარეობს. გვხვდება იმავე ხანის კულტურულ ფენებშიც. მძივები ყველა პერიოდშია, უფრო მეტად IV-V სს-ში. ბეჭდები და სამაჯურები კი მხოლოდ VI-VIII სს-შია წარმოდგენილი [60, გვ. 146, 147].[4]

რუსთავში შავი და ფერადი მინის 10 ბეჭედია. თითო ნაციხვარისა და ნაქალაქარის კულტურული ფენიდან, 8 _ VI-VIII სს-ის სამაროვნიდან. აღნიშნული სამაროვანი მდებარეობს რუსთავის ნაქალაქარზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე _ მშენებელთა, გომელაურისა და კომუნალურ ქუჩებს შორის. იქ, 1946 წელს მ. ივაშჩენკომ გათხარა სამაროვნის ნაწილი [45, გვ. 71-86]. 1980 და 1988 წლებში კი იმუშავა რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ [56, გვ. 59-61 (თარიღი სწორად არ იყო განსაზღვრული); 58, გვ. 108-110]. სამაროვანზე აღმოჩნდა მინის 4 ბეჭედი, 4 – შემთხვევითი აღმოჩენაა.

მინის სამკაულიდან სამაროვანზე ბეჭდების გარდა გვხვდება მძივები და სამაჯურები. რუსთავში ადრეული შუასაუკუნეების მინის სამაჯურების აღმოჩენა, ამ ქალაქის თავისებურებადაა მიჩნეული [60, გვ. 146].

მინის ათივე ბეჭედი (ინახება რუსთავის ისტორიულ მუზეუმში) პირობითად ერთ – ფარაკიანი ბეჭდების ტიპში ერთიანდება. ყველას რკალი წვრილი და მრგვალგანივკვეთიანია. ფარაკის მოყვანილობის მიხედვით გამოიყო 3 სახე: I. რკალი ერთ ადგილზე მცირედ ოვალურია; II. რკალის შეერთებისას სხვადასხვაგვარი დაბალი დაბრტყელება აქვს ან III. ზემოდან სხვა ფერის ფარაკია დალღობილი.

---

[4] რუსთავში განვითარებული შუასაუკუნეების მინის ბეჭდები, სადღეისოდ, აღმოჩენილი არ არის.

I სახე. ბეჭდის რკალი ერთ ადგილას მცირედ ოვალურადაა გამოყვანილი. იგი ე. წ. ფარაკწაკვეთილ ბეჭდებს მიეკუთვნება. მინა მომწვანო-მოყვითალოა, ნახევრადგამჭვირვალე, დიდ-პატარა ბუშტულებით, მეტად გამოფიტული. დმ - 1,3 სმ. ასეთი ერთადერთი ბეჭედი (ტაბ. I, 1) აღმოჩნდა რუსთავის ნაციხვარზე, ადრეული შუასაუკუნეების ფენაში. გ. ლომთათიძემ სტრატიგრაფიული მონაცემებითა და თანმხლები მასალების მიხედვით ის VI-VII სს-ით დაათარიღა [8, გვ. 73]. ამ თარიღს ჩვენც ვიზიარებთ. რუსთავული ბეჭდის ზუსტი ანალოგიაა დიღომში 1936 წელს შემთხვევით აღმოჩენილი შაბიამნისფერი ბეჭედი,[5] რომელიც ასევე VI-VIII სს-ით უნდა დათარიღდეს. ანალოგიურია ურბნისის ნაქალაქარის ზედა ფენიდან (VI ს-ის 30-იანი _ VIII ს-ის 30-იანი წლები) მომდინარე მოყავისფრო ბეჭედი [36, გვ. 104, 122, სურ. 58-6; 23, გვ. 42, ტაბ. I, 4], რომელიც ნ. აფხაზავამ კონკრეტულად VII ს-ის შუა წლებით დაათარიღა [3, გვ. 109]. ასეთები, ოღონდ უფრო დიდებია (დმ 2 სმ) სამთავროს სამაროვნიდან ნ. აფხაზავას მიხედვით შემდეგნაირად დათარიღებული ბეჭდები: შავი ფერის _ VII ს; ლურჯი _ VII ს-ის მეორე ნახევარი – VIII ს-ის დასაწყისი; ღია ლურჯი და მთლიანად გამოფიტული – ორივე VII-VIII ს-ის დასაწყისი [2, გვ. 97, ტაბ. XLIII, 2, 58, 20, 21]. ანალოგად შეიძლება მოვიტანოთ აგრეთვე №236(40S) ქვის სამარხში აღმოჩენილი შავი მინის (გამოფიტული) 3 ბეჭედი. ამ შემთხვევაში წვრილ რკალთან ერთად გამოყვანილი პატარა ფარაკი მრგვალია, მაგრამ ცხადია, ესეც იმავე სახეობას მიეკუთვნება. მოგვიანებით ეს სამარხი ნ. აფხაზავამ VII ს-ით დაათარიღა [3, გვ. 109; შდრ. 2, გვ. 73, 98]. მარტყოფის (ადგილი ლაღაანი) სამაროვნიდან კი გვაქვს წვრილ რკალთან ერთად გამოყვანილი რომბულფარაკიანი (II სახის ორ ბეჭედთან ერთად) შავი, კრიალა, გამოუფიტავი მინის ბეჭედი (რაესწ №04-2-82-7). ლაღაანის სამაროვანი [56, გვ. 61; 57, გვ. 63, 64] ინვენტარის (ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი, ბრინჯაოს ენიანი აბზინდა, რკინის სამფრთიანი ისრისპირები და სხვ.) მიხედვით, ვფიქრობთ, უფრო VI ს-ის მიწურული _ VII ს-ით უნდა დათარიღდეს. ოვალურად ფარაკწაკვეთილი შავი მინის ბეჭედი აღმოჩნდა (II სახის ბეჭედთან ერთად) ქვემო ალევში. თარიღდება VII ს-ის მეორე ნახევრით [3, გვ. 17, 18, 109, ტაბ. IX, 4]. ანალოგიური შავი და ფერადი მინის ბეჭდები აზერბაიჯანიდან (ორენ-ყალა) გამოქვეყნებულია VIII-X სს-ის მასალებთან ერთად [54, გვ. 38, ტაბ. IV, 6].

როგორც ვნახეთ, რუსთავის მინის ბეჭდების I სახისათვის მოტანილი ანალოგები ძირითადად VI ს-ის მიწურული _ VIII ს-ის დასაწყისით თარიღდება, რაც არ ეწინააღმდეგება რუსთავული ბეჭდის თარიღს _ VI-VII სს. აღვნიშნავთ, რომ ეს ტიპი სარდიონის ასეთივე მოყვანილობის, ე. წ. ფარაკწაკვეთილი ბეჭდების მიბაძვით უნდა იყოს გაკეთებული. ეს სახეობა უადრესია რუსთავულ ბეჭდებს შორის.

II სახე. ბეჭდის წვრილ რკალს შეერთებისას სხვადასხვაგვარი დაბალი დაბრტყელება აქვს. ასეთი ექვსივე ბეჭედი სამაროვნიდანაა. 5 ბეჭდის მინა შავია, მეტ-ნაკლებად გამოფიტული, ზოგი – კრიალა; 1 ყავისფერია, გამოფიტული. დმ 1,6-1,8 სმ.

1. ბეჭედი. წესიერმრგვალი. რკალის შეერთების ადგილას არაწესიერად, ოვალურად გაბრტყელებული (ტაბ. I, 2; I, 4-4). აღმოჩნდა მ. ივაშჩენკოს მიერ VI-VII სს-ით დათარიღებულ №7 ქვის სამარხში [45, გვ. 74, 75, 80, 81, ტაბ. XXVII, 32].

[5] საქართველოს ეროვნული მუზეუმი, შემთხვევით აღმოჩენათა ფონდი, ინვ. №2822.

2. ბეჭედი. ოდნავ ოვალური. რკალის შეერთებისას მოგრძოდ გაბრტყელებული (ტაბ.I, 5).

3. ბეჭედი. რკალის შეერთების ადგილას პატარა შემაღლებით. მინა მოყავისფროა, გამოფიტული (ტაბ. I, 6).

აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ნივთიერი კულტურის, ძირითადად სამარხეული სამკაულის კვლევისას ნ. აფხაზავა შეეცადა შეემუშავებინა ცალკეულ ნივთთა თუ არქეოლოგიურ კომპლექსთა აბსოლუტური ქრონოლოგია. სხვა ძეგლებთან ერთად მან გამოაქვეყნა რუსთავის სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალაც.

მინის ბეჭდებთან დაკავშირებით ნ. აფხაზავამ განიხილა სამთავროს VI-VIII სს-ის სამაროვნის ერთი ჯგუფის სამარხებში აღმოჩენილი ცისფერი და ლურჯი მინის ბეჭდები (წვრილი მრგვალგანივკვეთიანი რკალი დაბრტყელებული ან წაკვეთილი კონუსით) და სამარხეული სხვა მასალების გათვალისწინებით მინის ბეჭდების შემცველი თითოეული ქვის სამარხი კონკრეტულად დაათარიღა [2, გვ. 97, 98]. აღნიშნული სამარხების მინის ბეჭდები ზემოთ გვაქვს მოტანილი, როგორც ანალოგი რუსთავული ბეჭდების I სახისა. ფერადთან ერთად აქ შავი მინის ბეჭდებიცაა.

ნ. აფხაზავამ სამთავრული მინის ბეჭდების ანალოგად, სხვებთან ერთად მოიტანა ზემოთ ნახსენები II სახის სამივე ბეჭედი, მ. ივაშჩენკოს განათხარიდან და შემთხვევით აღმოჩენილი ორი ბეჭედი. მას ისინი თუ მათი შემცველი სამარხები კონკრეტულად არა აქვს განხილული, ხოლო თარიღები მოცემულია ტაბულების აღწერისას: №7 სამარხისათვის - VII ს-ის მეორე ნახევარი, ხოლო №1 სამარხისათვის - VII-VIII სს-ის მიჯნა [2, გვ. 97, 98, 127, ტაბ. XXXVIII, 41-43, 53-55; №7 სამარხისათვის შდრ. 45, გვ. 74, 75, 80, 81, ტაბ. XXVII, 27-35].

№7 სამარხში მინის ბეჭედთან ერთად (აქ მინის ერთი ბეჭედია და არა ორი, როგორც ეს ნ. აფხაზავას აქვს ტაბულაზე) არის ბრინჯაოს 2 ბეჭედი, 2 საყურე, საკინძი, საკინძის ღეროები, რკინის ნემსი, დანა (№№68-75). ვიწრო და ოვალურფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭდები (ტაბ. I, 4-3, 6) მიეკუთვნება ე. წ. ერთწილად ბეჭდებს, რომლებიც ქვემო ალევის მასალების მიხედვით (I ჯგუფის I სერიის I ვარიანტი) ძირითადად VII ს-ით თარიღდება, თუმცა გვხვდება VI ს-შიც [3, გვ. 103, 104, ტაბ. XXXV, 7, 15, 18, 46]. ოვალურფარაკიანი რკინის ბეჭდები გვხვდება ჟინვალის IV ს-ის მიწურული – VI ს-ით დათარიღებულ კატაკომბებში [28, გვ. 5, 9].

საკინძი ბრინჯაოსია (ტაბ. I, 4-1), მთლიანადსხმული. მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავმოხრილია და პატარა ბურთულით ბოლოვდება [45, გვ. 80, ტაბ. XXVII, 30; შდრ. 2, ტაბ. XXXVIII, 52]. მოხრილთავიანი (ნ. აფხაზავას მიხედვით «ყელმოხრილი») ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, ოღონდ პატარა ზომისა და ბურთულის გარეშე, გვხვდება ჟინვალის IV ს-ის მიწურული – VI ს-ით დათარიღებულ კატაკომბებში [29, გვ. 4, ტაბ. 2; 28, გვ. 9; 31, გვ. 199, ტაბ. I, 21, 22, ტაბ. IV, 255-257, 262]. ძეგლის გამთხრელი ვ. ჩიხლაძე ამ პატარა, თავმოხრილ საკინძებს თმის ვარცხნილობას უკავშირებს და ანალოგი არ ეგულება [29, გვ. 4; 31, გვ. 199], რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ მათ შემდგომი ხანის, გაცილებით დიდი ზომის თავმოხრილი საკინძების წინაპრებად მივიჩნევთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ VI ს-ში და შემდეგაც, უფრო მეტად მოხრილი თავი უკვე პატარა ბურთულათია დაბოლოვებული, ისე, როგორც რუსთავისაა. ასეთები არის სამთავროში, დათარი-ღებული VI ს-ის პირველი ნახევრით და VI ს-ის მიწურული – VII ს-ის პირველი

ნახევრით [2, გვ. 125, 127, ტაბ. XI, 17, ტაბ. XXVII, 32, ტაბ. XXXI, 39]; ქვემო ალევში _ VII ს-ის პირველი ნახევრით [3, გვ. 41, 44, 62, ტაბ. XXVI, 8, ტაბ. XXXI, 17]; ჟინვალში _ VI-VIII სს-ის ქვის სამარხში [31, გვ. 199]. რუსთავში, ქვემო ალევსა და ჟინვალში ასეთი საკინძი თითო ცალია. საერთოდ, ისინი არც თუ ხშირად გვხვდება. აგრეთვე ერთი ცალია მეტ-ნაკლებად მსგავსი საკინძი, რომელიც მომდინარეობს სოფ. მაგრანეთის საცხვრეგორის V-VIII სს-ის სამაროვნიდან [38, გვ. 50-52, 72, 73, 79, სურ. 11, №212]. იგი რუსთავულთან შედარებით უფრო დიდია. მოხრილი თავი ღეროსაგან რელიეფური სარტყლითაა გამოყოფილი და თავდება კონუსური გირჩით. ბოლო ხანებში საგანგებოდ იქნა შესწავლილი რუსთავის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნების საკინძები. ჩვენთვის საინტერესო საკინძის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი (I ჯგუფის III ტიპი) VI-VII სს-ით არის დათარიღებული [49, გვ. 116, 117, ტაბ. I, 4].

ბრინჯაოს საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები (დმ 3 სმ) თავგახსნილია, ბოლოებ-მოკაუჭებული. ერთ მხარეზე მირჩილულია ერთმანეთში გაყრილი ორი პატარა რგოლი, რომელზეც ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ორ ვარდულს შორის მოქცეული ყვითელი მინის მძივი (ტაბ. I, 4-5, 7). ზუსტად ასეთივე მომდინარეობს ამავე განათხარის დანგრეული სამარხიდან [45, გვ. 84, ტაბ. XXVIII, 6, 8, 9]; ანალოგიურია აგრეთვე 1988 წელს №23 სამარხში და 1951 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ნიმუშები.

ამგვარი თავსამკაული, ნაირნაირი ვარიანტებით ფართოდაა გავრცელებული ადრეულ შუასაუკუნეებში. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება რგოლზე მძივსაკიდების მიმაგრების ხერხით და მძივსაკიდების შემადგენლობით. ზოგი მკვლევარი მას საყურეს უწოდებს [45, გვ. 80, 84; 2, გვ. 61-75; 3, გვ. 96-103, ტაბ. XXXIV]; ზოგი სასაფეთქლეს [9, გვ, 87, 94]. ზოგს მიაჩნია, რომ იგი ორივე დანიშნულებისათვის შეიძლება გამოეყენებინათ [17, გვ. 100; 28, გვ. 8]. ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ.[6] ამგვარი სამკაული ძირითადად VI-VIII სს-ის ძეგლებზე გვხვდება, თუმცა ნ. აფხაზავა VIII ს-ის უმეტეს ნაწილს გამორიცხავს [2, გვ. 73, 74]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ბრინჯაოს სამკაული არსებობას განაგრძობს განვითარებულ შუასაუკუნეებშიც [18, გვ. 114-119, სურ. 18; 39, ტაბ. LXI, 2, LXXX, 2, №805, LXXIV, 2, №№769-771, LXXVII, 1, №800, 801].

მოვიტანთ რუსთავული ნიმუშის მეტ-ნაკლებად მსგავს საყურეებს: სამთავროდან _ VII ს და VII ს-ის მეორე ნახევარი [2, გვ. 127, ტაბ. XXXV, 14, 15, 27, ტაბ. XXXVII, 25, 26]; ნახშირგორიდან _ VII-VIII სს [2, გვ. 127, ტაბ. XXXVI, 43]; ვაშლაჯვარადან, თელო-ვანიდან, გლდანიდან (ადგილი «რიყიანები») _ VI-VII სს [15, გვ. 67, 74, ტაბ. XVII, 30; 17, გვ. 99, 128, ტაბ. XVI, 8; 40, გვ. 44, ტაბ. X, 2, №№1, 2]; ქვემო ალევიდან _ VI-VII ს-ის პირველი ნახევარი [3, გვ. 126, ტაბ. XXXIV, 31, 31-1, 32-34]; ჭერმიდან _ VI ს-ის მიწურული – VII ს [9, გვ. 86-88, 94-96, ტაბ. XXIV, IV-1, ტაბ. XXV, IV-11]; ჟინვალიდან _ IV ს-ის მიწურული – VI ს-ის კატაკომბიდან, აგრეთვე IV-VI და VI-VII სს-ის ქვის სამარხებიდან [28, გვ. 5-7, 9, ტაბ. I; 31, გვ. 203, ტაბ. III, 160-163; ტაბ. IV, 254, 263, ტაბ. V, 185]; საცხვრეგორიდან _ V-VIII სს [38, გვ. 77, 79, სურ. 11, №2141,2].

---

[6] გვინდა აღვნიშნოთ: თავშეკრულ რგოლზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავგახსნილი რგოლების ბოლოები ან გადახვეულია, ან ისეა მოკაუჭებული, რომ შეუძლებელია ის რაიმე დამატებითი დეტალის გარეშე საყურედ ან სასაფეთქლედ გამოეყენებინათ.

ვითვალისწინებთ რა №7 სამარხის ინვენტარისათვის მოტანილი ანალოგების თარიღებს, და რომ თავმოხრილი საკინძი VIII ს-ში თითქმის აღარ გვხვდება, ამ სამარხს და შესაბამისად მინის ბეჭედსაც VI-VII სს-ით ვათარიღებთ.

ვფიქრობთ, ასევე VI-VII სს-ით უნდა დათარიღდეს შემთხვევით აღმოჩენილი, ზემოთ მოტანილი ანალოგიური ორი ბეჭედი, რასაც მხარს უჭერს ნატეხების სახით შემორჩენილი ბრინჯაოს სამკაულებიც.[7]

II სახის ორი ბეჭედი მე-4 და მე-5 (№23) სამარხიდანაა (1988 წ. №№53-62). მათ რკალის შეერთებისას დაბალი, მრგვალი დაბრტყელება აქვს (ტაბ. II, 1-4, 5,). მათგან ერთი კარგი ნახელავია. სამარხში აგრეთვე იყო 4 საკინძი, ბრინჯაოს 3 ბეჭედი და სასაფეთქლე რგოლი – თავის ქალასთან (ტაბ. II, 10). სასაფეთქლე ისეთივეა, როგორც №7 სამარხიდან და ისიც VI-VII სს-ით უნდა დათარიღდეს.

საკინძები რკინისაა. ორი პასტისაგან დამზადებული ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებით (ტაბ. II, 1-8, 9), ორი კი ლაჟვარდის ოვალური მძივითაა თავშემკული (ტაბ. II, 1-6, 7). ისინი ღეროზე ორივე მხრიდან ბრინჯაოს ვარდულითაა დამაგრებული. ქართლში მთელი V-VII სს-ის განმავლობაში გვაქვს როგორც ბრინჯაოსგან, ისე ძვლისგან, მინისგან (პასტისგან) და მარჯნისგან დამზადებული როგორც ბროწეულის ყვავილის, ისე ნაყოფის გამოსახულებით თავშემკული საკინძები [3, გვ. 75]. რუსთავულის ანალოგიური ორი საკინძი არის ქვემო ალევის №53 ორმოსამარხიდან, რომელიც VI-VII სს-ის მიჯნითაა დათარიღებული, ხოლო კონკრეტულად საკინძები _ VI ს-ით [3, გვ. 69, 126, ტაბ. XXVIII, 8, 9, ტაბ. XXXII, 74, 75]. სფერული ან ოვალური ლაჟვარდის მძივით თავშემკული საკინძები ქვემო ალევში VI-VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [3, გვ. 132, ტაბ. XXXII, 39, 42]; ხოლო სამთავროდან _ VI ს-ით [2, გვ. 126, 127, ტაბ. XVI, 18, ტაბ. XX, 3, 18, ტაბ. XXXV, 30, 31]. ამგვარი საკინძები რუსთავულ საკინძთა შორის II ჯგუფის VI და XI ტიპს განეკუთვნება და მიჩნეულია VI-VII სს-თვის დამახასიათებლ ნივთებად [49, გვ. 116, 117, ტაბ. I, 17, 22].

ბრინჯაოს სამი ბეჭდიდან ორი (ტაბ. II, 1-2, 3) ერთწილადია და როგორც ზემოთ დავინახეთ, ძირითადად VII ს-ით თარიღდება, მაგრამ გვხვდება VI ს-შიც. მესამე კი ორწილადი, თვალბუდიანი ბეჭედია; ბრტყელი რკალის გახსნილ ბოლოებზე ბუდე ზემოდანაა დარჩილული. მრგვალ-ბრტყელი, სადა მინის თვალი ამოვარდნილია და თან ახლავს (ტაბ. II, 1-1).

ამგვარი ბეჭდები [I ჯგუფის I სერიის II ვარიანტი] უმეტესად VII ს-თვის არის დამახასიათებელი. ისინი ხშირად გვხვდება სამთავროს V-VII სს-ის სამარხებში და სხვა ძეგლებზეც [3, გვ. 104]. ბრინჯაოსა და ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები ცნობილია გველეთიდან _ VI ს-ის მიწურული _ VII ს-ის დასაწყისი და VII ს-ის მეორე ნახევარი [12, გვ. 67, 69, ტაბ. XI, სურ. 65, 36]; სამთავროდან _ IV ს-ის მეორე ნახევარი _ VI ს-ის პირველი ნახევარი [2, გვ. 125, ტაბ. IX, 5]; კართანადან _ VII-VIII სს [52, სურ. 39, 40]; ჭერმიდან _ VII ს-ის პირველი ნახევარი და VII ს [9, გვ. 92, 97].

II სახის კიდევ ერთი ბეჭედი მომდინარეობს 1951 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან.

---

[7] №№2004-2006. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარხს არ ეკუთვნის მძივებიანი საკიდი [იხ. 2, ტაბ. XXXVIII,43].

6) ბეჭედს რკალის შეერთების ადგილზე ოვალურად გაბრტყელებული ფარაკი აქვს (ტაბ. III, 3). ეს ბეჭედიც (№1931), ისევე როგორც II სახის ხუთივე ბეჭედი VI-VII სს-ით უნდა დათარიღდეს. აქ ერთი საინტერესო მომენტია. მინის ბეჭედს თან ახლავს ოქროს ბეჭედი და საყურე-სასაფეთქლე.[8]

ოქროს ბეჭედი ფუყეა, ოვალური თვალბუდით, რომელსაც ღარი შემოუყვება. თვალი ამოვარდნილია (ტაბ. III, 1). ამგვარი ფორმის დიდი ზომის ბეჭდები, რომლებიც ფორმით გვიანანტიკური ხანის ბეჭდებს მოგვაგონებს, კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების სამარხებიდან [3, გვ. 106]. VI-VII სს-ის ბრინჯაოსა და ვერცხლის ამგვარი ბეჭდები ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ.

საყურე-სასაფეთქლე რგოლი პირგახსნილი და ბოლოებმოკაუჭებულია. ერთ მხარეს, ერთმანეთთან ახლოს მირჩილულია ერთმანეთში გაყრილი 2-2 პატარა რგოლი (ტაბ. III, 2). VI-VII სს-ის ამგვარ თავსამკაულზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. განსხვავება მხოლოდ მასალაშია. განსახილველ პერიოდში ისინი ძირითადად ბრინჯაოსგან მზადდებოდა. საყურე-სასაფეთქლეები გვიანანტიკურ ხანაში და შემდეგაც, უმეტესად ოქრო-ვერცხლისა იყო. აქაც ნაირნაირი ვარიანტებია. ზომით კი უფრო პატარები. მაგ.: IV ს-ის სამარხებში ოქროსი გვხვდება არმაზისხევში და სამთავროში [1, გვ. 104-128, ტაბ. XIII, 34, ტაბ. XIV, 4, 7, ტაბ. XCVII, 2; 10, გვ. 61, 62, სურ. 347, 348]; მცხეთაში, ურბნისში და მოდინახეში [4, გვ. 98, 100, ტაბ. I, 2; 36, გვ. 67, 74, 81, სურ. 34-8, 9, 10; 13, გვ. 61, 62, 75, სურ. 7, 14]; IV-V სს-ში ოქროსი _ მცხეთისგორაზე და თელოვანში [16, გვ. 132, 136, 137, სურ. 792, 793, 795; 17, გვ. 97, ტაბ. XVI, 4]; ვერცხლისა და ბრინჯაოსი _ ვაშლაჯვარაში [15, გვ. 70, 72, ტაბ. XV, 1, 2, 17]; ოქროსი და ვერცხლის _ სამთავროში [26, გვ. 55, 56, ტაბ, 45, 46]; ოქროსი და ბრინჯაოსი _ რუსთავში [7, გვ. 180, 181, ტაბ. XVI, 3]. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსთავის ეს სამაროვანი შემდგომი კვლევის შედეგად IV ს-ით დათარიღდა [34, გვ. 70-77].

რაც შეეხება რუსთავში VI-VII სს-ის მინის ბეჭედთან ერთად აღმოჩენილ ოქროს ბეჭედსა და სასაფეთქლეს, რომლებიც ანალოგიურია ამავე პერიოდის სხვა ლითონისაგან დამზადებული ამგვარი სამკაულებისა, ისინიც VI-VII სს-ით უნდა დათარიღდეს და სოციალურად დაწინაურებული პირის კუთვნილება უნდა იყოს. ამგვარი ოქროს სამკაულები აღნიშნული ხანის სხვა პუნქტებიდან ჩვენთვის უცნობია.

რუსთავული II სახის მინის ბეჭდებისთვის ანალოგიურია შემდეგი ბეჭდები: სამთავროდან _ VII-VIII ს-ის დასაწყისი [2, გვ. 97, 98]; კასპიდან _ VII ს-ის მეორე ნახევარი [2, გვ. 127, ტაბ. XXXVIII, 31, 33]; ქვემო ალევიდან _ VII ს-ის მეორე ნახევარი [3, გვ. 108, 109, ტაბ. XXXV, 8, 9, 16, 19, 29]; გველეთიდან _ VII ს-ის მიწურული – VIII ს-ის დასაწყისი [12, გვ. 29, 30, 78, ტაბ. XI, 37]; ლაღაანიდან _ VI ს-ის მიწურული – VII ს [იხ. აქვე I სახესთან]; კართანადან _ VII-VIII სს [52, გვ. 150]; ჟინვალის კატაკომბებიდან _ IV ს-ის მიწურული – VI ს და ქვის სამარხებიდან _ VI-VII სს [28, გვ. 5, 6, 9]; ორჭოსანის (ახალციხის რ-ნი) ნამოსახლარის VI-VII სს-ის კულტურული ფენიდან;[9] მომწვანო, წვრილრკალიანი მინის ბეჭდის ნატეხები ლეჩხუმიდან (სოფ. უსახელო).[10]

---

[8] ორივე ნივთი ინახება ეროვნული მუზეუმის ფონდებში, ინვ. №№27-51/1, 2.

[9] ცნობა მომაწოდა ისტ. მეც. დოქტორმა ალ. ორჯონიკიძემ.

[10] მესტიის მუზეუმის ფონდები. ინვ. №190-89. აღმოჩენილია 1940 წელს დავითულიანის მიერ.

**III სახე.** ბეჭდის რკალს დაღღობილი აქვს სხვა ფერის ფარაკი. ასეთი სამი ბეჭედია: ორი სამაროვნიდან, ერთი _ კულტურული ფენიდან. მინა შავია, კრიალა.

1) ბეჭედი. ყვითელფარაკიანი (ტაბ. I, 3; II, 2-6). აღმოჩნდა 1980 წელს №22 სამარხში (ინვ. №№6-17). სამარხში იყო ბრინჯაოს ბეჭდები, საკინძები, ეჟვნები (ტაბ. II, 2). რუსთავის ამგვარი საკინძები ძირითადად VI-VII სს-ში გვხვდება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი (ტაბ. II, 2-5) (II ჯგუფი, VIII ტიპი) მხოლოდ რუსთავისთვის არის დამახასიათებელი [49, გვ. 116, 117, ტაბ. I, 19]. ერთწილადი და ორწილადი ბრინჯაოს ოვალურფარაკიანი ბეჭდები (ტაბ. II, 2-1, 4, 9), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VI-VII სს-ით თარიღდება. ანალოგიური ბეჭდებია ვაშლაჯვარაში, გველეთში, სამთავროში [15, გვ. 74, ტაბ. XVI, 22; 12, გვ. 44, 67, ტაბ. XI, სურ. 122; 2, ტაბ. XXII, 20, XXIV, 4, XXXI, 40].

სამარხისათვი დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს ბრინჯაოს ეჟვნებს (ტაბ. II, 2-2, 7). ისინი სფერულია, ყუნწიანი, ქვემოდან გაჭრილი. ამგვარი ეჟვნები ქართლში VII ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება და VIII ს-ის შუა ხანებამდე არსებობს [2, გვ. 78]. რუსთავულის ანალოგიური ეჟვნებია: სამთავროში _ VII ს-ის მეორე ნახევრის, VII ს-ის მეორე ნახევარი – VIII ს-ის დასაწყისის, VIII ს-ის პირველი ნახევრის სამარხებში [2, გვ. 127, ტაბ. XL, 1, 2, XXIX, 30, XL, 53]; ქვემო ალევში _ VII ს-ის მეორე ნახევარი და VII ს [3, გვ. 125, 127, ტაბ. II, 1, XXXVII, 12, 13]; გველეთში _ VI ს-ის მიწურული – VII ს-ის დასაწყისი [12, გვ. 35, 84, ტაბ. XII, სურ. 66]; სოფ. ჯიჯიეთის სამარხში _ VI-VII სს [38, გვ. 61, 79, ტაბ. XVIII, 3, №17].

№22 სამარხი ინვენტარის მიხედვით, უფრო VII-VIII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. ასევე უნდა დათარიღდეს შავი მინის ყვითელფარაკიანი ბეჭედიც.

2) ბეჭედი მომწვანო-მოყვითალო ფარაკით (ტაბ. III, 4-2). იგი (№2086) მომდინარეობს №15 სამარხიდან (1954 წ.), რომელიც საკმაოდ საინტერესო ინვენტარს შეიცავს: მინის ბეჭედთან ერთად გვაქვს აქატისა და ბრინჯაოს ბეჭდები; მინის სამი, რკინის ორი და ბრინჯაოს ერთი სამაჯური; ნაირნაირი მძივები (ტაბ. III, 4).

ბრინჯაოს ბეჭედი თვალბუდიანია, ბრტყელგანივკვეთიანი რკალით; წაკვეთილი კონუსის ფორმის ბუდე ზემოდანაა დარჩილული; თეთრი მინის თვალი ამობურცულია (ტაბ. III, 4-1). ამგვარი ბეჭდები ფართოდაა გავრცელებული VI-VII სს-ში. იგი მიეკუთვნება ე. წ. ორნაწილიან, თვალბუდიან ბეჭდებს [3, გვ. 104]. რუსთავულის ანალოგიურია: ქვემო ალევიდან _ VII ს-ის პირველი ნახევარი [3, გვ. 104, 125, 126, ტაბ. XIX, 23, VI, 38]; ჟინვალის კატაკომბებიდან _ IV ს-ის მიწურული – VI ს [28, გვ. 7, 9, ტაბ. I, №448]; სამთავროდან _ VII ს და VII ს-ის მიწურული – VIII ს-ის პირველი ნახევარი [2, ტაბ. XLIII, 18, 24, 25]; კართანადან _ VII-VIII სს [52, გვ. 150, სურ. 37] მომდინარე ბეჭდები.

აქატის ბეჭედი მასიურია, მუქი ყავისფერი, მოყვითალო ხალებით; მცირედ ოვალურად ფარაკწაკვეთილი (ტაბ. III, 4-3). ასეთი ბეჭდები, რომლებიც ნახევრადძვირფასი ქვებისგან (სარდიონი, აქატი და სხვ.) არის დამზადებული, უმეტესად V-VII სს-ის სამარხებში გვხვდება [3, გვ. 110]. განსაკუთრებით გავრცელებულია ასეთი სარდიონის ბეჭდები სადა ფარაკით ან ინტალიოთი. მაგ.: რუსთავში ამავე სამაროვნიდან სარდიონის რამდენიმე ბეჭედია [45, ტაბ. XXVIII, 15, 17]; ის ცნობილია აგრეთვე 1954 წელს შემთხვევით აღმოჩენილი №20 სამარხიდან. ქვემო ალევში ამგვარი სადა ბეჭედი თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით [3, გვ. 29, 125, ტაბ. XVIII, 38]; სამთავროში _ VII ს და VIII ს-ის პირველი ნახევრით [2, გვ. 127,

ტაბ. XXXIX, 33, XL, 59]. სოფ. ჯიჯიეთის სამარხიდან არის VI-VII სს-ით დათარიღებული იასპის ამგვარი ბეჭედი [38, გვ. 61, 77, 79, ტაბ. XVIII, 3 №32].

სამარხში სამი სამაჯურია: ორი შავი, გრახილი, ერთიც _ ინკრუსტირებული სამაჯურის ნატეხი (ტაბ. III, 4-4, 5, 7). ამათ გარდა, ზოგადად VI-VIII სს-ით დათარიღებული ამავე სამაროვნიდან გვაქვს კიდევ ექვსი, ხოლო ნაქალაქარისა და ნაციხვარის ამავე ხანის კულტურული ფენებიდან _ რამდენიმე ათეული. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ საქართველოში, კერძოდ, რუსთავში მინის სამაჯურები გვხვდება VI თუ არა, VII ს-დან მაინც, რაც ამ ქალაქის თავისებურებად მივიჩნიეთ [60, გვ. 146, 147; 32].[11] ამგვარად, რუსთავში აღმოჩენილი ადრეული შუასაუკუნეების მინის სამაჯურებს VII-VIII სს-ით ვათარიღებთ.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსთავში ამ ხანის მინის ბეჭდები და სამაჯურები კულტურულ ფენებში ხშირად ერთად გვხვდება. სამარხებში კი ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით ერთია (სამ. №15).

№15 სამარხს VII-VIII სს-ით ვათარიღებთ, რასაც ხელს არ უშლის ამ სამარხის სხვა ინვენტარიც (ნაირნაირი მძივები, სპილენძის ფუყე სამაჯური, რკინის სამაჯური ქსოვილის ნაშთით და წვრილი მძივებით) (ტაბ. III, 4-8, 9, 10).

3) ბეჭედი. ცისფერფარაკიანი. რკალი არათანაბარი სისქისაა, ფარაკიც უსწორმასწოროდ, გვერდულადაა დაღლობილი. იგი წუნს წარმოადგენს (ტაბ. II, 3). ბეჭედი აღმოჩნდა ნაქალაქარის VI-VIII სს-ის ფენაში [27, გვ. 110-111]. როგორც სამაროვნიდან მომდინარე III სახეობის სხვა ბეჭდებს, ამასაც VII-VIII სს-ით ვათარიღებთ. ანალოგიური ბეჭდებია ჟინვალის კატაკომბებიდან (IV ს-ის მიწურული – VI ს) და ქვის სამარხებიდან _ VI-VII სს [28, გვ. 5, 6, 9]; კართანას სამაროვნიდან _ VII-VIII სს [52, გვ. 150; 21, გვ. 28, ტაბ. III, 7, 8, 9].[12]ანალოგიური თეთრფარაკიანი შავი მინის ბეჭედი აღმოჩნდა ნასტაკისის ველზე, კულტურულ ფენაში. ეს შემთხვევითი მასალა გამოაქვეყნა გ. ნარიმანიშვილმა. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი ბეჭდები ორბეთის მინის საწარმოდან და ურბნისიდან VIII ს-ით არის დათარიღებული (უთითებს სათანადო ლიტერატურასაც) და ასევე ათარიღებს განსახილველ ბეჭედსაც [14, გვ. 51, 55, 56]. უნდა შევნიშნოთ, რომ არც ორბეთის მინის საწარმოში და არც ურბნისში ამგვარი მინის ბეჭედი _ ფერადფარაკიანი, აღმოჩენილი არაა. თარიღი კი პრინციპში მისაღებია.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, არაგვის ხეობაში მინის ბეჭდები ზოგადად VI-VIII სს-ით დათარიღებულ სხვა სამაროვნებზეცაა აღმოჩენილი.[13] ასეთებია: ჩინთის, ახალი ჟინვალის სამაროვანი II, ხერთვისის სამაროვანი II და ფიტავის სამაროვანი [47, გვ. 531, 532; 19, გვ. 23, 24; 51, გვ. 56, ტაბ. LXXXV, 4; 50, გვ. 118].

* * *

მინის ბეჭდები, ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ბეჭდებთან ერთად, ისევე როგორც სომხეთში და აზერბაიჯანში [42, გვ. 153, ტაბ. XI, 3, 4; 48, გვ. 11; 55, გვ. 122, 123, ტაბ. XXV, 11, 12; იქვე იხ. ლიტ.], საქართველოშიც გვიანანტიკურ ხანაში

[11] სადღეისოდ, ამ ხანის მინის სამაჯური მხოლოდ კართანას სამაროვანზეა აღმოჩენილი [21, გვ. 29].

[12] კართანაში გვაქვს როგორც შავზე ფერადი ფარაკი, მაგ. ცისფერი, ისე ფერადზე _ ფერადი: ცისფერზე-ყვითელი, მწვანეზე-ცისფერი და სხვ. [20, გვ. 27].

[13] სამწუხაროდ, ეს სამაროვნები ჯერჯერობით სრულად არაა გამოქვეყნებული. მინის ბეჭდებიც კონკრეტულად რომელ სახეობას მიეკუთვნება, ვერ ვიტყვით.

ვრცელდება. ისინი ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. მაგ.: მცხეთაში _ I-III სს-ის სამარხებში [6, გვ. 269, ტაბ. VII, სურ. 17, №35]; მცხეთა-სამთავროს I-III და III-IV სს-ის სამარხებში [44, გვ. 99; 10, გვ. 89, 90, 192, სურ. 521]; ურბნისში _ II-III სს-ის სამარხებში [3, გვ. 109]; ჟინვალში _ IV ს-ის შუა ხანების სამარხებში [30, გვ. 13]. ამ ბეჭდების რკალი მრგვალგანივკვეთიანია, შიგნიდან სადა, გარედან დაკეჭნილი; აქვს თავისივე ან სხვა ფერის კონუსური შვერილი. მინა შავი ან ყავისფერია. შემდგომი პერიოდის _ IV და IV-V სს-ის მინის ბეჭდები ტიპოლოგიურად განსხვავებულია. მათი რკალი მრგვალგანივკვეთიანია, შიგნიდან სადა, ხოლო ზედაპირი დაკბილული ან ინკრუსტირებული. ასეთებია ბეჭდები: მატრაზისხევის და სამთავროს სამარხებიდან [22, გვ. 103, 108, ტაბ. I, 5; 26, გვ. 49, 50, 54, ტაბ. I, 41, 42, სურ. 28]; ნეძიხის სამაროვნიდან.[14] ჩვენ მიგვაჩნია, რომ გვიანანტიკური და შემდგომაც _ IV-V სს-ში ზემოთ აღნიშნული მინის ბეჭდები იმპორტს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ცნობილია, საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში მინის ნაწარმის დიდი ნაწილი შემოჰქონდათ. ადრეულ შუასაუკუნეებში ადგილობრივ ნაწარმთან ერთად საკმაოდაა იმპორტული მინაც. ხოლო განვითარებულ შუასაუკუნეებში კლებულობს იმპორტი და იზრდება ექსპორტი. ამის ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება [59, გვ. 179, 180].

შემდგომ პერიოდში _ VI-VIII სს-ში, როგორც დავინახეთ, მინის ბეჭდები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (ცნობილია 16 პუნქტიდან) და ტიპოლოგიურადაც სრულიად განსხვავებულია. იგი ძირითადად გვხვდება სამარხებში, არის კულტურულ ფენებშიც.

რუსთავულ მინის ბეჭდებში ჩვენ სამი სახე გამოვყავით. I სახის _ რკალთან ერთად გამოყვანილფარაკიანი ბეჭდები უფრო იშვიათია _ რუსთავში, ალევში, ურბნისში, ლაღაანში – თითო ცალია, სამთავროში – რამდენიმე; III სახე _ ფერადფარაკიანი ბეჭდები არის მხოლოდ რუსთავში, ჟინვალში, კართანაში და ნასტაკისში. ყველაზე მეტად გავრცელებულია II სახე _ რკალის შეერთების ადგილას სხვადასხვაგვარად დაბრტყელებული დაბალი ფარაკით. სწორედ ეს სახეობა ემსგავსება VIII-IX სს-ის ორბეთის მინის საწარმოს ბეჭდებს, მაგრამ ტიპიური ორბეთული ბეჭედი რუსთავში აღმოჩენილი არ არის. ორბეთული გამოირჩევა მასიურობით და მაღალი ფარაკით. ორბეთის საწარმოდან არ არის ცნობილი I და II სახეობის ბეჭდებიც.

ორბეთულის მსგავსი ბეჭდები ცნობილია: ნასტაკისის, გიგიასსაათიბის და სოფ. თრანის ზადათგორის სამაროვნებიდან [41, გვ. 52; 35, გვ. 71, 72, 75, 78, ტაბ. XXXV, 19; 38, გვ. 59, 77, ტაბ. XVII, 2, №243]; უფლისციხის, არეშის და ნოქალაქევის კულტურული ფენებიდან [11, გვ. 57, ტაბ. I, №2446; 37, გვ. 77; 46, გვ. 128, ტაბ. XL, 8]. ამ პუნქტებში ასეთი ბეჭდები თითო ცალია (მხოლოდ გიგიასსათიბის სამაროვანზეა 20 ცალი). ავტორებს მიაჩნიათ, რომ ისინი VIII-IX სს-ის ორბეთის მინის საწარმოდან უნდა მომდინარეობდეს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არც თუ ხშირია მინის საწარმოების აღმოჩენა. ამდენად, ძალზე დიდია მნიშვნელობა VIII-IX სს-ში ამ მართლაც უნიკალური მინის საწარმოსი, სადაც მრავალგვარ პროდუქციას ამზადებდნენ. როგორც ცნობილია, მისი ნაწარმი ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. მაგ.: ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთში [24, გვ. 11; 43, გვ. 60, კატ. №34-B]. რაც შეეხება ბეჭდებს, აქ მთელებთან ერთად

[14] ნეძიხიდან IV ს-ის ბეჭედი ინკრუსტირებულია. IV-V სს-ის _ ძალიან მასიურია, მუქი ლურჯი, მრგვალფარაკიანი. ცნობა თავის დროზე მომაწოდა ც. რობაქიძემ.

აღმოჩენილი წარმოების ნაშთების (წუნდებულის, დამსხვრეულების და სხვ.) მიხედვით, შესაძლებელი გახდა თვალი გაედევნებინათ მათი დამზადების ტექნიკისათვის [24, გვ. 9, ტაბ. 17; 53, გვ. 71, 72, სურ. 1].[15] ასევე უნდა დაემზადებინათ რუსთავული II სახის მინის ბეჭდებიც.

როგორც დავინახეთ, საქართველოში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ორბეთის მინის საწარმოზე უფრო ადრეული _ VI-VIII სს-ის მინის ბეჭდები. განსაკუთრებით ეს ითქმის არაგვის ხეობაზე (ჟინვალი, კართანა), რის გამოც არაგვის ხეობაში მინის საწარმოს არსებობას ვარაუდობენ [28, გვ. 6; 21, გვ. 118], რაც სავსებით მისაღებად მიგვაჩნია.

რუსთავში მინის ბეჭდები ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული, რის საფუძველსაც გვაძლევს ადრეულ შუასაუკუნეებში რუსთავში მინის წარმოების არსებობა [32, გვ. 13, 17,-19]. ის, რომ ბეჭდებს შორის არის როგორც ცუდი, ისე კარგი ნახელავი; ერთი _ ცისფერფარაკიანი კი აშკარად წუნია; ხოლო VI-VIII სს-ის ფენიდან გვაქვს მწვანე მინის ნადუღი (№რ-75-7579), რაც ადგილობრივი წარმოების არსებობას ადასტურებს.

ვფიქრობთ, ერთი ტიპის ფერადი და შავი მინის ბეჭდები ერთდროულად, რუსთავის მასალების მიხედვით, უკვე VI ს-დან უნდა ეწარმოებინათ.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბ., 1955.
2. **აფხაზავა ნ.** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.
3. **აფხაზავა ნ.** ქვემო ალევი ადრეულ შუასაუკუნეებში, თბ., 1988.
4. **დავლიანიძე ც.** 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში, სსმმ, ტ. XXVII-B, 1967.
5. **დოლაბერიძე რ.** XI-XIII სს ბეჭდები, სსმმ, ტ. XXVII-B, 1967.
6. **კალანდაძე ა.** ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, «მიმომხილველი», ტ. I, თბ., 1949.
7. **ლომთათიძე გ.** რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I, 1955.
8. **ლომთათიძე გ.** რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი 1962 წელს, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართვლოში 1962 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1963.
9. **მამაიაშვილი ნ.** ქალაქი ჭერემი, თბ., 2004.
10. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VII, თბ., 1985.
11. **მინდორაშვილი დ.** მინის ნაწარმი უფლისციხიდან, ძმ, №70, 1985.
12. **მინდორაშვილი დ.** არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ., 2005.

[15] რატომღაც ყველა მკვლევარი წერს, რომ ორბეთის მაღალფარაკიანი ბეჭდები შავი მინისაა. მართალია ბეჭდების უმეტესობა შავია, მაგრამ არის ფერადიც (ღვინისფერი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე) და ყველა ერთი ტიპისაა [25, გვ. 57]. აღვნიშნავთ, რომ ასევეა მინის სამაჯურებშიც _ შავები გაცილებით ჭარბობს ფერადებს.

13. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
14. **ნარიმანიშვილი გ.** შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ნასტაკისიდან, აძ, ტ. II-III, თბ., 1982.
15. **ნიკოლაიშვილი ვ.** ვაშლაჯვარის სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით), სას, ტ. II, თბ., 1979.
16. **ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ღლონტი ნ.** მცხეთისგორის სამაროვანი, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VII, თბ., 1985.
17. **ნიკოლაიშვილი ვ.** დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, სას, ტ. III, თბ., 1985.
18. **რამიშვილი რ.** სიონი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I, თბ., 1970.
19. **რამიშვილი რ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში, ჟინვალის ექსპედიცია I, თბ., 1975.
20. **რჩეულიშვილი გ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება კართანას სამაროვანზე, ჟინვალის ექსპედიცია II, თბ., 1980.
21. **რჩეულიშვილი გ.** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1990.
22. **საგინაშვილი მ.** მატრაზისხევში აღმოჩენილი IV საუკუნის სამარხი, სსმმ, ტ. XXVII--B, 1967.
23. **სინაურიძე მ.** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი, ტ. I, თბ., 1966.
24. **უგრელიძე ნ.** მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961.
25. **უგრელიძე ნ.** ორბეთის მინის საწარმოს თხრის შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1961 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1962.
26. **უგრელიძე ნ.** ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.
27. **ჩიკოიძე ც., არჩვაძე თ., ჩხატარაშვილი მ., ჯაფარიძე ი., პაჭიკაშვილი ნ., ხავთასი მ.** კუხეთის ექსპედიცია 1989-1990 წლებში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004.
28. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის კატაკომბები, პრეპრინტი, თბ., 1990.
29. **ჩიხლაძე ვ.** ქართველი ქალის თავსამკაული და ვარცხნილობა ადრეულ შუასაუკუნეებში (ჟინვალის სამაროვნის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), პრეპრინტი, თბ., 1993.
30. **ჩიხლაძე ვ.** არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.
31. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები, ძიებანი №15-16, 2005.
32. **ჩხატარაშვილი მ.** მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
33. **ჩხატარაშვილი მ.** რუსთავის მინის სამაჯურები, თბ., 1990 (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში).
34. **ჩხატარაშვილი მ.** მინის ჭურჭელი რუსთავიდან, ძიებანი №4, 1999.
35. **წითლანაძე ლ., კახიძე ა., შატბერაშვილი ზ.** გიგიასსათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა), ფსაძ, ტ. VI, თბ., 1998.
36. **ჭილაშვილი ლ.** ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
37. **ჭილაშვილი ლ.** არეში, თბ., 1991.

38. **ჯორბენაძე ბ.** ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982.
39. **ჯორბენაძე ბ.** ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს, კრ. ჟინვალი I, თბ., 1983.
40. **ჯორბენაძე ბ.** არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან, ფსაძ, ტ. VI, თბ., 1998.
41. **Бохочадзе А. В., Мирианашвили Н. Г.** Настакисская археологическая экспедиция, ПАИ в 1982 г, Тб., 1985.
42. **Ваидов Р. М.** Мингечаур в III-VIII вв, Баку, 1961.
43. **Джанполадян Р. М.** Средневековое стекло Двина IX-XIII вв, Археологические раскопки в Армении, №7, Ер., 1974.
44. **Иващенко М. М.** Самтаврские погребения первых трёх веков н. э. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. III, თბ., 1980.
45. **Иващенко М. М.** Руставский могильник (археологические раскопки в 1946 г.), რუსთავი I, არქეოლოგიური გათხრები 1946-1965 წლებში, თბ., 1988.
46. **Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И.** Массовые археологические находки из раскопок Археополиса, ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, არქეოლოგიური გათხრები 1973-1977 წლებში. თბ., 1981.
47. **Ломидзе Ц. Ш., Циклаури И. Д.** Раскопки в с. Чинти, АО 1985 года, М. 1987.
48. **Нуриев А. Б.** Стеклянные изделия и их производство в кавказской Албании, Автореферат кандидатской диссертации, Баку, 1966.
49. **Пачикашвили Н. А.** Булавки с Руставских раннесредневековых Могильников, Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Тб., 2004.
50. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Каландадзе З. А., Рчеулишвили Г. М., Маргвелашвили М., Циклаури И. Дж., Чихладзе В. В., Глонти М. Г., Церетели К. Б., Асланишвили В. О., Ломидзе Ц. Ш., Циклаури Дж. К., Робакидзе Ц. В.** Работы жинвальской комплексной экспедиции, ПАИ в 1976 г, Тб., 1979.
51. **Рамишвили Р. М., Рчеулишвили Г. М., Маргвелашвили М. Г., Чихладзе В. В., Глонти М. Г., Циклаури Д. К., Робакидзе Ц. В., Циклаури И. Д., Церетели К. Б., Чиковани Г. Ч.** Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции, ПАИ в 1980 г, Тб., 1982.
52. **Рчеулишвили Г. М.** Мифологические предания грузинских и вейнахских горцев в свете археологического материала, Международная научная конференция «Археология (IV) и этнология (III) Кавказа», Тб., 2002.
53. **Угрелидзе Н. Н.** Стеклоделие древней Грузии, XV International Congress on Glass, Leningrad, 1989.
54. **Фоменко В. П.** Стеклянные изделия VIII-X вв. Городища Орен-кала, Изв. АН Аз ССР, №7, 1962.
55. **Хачатрян Ж. Д.** Гарни V, Античный некрополь (результаты раскопок 1956-1972 гг), Археологические раскопки в Армении, №5, Ер., 1976.
56. **Чикоидзе Ц. Н., Арчвадзе Т. Д., Басиашвили Л. А., Гочиашвили М. Ш., Джандиери Е. Г., Кинцурашвили М. В., Чхатарашвили М. Н.** Кухетская археологическая экспедиция, ПАИ в 1980 г, Тб., 1982.

**57. Чикоидзе Ц. Н., Арчвадзе Т. Д., Чхатарашвили М. Н., Джандиери Е. Г., Джапаридзе И. В.** Отчёт о работе Кухетской археологической экспедиции 1981-1982 гг, , ПАИ в 1982 г, Тб., 1985.
**58. Чикоидзе Ц. Н., Арчвадзе Т. Д., Чхатарашвили М. Н., Джапаридзе И. В., Пачикашвили Н. А. Хавтаси М. В.** Отчёт о работе Кухетской экспедиции в 1987-1988 гг, ПАИ в 1988 г, Тб., 1997.
**59. Чхатарашвили М. Н. Грузия и внешний мир в эпоху развитого средневековья** (по стеклянным изделям), Международная научная конференция «Археология (IV) и этнология (III) Кавказа», Тб., 2002.
60. **Чхатарашвили М. Н. Раннесредневековые стеклянные украшения из г. Рустави,** Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Тб., 2004.

## ტაბულების აღწერილობა

**ტაბ. I. 1-3.** მინის ბეჭდები: **1. სახე I; 2. სახე II; 3. სახე III. 4.** №7 სამარხის ინვენტარი; **5, 6.** მინის ბეჭდები №1 სამარხიდან.
**ტაბ. II. 1.** №23 სამარხის ინვენტარი; **2.** №22 სამარხის ინვენტარი; **3.** მინის ბეჭედი კულტურული ფენიდან.
**ტაბ. III. 1.** ოქროს ბეჭედი; **2.** ოქროს სასაფეთქლე; **3.** მინის ბეჭედი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან; **4.** №15 სამარხის ინვენტარი (ტაბულები შეასრულეს: ნ. თოფურიძემ, მ. ივანიშვილმა, გ. ტოგონიძემ, ე. გომალერმა, თ. სახვაძემ).

**М. Чхатарашвили**

**Десять стеклянных перстен из Рустави**

Резюме

В статье рассмотриваются десять стеклянных перстень. Восемь из них происходят из Руставского могильника VI-VIII веков, а два из культурного слоя. В Грузии стеклянные перстни распространяются с позднеантичного периода. На помятниках IV-V веков они найдены в единичных случаях (всего 6 пунктов) и по всей вероятности их следует считать импортными.

В VI-VIII веках типологически разнообразные стеклянные перстны в Грузии уже распространены широко (16 пунктов). В основном они происходят из могильников, но встречаются и в культурных слоях. Стеклянные перстни этого периода объединяются в группу перстней со щитком.

По форме щитка среди Руставских перстней выделяются три вида: I. В верхней части кольца чуть овальным очертанием; II. На месте замыкания кольца с плущениями

разной формы; III. На месте замыкания кольца сверху плоскими налепами из разноцветного стекла (таб. I 1, 2, 3).

Перстни первого вида датирующеся VI-VII вв, встречаются сравнительно редко и они, по всей вероятности, происходят от сердоликовых перстней отсеченными головками на щитке. Перстни третего вида (VII-VIII вв) с разноцветными налепами на щитке обнаруженны только в четырёх пунктах.

Самыми распространенными являются перстни второго вида (VI-VII вв), которые аналоги имеют с перстнями из Орбетской мастерской VIII-IX вв, но прослеживается и разница между ними: стеклянные перстни из Орбети являются более масивными и сравнительно высокими щитками.

В материалах Орбети отсутствуют перстни первого и второго вида. Типичные Орбетские перстни в Рустави пока не обнаруженны.

Стеклянные перстни из Рустави местного производство, на что указывает высокое качество изделя, а так-же находки произвотственного брака.

ტაბ. I






1




2



3







4

## დავით მინდორაშვილი

## არქეოლოგიური გათხრები სინაგოგაში

ძველ თბილისში, ტყავის ჩიხის №13-ში მდებარე 1900-იან წლებში აგებული[16] სინაგოგის რეკონსტრუქციისას, საძირკვლის გასამაგრებლად ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს, შენობის ჩრდ.-დას. ნაწილში თავი იჩინა სინაგოგაზე უფრო ადრეულმა ნაგებობამ და საკმაოდ მრავალრიცხოვანმა არტეფაქტებმა.

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მიერ სინაგოგაში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი საინტერესო შენობა და არქეოლოგიური მასალა.

სინაგოგა ჩრდ.-სამხ. ხაზზე დამხრობილი ნაგებობაა (14,2X8,6 მ). გათხრებამდე შენობის სამხ. ნაწილში კულტურული ფენები უკვე განადგურებული იყო. სინაგოგაზე უფრო ადრეული ხანის ნაგებობა უკეთ იყო შემორჩენილი შენობის ჩრდ. ნაწილში. თუმცა, არც მისი სრული სახით წარმოდგენაა შესაძლებელი. ნაგებობა შედგება ერთმანეთთან საერთო კედლებით დაკავშირებული ოთხი ოთახისაგან (ტაბ. I, II).

№1 ოთახის (ტაბ. II 1) დას. კედელი თითქმის მიბჯენილია სინაგოგის დას. კედლის საძირკველზე (სიგრძე 6,5 მ, სიგანე 1 მ, შემორჩ. სიმაღლე 0,9 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კვადრატული ე. წ. «ქართული აგურის» ნატეხებით. შემაკავშირებელი მასალა მიწაა. ოთახის სამხ. კედელი მთლიანად იყო მონგრეული. რაც შეეხება ჩრდ. კედელს, ის ნაგებია აგურით (21X22X5 სმ), მაგრამ არა ტრადიციული წყობით, არამედ აგურებით შედგენილი, ერთმანეთზე დალაგებული «კუბებით» (შემორჩ. ზომები: სიგრძე 2,5 მ, სიმაღლე 0,75 მ). შემაკავშირებელი მასალა გაჯია (ტაბ. II 1, ტაბ. IV, განი-ვი ჭრილი). კედლის ამგვარად შენებას მხოლოდ ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა _ მასალის დაზოგვა. ბუნებრივია, რომ ასეთი კედელი მაინცადამაინც მტკიცე არ იქნებოდა. ოთახის აღმ. კედელი, რომელიც საერთოა №1 ოთახისა და მის აღმ. მიმდებარე სათონისათვის, 0,8 მ-ზეა შემორჩენილი. ნაგებია რიყის ქვისა და აგურის ნატეხების რიგთა მონაცვლეობით. რიყის ქვები ზედა რიგებში «წოლით» ანუ ირიბადაა დალაგებული. შემაკავშირებელი მასალა აქაც ტალახია. ოთახი 0,5 მ სისქის რიყის ქვის კედლით გატიხრული ყოფილა ორ არათანაბარ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უნდა დაკავშირებოდა ტიხარის დას. ნაწილში არსებული გასასვლელით. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა №1 ოთახიდან მომდინარეობს. იქ ძირითადად სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების კერამი-კაა გამოვლენილი: «საქარიანი» თონე, ჩაფი, კოკები, მოზრდილი დერგი, ქილები და სხვ. ოთახი მასში აღმოჩენილი მასალის მიხედვით სამზარეულო ან საკუჭნაოა. საინტერესოა, რომ ოთახში გამოვლენილი ორი მოზრდილი კოკიდან ერთში ბარდა,

---

[16] ბუკლეტში «საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე,» დედაქალაქში სინაგოგათა გან-ლაგების რუკის ექსპლიკაციაში, ჩვენთვის საინტერესო ნაგებობასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: «აშკენაზების სალოცავი, ყოფილი ლახლუხების ლოცვა. ტყავის ჩიხი №13. აგებულია 1900-იან წლებში» [6, გვ. 12]. ზ. ჭიჭინაძე ევროპელი ებრაელების (აშკენაზების) შესახებ 1904 წ. აღნიშნავდა: «თფილისში მათ აქვსთ ორი სინაგოგა» [27, გვ. 90]. ავტორი არ მიუთითებდა მათ ადგილმდებარეობას, მაგრამ აღნიშნული ორი სალოცავიდან ერთი ტყავის ჩიხის №13-ში მდებარე სინაგოგა უნდა იყოს.

მეორეში კი ხორბალი ინახებოდა. ოთახი ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებულა. მიწატკეპნილ იატაკზე ყველგან შეიმჩნეოდა ხანძრის კვალი. ხოლო კედლების გასწვრივ დამწვარი ძელები იყო გადაქცეული (ტაბ. II 1).

№2 ოთახი (ტაბ. II 2) რიყის ქვის ტიხარით ორ ნაწილად გაყოფილი სათონეა, რომელშიც მიწაში პირამდე ჩადგმული ხუთი თონე აღმოჩნდა. სათონის ჩრდ. კედელი აღარ შემორჩენილა. დას. კედლის ცენტრალურ ნაწილში აგურით მოპირკეთებული ნიშია (ზომები: შემორჩ. სიმაღლე 0,6 მ, სიგანე 0,8 მ, სიღრმე 0,45 მ). აღმ. კედელი აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები. აგურები ირიბად, «წოლითაა» დალაგებული. 0,8 მ სიგანის კედელი მხოლოდ 4,2 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. ის სინაგოგის საძირკვლისგანაა დაზიანებული. სათონის სამხ. კედელი საერთოა №1 ოთახის, სათონისა და მათ სამხ. მიმდებარე №3 ოთახისათვის, რომლის მხოლოდ სამხ. და აღმ. კედელი, აგრეთვე მცირე ფართობზე შემორჩენილი მიწატკეპნილი იატაკის დონე ფიქსირდება. ის საცხოვრებელი დანიშნულების უნდა ყოფილიყო, რადგან კედლებზე შემორჩენილია გაჯის ნალესობა (ტაბ. II 3).

№3 ოთახს აღმ. ხოლო სათონეს სამხ. ეკვრის №4 ოთახი. მათ საერთო კედლები აკავშირებთ. ოთახი ძლიერაა დაზიანებული სინაგოგის კედლებით. თუმცა, მისი ფუნქციის გარკვევა არაა ძნელი. ესაა საცხოვრებელი დანიშნულების ოთახი, რომლის ჩრდ. კედელში (შემორჩ. სიგრძე 1,3 მ) ერთი, დას. კედელში (შემორჩ. სიგრძე 3,2 მ) კი იატაკის დონიდან 20 სმ სიმაღლეზე განლაგებული სამი თაღოვანი ნიშია (ნიშების ზომები: შემორჩ. სიმაღლე 1 მ, სიგანე 0,6 მ, სიღრმე 0,4 მ). ოთახი გაჯით იყო გალესილი. ისევე როგორც სხვაგან, აქაც ჩანდა ძლიერი ხანძრის კვალი – დამწვარი კედლები, ძელები, თიხის ჭურჭლები. ნაგებობა გადახურული ყოფილა კრამიტით. ამაზე მეტყველებს გათხრებისას მრავლად აღმოჩენილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატეხები. ამრიგად, განათხარი ნაგებობის სახით, საქმე გვაქვს XIX ს-ის თბილისისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ შენობასთან, თავისი დამხმარე სამეურნეო სათავსოებით (ტაბ. I-IV).

№1 ოთახისა და სათონის გამყოფი კედლის ქვეშ აღმოჩნდა აღწერილ ნაგებობაზე უფრო ადრეული შენობის კუთხის ნაშთი (ტაბ. III, ტაბ. IV). კედელი დამხრობილია ჩრდ.-სამხ. ხაზზე (შემორჩ. სიგრძე 2,2 მ, სიგანე 0,8 მ, სიმაღლე 0,6 მ). აღმ. მას ებმის მეორე კედელი, რომელიც მხოლოდ 0,8 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით ტალახზე. ზედა ფენის კედლებისაგან განსხვავებით, წყობაში არ ჩანს რიყის ქვა და აგური (ტაბ. III, IV). ქვედა და ზედა კედლებს შორის დაახლოებით 10 სმ სისქის სტერილური ფენაა. აღსანიშნავია, რომ ქვედა ფენის ნაგებობაც ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი. ქვედა ფენის კუთვნილებაა აგრეთვე №4 ოთახის იატაკის ქვეშ გამოვლენილი თონის ძირი (ტაბ. III 4). ვფიქრობთ, ქვედა ფენის ნაგებობა განადგურდა 1795 წ. სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს.

ცნობილია, რომ დანგრეულ-გადამწვარი დედაქალაქი დიდი ხნის მანძილზე მწყობრში ვერ ჩადგა. რუსულ ხელისუფლებას თბილისი დანგრეული დახვდა. სანამ მშენებლობის საქმე კალაპოტში ჩადგებოდა, კარგა ხანი გავიდა. ქალაქის გაწმენდა და ქუჩების მოწესრიგება წლობით გაგრძელდა [5, გვ. 37].

ძნელი სათქმელია კონკრეტულად როდის, მაგრამ 1795 წ. ტრაგედიის შემდეგ, XIX ს-ის დასაწყისში, იქ გაუმართავთ ნაგებობა, რომელიც შემდგომ ასევე ხანძრისგან განადგურებულა. თუმცა, ეს ხანძარი უკვე აღარ უკავშირდება მტრის შემოსევას.

ბუნებრივია, დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ნახანძრალ ნანგრევებს დიდხანს არავინ დატოვებდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1900-იან წლებში ამ ადგილას უკვე სინაგოგას აშენებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ გათხრილ ზედა ფენის ნაგებობას დაახლ. 70-80 წელი უარსებია. ოთახებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც კარგად ეთანხმება და ამაგრებს ზედა ფენის ნაგებობის თარიღს (XIX ს-ის დასაწყისი _ XIX ს-ის 70-80-იანი წწ.).[17]

ზედა ფენის განათხარ ნაგებობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ XVIII ს-ის პირველი ნახევრის ერთი საინტერესო ცნობა. თბილისის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: «სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან» [21, გვ. 3385-7]. ეს ცნობა კარგად მიესადაგება სინაგოგაში გამოვლენილ ძველთბილისურ ნაგებობას, რომლის მშენებლობაში ქვა-ტალახი და გაჯია გამოყენებული.

ცნობილია, რომ გვიანდელი შუასაუკუნეების თბილისური სახლის ეზოში საცხოვრებელი ნაგებობის გარდა, იდგა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც: სათონე, მარანი, საჯინიბო, საბძელი [10, გვ. 440]. ამის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება XVII-XVIII სს-ის დოკუმენტებში. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: «გიბოძეთ დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, აქათ მარანი, მისის ჭურითა, მარანს წინ სახლი» [9, გვ. 19]; «სახლებისაგან ერთი დარბაზი და ერთი სათორნე და ერთი საჯინიბო და მისი საბძელითა და ერთი დერეფანა და მას ქუეშეთა სარდაფი» [9, გვ. 29, 30]; «გერგო მამისეული სახლ-კარისაგან დარბაზი, მარანი, კიდევ დარბაზის მოკიდებით სათორნე, დარბაზის წინ დერეფანი, ამ დერეფნის ქვეშ სარდაფი ... შუა საზიარო კედელი» [9, გვ. 75]; «არის ამ სახლების სამძღვარი: თავი სათორნისა და მარნის კედელი» [9, გვ. 208]. როგორც ვნახეთ, თითქმის ყოველთვის, თბილისური საცხოვრებელი სახლის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა სათონე, მარანი, საჯინიბო, საბძელი, სარდაფი. განათხარი ნაგებობის მიხედვით, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, საჯინიბოზე, საბძელსა და სარდაფზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ სახეზე გვაქვს საკმაოდ კარგად შემონახული სათონე (ტაბ. II 2). მართალია, აქ მარნის კვალს ვერ მივაგენით, მაგრამ კომპლექსის შემადგენლობაში მარანიც რომ უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვითითებს გათხრებისას აღმოჩენილი ქვევრების ნატეხები (ტაბ. V 15, 19). განათხარი შენობიდან კარგად ჩანს, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ერთმანეთზე იყო გადაბმული და მათ საერთო კედლები ყოფდათ (ტაბ. II). თბილისურ სახლებში ცალკეულ ნაგებობებს შორის «საზიარო კედლების» შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობებიც მიგვითითებს [9, გვ. 75].

ნაგებობის გათხრებმა გამოავლინა მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რომელიც მართალია არ გამოირჩევა თავისი სიძველით, მაგრამ კარგად ხერხდება მათი ფორმების სრულად წარმოდგენა. არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა თიხის ნაწარმია, რომელშიც გამოირჩევა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის

---

[17] ხანძრის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სინაგოგის აშენებამდე, მცირე ხნით (დაახლ. ალბათ 10-20 წლის განმავლობაში) კვლავ სამოსახლო გაუმართავთ. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ №1 ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ჩაჭრილია მოგვიანო ხანის ორმოსაგან (ტაბ. I), რომელშიც კუზნეცოვის ფაბრიკის მიერ დამზადებული ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

ჭურჭელი. გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაწარმი – ჭრაქები, ჩიბუხები. იქვეა აღმოჩენილი მინის რამდენიმე ჭურჭელი და ქვის ორიოდე ნივთი.

სამეურნეო კერამიკის ჯგუფს განეკუთვნება თონეები. გათხრებისას შვიდი სხვადასხვა ზომის თონე გამოვლინდა. ერთი აღმოჩნდა №1 ოთახში; ხუთი სათონეში; ერთი, რამდენადმე ადრეული თონის ნაშთი მიკვლეულ იქნა №4 ოთახის იატაკის ქვეშ (ტაბ. II-III). დიდი თონეები ცილინდრული ფორმისაა, პროფილირებული პირით. ზოგიერთს პირზე შემოუყვება თოკისებური ორნამენტის სარტყელი. თონეები მიწაში პირამდე იყო ჩადგმული. მხოლოდ ერთს, №1 ოთახის თონეს ჰქონდა «საქარე», წყალსადენის ორი მილის სახით (მილის სიგრძე 43 სმ, დმ 8 სმ). სათონეში გამოვლენილი ორი შედარებით პატარა თონე (ზომები: სიმაღლე 70 სმ, დმ 40-60 სმ, კეცის სისქე 2 სმ) მთლიანია. რაც შეეხება დიდ თონეებს, ისინი შედგენილი იყო სამ-სამი თანაბარი ზომის ნაწილისაგან. დიდი თონეები ყველა თითქმის ერთი ზომისაა - სიმაღლე 1 მ, დმ 80 სმ, კეცის სისქე 3 სმ.

თონეები მრავლადაა აღმოჩენილი სამხ. კავკასიის შუასაუკუნეების ძეგლებზე. ჩვენი თონეების მსგავსი, «საქარიანი», პირზე თოკისებური ორნამენტით შემკული თონეები გამოვლენილია თბილისში, ერეკლე II-ეს მოედანზე, მეორე კულტურულ ფენაში, რომელსაც გამთხრელები ზოგადად XV-XVIII სს-ს მიაკუთვნებდნენ. იქვეა მიკვლეული სამი ნაწილისაგან შედგენილი ცილინდრული ფორმის თონეც [8, გვ. 17, 18, ტაბ. 14, სურ. 4, ტაბ. 17, სურ. 4, 5]. თონეების სამ-სამ ნაწილად დამზადების წესი კარგადაა ცნობილი ეთნოგრაფიული მასალების, კერძოდ კახური მეთუნეობის მიხედვით [7, გვ. 142].

ქვევრები პირ-გვერდის ნატეხებითაა შემორჩენილი. ქვევრის პირ-ყელი გარედან ანგობირებულია (ტაბ. V 15). გვერდის ნატეხი შემკულია თოკისებური სარტყელით (ტაბ. V 19). მსგავსი ორნამენტის მქონე ქვევრები ცნობილია: თბილისიდან, ერეკლე II-ეს მოედნიდან [8, ტაბ. 27, სურ. 162], ქუთაისის ციხის ტერიტორიიდან [11, გვ. 21], უფლისციხის გვიანდელი შუასაუკუნეების ფენებიდან [15, ტაბ. XIV 2].

დერგი პირმოყრილია, ფართო ბაკოთი. ტანი მაღალია, ძირი – ვიწრო. ტანი შემკულია ხუთი თოკისებური სარტყელით, რომელთაც ზემოდან შემოსდევს წერნაქის ფართო ზოლი (ტაბ. V 65). ჭურჭელი აღმოჩნდა №1 ოთახის სამხ. ნაწილში, იატაკის დონეზე.

ანალოგიური ორნამენტით შემკული დერგის ფრაგმენტი გამოვლენილია ქარვასლის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრებისას, XVIII ს-ის კულტურულ ფენაში [16, ტაბ. XIII 99].

განსხვავებული ტიპისაა მეორე დერგი, რომელიც პირ-ყელის ნატეხითაა შემორჩენილი. ჭურჭლის ფართო პირი შეღებილია წერნაქით. ზედაპირი ანგობირებულია. პირსა და ყელზე შემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზები და თოკისებური ორნამენტი. ყელზე შემორჩენილია წერნაქით შეღებვის კვალი. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი გადანატეხში მუქი (ტაბ. V 18). მსგავსი ფორმის დერგის პირ-ყელის ნატეხი აღმოჩნდა ქარვასლის გათხრებისას XVIII ს-ის კულტურულ ფენაში [16, ტაბ. X 62].

სამზარეულო დანიშნულების კერამიკიდან განათხარ მასალაში გვხვდება კოკები. ფორმა-მოყვანილობითა და ზომებით ისინი თითქმის ერთნაირია. ყველა აღმოჩნდა №1 ოთახის იატაკზე. ჭურჭლებს ახასიათებს შესქელებული მრგვალი პირი, ქვემოთ გაფართოებული დაბალი ყელი, განზიდული მხრები. მაღალი ტანი ქვემოთ მკვეთ-

რად ვიწროვდება. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ზოგიერთს პირსა და მხარზე შემოუყვება დაუდევრად გამოყვანილი წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლები (ტაბ. VI 62). ზოგიერთს ტანი შემკული აქვს წერნაქის წინწკლებით (ტაბ. VI 61, 66). ერთ-ერთ მათგანზე გამოწვის შემდეგ მხარზე მკრთალად ამოუკაწრავთ ურთიერთგადამკვეთი ხაზები, ხოლო მუცელზე «თავთავისებური» ორნამენტი (ტაბ. VI 61). საინტერესოა, რომ კოკები მარტო სითხის შესანახი ჭურჭლები არ ყოფილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთ კოკაში (ტაბ. V 62) აღმოჩნდა ხორბალი, მეორეში (ტაბ. VI 63) _ ბარდა.

წერნაქით დაწინწკლული კოკების პარალელების ძიებისას უნდა გავიხსენოთ ანჩისხატთან, ავლევისა და მამაცაშვილის ქუჩებზე გამოვლენილი, გ. ლომთათიძისა და ი. გძელიშვილის მიერ გამოქვეყნებული არქეოლოგიური მასალა. გამთხრელების ცნობით, იქ აღმოჩენილია ჭურჭლების «ყელის, გვერდის, ყურისა თუ ძირის ნატეხები, რომელთა ზედაპირი მთლიანად ან წინწკლებისა და ხაზების სახით შეღებილია წითელი საღებავით». ფაიანსისა და ერთფერად მოჭიქული კერამიკის გარდა არქეოლოგიური მასალის უმრავლესობას ავტორები XI-XIII სს-ს მიაკუთვნებდნენ [14, გვ. 22]. ვფიქრობთ, იქ გამოვლენილი წერნაქით დაწინწკლული და წერნაქით შეღებილი კერამიკის ნიმუშები გვიანდელ შუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდნენ.

ანალოგიური ფორმის წერნაქით დაწინწკლული კოკა ცნობილია ასევე თბილისიდან, ქარვასლის ტერიტორიაზე გამოვლენილი XVIII ს-ის კულტურული ფენიდან [16, ტაბ. VII 53]. უნდა აღინიშნოს, რომ ჭურჭლის ეს ფორმა ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ გვიანობამდეა შემორჩენილი [7, ტაბ. XXXII, სურ. 1].

ქოთნებიდან ერთი პირგაშლილია, ფართოყელიანი, მხრებდაშვებული. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ძირი ფართოა (ტაბ. VII 71). ჭურჭელი უხეშად, დაუდევრადაა ნაძერწი. აღმოჩნდა №4 ოთახის იატაკის დონეზე.

სათონეში, თონის პირთანაა გამოვლენილი პატარა ქოთანი, გაშლილი პირით, დაბალი ყელით, დაშვებული მხრებითა და ვიწრო ძირით. მხრები შემკულია წერნაქის ტალღოვანი ფართო ზოლით (ტაბ. VII 70), რომელიც ძალზე დამახასიათებელი დეკორია ნაგებობაში აღმოჩენილი ჭურჭლებისათვის.

ქილებიც ორი განსხვავებული ტიპისაა. ქილას აქვს ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირი და დაბალი ყელი. მხრები განზიდულია. ტანი მაღალია, ქვემოთ მკვეთრად დავიწროებული. მხარი და ტანის ქვედა ნაწილი შემკულია თოკისებური ორნამენტით, რომელზეც შემოუყვება წერნაქის ფართო ზოლი. მხარი და ტანი შემკულია დაუდევრად გამოყვანილი წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლებით (ტაბ. VII 64). ქილა აღმოჩნდა №1 ოთახის იატაკზე.

იქვე, ახლოსაა გამოვლენილი განსხვავებული ტიპის მეორე ქილა, რომელიც ხასიათდება მომაღლო, ცილინდრული მოყვანილობის პირ-ყელით. ყელსა და მხარზე შემოუყვება წერნაქის ფართო, სწორხაზოვანი და ტალღოვანი სარტყელი. მხარზე გამოყვანილია ოდნავ შესამჩნევი ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი. ტანი შემკულია ანგობის ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. VII 67).

აღწერილი ქილების მსგავსადაა შემკული (თოკისებური ორნამენტი, წერნაქის ფართო ზოლები) იმავე ოთახში გამოვლენილი დერგი (ტაბ. V 65), კოკები (ტაბ. VI 62, 63), სათონეში აღმოჩენილი ქოთანი (ტაბ. VII 70) და სხვ.

სუფრის ჭურჭელში გვხვდება ხელადები და სურები. მთლიანადაა შემორჩენილი სათონეში, თონის პირას აღმოჩენილი მრგვალპირიანი ხელადა ქვემოთ დავიწროებული ყელით. ტანი შემკულია წერნაქის ფართო, ტალღოვანი ზოლითა და წინწკლებით (ტაბ. VIII 72). ფორმა-მოყვანილობით ის ძალზე წააგავს №1 ოთახში აღმოჩენილ წერნაქიან ხელადას (ტაბ. VIII 60).

განსხვავებული ტიპისაა ხელადა ფართო, მაღალი, წიბოიანი ყელით, რომელზეც მიერთებულია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ყელის ქვედა ნაწილს ამკობს ქვემოდან გამობერილი ლილვი, რომელზეც შემორჩენილია კიდევ ერთი ყურის კვალი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. IX 17). ჭურჭელი განეკუთვნება ე. წ. ორმაგყურიან ხელადებს. ერთი ასეთი ორმაგყურიანი წერნაქით შეღებილი ხელადა აღმოჩნდა №1 ოთახში (ტაბ. XII 58).

სურის პირ-ყელის ნატეხი ხასიათდება მრგვალი, გაშლილი პირით. მაღალსა და ვიწრო ყელს ამკობს შიგნიდან გამობერილი ლილვი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. IX 2). ასეთივე ლილვი ამკობთ ზემოთ აღწერილ მოჩალისფროკეციან ხელადას (ტაბ. IX 17) და №1 ოთახში აღმოჩენილ უკვე ნახსენებ წერნაქით შეღებილ ორმაგყურიან ჭურჭელს (ტაბ. XII 58). სამივე არტეფაქტი ერთმანეთის თანადროულია.

ჯამებიდან ზოგიერთს აქვს ნაჭდევებით შემკული ფართო ბაკო (ტაბ. X 25). ჯამების ერთი ნაწილი ხასიათდება შესქელებული, სწორი პირით (ტაბ. X 27, 28). ზოგიერთს მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი (ტაბ. X 24). ჭურჭლების ერთ ჯგუფს აქვს ფართოდ გაშლილი პირი (ტაბ. X 21). მათშიც გვხვდება ამოღარული ტალღოვანი სარტყელით მხარშემკული ნიმუშები (ტაბ. X 26). ყველა მათგანი გამომწვარია მოჩალისფროდ. ზოგჯერ კეცი გადანატეხში მუქია. ფორმებით, თიხის სტრუქტურით, კეცის ფერით ისინი გვიანდელი შუასაუკუნეების ტიპიური ჭურჭლებია [8, ტაბ. 21, სურ. 90, ტაბ. 23, სურ. 94, 95, ტაბ. 32, სურ. 247].

სხვადასხვა დანიშნულების კერამიკას შორის გვხვდება ორი ტიპის ჭრაქი. ლულიანი ჭრაქი, რომელიც ნაყარი ფენიდან მომდინარეობს, ნაკლულადაა შემორჩენილი (ტაბ. IX 1). ფიქრობენ, რომ მილიანი ჭრაქები სამხრეთ კავკასიაში დაახლოებით VIII-IX სს-დან ჩნდება [19, გვ. 56]. ამგვარი ჭრაქები აღმოჩენილია დვინის ცენტრალური კვარტლის IX ს-ის ფენაში [33, ტაბ. XXVI]. ორენ-ყალადან ცნობილია მილიანი ჭრაქების როგორც IX-X, ისე XI-XIII სს-ის ნიმუშები [31, გვ. 220, 221, ტაბ. XIII]. მსგავსი ფორმის ჭრაქები აღმოჩნდა უჯარმაში [13, გვ. 231], უფლისციხეში, კვეტერის ციხეზე [15, ტაბ. XX 3; 17, ტაბ. LVII 40, 160, 855, 1931]. გვიანდელი შუასაუკუნეების მილიანი ჭრაქები ცნობილია თელავიდან [22, გვ. 79], გრემიდან [25, გვ. 121, სურ. 55]. ანალოგიური ჭრაქები გვხვდება თბილისში, ერეკლე II-ეს მოედნის არქეოლოგიურ მასალაში. ძეგლის გამთხრელები მათ V-VII სს-ს მიაკუთვნებდნენ [7, გვ. 46, ტაბ. 19, სურ. 27, ტაბ. 21, სურ. 40, ტაბ. 29, სურ. 193, 194, 198, 199], რაც სრულიად უმართებულო თარიღია. ისინი გვიანდელი შუასაუკუნეების ჭრაქებია.

განსხვავებული ტიპისაა ე. წ. ვაზისებური ჭრაქი, რომლის ზედა ნაწილი საპატრუქიანი პატარა ჯამია, ქვედა ნაწილი - ლამბაქი. ისინი ერთმანეთს უკავშირდება წიბოიანი ფეხით. ყური მიერთებულია ჯამის მხარსა და ლამბაქის პირზე. გამომწვარია მოჩალისფროდ. კეცი გადანატეხში მუქია (ტაბ. IX 20).

ვაზისებური ჭრაქები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ისინი გვხვდება აზერბაიჯანში [32, გვ. 974, ტაბ. II, სურ. 2, 3], სომხეთში [36, სურ. 156; 34, გვ. 74, ტაბ. XVIII,

სურ. 4-6; 35, ტაბ. XII, სურ. 4], შუა აზიაში [37, გვ. 62]. გვიანდელი შუასაუკუნეების ამგვარი ჭრაქები ჩვენში აღმოჩენილია: თბილისში, ერეკლე II-ეს მოედანზე, რუსთავში [2, გვ. 115, 116], თელავში [22, გვ. 79], გრემში [25, გვ. 122, სურ. 54]. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი გამოვლენილია თბილისის დედაციხეზე (110 ცალი) XVI_XVIII სს-ის მასალებთან ერთად [2, გვ. 117]. მათ შორის გვხვდება მოჭიქული ნიმუშებიც [19, ტაბ. III]. XVII-XVIII სს-ით თარიღდება თელავიდან მომდინარე ამგვარი ჭრაქები [22, გვ. 79, 80]. სინაგოგის ტერიტორიიდან მომდინარე ჭრაქები უფრო XVIII ს-ით შეიძლება დავათარიღოთ. ფიქრობენ, რომ ჭრაქის ეს ფორმა ჩვენში მუსულმანური სამყაროდან უნდა იყოს შემოტანილი იმ დროს, როცა ამ ელემენტის მომძლავრება პოლიტიკური მიზეზებით ძალზე გაძლიერდა [2, გვ. 117].

ორი ჩიბუხიდან ერთი გამომწვარია ნაცრისფრად (ტაბ. IX 4), მეორე – წითლად (ტაბ. IX 47). უკანასკნელი წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. ორივე შემკულია რელიეფური ორნამენტით. ჩიბუხები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოს გვიანდე-ლი შუასაუკუნეების ძეგლებზე. ისინი გვხვდება: თბილისში, გორში, ყარაღაჯში, მცხეთაში, რუსთავში, გრემში, გუდარეხში, დმანისში, ნადარბაზევში, თელავში, იყალთოში; ქვემო ქართლის ნასოფლარებზე _ რკინის წყალი, ძველი ბოგვი, ფოლადაური; სამხ. და სამხ.-დას. საქართველოში _ ახალქალაქი, ახალციხე, ვარძია, ვანის ქვაბები, ქუთაისი, წაქვინჯა [2, გვ. 119], გონიო [12, გვ. 45, 46] და სხვ. ჩიბუხები ფორმებისა და ორნამენტის საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. აღმ. საქართველოში გამოვლენილი ჩიბუხები ძირითადად XVII-XVIII სს-ით თარიღდება. ფიქრობენ, რომ მათი ნაწილი XIX ს-ის დასაწყისსაც განეკუთვნება. ჩვენში მათ გავრცელებას ირან-ოსმალთა შემოსვლასა და ხანგრძლივ ბატონობას უკავშირებენ [2, გვ. 129].

განათხარ მასალაში საინტერესო ჯგუფს შეადგენს №1 ოთახში აღმოჩენილი წერ-ნაქით შეღებილი კერამიკა, რომელთაც ცალკე განვიხილავთ. მასში გამოირჩევა სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი.

ტუჩიან, ყელწიბოიან ჩაფს ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებული აქვს ყელსა და მხარზე. ზედაპირი წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. მხრები შემკულია ორ ფრიზად განლაგებული ამოკაწრული «თევზიფხური» ორნამენტითა და ხუთფურცლა ვარდულებით. ტანზე დაუყვება წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები (ტაბ. XI 69). ფორმა-ზომებითა და ორნამენტით აღწერილი ჩაფის თითქმის ზუსტი ანალოგია აღმ. საქართველოს (ზაქათალა) XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილი ჩაფი [4, ტაბ. XIV].

კოკას აქვს რელიეფური სარტყელებით შემკული დაბალი ყელი და გამობერილი მუცელი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი შეღებილია წერნაქით. ყელის ქვედა ნაწილზე შემოუყვება ამოღარული სარტყელები. მხრები შემკულია ამოღარული «თევზიფხური» ორნამენტით (ტაბ. XII 59). ანალოგიური ფორმა-მოყვანილობისა და ორნამენტის მქონე XVII-XVIII სს-ით დათარიღებული მოზრდილი ჭურჭელია აღმოჩენილი თბილისის დედაციხეზე [1, გვ. 176, 178, ტაბ. II].

ხელადის ვიწრო და მაღალი ყელი შემკულია ამოღარული სარტყელებითა და შიგნიდან გამობერილი ლილვით. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ორმაგი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. წერნაქით შეღებილ ხაოიან ზედაპირზე

ამოღარულია «თევზიფხური» ორნამენტი, ტალღოვანი და სწორი ხაზები. ტანზე დაუყვება წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები (ტაბ. XII 58).

მსგავსი ფორმისა და შემკულობის ორმაგყურიანი ხელადები ცნობილია ნარიყალადან [1, გვ. 177, ტაბ. III 2]. XVIII ს-ით დათარიღებული ასეთივე ჭურჭელი მომდინარეობს ქარვასლის არქეოლოგიური მასალიდან [16, ტაბ. XII 51]. მსგავსი ხელადა ცნობილია დმანისიდან [29, ტაბ. VIII]. ანალოგიური ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩენილია მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთ კედელთან [1, გვ. 177]. მართებულად აღნიშნავდა თ. არჩვაძე, რომ «ამგვარად შემკული ჭურჭელი საქართველოს გარეთ ... არსად გვხვდება. ეტყობა, იგი ქართული კერამიკისათვის არის დამახასიათებელი. განსაკუთრებით ბევრია იგი ჩვენში გვიანფეოდალური ხანის ჭურჭლებზე. თევზიფხური ორნამენტი ტრადიციულად დღემდე შემორჩა ქართულ კერამიკას» [1, გვ. 178].

წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული ხელადები და დოქები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზე [3, გვ. 135, 151]. ძეგლების გამთხრელი ნ. ბახტაძე იზიარებს თ. არჩვაძის მიერ ამგვარი ჭურჭლების გვიანდელი შუასაუკუნეებით დათარიღებას. თუმცა, მიაჩნია, რომ წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული ჭურჭლები უნდა ემზადებინათ როგორც განვითარებულ, ისე გვიანდელ შუასაუკუნეებში. ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზე გამოვლენილ ამგვარ ჭურჭლებს ის XIV-XV სს-ის მიჯნაზე გაჩენილი კულტურული ფენიდან მომდინარე მასალებად მიიჩნევს [3, გვ. 151, 152]. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ამგვარი ჭურჭლების თარიღის დაძველება. აღმ. საქართველოს და მათ შორის ქვემო ქართლის მთელ რიგ ძეგლებზე გამოვლენილი ამგვარი ჭურჭლების ფორმები თუ შემკულობა სრულიად არაა დამახასიათებელი განვითარებული შუასაუკუნეებისათვის. ვერც თ. არჩვაძის იმ აზრს გავიზიარებთ, რომ «მომავალი გათხრა-შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს არსებულ მასალაშივე გამოიყოს უფრო ადრეული, კერძოდ XIV-XV სს მისაკუთვნებელი ნიმუშები» [1, გვ. 186]. წერნაქით შეღებილი და «თევზიფხური» ორნამენტით შემკული დოქები და ხელადები გვიანდელი შუასაუკუნეების ნაწარმია, რომლებიც XIX ს-შიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა.

ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ხელადა ამოღარული სარტყელებით შემკული, მაღალი, ვიწრო ყელით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ხაოიანი ზედაპირი წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. XII 68).

ხელადა ხასიათდება გაშლილი მრგვალი პირითა და პატარა ტუჩით. ყელი ფართოა, დაბალი, ქვემოთ შევიწროებული. მხრები და მუცელი დაშვებულია. ყური მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ყელზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. შეღებილია ღია ფერის წერნაქით (ტაბ. VIII 60).

წერნაქითაა შეღებილი მილიანი დოქი, რომელიც მილის ნატეხითაა შემორჩენილი (ტაბ. VIII 3). სადა, მოჭიქული თუ წერნაქით შეღებილი მილიანი დოქები და ხელადები მრავლადაა ცნობილი საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან. წერნაქით შეღებილი მილიანი ხელადები აღმოჩენილია: ნარიყალაზე, მცხეთაში, რუსთავში და სხვ. [1, გვ. 179, 180].

სურას აქვს ოდნავ გაშლილი პირი, პატარა ტუჩი. ყელი ვიწროა, მაღალი. ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ამო-

ღარული სარტყელებით შემკულ ყელსა და მუცელზე. წერნაქით შეღებილი ზედაპირი ხაოიანია (ტაბ. XII 57).

აღწერილი წერნაქიანი ჭურჭლები, ერთის გარდა (ტაბ. VIII 3), ყველა №1 ოთახში იატაკის დონეზეა აღმოჩენილი და მათი თარიღი XIX ს-ით განისაზღვრება.

მათი თანადროული ჩანს გათხრებისას სხვადასხვა ადგილას გამოვლენილი წერნაქიანი ბადია (ტაბ. X 23) და თეფშები (ტაბ. VIII 7, 22). მსგავსი ფორმის თეფშები ცნობილია: თელავიდან [22, გვ. 78], დმანისიდან [29, ტაბ. LXVIII 7], თბილისიდან, ერეკლე II-ეს მოედნიდან [8, გვ.78, ტაბ.37,სურ.320],ნარიყალადან[1,გვ.183].

სადა კერამიკული ნაწარმის უმეტესობის ზედაპირი ხაოიანია. მათ შორის ზოგიერთი წერნაქით შეღებილი ცალებისაც. კერამიკის შესამკობად გამოყენებულია: თოკისებური სარტყელები, წიბოები, ნაჭდევები; სუსტად ამოკაწრული სწორი და ტალღოვანი სარტყელები; ამოკაწვრით გამოყვანილი ან წნევით დატანილი «თავთავისებური» ორნამენტი თუ ხუთფურცლა ვარდულები; წერნაქის სწორი და ტალღოვანი ზოლების სარტყელები; წერნაქით დაწინწკვლა; წერნაქით შეღებვა და ზოგჯერ გაპრიალება;წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლები.

მოზრდილ ჭურჭლებს სიმაგრისათვის შიდაპირზე შემოუყვებათ ერთი ან ორი რელიეფური სარტყელი. თიხა უპირატესად მსხვილმარცვლოვანია. ჭურჭლები გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. კეცი გადანატეხში ხშირად მუქია. რაც შეეხება წერნაქით შეღებილ კერამიკას, რომელიც როგორც ფორმებით, ისე ორნამენტით გვიანდელი შუასაუკუნეების თბილისისათვის ძალზე დამახასიათებელი ნაწარმია, მისი თიხა წმინდადაა განლექილი. მკვრივი კეცი გადანატეხში წითელი და ნაცრისფერია.

მოჭიქულ კერამიკაში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. მათში ყველაზე ადრეული ჩანს სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილი მრავალფრად მოჭიქული ჯამები, შემკული ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებით. ჯამზე ამოკაწრული მტრედის გამოსახულება შევსებულია ყვითელი, მწვანე და ანგობის თეთრი ფერით. ფრინველის მკერდზე გამოსახულია «გული» (ტაბ. XIII 48). ანალოგიური ორნამენტი ამკობს მეორე ჯამსაც (ტაბ. XIII 49). ერთ-ერთ ჯამზე ამოკაწრულია ყვითელი საღებავით შევსებული ლომის ტანი (ტაბ. XIII 44). ყველა ჯამზე ფონი შევსებულია ანგობის თეთრი ფერით, აგრეთვე მწვანე რტოყლორტოვანი ორნამენტითა და სოსნისფერი წერტილებით. ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებებით შემკული მრავალფრად მოჭიქულ ჯამებს XII-XIII სს-ით ათარიღებდნენ [17, გვ. 37-42]. ამგვარი ჯამები გვხვდება თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, რომლის დანგრევის თარიღად უკანასკნელ ხანებში უკვე XIV ს-ის მიწურულია მიჩნეული [30, გვ. 38-56; 26, გვ. 51-53].

ამოკაწვრით მოხატული და ერთფერად _ მწვანედ და ცისფრად მოჭიქული ჭურჭლები რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ჯამის ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია ამოკაწრული ხაზები. მოჭიქულია მწვანედ (ტაბ. XIII 43). ლარნაკის ანგობირებული მხარი შემკულია ამოკაწრული მცენარეული ორნამენტით (ტაბ. XIII 11).

მათი თანადროული ჩანან ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამებისა (ტაბ. XIII 29, 32) და ლარნაკის (ტაბ. XIII 31) ნატეხები. ისინი ნაყარ ფენაშია აღმოჩენილი. საერთოდ, ამოკაწვრით მოხატულ მწვანედ და ცისფრად მოჭიქულ ჭურჭლებს XI-XII სს-ით ათარიღებდნენ [18, გვ. 23-25]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ

კეცით ჩვენი ჭურჭლები თითქმის არ განსხვავდება სინაგოგაში გამოვლენილი გვიანდელი შუასაუკუნეების სხვა მოჭიქული ჭურჭლებისაგან. ამოკაწვრით მოხატული, მწვანედ და ცისფრად მოჭიქული კერამიკა XVI-XVII სს-ის ნაწარმად მიგვაჩნია.

შიშველ კეცზე თეთრი ანგობის სქელი ზოლებით მოხატული და ცისფრად მოჭიქული მოზრდილი ჯამის ძირის ნატეხი ნაყარ ფენაშია აღმოჩენილი (ტაბ. XIII 30). ანალოგიურად შემკული ჯამების თარიღად XI-XII სს-ია მიჩნეული [18, გვ. 28-30]. ვფიქრობთ, ამგვარი ჭურჭლები უფრო მოგვიანებით უნდა ეწარმოებინათ. სინაგოგის ჯამს ჩვენ XVI-XVII სს-ს მივაკუთვნებთ. საინტერესოა, რომ ერთი ამგვარი, ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი აღმოჩნდა ქარვასლის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას, გვიანდელი შუასაუკუნეების ფენაში [16, ტაბ. XIII 88].

მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმებითაა წარმოდგენილი. მათში გვხვდება: ფართო და დაბალქუსლიანი ბრტყელძირა ჯამი (ტაბ. XIV 9); პირგაშლილი ჯამის ნატეხი (ტაბ. XIV 8); სამარილის ძირი (ტაბ. XIV 52); ხელადის ყურისა (ტაბ. XV 12) და ყელის ფრაგმენტი (ტაბ. XIV 35); კოტოშების გვერდის ნატეხები (ტაბ. XIV 50, 51). მწვანედ მოჭიქული ჭურჭლების ყველა ეს ფორმა კარგადაა დამახასიათებელი საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების ძეგლებისათვის [8, ტაბ. 31, სურ. 244; 22, ტაბ. VIII; 19, გვ. 195; 28, ტაბ. X, XII]. მწვანედ მოჭიქული კერამიკიდან აღსანიშნავია ღრმად ნაჭდევი სამკუთხედებით შემკული ჭურჭლის გვერდი (ტაბ. XIII 13). ამგვარი ორნამენტით შემკული XII-XIII სს-ით დათარიღებული მწვანედ მოჭიქული კერამიკა გვხვდება თბილისსა და გუდარეხში [18, ტაბ. LVII 1]. აღმოჩენის ვითარების მიხედვით, ჩვენი ჭურჭელი უფრო XVI-XVII სს-ს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ფირუზისფრად მოჭიქულ ჭურჭელში გვხვდება შედარებით სწორპირიანი და ფართოდ გაშლილი პირის მქონე ჯამები (ტაბ. XIV 39, 40); აგრეთვე ხელადისა თუ დოქის სწორპირიანი, რელიეფური სარტყელით შემკული პირ-ყელის ნატეხი (ტაბ. XIV 41). ფირუზისფრად მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია: თელავში [23, გვ. 79, ტაბ. XVI 1], გრემში [25, ტაბ. 4]. XVIII ს-ით დათარიღებული ფირუზისფრად მოჭიქული ჭურჭლები ცნობილია ნარიყალადან [19,გვ.194, ტაბ.VII 1] და სხვ.

მოჭიქულ კერამიკაში ცალკე ჯგუფს შეადგენს თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე მომწვანო, მოცისფრო და მუქი ცისფერი საღებავით მოხატული ქილები (ტაბ. XV 36, 37), ჯამი (ტაბ. XV 38), თეფში (ტაბ. XV 14), ყელწიბოიანი ხელადა (ტაბ. XV 34). ჭურჭლებზე გადავლებულია მონაცრისფრო ჭიქური. ანალოგიურად შემკული კერამიკა გვხვდება თელავში [22, გვ. 80, ტაბ. VI 2; 23, გვ. ტაბ. XVI], თბილისში, ნარიყალაზე [19, გვ. 192]. ისინი ნაგებობის იატაკის დონეზე გამოვლენილი მოუჭიქავი თიხის ჭურჭლების თანადროული ჩანან.

ფორმით ყელწიბოიანი ხელადის (ტაბ. XV 34) ანალოგიური და მისი თანადროულია ლურჯად მოჭიქული ხელადის პირ-ყურის ნატეხი (ტაბ. XV 33).

№1 ოთახში აღმოჩენილი ორი მოჭიქული ჭურჭლიდან ერთი პირგაშლილი, ცილინდრულყელიანი ქილაა, მაღალი, ვიწრო ტანით, ოდნავ პროფილირებული ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ტანი შემკულია ამოღარული სწორი და ტალღოვანი სარტყელებით. ორმხრივ მოჭიქულია ყვითლად (ტაბ. XVI 56). ჭურჭლის კეცი სრულიად იდენტურია ნაგებობაში გამოვლენილი კერამიკული ნაწარმის კეცისა. დაახლოებით მსგავსი ფორმის მოჭიქული ქილები ცნობილია XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებიდან [4, ტაბ. LI, 2, LII].

რაც შეეხება მეორე ჭურჭელს, ის შტამპით გამოყვანილი ორნამენტით შემკული მრგვალპირიანი ხელადაა, რომლის ანგობირებული ზედა ნაწილი მოჭიქულია ყავისფრად. ხელადის ყელს ამკობს შტამპით დატანილი წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი, მუცელს _ რელიეფურ წრეში მოქცეული ორმაგი ბორჯღალის სამი მედალიონი. გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი (ტაბ. XVI 55). ჭურჭელი ფორმით, შემკულობითა თუ კეცის სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდება ნაგებობაში აღმოჩენილი სხვა კერამიკული ნაწარმის კეცისაგან და მისი იმპორტულობა ეჭვს არ იწვევს.

წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით შემკული ჭურჭლის ნატეხი 1937 წ. აღმოჩნდა დმანისში. ბ. შელკოვნიკოვმა ის გვიანდელი შუასაუკუნეების ქვემო რეინის სახელოსნოების (კიოლნი, ფრეხენი) ნაწარმად მიიჩნია და XVI ს-ით დაათარიღა [38, გვ. 163-164]. სავსებით მართებული უნდა იყოს დმანისური ჭურჭლის წარმომავლობის განსაზღვრა, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ნივთის XVI ს-ით დათარიღებისათვის ავტორის მიერ მოტანილი არგუმენტები დამაჯერებლად არ გამოიყურება. დმანისური ჭურჭლის ნატეხი თუ უფრო მოგვიანო არა, XVIII ს-ის მაინც უნდა იყოს.

წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით შემკული ჭურჭლები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში. მათ ბარტმანებს (ბარტმანი - წვეროსანი მამაკაცი) უწოდებენ [19, გვ. 194]. არაა გამორიცხული, რომ №1 ოთახში გამოვლენილი ხელადა გერმანული წარმოშობის იყოს. ბარტმანები აღმოჩენილია სამთავისის ტაძრის ეზოს გათხრებისას, გვიანდელი შუასაუკუნეების კულტურულ ფენაში;[18] თბილისიდან (ნარიყალა) მომდინარე XVII-XVIII სს-ით დათარიღებული ამგვარი ჭურჭლები მ. მიწიშვილის აზრით, ადგილობრივაა დამზადებული გერმანული ბარტმანების მიბაძვით [19, გვ. 194].

მინის ნაწარმიდან გვხდება №1 ოთახში აღმოჩენილი პატარა ბოთლი, ვიწრო მომაღლო ყელით. ტანი ცილინდრულია. მინა უფერული, გამჭვირვალე (ტაბ. XVII 54). ჭურჭელი სავარაუდოდ რუსული თუ ევროპული წარმოების უნდა იყოს.

იმავე ოთახის ჩრდ. ნაწილში იატაკის დონეზეა გამოვლენილი სურის პირ-ყელის ნატეხი. პირი შესქელებულია, ყელი ვიწრო და მაღალი. ყელის ქვედა ნაწილზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი. მინა მომწვანოა (ტაბ. XVII 46). ანალოგიური ფორმის სურები აღმ. საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების განათხარი მასალებიდან კარგადაა ცნობილი _ ერეკლე II-ეს მოედანი, თბილისის დედაციხე და სხვ. [24, გვ. 50, ტაბ. XIII].

ქვის ნივთებს შორის ქვევრის ორი თავსახურია (დმ 19,5 სმ, სისქე 4 სმ; დმ 30 სმ, სისქე 5 სმ). მათგან ერთი, №1 ოთახის დას. კედელში იყო ჩატანებული. შურდულის ქვა ნაყარი ფენიდან მომდინარეობს და ნაგებობაში გამოვლენილ მასალებთან შედარებით რამდენადმე უფრო ადრეული ჩანს (ტაბ. XVII 10). თუმცა, ის ზოგადად გვიანდელი შუასაუკუნეებისაა.

№1 ოთახის აღმ. კედლის წყობაში ჩატანებული იყო ბაზალტის სამფეხა ხელსაფქვავის მასიური ფრაგმენტი. მისი ზედა ნაწილი წრიულადაა ამოკაფული და

[18] ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ არქეოლოგ გ. მახარაძეს.

ეყრდნობა მაღალ, სწორკუთხა ფეხს. ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული. ზედა ნაწილის კიდეები გახეხილ-გაპრიალებულია _ ნამუშევარია (ტაბ. XVII 73).

მიუხედავად იმისა, რომ სამფეხა ჩვენში კარგად ცნობილი ხელსაფქვავების არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ ნიმუშებს ნაკლებად წააგავს, ვფიქრობთ, ის მაინც ამ რიგის არტეფაქტი უნდა იყოს, რაზეც მიუთითებს ხანგრძლივი ტრიალისა და ხახუნის გამო სამფეხას შიდა ნაწილის კიდეების სიპრიალე.

№1 ოთახის იატაკზე გამოვლენილი ჭურჭლებიდან ერთში აღმოჩნდა კილიანმარცვლიანი ხორბლის, ჩელტა ზანდურის კარბონიზირებული მარცვლები _ Triticum timopheevi (2 n = 28), მეორეში წვრილმარცვლიანი, ჩვეულებრივი ბარდის _ Pisum sativum L მარცვლები.[19] თუ ამას დავუმატებთ იმ მონაცემებსაც, რომ ნაყარ ფენებში აქა-იქ ჩნდებოდა ძროხის, ცხვრის, ქათმის, აგრეთვე ღორის ძვლები და ეშვები, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება დედაქალაქის იმდროინდელი მოსახლეობის კვების რაციონზე.

ამრიგად, სინაგოგაში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი ნაგებობა, თავისი დამხმარე სათავსოებით. ნაგებობა სრულად არაა შემორჩენილი, მაგრამ მაინც გვეძლევა საშუალება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მის გეგმარებასა და ხასიათზე. ნაგებობაში აღმოჩენილი არტეფაქტები კარგადაა ცნობილი აღმ. საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების ძეგლებიდან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნივთები სათანადო ლიტერატურაში XVIII ს-ზე მოგვიანო ხანით არ თარიღდება. სინაგოგიდან მომდინარე მასალებით კი ირკვევა, რომ ამგვარი ფორმები საკმაოდ გვიან, XIX ს-იც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

## ლიტერატურა


1. **არჩვაძე თ.** თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974, გვ. 174-188.

2. **არჩვაძე თ.** აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი, ფსაძ, ტ. III, თბ., 1978, გვ. 111-133.

3. **ბახტაძე ნ.** კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში, თბ., 2007.

4. **ბედუკაძე ს., რეხვიაშვილი ნ., მოლოდინი ლ., ჩართოლანი მ., ჩაჩაშვილი გ.** ქართული ხალხური კერამიკა (კატალოგი), თბ., 1964.

5. **ბერიძე ვ.** თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წწ., თბ., 1960.

6. **ბოსტანაშვილიშ.**საქართველოშიებრაელთადამკვიდრების26საუკუნე,თბ.,1998.

7. **ბოჭორიშვილი ლ.** ქართული კერამიკა (კახური), თბ., 1949.

8. **გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო.** თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები თბ., 1961.

9. **დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის** (XVI-XIX სს.), წიგნი I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1962.

10. **თბილისის ისტორია,** ტ. I, თბ., 1990.

11. **ისაკაძე რ.** ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006.


[19] მარცვლეულის ჯიშები განსაზღვრა ნ. რუსიშვილმა.

12. **კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ.** 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, კრ. გონიო-აფსაროსი III, თბ., 2002, გვ. 44-70.
13. **ლომთათიძე გ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობაში, თბ., 1989.
14. **ლომთათიძე გ., გძელიშვილი ი.** ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისათვის, ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა, №8, 1956, გვ. 21-23.
15. **მინდორაშვილი დ.** უფლისციხე ფეოდალურ ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990, ხელნაწერი.
16. **მინდორაშვილი დ.** არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში (ქარვასლა), თბ., 2006, ხელნაწერი.
17. **მინდორაშვილი დ.** კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა I, სშაძ, ტ. I, თბ., 2007, გვ. 90-108.
18. **მიწიშვილი მ.** მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს., თბ., 1969.
19. **მიწიშვილი მ.** თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974, გვ. 189-200.
20. **სინაურიძე მ.** აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი I, თბ., 1966, გვ. 39-90.
21. **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
22. **ჩიკოიძე ც.** თელავი გვიანფეოდალურ ხანაში, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974, გვ. 68-83.
23. **ჩიკოიძე ც.** ქალაქი თელავი, თბ., 1979.
24. **ჩხატარაშვილი მ.** მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
25. **ჭილაშვილი ლ.** კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.), თბ., 1980.
26. **ჭილაშვილი ლ.** თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღისათვის, სსმმ, ტ. 43-ბ, 1999, გვ. 47-56.
27. **ჭიჭინაძე ზ.** ქართველთ ისრაელნი საქართველოში, თბ., 1904.
28. **ჯანდიერი ე.** ჯავახეთის ახალქალაქის განათხარ ნაგებობათა თარიღისათვის, ფსაძ, ტ. III, თბ., 1978, გვ. 27-45.
29. **ჯაფარიძე ვ.** ქართული კერამიკა XI-XIII სს., თბ., 1956.
30. **ჯაფარიძე ვ.** შუასაუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის, კრ. დმანისი I, თბ., 1998, გვ. 38-57.
31. **Ахмедов Г. М.** Неполивная керамика Орен-Кала, IX-XIII вв, МИА, т. 67, М. 1959, gv. 186-227.
32. **Геюшев Р.** Глинянные светильники из Кабалы, Доклады АН Аз. ССР, 1961.
33. **Калантарян А. А.** Двин I, раскопки центрального квартала 1964-1970 гг. Ер., 1976.
34. **Каталог археологических предметов музея истории города Еревана,** Ер., 1964.
35. **Каталог музейных коллекций,** вып. II, Подготовила к печати Е. Мушегян, Ер., 1982.
36. **Кафадарян К.** Город Двин и его раскопки, Ер., 1952.
37. **Массон М.** Гор. Нисы в сел. Багир и их изучение, ЮТАКЭ, I, 1949.
38. **Шелковников Б. А.** Рейнская керамика из раскопок в Дманиси, ssmm, t.XVI-B, 1950, gv.163-164.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სინაგოგა და მასში აღმოჩენილი საცხოვრებელი ნაგებობა (გეგმა).
ტაბ. II. საცხოვრებელი ნაგებობა (გეგმა)
ტაბ. III. ზედა და ქვედა ნაგებობის ნაშთები (გეგმა).
ტაბ. IV. ზედა და ქვედა ნაგებობის ნაშთები (განივი და გრძივი ჭრილები).
ტაბ. V-X. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკა.
ტაბ. XI-XII. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი წერნაქით შეღებილი კერამიკა.
ტაბ. XIII-XVI. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა.
ტაბ. XVII. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მინის, ლითონისა და ქვის ნივთები.

Д. Миндорашвили

## Археологические раскопки в синагоге

резюме

В Тбилиси, на улице Леселидзе (№30/2) находится, построенное в 1900-ых годах здание Синагоги. При реконструкции в северной её части были обнаружены остатки более раннего сооружения с многочисленными артефактами.

Комната №1 раннего сооружения, была разделена перегородкой на две части (таб. II, 1). Стены возведены булыжником и обломками квадратного кирпича. Северная стена построена кирпичом. Связывающим материалом служила гажа (таб. IV, поперечный разрез). Комната №1 являлась кухней или кладовкой.

Комната №2 являлась хлебопекарней (саторне) в которой обнаружены пять торне (таб. II, 2). С южной стороны к комнатам №№1-2 прилегает комната №3, от которой сохранены лишь её южная и восточная стены. Комната №3 предназначалось для жилая.

К комнате №3 с восточной, а к хлебопекарне с южной стороны, примыкает жилая комната №4, в стенах которой сохранены четыре арочные ниши (таб. II, 3, 4). Как в других помещениях и здесь зафиксированы следы сильного пожара. Очевидно, что перед нами остатки типичного жилого дома XIX в со своими хозяйственными помещениями.

Под стеной, которая разделяла первую комнату от хлебопекарни (саторне), раскопками обнаружены остатки более раннего сооружения (таб. IV). Здание нижнего уровня была сожжена сильным пожаром, по видимому, во время нашествия иранских полчищ в Тбилиси в сентябре 1795 г.

Верхнее здание, которое было воздвигнуто в начале XIX в. на месте развалин, позже также подвергалось пожару, но этот пожар не был связан с нашествием неприятеля. Следует полагать, что раскопанное нами здание верхнего слоя просуществовало всего 70-80 лет. Обнаруженный в комнатах верхнего слоя археологический материал подтверждает такую датировку (т. е. начало XIX в - 70-80 годы XIX в).

В комнатах дома раскопками выявлен археологический материал. К группе хозяйственной керамики принадлежат семь торне (таб. III). Все они почти одного размера (высота 1 м, дм 80 см, толщина стен 3 см) и состоят из трех равных по размеру частей. Винные кувшины (квеври) снабжены рельефными поясами (таб. V, 15, 19), а один хозяйственный кувшин (дерги) украшен рельефными поясами и разрисован полосками красного ангоба (таб. V, 65). Кувшины среднего размера (кока) (таб. VI, 62, 61). Один из горшков имеет широкий венчик и ушки (таб. VII, 71). Другой горшок, который размером по меньше, украшен волнистой полоской из красного ангоба (таб. VII, 70 ). Глиняные банки украшены рельефным орнаментом, с прямыми и волнистыми поясами из белого и красного ангоба (таб. VII, 64, 67). Некоторые из мисек украшены насечками и волнистым вдавленным орнаментом (таб. X, 24-26). Среди керамического изделия разного назначения имеются светильники двух типов: неполный светильник с трубкой (таб. IX, 1), найденный в земле, являющемся отходом строительства и вазообразный светильник (таб. IX, 20), датирующиеся XVIII в.

Среди раскопанного материала интересную группу представляют крашенные красным ангобом керамические изделия. В данной группе выделяются образцы кухонной и столовой посуды: крупные кувшины для вина или воды (чапи, кока, таб. XIV, 69; XII, 59), мелкая посуда для стола (хелада, сура, таб. VIII, 60; XII ,57, 58, 68). Кроме одного сосуда (таб. VIII, 3), все они были найдены в первой комнате и датируются XIX в.

Среди поливной керамики выделяются несколько групп. Между ними самыми ранними являются миски, украшенные многоцветной глазурью, с изображениями пернатых и животных (таб. XIII, 44, 48, 49). Они были найдены на разных уровнях культурного слоя и датируются XIV в.

Наряду с полихромной керамикой были найдены одноцветные сосуды, на которых рисунки выполнены прорезными линиями на фоне зеленого или голубого полива (таб. XIII, 11, 29, 31, 32, 43). Все они обнаружены в разрушенном слое, а структура черепков этих сосудов почти не отличается от структуры черепа поливной керамики позднего средневековья, зафиксированной на территории Синагоги. Все перечисленные образцы датируются XVI – XVII вв.

Керамические сосуды с зеленым поливом представлены разными формами (таб. XIV, 8, 9, 35, 50-52), а среди керамики с поливой бирюзового цвета встречаются миски и обломок кувшина (таб. XIV, 39, 40, 41).

Из обнаруженных в первой комнате двух сосудов, один кувшин с жёлтым поливом (таб. XVI, 56). Верхняя часть второго сосуда покрыта коричневой глазурью, а горлышко украшено штампованным портретом бородатого мужчины (таб. XVI, 55). Черепок сосуда имеет сероватый цвет. Импортное происхождение этого сосуда не вызывает сомнения.

Таким образом, по проведенными раскопками на территории Синагоги выявлен, характерный для г. Тбилиси того времени, жилой дом со своими вспомогательными помещениями. Несмотря на то, что жилой комплекс сохранился не полностью, он все же дает некоторое представление о планировке и характере строительного искусства.

I




2
1
3
4
N
0 1 2m


2
1
3
4
N
0
1
2m

IV




0 4
65
15
19
18
0 3



61



62




63



66




64 67




70 71


60


72


22


3


7




17
2
1
20
0 2
4
47
0 1


21
23
24
25
26
27
0 2
28




69



57



58



59



68

0 4


49
44
29
32
16
48
30
0 3
11
31
13
43
0 2


40
6
39
8
9
41
52
35
50
51
0 2


38
34
36
0 3
33
12
37
42
0 2
14



55



56




54
5
46
53
10
15
0 2
0 6
73

გიორგი რჩეულიშვილი

# „სვეტების“ არქიტექტურული კომპლექსი სოფელ ყვარელწყალთან

(პანკისის ხეობა)

საკვლევი ძეგლი მდებარეობს ახმეტის რ-ნის სოფ. ყვარელწყლის ჩრდ. განაპირას, იგივე სახელწოდების ხეობის მარცხენა ტყიან ფერდობზე, ხელოვნურად გაფართოვებულ ბუნებრივ ტერასაზე, სამხ.-დას. ექსპოზიციით (ტაბ. I, II). სამუშაოს დაწყებამდე აქ ჩანდა ხშირი ტყით დაფარული ქვითკირის სათავსოთა ნაშთები და ორი სვეტი, რომელთაგან ერთს ცილინდრული, მეორეს კი კონუსური ფორმა აქვს (სწორედ ამ სვეტების გამო უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა ამ ძეგლს სახელს). ტერასის სამხ.-აღმ. ნახევარი ოდნავ დამრეცი დავაკებაა, ხოლო ჩრდ.-დას. ნახევარი ორ საფეხურადაა გაყოფილი. პირველი ნახევრის უკანა ნაწილზე, კლდოვან ფერდობში ღრმად ჩაჭრილ ქვაბულში ერთი მოზრდილი სათავსოა (№1) გამართული. ტერასის მეორე ნახევრის ქვედა საფეხურზე ერთი სათავსო (№3) და ზემოთ ნახსენები ქვითკირის სვეტებია მოქცეული, ხოლო სვეტების მოპირდაპირედ, ტერასის ზედა საფეხურზე – სათავსოს (№2) ნაშთი (ტაბ. II, III).

კომპლექსის თავდაპირველი სახელწოდება, ისევე როგორც სოფლის მიდამოების ძველი ტოპონიმიკა, არ შემორჩენილა. როგორც ჩანს, ხეობის ძველი მოსახლეობა გვიანი შუასაუკუნეების განუწყვეტელი ომიანობის (შაჰ-აბასის ლაშქრობები, ლეკიანობა) შედეგად გადაშენდა და მასთან ერთად დაიკარგა ტოპონიმიკაც. სოფ. ყვარელწყლის ამჟამინდელი მცხოვრებნი XIX ს-ში ჩამოსახლებულ ფშაველთა შთამომავლები არიან. ახალმოსახლე ფშავლებს მაღალი, კოშკის მსგავსი საცხოვრებლები აუგიათ, რის გამოც თავდაპირველად ამ სოფელს „კოშკებს“ უწოდებდნენ [1, გვ. 8, 90; 19, გვ. 307]. მეორეს მხრივ საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე დღევანდელი ყვარელწყლის ადგილზე აღნიშნულია სოფელი ყორწყალი [19, გვ. 306; 8, გვ. 138]. ეს კი იმას მოწმობს, რომ ფშავლების ჩამოსახლებამდე ყოფილა აქ ამ სახელწოდების სოფელი. ისე, რომ ტოპონიმი ყვარელწყალი (ყორწყალი) უძველესი ჩანს და შესაძლოა ივრის ხეობის ზემო წელიდან (ყვარადან) ჩამოსული მიგრანტების მოტანილი იყოს (ისევე, როგორც თანამედროვე ქალაქი ყვარელი). ყვარელწყლად იხსენიება ეს სოფ. 1860 წლის კამერალურ აღწერაშიც, რომლის თანახმად აქ ორი კომლი ცხოვრობდა – ექვსი მამაკაცი და შვიდი ქალი [19, გვ. 306].

სოფლის თანამედროვე მოსახლეობა „სვეტებს“ სალოცავ „ხატად“ მიიჩნევს. №1 სათავსოს ზურგის კედელში არსებულ ნალისებურთაღიან თახჩებთან (ტაბ. IV 1) ღვთისმშობლობას ლოცულობენ, ხოლო №2 სათავსოს ზურგის კედლის ჩრდ.-დას. ბოლოში დატანებულ თახჩასთან – გიორგობას (ტაბ. IV 2).

„სვეტები“ პირველად მიკვლეულ იქნა გასული საუკუნის 60-იან წლებში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) მიერ და გამოქვეყნებულია იგივე ექსპედიციის შრომების პირველ ტომში [9, გვ. 12, პუნქტი 31]. იმავე კრებულში დაბეჭდილ სტატიაში პროფ. დ. მუსხელიშვილის წინასწარი ვარაუდით „სვეტები" საკულტო-მემორიალური დანიშნულების ძეგლადაა მიჩნეული [8, გვ. 142]. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორის აზრით, ეს ნაგებობები არ ტოვებენ ქრისტიანული სალოცავის (ეკლესიის) შტაბეჭდილებას.

„სვეტების" კომპლექსს აქვს ძეგლის სტატუსი. არსებობს მისი 1980-იანი წლების პასპორტი, შესრულებული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ (არქიტექტორ-რესტავრატორი თ. უგულავა), სადაც იგი საკულტო ნაგებობების ნაშთად არის მიჩნეული.

„სვეტები" სტატიის სახით გამოქვეყნებულია „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მეორე ტომში, სადაც ავტორების (ლ. მოწონელიძე, ზ. ჯორბენაძე) მიერ იგი საკულტო დანიშნულების ნაგებობადაა მიჩნეული [7, გვ. 154, 311].

„სვეტების" საკულტო დანიშნულების ნაგებობად გააზრებას, რასაც თავიდან ჩვენც ვეთანხმებოდით, განაპირობებდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ძეგლის მიმართ („ხატობა" აქ იმართება აღდგომის მეორე დღეს და გიორგობას), ასევე თავად ქვითკირის სვეტების გაურკვეველი „იდუმალი" სახეც.

2005 წლის სექტემბერში ძეგლზე ჩატარდა სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგადაც კომპლექსი მთლიანად გაიწმინდა ტყისაგან და გაიჭრა სადაზვერვო თხრილები [15][20]. გამოვლინდა №1 სათავსოს კონტურები (ტაბ. IV 1). შემორჩენილია ზურგის და გვერდითი კედლების მოზრდილი ნაწილები. წინა (სამხ.-დას.) კედელი თითქმის მთლიანად წაშლილია. შემორჩენილა დას. კუთხე (ტაბ. IV 2) და სამხ. კუთხის ნაშთი სძირკვლის დონეზე (ტაბ. III). ამრიგად, გამოიკვეთა №1 სათავსოს მთელი პერიმეტრი. ზურგისა და გვერდითი კედლების გასწვრივ გამოვლინდა ქვითკირის „ტახტები" და თიხატკეპნილი იატაკი (ტაბ. V 1), რაც საერთოდ დამახასიათებელია განვითარებული შუასაუკუნეების საცხოვრებელი სათავსოსათვის [14, გვ. 69, ტაბ. XVII, 2]. იატაკის დონეზე დადასტურდა ნაცრიან-ნახშირიანი ფენა, რომელშიც აღმოჩნდა სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მრავალფრად მოჭიქული ჯამები (ტაბ. VI 9), რომელიც პარალელური მასალის საფუძველზე კარგად თარიღდება XII-XIII სს-ით [6, გვ. 31, ტაბ. XX, XXI, XXXI]. იგივე თარიღზე მიგვანიშნებს მოჩალისფრო, თხელკედლიანი სასმისების, წითელკეციანი ხელადებისა და ბადიის (ტაბ. VI 10) ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტიც. თუმცა საეჭვოა, რომ ეს ნაგებობა კრამიტით ყოფილიყო დახურული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა №1 სათავსოს ჩრდ. ნაწილში, ნაცრიან-ნახშირიანი ფენის ზემოთ, თიხამიწის სქელი ფენის (0,4-0,5 მ) დადასტურება, რაც მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა, ამ ნაგებობას ბანური გადახურვა ჰქონდა. ნაცრიან-ნახშირიანი ფენა მოწმობს, რომ შენობა ხანძრითაა განადგურებული.

---

[20] სამუშაო დააფინანსა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრომ, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მრჩევლის, ისტორიკოს თ. ლეჟავას ინიციატივით. ექსპედიციის შემადგენლობა: გ. რჩეულიშვილი (ხელმძღ.), გ. ჭანიშვილი (ხელოვნებათმცოდნე), პ. ლეჟავა (არქეოლოგი), მ. გელაშვილი (არქიტექტორი). ველზე მუშაობისას სისტემატურ დახმარებას გვიწევდა თ. ლეჟავა.

ჩრდ.-დას. (გვერდითი) კედლის შუა ნაწილის სიახლოვეს გამოვლინდა წრიული ფორმის დამწვარი თიხატკეპნილი ბაქანი (დმ 0,4 მ) ნაცრის ფენით. როგორც ჩანს, აქ სისტემატურად ენთო ცეცხლი, თუმცა კერის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ნაცრის ფენაში აღმოჩნდა ფიქალის ორი სალესავი, ოდნავ მოშორებით კი ტახის ეშვი. სამხ. ამ თიხნარი ბაქნისგან 0,6 მ-ის მოშორებით ქვის ფილებით მოგებული, გაურკვეველი დანიშნულების პატარა მოედანია (ტაბ. VIII 1). მსგავსი თიხატკეპნილი, დამწვარი ბაქანი დადასტურდა ამავე სათავსოს ზურგის კედლის შუა ნაწილთანაც. საყურადღებოა, რომ ასეთი ბაქნები დადასტურდა ახალციხის რ-ნის სოფ. აწყურთან ადგილ „პალმეტურზე“ გათხრილი შუასაუკუნეების მარნის გვერდით და წინა კედლებთან[21]. ამ არტეფაქტების დანიშნულება ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. აშკარაა, რომ ეს ბაქნები მასზე ანთებული ცეცხლით რაღაც ჩვენთვის უცნობ რიტუალებთანაა დაკავშირებული. ამაზე მიგვანიშნებს „სვეტების“ №1 სათავსოს თიხის ბაქანზე ნაცრიან ფენაში დადასტურებული სალესავები და ტახის ეშვი.

№1 სათავსოს ჩრდ. კუთხეში გამოვლინდა 0,7 მ სიღრმისა და 0,5 მ დმ-ის ორმო, რომელშიც დადასტურდა შვეულად მდგარი ხის ძელის დანახშირებული ნაშთი. აშკარაა, რომ აქ ხის სვეტი მდგარა, რომელსაც ალბათ ეყრდნობოდა გადახურვის კონსტრუქცია. სამწუხაროდ, სათავსოს დანარჩენ კუთხეებში მსგავსი ორმოები არ დადასტურდა. ჯერ-ჯერობით გაუთხრელია სათავსოს შუა ნაწილი, სადაც სავარაუდოა დედაბოძის საყრდენი ბალიშის არსებობა.

№1 სათავსოს კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვით მტკიცე დუღაბზე. კედლების შიდაპირი ნაწილობრივ იმავე დუღაბითაა შებათქაშებული. ერთადერთი კარი დატანებულია ჩრდ.-დას. კედლის სამხ. ნაწილში (ტაბ. III 1). სავარაუდოა, რომ მეორე კარი იქნებოდა წინა კედელში, რომელიც სათავსოს წინა ეზოში გამოვიდოდა. ეს ვარაუდი ვარაუდადვე დარჩება, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა №1 სათავსოს წინა კედლის დიდი ნაწილი მთლიანად განადგურებულია.

სათავსოს ზურგის კედელში ორი ნალისებურთაღიანი („კლიტისებრი“) და ორიც მართკუთხა მოყვანილობის თახჩაა, ხოლო ჩრდ.-დას. (გვერდით) კედელში სამი ნალისებურთაღიანი და ერთიც მართკუთხა თახჩა (ტაბ. V 1). ზურგის კედლის სამხ.-აღმ. ნახევარზე, თახჩების ქვემოთ, სამი ვიწრო (0,07 მ დმ-ის) ღრმულია. მეოთხე მსგავსი ღრმული (ხვრელი), ზუსტად იგივე დონეზე, იგივე კედლის ჩრდ.-დას. ბოლოშია (ტაბ. IV 2). ამ ხვრელების დანიშნულება გაურკვეველია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე მათში ჩასმულ ხის ძელაკებზე თარო იყო მოწყობილი. მსგავსი ვითარება ჩვენ დავადასტურეთ ჟინვალის ნაქალაქრის გარეუბნის №11 სათავსოში 1979 წელს.

№1 სათავსო უდავოდ საცხოვრებელი ნაგებობაა, რასაც მოწმობს თიხატკეპნილი იატაკი და ქვის ტახტები კედლების გაყოლებით. ნაგებობის მასშტაბურობა (8X14 მ) და მკვიდრი ქვითკირის კედლები გვავარაუდებინებს, რომ შესაძლოა აქ იყო ხის კონსტრუქციის მეორე სართულიც.

ყურადღებას იქცევს სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონე, რაც გამოიხატება ქვის ფაქიზი წყობით, კედლების ზედაპირის უკიდურესი სისწორით, კარის წირთხლებისა და ნალისებურთაღიანი თახჩების დახვეწილი კონტურებით. უდავოა,

---

[21] ვ. ლიჩელი, გ. რჩეულიშვილი, მ. კასრაძე, აწყურის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის ანგარიში. ძეგლი გამოუქვეყნებელია.

რომ ეს სათავსო აგებულია მაღალი დონის ოსტატ-კალატოზის მიერ. სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი XII-XIII ს-ის მეორე ნახევრის კერამიკა განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების ბოლო ეტაპს. რაც შეეხება აგების თარიღს, ხელოვნებათმცოდნე გ. ჭანიშვილისა და არქიტექტორ მ. გელაშვილის აზრით, ნალისებურთაღიანი („კლიტისებრი“) თახჩები და ქვის წყობის ტექნიკა ადრეული შუასაუკუნეების ბოლო ეტაპზე (VIII-X სს) მიგვანიშნებს [15].

სამი სადაზვერვო თხრილი გავავლეთ №2 სათავსოში (ტაბ. III 2). ჩრდ.-დას. (გვერდით) კედლის გასწვრივ, შუა ნაწილში და სამხ.-აღმ. ბოლოში, სადაც გვერდითი კედელი არ შემორჩენილა.

ჩრდ.-დას. კედლის გასწვრივ გამოვლინდა ქვითკირის ფართო (0,7 მ სიგანის) ტახტი და თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი, რომელზეც დადასტურდა 20-25 სმ სისქის დამწვარი ფენა დიდი რაოდენობით ფიქალის ფრამენტებით. ფიქალის სიმრავლე მოწმობს, რომ სათავსო მისით იყო დახურული. ამ დამწვარ ფენაში, უშუალოდ იატაკის დონეზე, აღმოჩნდა მოჭიქული ჯამების, წითელ და შავკეციანი კერამიკის უამრავი ფრაგმენტი. მათგან მოხერხდა სამი მოჭიქული ჯამისა (ტაბ. VI 1, 2, 4) და ორი ცალყურა ქოთნის (ტაბ. VI 5, 6) ნაწილობრივ აღდგენა. ჯამები მრავალფერადაა მოჭიქული და კარგად თარიღდება XIII ს-ის პირველი ნახევრით [6, გვ. 31, ტაბ. XX, XXI]. ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბანზე მსგავსი მასალა რუსუდანის მონეტით ზუსტად დათარიღდა სწორედ XIII ს-ის შუახანებით [13, გვ. 125, ტაბ. I, II]. დანარჩენ თხრილებში თიხატკეპნილი იატაკი არ დადასტურდა. გამოვლინდა მოსწორებული კლდოვანი გრუნტი დამწვარი ფენით, რომელშიც ასევე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ფიქალის ფრაგმენტები და მცირე რაოდენობით ნაირნაირი კერამიკის ნატეხები.

№2 სათავსოს ზურგის კედელში დადასტურდა მართკუთხა მოყვანილობის სამი თახჩა. საყურადღებოა, რომ ამ სათავსოს კედლების, განსაკუთრებით გვერდითი კედლისა და მისივე ტახტის, წყობა და მშენებლობის ტექნიკა შესამჩნევად განსხვავდება №1 სათავსოსაგან. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ №2 სათავსოში ვერ ვხვდებით ნალისებურთაღიან თახჩებს. ეს ფაქტები კი იმაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ №2 სათავსო არაა №1-ის სინქრონული და რამდენადმე მოგვიანო ხანაშია აგებული. თუმცა, როგორც მათ იატაკებზე დადასტურებული კერამიკული მასალა მოწმობს ისინი XII ს-სა და XIII ს-ის პირველ ნახევარში ერთად ფუნქციონირებდნენ და ერთდროულად განადგურდნენ XIII ს-ის შუა ხანებში ხანძრის შედეგად.

გაიწმინდა №3 სათავსოს კონტურები (ტაბ. III 3). მისი კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვით დუღაბზე. როგორც ქვის წყობა, ასევე დუღაბის ფერი და ხარისხი მსგავსია №1 სათავსოსი. შესაძლოა, ისინი ერთდროულადაა აგებული ადრეული შუასაუკუნეების ბოლო ეტაპზე (VIII-X სს) და ერთი ოჯახის საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსს შეადგენდნენ. მარნის ჩრდ.-დას. ნაწილში გავლებულ სადაზვერვო ჭრილში აღმოჩნდა სამი მოზრდილი დაზიანებული ქვევრი და სამიც ნაქვევრალი ორმო (ტაბ. III 3). ქვევრები თიხის მასაშია ჩადგმული. როგორც ჩანს, ამისათვის საგანგებოდ ამოუჭრიათ ქვაბული კლდოვან გრუნტში და მასში ჩადგმული ქვევრების ირგვლივ სივრცე თიხით შეუვსიათ. ქვევრების სიმჭიდროვე სადაზვერვო თხრილში მოწმობს, რომ ასეთივე სიტუაცია იქნება მარნის მთელ ფართობზე. მარნის სამხ.-აღმ. კედლის გარეთ, ოდნავ მოშორებით წყვილი ქვითკირის

საწნახლის ნაშთებია, რომლებიც თავის დროზე ბუნებრივია ამ მარანს უკავშირდებოდა. საყურადღებოა, რომ საწნახლების კედლის წყობა და დუღაბის ფერი განსხვავდება თავად მარნისა და №1 სათავსოსაგან და მსგავსია №2 სათავსოსა და სვეტებისა. როგორც ჩანს, საწნახლები №1 სათავსოსა და მარნის ფუნქციონირების პირველ ეტაპზე არ არსებობდა და მოგვიანო ხანაშია აგებული. ეს გარემოება არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი საწნახლები აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება [12, გვ. 101, ტაბ. XVI; 14, გვ. 102, ტაბ. XXXVIII, 1, 2; 18, გვ. 21-23]. საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ აღმოჩენილა ადრე შუასაუკუნეების არც ერთი ქვითკირის საწნახელი. სავარაუდოა, რომ მანამდე ხის საწნახლები იყო ხმარებაში. ასევე უნდა ყოფილიყო „სვეტების“ მარანშიც. მარნის სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები.

საყურადღებო შედეგები მოგვცა გათხრამ ქვითკირის სვეტების ირგვლივ. ჯერ ერთი, გამოვლინდა მესამე სვეტის ნაშთი კონუსური სვეტიდან სამხ.-აღმ. 2 მ-ზე, მარნის ჩრდ. კუთხის სიახლოვეს (ტაბ. III 3). ამრიგად, თავის დროზე აქ სამი სვეტი მდგარა ერთ ხაზზე ერთმანეთისაგან თანაბარი (2 მ) დაშორებით. სვეტებიდან ჩრდ.-აღმ. (№2 სათავსოს მიმართულებით), 5 მ-ის დაშორებით, ფერდობის ძირში, გამოვლინდა სვეტების განლაგების პარალელური ქვითკირის კედლის ნაშთი (ტაბ. III), რომელსაც ზუსტად შუალედური ადგილი უკავია ტერასის ზედა საფეხურზე მდებარე №2 სათავსოსა და ქვედა საფეხურზე განლაგებულ სვეტებს შორის. ძნელი არაა წარმოდგენა თავდაპირველი, მთლიანი კონსტრუქციისა, რომლის შემადგენელი ნაწილებიც №2 სათავსოს, ქვითკირის სვეტებისა და შუალედური კედლის ნაშთებით-აა შემორჩენილი. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ კონუსური (შუა) სვეტი, რომელიც აშკარად თავდაპირველი სიმაღლითაა შემორჩენილი, წვერით უსწორდება №2 სათავსოს იატაკის დონეს. თუ წარმოვიდგენთ, რომ შუალედი კედელიც ამავე სიმაღლეზე იყო აღმართული (სხვაგვარად მისი არსებობა გაუმართლებელია, ტაბ. V), მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტერასის ზედა საფეხურზე (№2 სათავსოს წინ) და სვეტებზე გადებულ თავხეზე, გაწყობილი იყო ხის ძელები, რომლებიც შუა ნაწილით შუალედურ კედელს ეყრდნობოდა. ამ ხელოვნურ ბაქანზე აღმართული იქნებოდა ხის სასახლის ტიპის ნაგებობა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ნაგებობის წინა ნაწილი სვეტებიან აივანს წარმოადგენდა, რომელიც გადაჰყურებდა ყვარელწყლისა და შორ თვალსაწიერზე განფენილ ალაზნის ხეობებს. ნიშანდობლივია, რომ სვეტებისა და შუალედურ კედელს შორის მოქცეული ფართობის გაწმენდისას ჩაქცეული ქვაღორღის ფენაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, რომლითაც დახურული უნდა ყოფილიყო სვეტებზე აღმართული ნაგებობა. ღორღიანი ფენის ქვედა დონეზე აღმოჩნდა თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამების მცირე ფრაგმენტები რომლებიც, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში XI ს-ით თარიღდება [6, გვ. 24]. მსგავსი მასალა არ დადასტურებულა №№1, 2, 3 სათავსოების კულტურულ ფენებში. ეს კი მოწმობს, რომ ამ ტერასაზე ცხოვრება მიმდინარეობდა XI ს-შიც, თუმცა ეს მასალა აშკარად გადაადგილებულია და კონკრეტულად რომელიმე სათავსოს ვერ ათარიღებს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ფრაგმენტები მიგვანიშნებდეს №2 სათავსოსა და მისი სვეტებზე დაყრდნობილი ნაწილის აგების

თარიღზე. ამრიგად, ხელოვნებათმცოდნე გ. ჭანიშვილისა და არქიტექტორ მ. გელაშვილის მიერ მოცემულ თარიღსა და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, „სვეტების“ კომპლექსის აგებისა და ფუნქციონირების ქრონოლოგია შემდეგნაირად უნდა ჩამოვაყალიბოთ: ადრე შუასაუკუნეების ბოლო ეტაპზე (VIII-X სს) იგება №1 (საცხოვრებელი) და №3 (მარანი) სათავსოები. XI ს-ში მას ემატება №2 სათავსო ქვითკირის სვეტებზე გამართული აივნიანი(?) ხის სასახლით. მარანთან შენდება ქვის საწნახლები, რომლებიც თიხის მილებით ან დუღაბის ღარებით უკავშირდება მარანს. XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში მთელი კომპლექსი ერთდროულად ფუნქციონირებს. საცხოვრებელ ნაგებობებში ბუნებრივია, ცხოვრობდა ორი ოჯახი, რომელთაც საერთო მარანი ჰქონდათ. ეს ფაქტი იმის მოწმობად მიგვაჩნია, რომ №2 (სვეტებიანი) ნაგებობა ააშენეს №1 სათავსოში მცხოვრები ძველი ოჯახიდან ახალი ერთეულის გამოყოფის შედეგად. იყო თუ არა მნიშვნელოვანი ლაკუნა ამ ეტაპებს შორის, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. გათხრის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ამის შესახებ ვერაფერს გვეუბნება.

საყურადღებო აღმოჩენა გველოდა ჩრდ.-დას. განაპირა სვეტის სიახლოვეს. მისგან ჩრდ. სამიოდე მეტრზე, ჩაქცეული ქვა-ღორღის ფენაში აღმოჩნდა ზურგზე გადაქცეული ადამიანის ბიუსტის ფორმის ქვითკირის ფიგურა, რომელსაც „ქვაკაცა“ შევარქვით (ტაბ. VI 8). „ქვაკაცას“ ფუძესთან აღმოჩნდა სპილენძის დისკო, რომელსაც შიგნიდან შუაგულში ყუნწი აქვს მირჩილული, ხოლო გარედან რელიეფური ჯვრის გამოსახულება (ტაბ. VI 7). ეს დისკო სრულიად უცხოა შუასაუკუნეების ქართული არქეოლოგიისათვის და აშკარად გამოხატულ არქაულ ელფერს ატარებს. მსგავსი დისკო-ფირფიტები, ოღონდ რელიეფური შემკულობის გარეშე, ცნობილია ყანჩაეთის [3, გვ. 60, 77, ტაბ. IX, X], ახალგორის [16, გვ. 55, ტაბ. XII, 75] და ალგეთის (წინწყაროს) [5, ტაბ. XII] ადრეანტიკური ხანის სამარხების ინვენტარში და ცხენის აღკაზმულობის ნაწილებადაა მიჩნეული. უფრო მეტ მსგავსებას იჩენს „სვეტების“ დისკო დუშეთის ახლოს, ვარსიმაანთკარის სამაროვნის იმავე პერიოდის სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ფართან, რომელსაც მსგავსი რელიეფური გამოსახულება ამკობს [10, გვ. 60, ტაბ. XXXIV, 4].

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნივთი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში ჩვენთვის უცნობია, ხოლო მისი სიახლოვე ზემოთ ჩამოთვლილი ადრეანტიკური ხანის სამარხების ინვენტართან სრულიად აშკარაა, კვლევის ამ ეტაპზე ძნელია დაბეჯითებით ითქვას, მართლა ასეთი ძველია ეს დისკო, თუ არქაული ტრადიციის გავლენით შუასაუკუნეებშია დამზადებული. ერთი კი თითქოს ნათელია, რომ ის დაკავშირებულია „ქვაკაცასთან“, რომელიც აქვე სვეტებიან ნაგებობასთან უნდა მდგარიყო და ალბათ წარმართული ეპოქის გადმონაშთ სალოცავ კერპს წარმოადგენდა. ასეთი ვარაუდი დღეისათვის აღარ უნდა იწვევდეს უნდობლობას მას შემდეგ, რაც ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული [14, გვ. 108, ტაბ. XXXVII] და უფლისციხის გვიანდელი შუასაუკუნეების ნაგებობებში [20, გვ. 80-87] დადასტურებულია მოქმედი წარმართული საკურთხევლები. საყურადღებოა, რომ ჟინვალიც და პანკისის ხეობაც მთისწინა ზოლს წარმოადგენს, ხოლო წარმართული გადმონაშთები უფლისციხეში ვახუშტისაც აქვს დადასტურებული გვიან შუასაუკუნეებშიც [2, გვ. 366]. ამდენად, „სვეტებში“ წარმართული გადმონაშთის დადასტურება განვითარებული შუასაუკუნეების ნამოსახლარზე კიდევ ერთხელ

უეჭველად მოწმობს წინარე ქრისტიანული რელიგიური ტრადიციების სიცოცხლის-უნარიანობას გვიანდელ პერიოდებშიც.

„სვეტების“ კომპლექსზე მუშაობისას ყურადღება მიიქცია ნამოსახლარი ტერასის ჩრდ.-დას. ფერდობში აშკარად ხელოვნურად ამოღებულმა ქვაბულმა (ფართობი დაახ. 30X15 მ), რომელშიც თავის დროზე საქონლის სადგომი – გომური უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ტაბ. II). ბუნებრივია, ეს გომური „სვეტების“ კომპლექსს დავუკავშიროთ, რაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის აქ მცხოვრები ოჯახის მეურნეობის სათანადო დარგის მასშტაბებზე. გომურის ზემოთ, ფერდობზე, შემორჩენილია საურმე გზის ნაშთი (ტაბ. II), რომელიც თანაბარი დახრით ეშვება ხეობაში გამავალი გზისკენ და აშკარად ხელოვნურადაა გაჭრილი. ადვილი წარმოსა-დგენია, რომ ამ გზით ამოსული ურემი შემოვიდოდა კომპლექსში ჩრდ.-დას. მხრიდან, გაივლიდა სვეტებიანი ნაგებობისა და მარნის გვერდით და მოხვდებოდა №1 სათავსოს წინა ეზოში, საწნახლების გვერდით. სხვა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო გზის ნაკვალევი ნამოსახლარის ირგვლივ არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით იმ საცალფეხო ბილიკებს, რომლებიც დღესაც მოქმედებენ და ბუნებრივია კომპლექსის ფუნქციონირების დროსაც იქნებოდა გამოყენებული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიძლება ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების შეჯამება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

„სვეტების“ არქიტექტურულ კომპლექსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დროსაა აგებული და მშენებლობის მეორე ეტაპზეა შერწყმული ერთმანეთთან. თავდაპირვლად აუგიათ სასახლე (№1) და მარანი (№3). ამ ნაგებობათა ხუროთმოძღვრული ანალიზი საშუალებას იძლევა მათი აგების თარიღი VIII-X სს-ით განისაზღვროს. სამწუხაროდ, გათხრების დროს არ აღმოჩენილა ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა, რაც ადვილად შეიძლება აიხსნას შემდგომი ინტენსიური ცხოვრების გავლენით. არაა გამორიცხული, რომ ძეგლის სრულმა არქეოლოგიურმა შესწავლამ რაიმე სიახლე მოგვცეს ამ თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომპლექსის მეორე ნაწილი – №2 სათავსო ტერასის ზედა საფეხურზე და ქვითკირის შუალედური კედელი მის გასწვრივ განლა-გებული ქვითკირისავე სვეტებით ქვედაზე. ამ ორ საფეხურს შორის დონეების განსხვ-ავება ვერტიკალურ ჭრილში თითქმის ხუთი მეტრია. სწორედ ამ სიმაღლისაა შუათანა სვეტი, რომელიც ყველა ნიშნით თავდაპირველი ზომითაა შემორჩენილი. ეს სვეტი კონუსის ფორმისაა მაშინ, როცა განაპირა სვეტები ცილინდრული უნდა ყოფილიყო. ჩვენს მიერ ნაგულისხმევი ხის ძელი ბოლოებით ცილინდრულ სვეტებზე, ხოლო შუაწელით კონუსურზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ერთ რიგში მდგარი, ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული სვეტები სხვა რა დანიშნულების შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა პილონები – საყრდენი რაღაც კონს-ტრუქციისა. მართლაც, თუ წარმოვიდგენთ, რომ სვეტებზე იდო ხის ძელი, ხოლო შუალედური კედელი ამ ძელის დონეზე იყო აღმართული, მაშინ არ გაგვიჭირდება აქ არსებული ნაგებობის წარმოსახვითი რეკონსტრუქცია (ტაბ. V). სვეტებზე გადებულ ძელსა, ქვითკირის შუალედურ კედელსა და №2 სათავსოს წინა ბაქანზე გაწყობილი იქნებოდა ხის გამწვდენი ძელები, რომლებზეც აღმართული უნდა ყოფილიყო №2 სათავსოსთან ორგანულად დაკავშირებული ხის სახლი. №2 სათავსო დახურული იქნებოდა ფიქალით, ხოლო ხის სახლი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით, რასაც ადასტურებს გათხრისას აღმოჩენილი მასალა. ამრიგად, ვღებულობთ მეტად

საყურადღებო ხუროთმოძღვრულ ფენომენს, რომელიც შეიძლება ამ კომპლექსში მეორე სასახლედ მივიჩნიოთ. ქვითკირის სვეტები და ზედა სართულის ვრცელი ფართობი (დაახ. 10X8 მ) ქმნიან არც თუ უსაფუძვლო საცდურს მისი აივნიან სასახლედ გააზრებისას. გათხრების დროს სვეტების ირგვლივ მოპოვებული ანგობით მოხატული, ცისფრად მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს ამ სასახლის აგების თარიღი XI ს-ის ახლო ხანებით განვსაზღვროთ.

შუასაუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში აივნიანი სასახლეები ცნობილია სოფლების ვაჩნაძიანისა და ვანთის მიდამოებში. ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე გ. ჩუბინაშვილი მათ VIII-IX სს-ით ათარიღებდა [17, გვ. 187, 151, 554]. ეს სასახლეები ვაკეზეა აგებული და არც ქვითკირის სვეტები ახლავს. თუმცა, არქეოლოგიური გათხრის შემთხვევაში, შეიძლება მათი ნაშთები დადასტურდეს. „სვეტების“ სასახლე იმითაა ორიგინალური, რომ ფერდობზე ხელოვნურად მოჭრილ ორსაფეხურიან ტერასაზეა განლაგებული და რთულ რელიეფთან საცხოვრებელი ნაგებობის მოხერხებულად შერწყმის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. ამდენად, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „სვეტების“ კომპლექსის სრული არქეოლოგიური შესწავლა ძვირფას ინფორმაციას მოგვცემს შუასაუკუნეთა ხანის ქართული სამშენებლო ხელოვნების, მეურნეობისა და სოციალური ვითარების კვლევისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია სვეტებიანი სასახლის კომპლექსი, რომლის ჩვენეული რეკონსტრუქცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ-ჯერობით უნიკალურია ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრების ცნობილ ძეგლებს შორის. ის შეიძლება გვიანდელი სვეტებიან-აივნიანი ქართული სახლების (თბილისი, თელავი, ყვარელი) შორეულ გენეტიკურ წინაპრადაც კი მივიჩნიოთ. კვლევის გაგრძელების მთავარი მიზანი უნდა იყოს „სვეტების“ კომპლექსის შემორჩენილი ნაწილის თავდაპირველი სახის გამოვლენა და მისი კონსერვაცია სამომავლო დაცვის გარანტიით. ეს მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ჯერ კიდევ ნაკლებად გამოკვლეული ქართული საერო ხუროთმოძღვრების ადრეული ეტაპების სახის დადგენაში.

საცხოვრებელი სათავსოების იატაკებზე დადასტურებული მოჭიქული კერამიკა უეჭველად მოწმობს, რომ ორივე სასახლე ფუნქციონირებდა XII ს-სა და XIII ს-ის პირველ ნახევარში. ძლიერი ხანძრის კვალი მიგვანიშნებს, რომ მთელი კომპლექსი განადგურდა XIII ს-ის შუახანებში, რაც ბუნებრივია, მონღოლთა პირველ გამანადგურებელ შემოსევებს უნდა დავუკავშიროთ. ამის შემდეგ აქ ცხოვრება აღარ განახლებულა.

ასახსნელია ის ფაქტი, რომ ორ სახლს, ე. ი. ორ ოჯახს, საერთო მარანი და გომური ჰქონია, თანაც ფიზიკურადაც მჭიდროდ ჩანან ერთმანეთთან დაკავშირებული. უნდა ვიფიქროთ, რომ სვეტებიანი სასახლე ძველი სახლიდან (№1 სათავსო) გამოყოფილი ახალი ოჯახისათვის აშენდა, ხოლო მეურნეობას ორივე ოჯახი კვლავ ერთად აწარმოებდა.

როგორც ნაგებობათა ერთგვარი გრანდიოზული ხასიათი, ასევე მეურნეობის მასშტაბურობა (მარან-საწნახლებისა და გომურის შთამბეჭდავი ზომები) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს შუასუკუნეების ქართველი ფეოდალის სასახლის კომპლექსთან. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აქ არ ჩანს კარის ეკლესია და საფორტიფიკაციო ნაგებობა (თუნდაც კოშკი). ეს გარემოება შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ამ სასახლის მფლობელი ე. წ. „უციხო აზნაურთა“ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ის

ქონებრივად კი აღზევებულია, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია იმ სოციალური დონისათვის, რომლის წარმომადგენელსაც უფლება ჰქონდა კარის ეკლესია და ციხე ჰქონოდა. მომავალში „სვეტების“ მიდამოებში მისაკვლევია ის ქრისტიანული ტაძარი და სამაროვანი, რომლის მრევლსაც ეკუთვნოდა ეს ოჯახი და სადაც მას საგვარეულო საძვალე ექნებოდა.

საგანგებოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება მეურნეობის ხასიათსა და მასშტაბებზე. მარან-საწნახლებისა და გომურის ზომები მოწმობს, რომ „სვეტების“ კომპლექსის მფლობელი ოჯახის მეურნეობაში თანაბარი წილითაა წარმოდგენილი მევენახეობა-მეღვინეობა და მესაქონლეობა, რაც ბარიდან მთაზე გარდამავალი (მთისწინა) ზოლისათვისაა დამახასიათებელი. იგივე სიტუაციაა დადასტურებული არაგვის ხეობაში, ჟინვალის მიდამოებში [14, გვ. 99, 106], სადაც არქეოლოგიურად შესწავლილ XI-XIII სს-ის ნასოფლარებში, ყველა საოჯახო კომპლექსში დასტურდება, როგორც მარან-საწნახლები ქვევრებით, ასევე გომურები ქვის ფილებით მოგებული იატაკით.

მეტად საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა პანკისის ხეობის სამეურნეო პოტენციალის შესახებ: „ხოლო ხეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი-კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა. პირუტყუნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს“ [2, გვ. 551].

როგორც შესავალში ითქვა, პანკისის ხეობა კარგადაა დაზვერილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ [8; 9]. აქ მიკვლეული მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ბევრი გამოირჩევა მეტად ორიგინალური გეგმარებითა და ხუროთმოძღვრული სახით. პანკისის ხეობა უძველესი ხანიდანვე ჩამოყალიბდა ცალკე ტერიტორიულ-ეკონომიკურ „ქუეყანად“, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მასზე გამავალი მნიშვნელოვანი საგზაო კომუნიკაციებით ხორციელდებოდა აღმ. საქართველოს მთისა და ბარის მრავალმხრივი ურთიერთობანი [8, გვ. 146 და შემდეგ]. აქედან გამომდინარე უდავოა, რომ პანკისის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების ერთობლივი არქეოლოგიური შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის რიგი პრობლემების კვლევაში. აქტუალურია ასეთი კვლევა-ძიების სისტემატური წარმოება თანამედროვე ვითარების გათვალისწინებითაც. იგი ხელს შეუწყობს პანკისის ხეობის ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის მჭიდროდ ჩართვას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

**ლიტერატურა**


1. **ალბუთაშვილი მ.** პანკისის ხეობა, თბ. 2005.
2. **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
3. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
4. **თოფჩიშვილი რ.** აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XVIII სს თბ., 1984.

5. **Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети, I, Тб. 1948.
6. **მიწიშვილი მ.** მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში თბ 1967
7. **მოწონელიძე ლ., ჯორბენაძე ბ.** „სვეტები“, სიკძა, ტ. 2 თბ., 2004.
8. **Мусхелишвили Д. Л.** Вопросы исторической географии ущелья Панкиси, ТКАЭ, т. I, Тб., 1969.
9. **Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш. Ш.** Работы археологической экспедиции в зоне строительства Верхне-алазанской оросительной системы, ТКАЭ, т. I, Тб, 1969.
10. **Рамишвили Р. М. и др.** Работы жинвальской комплексной археологической Экспедиции, ПАИ в 1981 году, Тб., 1984.
11. **რამიშვილი რ.** იაღსრის ნამოსახლარი და მლაშეების გორის მარანი, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974.
12. **რჩეულიშვილი გ.** არაგვის ხეობის საწნახლები, აძ, თბ., 1977.
13. **რჩეულიშვილი გ.** ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის მოჭიქული ჯამები, აძ, თბ., 1985.
14. **რჩეულიშვილი გ.** ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ 1990.
15. **რჩეულიშვილი გ., ჭანიშვილი გ., ლეჟავა პ.** ყვარელწყლის სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2005 წელს ჩატარებული სამუშაოს ანგარიში (ხელნაწერი).
16. **Смирнов Я. И.** Ахалгорийский клад, Тб., 1934.
17. **Чубинашвили Г. Н.** Архитектура кахетий, Тб., 1959.
18. **ჭილაშვილი ლ.** ძველი გავაზი, თბ., 1975.
19. **ხანგოშვილი ხ.** ქისტები, თბ., 2005.
20. **მინდორაშვილი დ.** მასალები გვიანი შუა საუკუნეების უფლისციხის შესწავლისათვის, ძიებანი №10, 2002.

## ტაბულების აღწერილობა

**ტაბ. I.** პანკისის ხეობის რუკა. ჯვრით აღნიშნულია „სვეტების“ მდებარეობა.
**ტაბ. II.** „სვეტები“. ტოპოგეგმა. ტოპოგრაფი თ. ბერიძე.
**ტაბ. III.** „სვეტები“. გეგმა. არქიტექტორი მ. გელაშვილი.
**ტაბ. IV.** „სვეტები“. №1 სათავსოს ჭრილები. არქიტექტორი მ. გელაშვილი.
**ტაბ. V.** „სვეტები“. ჭრილი №2 სათავსოსა და ქვითკირის განაპირა სვეტზე. სვეტებიანი ნაგებობის საყრდენი ბაქნის რეკონსტრუქციის ცდა.
**ტაბ. VI.** 1, 2, 4 მოჭიქული ჯამები №2 სათავსოდან. 3. ქოთნის ნატეხი №2 სათავსოდან. 6. ქოთანი №2 სათავსოდან. 7. სპილენძის ბალთა. 8. „ქვაკაცა“. 9. მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები №1 სათავსოდან. 10. დიდი ჯამის ფრაგმენტი №2 სათავსოდან.

**Г. Рчеулишвили**

**Архитектурный комплекс «Светеби» около село Кварелцкали** (Панкисское ущелье)


резюме

Памятник расположен к северу от сел. Кварелцкали, на левом склоне одноимённого ущелья. До начала раскопок там были видны две колонки, построенной на известковом растворе и фрагменты разных помещении.

Раскопками были выявлены контуры трёх помещении и остатки третей колонки. Из них первое и второе помещения являются жилыми, а в третьем был обнаружен Марани (винохранилище) с винодавильнями и питосами (таб. III, IV, V). В этих помещениях, обнаруженная на уровне пола керамика датируется первой половиной XIII века (таб. IV).

Следы пожара указывает, что комплекс была разгромлена в середине XIII века, по всей вероятности при первых нашествиях Монголов.

Масштабность и наличие высокой техники строительства указывает, что данный архитектурный комплекс принадлежал состоятельному феодалу.

К востоку от комплекса было зафиксировано обширное искуственное углубление (30X15 м), где, по всей вероятности, находился хлев для скота.

Наличие хлева и винохранилища крупного масштаба указывает, что в хозяйственной жизни их владелцев ведущее место занимали виноградарство и скотоводство.

ტაბ. I



ალაზანი
მახვალი
ხადორი
ბანარა
ძიბახევი
ბირკიანი
ჯოყოლო
კაკლიანი
ომალო
დუმასტური
ქვემო
ხალაწანი
ზემო
ხალაწანი
დუისი
ყვარელწყალი
შუა ხალაწანი
კუწახტა
წინუბანი
საკობიანო
ბაყილოვანი
ქორეთი


1. სასახლე
2. ნაგებობის ნაშთი
3. მარანი
4. სვეტები
5. საწნახელი
საურმე გზა
ბომეური (?)


1. ფეოდალის სასახლე
2. ნაგებობის ნაშთი
3. მარანი
5. საწნახელი
0 1 2 3 4 5 6
I
II
III

ტაბ. III



ტაბ. V



ტაბ. VI



დავით მინდორაშვილი, შოთა მამულაძე

# გონიო-აფსაროსის №20 კოშკის არქეოლოგიური გათხრები

გონიო-აფსაროსის ციხის №20 კოშკი მდებარეობს ციხის სამხრეთ კარიბჭესთან და უშუალოდ ებჯინება მას აღმოსავლეთიდან. ციხის ყველა დანარჩენი კოშკების მსგავსად ისიც გარეთაა განზიდული. კოშკი გეგმით სწორკუთხაა, ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე წაგრძელებული. კოშკის ფართობია 5,4X2,35 მ. სიმაღლე კოშკის შესასვლელიდან საბრძოლო ბილიკამდე 5,5 მ-ია. 2,9 მ სიმაღლისა და 1,2 მ სიგანის თაღოვანი შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან (ტაბ. I). კოშკის სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე განლაგებული შიგნით ფართო, გარეთ დავიწროებული სარკმელებია. კოშკის სამივე (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი) კედელი დგას შესასვლელის ზღურბლის დონეზე არსებულ ცოკოლზე, რომელიც კოშკის ინტერიერში 18-20 სმ-თაა გამოშვერილი. ცოკოლიდან 4 მ სიმაღლეზე კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებთან შემორჩენილია კედელში ჩაშენებული ორი მასიური ქვათლილი, რომელიც კოშკის გადახურვისათვის განკუთვნილი ხის ძელების საყრდენებია. ერთი ასეთი შვერილი კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია. ასეთივე შვერილი უნდა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, რომელიც არასწორი რესტავრაციის შედეგად კედლის წყობაში აღარ ჩანს. ცოკოლზე მდგარი კოშკის კედლები ნაგებია დუღაბზე, ბაზალტის დიდი ზომის ქვათლილებით. მისგან განსხვავებით ცოკოლი ნაგებია უფრო მცირე ზომის დაუმუშავებელი ბაზალტისა და რიყის ქვით დუღაბზე. ცოკოლი სამხრეთი კედლის გასწვრივ აკეთებს ოვალს. იმავე კედელს ცოკოლიდან 1 მ სიმაღლეზე ასევე ოვალურად შემოუყვება მინაშენი, რომლის სიგანე სარკმელის ქვემოთ 0,8 მ-ია, კოშკის კუთხეებთან - 1,3 მ (ტაბ. I).

1995-1997 წლებში შესწავლილ იქნა კოშკის ზედა კულტურული ფენები, ვიდრე შესასვლელის ზღურბლის დონემდე. გათხრებისას გამოვლინდა გვიანდელი შუასაუკუნეების საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალა [2, გვ. 271-275].

2003-2004 წლებში გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა სამუშაოები №20 კოშკში. გათხრების მიზანს შეადგენდა ნაგებობის ქვედა კულტურული ფენების შესწავლა. კოშკის ინტერიერის გაწმენდისას, იატაკის დონიდან 90 სმ სიღრმემდე თითქმის არ გამოვლენილა არქეოლოგიური მასალა. ხოლო 90 სმ სიღრმეზე გაიწმინდა კოშკის სარდაფი, სადაც გამოვლინდა ადრეული შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი ჭურჭლის, ძირითადად ამფორების ფრაგმენტები. ჭურჭლების ფრაგმენტები მიმობნეული იყო აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ. სარდაფის შუაში კი სიგრძეზე თავისუფალი ადგილი იყო დარჩენილი სამოძრაოდ. სარდაფში ჩასასვლელი ხის კიბე მოწყობილი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ კედელში არსებული კარის ზღურბლიდან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარდაფში მიკვლეული ჭურჭლებიდან არცერთი მათგანი არ იყო მთელი. ყველა თავიდანვე დაზიანებულ მდგომარეობაში შეუნახავთ. ეს კარგად ჩანდა როგორც გათხრების პროცესში, ისე შემდგომ, მასალის

რესტავრაციისას, როცა ვერ მოხერხდა ვერცერთი ნიმუშის ბოლომდე აღდგენა. ბუნებრივია, ისმის კითხვა რისთვის უნდა შეენახათ სარდაფში დაზიანებული, გამოუსადეგარი ჭურჭლები, აგურ-კრამიტები და კერამიკული ფილები? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ციხესიმაგრეებსა თუ სხვა დანიშნულების ნაგებობებში ხშირად იყენებდნენ საგანგებო დუღაბს. კირი ამ შემთხვევაში იხსნებოდა კაზმში, რომელსაც დანაყილი აგურ-კრამიტი ან სხვა კერამიკული ნაწარმი ერია. ამგვარ დუღაბს იყენებდნენ იატაკის მოსაგებად, აბანოების მოსაბათქაშებლად, ქვიტკირის საწნახელების შესალესად, მოზაიკური იატაკის საფუძვლად და სხვ. [1, გვ. 99]. მიგვაჩნია, რომ სარდაფში გამოვლენილი სხვადასხვა სახის კერამიკის დანიშნულება, მათი ჰიდრავლიკურ ხსნარში გამოყენება იყო. სწორედ ამიტომ უნდა შეენახათ №20 კოშკშიი თავიდანვე დამტვრეული და მწყობრიდან გამოსული კერამიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. შესაძლოა გვეფიქრა, რომ კოშკს ამ შემთხვევაში ჰქონდა ფუნქცია სანაგვე ორმოსი, სადაც დაზიანებული ჭურჭლები იყრებოდა, მაგრამ ის გარემოება, რომ კერამიკული ნაწარმი საგანგებოდ კოშკის სარდაფის კედლების გასწვრივაა დაწყობილი და მათ შორის სამოძრაო არეა დატოვებული, გამორიცხავს მის ამგვარ ფუნქციას.

კოშკის სარდაფში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის აბსოლუტური უმრავლესობა ამფორებია, რომლებშიც გამოიყოფა რამდენიმე ტიპი.

I ტიპში ერთიანდება მოჩალისფრო კეცის მქონე ამფორები, ოდნავ გაშლილი პირით, მასიური ოვალურგანივკვეთანი ყურებით, რომლებიც ღარებითაა შემკული (ტაბ. II 1). ამგვარი ამფორები ფართოდაა გავრცელებული მთელს მცირე აზიაში. ისინი აღმოჩენილია ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში [15, გვ. 43, ლიტ. იხ. იქვე]. რაც შეეხება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ზღვისპირეთიდან მოშორებულ ტერიტორიებს, ისინი გვხვდება: ბიჭვინთაში [11, გვ. 78, ტაბ. XXXVII 1], წებელდაში [16, გვ. 71, სურ. 236,7,9, 241,3,8], დრანდაში [19, გვ. 197, 198], ნოქალაქევში [17, გვ. 133, ტაბ. XLV 1, 2]. ფიქრობენ, რომ ამფორების ეს ტიპი ჩნდება ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში და არსებობდა VII ს-შიც. ყველაზე უფრო ფართოდ ისინი V-VI სს-ში იყო გავრცელებული. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამ ტიპის ამფორები ნუმიზმატიკური მასალით კარგად თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით [15, გვ. 44].

II ტიპში ერთიანდება ცილინდრულტანიანი ამფორების ნატეხები. მათი ფორმიდან გამომდინარე, ამგვარ ამფორებს სპეციფიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა [15, გვ. 44]. ამფორებს ახასიათებს პატარა ზომის დაუდევრად ნაძერწი რკალისებურად მოხრილი ყურები და ღარებით შემკული კორპუსი. გამომწვარი არიან ღია მოწითალოდ (ტაბ. II 2, 3). ამგვარი ამფორები მრავლად გვხვდება ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვის-პირეთში [15, გვ. 45, ლიტ. იხ. იქვე]. აგრეთვე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე რაიონებში: ბიჭვინთაში [12, გვ. 108, სურ. 2; 13, გვ. 92], დრანდაში [19, გვ. 195, 196], წებელდაში [16, გვ. 71], ნოქალაქევში [6, გვ. 167, ტაბ. XXXVII 2]. ფიქრობენ, რომ ამგვარი ამფორები გონიო-აფსაროსში VI ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ასევე თარიღდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე აღმოჩენილი მსგავსი ამფორები [15, გვ. 46].

კოშკის სარდაფში გამოვლენილი ამფორებიდან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი ჩანს III ტიპის ამფორები (ძირების მიხედვით 10 ერთეულზე მეტია). მათთვის დამახასიათებელია ლილვისებური მოყვანილობის პირი, დაბალი,

ვიწრო ცილინდრული ფორმის ყელი. დაუდევრად ნაძერწი ყურები შემკულია ასიმეტრიული ქედებით. გამომწვარი არიან მოწითალო-ნარინჯისფრად (ტაბ. II 4, 5). ღარებით დაფარული კვერცხისებური მოყვანილობის ტანი ბოლოვდება ოვალური ძირით (ტაბ. II 6, 7).

ანალოგიური ამფორები გავრცელებულია ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთში [15, გვ. 46, ლიტ. იხ. იქვე]. მსგავსი ამფორები გვხვდება: ციხისძირში [7, გვ. 55, ტაბ. XX 1], ფოთში [4, გვ. 111, 112, სურ. 11], წებელდაში [16, გვ. 72, სურ. 271-15, 17], ბიჭვინთაში [3, გვ. 273, ტაბ. 5825, სურ. 592, 60, 61], ნოქალაქევში [10, გვ. 241, სურ. LV-1], ვარდციხეში [14, გვ. 61, 62, ტაბ. IX6,7]. ამფორების ეს ტიპი ჩნდება ახ. წ. IV ს-ში და არსებობს VI ს-ის ბოლომდე. გონიო-აფსაროსის სხვა უბნებიდან მომდინარე მსგავსი ამფორები, აღმოჩენის ვითარების მიხედვით VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [15, გვ. 47]. არაა გამორიცხული, რომ III ტიპის ამფორები ჩვენში VII ს-შიც გამოიყენებოდა. მით უმეტეს, რომ მაგ. ხერსონესში ისინი V-VII სს-ის ფენებშიცაა მოპოვებული [15, გვ. 47].

IV ტიპში ერთიანდება ამფორები, რომელთაც აქვთ საშუალო ზომის ტანი და თხელი კეცი. პირი ვიწრო და ცილინდრული ყელისგან გამოყოფილია ღარებით. ტანი დაფარულია კონცენტრული ღრმა ან მსუბუქად გამოყვანილი სარტყელებით. თიხა გამომწვარია მოჩალისფროდ ან ნარინჯისფრად (ტაბ. III 1, 2).

მსგავსი ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გარდა ცნობილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებიდანაც. ისინი აღმოჩენილია: ციხისძირში [7, გვ. 55, ტაბ. 191-13], ფოთში [4, გვ. 112, სურ. 12], ბიჭვინთაში [3, გვ. 273, სურ. 592], წებელდაში [16, გვ. 72, 73]. ა. საზანოვის აზრით, ამფორების ეს ტიპი გავრცელებულია VI და VII ს-ის პირველ ნახევარში. უფრო გავრცელებული კი VI ს-ში ჩანან [18, გვ. 49, 50].

გონიო-აფსაროსში IV ტიპის ამფორები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი და ძირითადად VI ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [15, გვ. 48]. საფიქრებელია, რომ ისინი VII ს-შიც გამოიყენებოდნენ.

V ტიპს ქმნიან სუფთად განლექილი მოწითალო-მოყავისფრო თიხისაგან დამზადებული, მსუბუქი ღარებით დაფარული, პატარა ზომის ამფორები. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები პირთან ულაზათოდ, თუმცა საკმაოდ მტკიცედ აქვთ დაძერწილი. ქუსლები ღრუა, თითისტარისებური ან კონუსური (ტაბ. IV 1-6).

ამგვარი ამფორები ცნობილია ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში, სამოსში, ათენის აგორაზე [15, გვ. 49, ლიტ. იხ. იქვე]. ჩვენში ისინი გვხვდება: ფოთში [4, გვ. 112, სურ. 12], გუდავაში [5, გვ. 72, ტაბ. XII 1], დრანდაში [19, გვ. 194, სურ. 22], წებელდაში [16, გვ. 73, სურ. 3330], ნოქალაქევში [17, გვ. 133, 134 ტაბ. XLII 2-4], ვარდციხეში [14, გვ. 58-61].

VI ტიპში ერთიანდება საშუალო ზომის (ერთ-ერთი მათგანის შედარებით სრულად შემორჩენილი ტანის სიგრძეა 55 სმ) ამფორები ღილვისებური პირით, მაღალი ყელით, ოვალურგანივკვეთიანი ყურებით, რომლებიც გრძივი ქედებითაა შემკული. კონუსისებური ტანი ბოლოვდება მრგვალი ძირით. ზედაპირი მთლიანად გოფრირებულია. მხარსა და ძირთან ღარები უფრო ვიწროა და კონცენტრული. შუა ნაწილში ღარები ფართოა. თიხა გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. V 1, ტაბ. VI 1). კოშკში და საერთოდ, ციხის სხვა უბნებზე გამოვლენილი VI ტიპის ანალოგიური ამფორები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სინოპის როგორც შიდა, ისე ზღვისპირა ზოლში. თიხის სტრუქტურის მიხედვითაც გონიო-აფსაროსის VI ტიპის

ამფორები სინოპური ამფორების იდენტურია. გარდა გონიო-აფსაროსისა, ამგვარი ამფორები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან, ფოთის მიდამოებიდან (პალიასტომის ტბაში) [4, გვ. 111, სურ. 10], ნოქალაქევიდან [15, გვ. 52] და სხვ.

VII ტიპად გამოიყოფა წელშეზნექილი ყავისფერკეციანი ამფორები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია კოლხური ამფორების სახელით. მათთვის დამახასიათებელია: პროფილირებული პირი, დაბალი ცილინდრული ყელი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურები, ვიწრო და წაგრძელებული, შუა ნაწილში შევიწროებული კორპუსი, კონუსური ქუსლი. ზედაპირი შემკულია მსუბუქად დატანილი ღარებით (ტაბ. VII 1, 2). ზოგიერთს შიდაპირზე უსვია კუპრი (გ.ა. №05-37). მსგავსი ამფორები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ისინი გაცილებით ჭარბობენ კერამიკული ტარის სხვა სახეს. ფიქრობენ, რომ მათი წარმოების ძირითადი ცენტრი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთია. რაც შეეხება ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ მსგავს ამფორებს, ისინი ეგრისული ნაკეთობების მიხედვით უნდა დაემზადებინათ [15, გვ. 20, 21].

ამფორების გარდა, №20 კოშკის სარდაფში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა სახის კერამიკული ნაკეთობის ფრაგმენტები. მათგან გამოირჩევა მოჩალისფროდ გამომწვარი ჭურჭლის (ხელადის?) ყურის ბრტყელგანივკვეთიანი ნატეხი, რომელსაც ზედა ნაწილში აქვს მოგრძო და ფართო ნაჭდევი. ზურგი შემკულია გრძივად და განივად ამოკაწრული ხაზებით. თიხა მსხვილმინარევიანია (ტაბ. VI 2). იქვეა აღმოჩენილი გრეხილი ყურის ნატეხი, რომელიც სუფრის ჭურჭლის რომელიმე სახეობას უნდა ეკუთვნოდეს (ტაბ. VI 3). სარდაფში გამოვლინდა აგრეთვე ქოთნებისა და ლანგრების უსახური ნატეხები.

სარდაფში აღმოჩენილი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია სამშენებლო კერამიკის ნიმუშები. სწორკუთხა მოყვანილობის აგურის ნატეხის შემორჩენილი სიგრძეა 25 სმ, შემორჩენილი სიგანე 21 სმ, სიმაღლე 8 სმ (ტაბ. IX 1); კალორიფერის დიამეტრია 23 სმ, სიმაღლე 6 სმ (ტაბ. VIII 2). ღარიანი კრამიტი წარმოდგენილია რამდენიმე უსახო ნატეხით. არც ბრტყელი კრამიტებია სრულად შემორჩენილი, თუმცა მათი ფორმების მეტ-ნაკლებად წარმოდგენა შესაძლებელია (ტაბ. VIII 3, 4). იქვეა აღმოჩენილი წყალსადენის მილის სქელკედლიანი (კედლის სისქე 2,5-3 სმ) ნატეხები (ტაბ. VIII 5). როგორც აგურ-კრამიტები, ისე წყალსადენის მილები გონიო-აფსაროსის ადრეული შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში უამრავია აღმოჩენილი [8, გვ. 48, 51].

სარდაფის დასავლეთი კედლის ძირას აღმოჩნდა მინის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, რომელთაგან მხოლოდ ორიოდეა პროფილირებული. ესაა მოცისფრო გამჭვირვალე მინის ჭურჭლის პირის ნატეხი (ტაბ. VI 4) და ასევე მოცისფრო გამჭვირვალე მინის ჭურჭლის ძირის ნატეხი, რომელიც ქვემოდან კონუსისებურადაა შეზნექილი (ტაბ. VI 5).

როგორც სამშენებლო კერამიკის ნიმუშები, ისე მინის ჭურჭლის ნატეხები რა თქმა უნდა ზემოთ აღწერილ ამფორათა თანადროულია. როგორც ვნახეთ, ამფორათა დიდი ნაწილი თარიღდება VI, უფრო კი VI ს-ის მეორე ნახევრით. აღნიშნული არტეფაქტებისათვის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად VI ს-ის მეორე ნახევრის მიჩნევა რეალობასთან ახლოს უნდა იდგეს, ვინაიდან, წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით VI ს-ის პირველ მეოთხედში ციხე არ ფუნქციონირებდა [9, გვ.

29-31]. რაც შეეხება სარდაფში აღმოჩენილი არტეფაქტების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ვფიქრობთ, ეს თარიღი VII ს-ით შეიძლება განისაზღვროს, მითუმეტეს, რომ იქ გამოვლინდა ამფორების რამდენიმე სახეობა (ტიპები I, III, IV, VII), რომლებიც VII ს-შიც ფართოდაა გავრცელებული. ამდენად, გონიო-აფსაროსის №20 კოშკის სარდაფიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა შეიძლება დათარიღდეს VI ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ით, უფრო კი VII ს-ით.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კოშკის გათხრებისას მის სარდაფში აღმოჩნდა ამფორების შვიდივე ის ტიპი, რომლებიც გამოვლენილია გონიო-აფსაროსის ციხის სხვადასხვა უბნის ადრეული შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში. გაირკვა, რომ შვიდივე ეს ტიპი ერთმანეთის თანადროულია.

კოშკში გამოვლენილ მასალებში ძირითადად გვხვდება იმპორტული ნაწარმი, რომლითაც ციხეში მდგარი ბიზანტიელები მარაგდებოდნენ. ეს იმპორტული ნაწარმი არ ასახავს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ბიზანტიელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. იმპორტული ნაწარმი ძირითადად ბიზანტიური სამხედრო ნაწილებისათვის იყო განკუთვნილი.

ასეთია გონიო-აფსაროსის №20 კოშკში 2003-2004 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები.

ლიტერატურა


1. **აფაქიძე ა.** «დიდი პიტიუნტი» - არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975.

2. **აფხაზავა ნ., მამულაძე შ.** გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან, ბსუშ II, ბათუმი, 1998.

3. **ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ.** ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები, კატალოგი, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975.

4. **გამყრელიძე გ.** წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, მაცნე, ისტორიის ... სერია, №1 1987.

5. **ზამთარაძე მ.** გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი, სსმმ, ტ. XXXIV-B, 1979.

6. **ზამთარაძე მ.** ნოქალაქევში აღმოჩენილი ამფორები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი III, თბ., 1993.

7. **ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ. წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, სდსძ XXI, თბ., 1993.

8. **კახიძე ა., მამულაძე შ.** სამხრეთ კარიბჭესა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი 2004.

9. **კახიძე ე., ხალვაში მ.** გონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მინაცემების მიხედვით (I-VI სს), კულტურის ისტორიის საკითხები, ტ.V, თბ., 1998.

10. **ლექვინაძე ა.** ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV-XI სს მასობრივი არქეოლოგიური მასალა, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბ., 1987.

11. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.

12. **რამიშვილი რ.** არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა III, 1963.

13. **ღამბაშიძე ო.** ბიჭვინტის VII თხრილში 1956-1957 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში, მსკა III, 1963.

14. **ჯაფარიძე ვ.** ვარდციხის ნაქალაქარი (ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის), თბ., 1989.
15. **ხალვაში მ.** კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, გონიო-აფსაროსი II, ბათუმი, 2002.
16. **Воронов Ю. Н., Бгажба О. Х.** Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985.
17. **Леквинадзе А. А., Хведелидзе Л. И.** Массовые археологические находки из раскопок археополиси. _ ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, თბ., 1981.
18. **Сазанов А. В.** О хронологии Боспора ранневизантийского времени, СА №4, М-Л., 1989.
19. **Хотелашвили М. К., Якобсон А. А.** Византийский храм в с. Дранда (Абхазия), ВВ, 45, М., **1984.**

## ტაბულების აღწერილობა

**ტაბ. I.** გონიო-აფსაროსის ციხის №20 კოშკი. გეგმა, ჭრილი.
**ტაბ. II-V, VI 1, VII.** კოშკის სარდაფში აღმოჩენილი სხვადასხვა ტიპის ამფორები.
**ტაბ. VI 2, 3,** ქოთნის ყურები. **4, 5** მინის ჭურჭელი.
**ტაბ. VIII.** სარდაფში აღმოჩენილი სამშენებლო დანიშნულების კერამიკა.

**Д. Миндорашвили, Ш. Мамуладзе**

## Археологические раскопки башни №20 Гонио-Апсара

резюме

Башня №20 Гонио-Апсара расположена у южных ворот крепости и примикает к ней с востока (таб. I). В 2003-2004 годах при раскопках, в подвальной помещении этой башни были выявлены многочисленные обломки керамики раннего средневековья. Фрагменты керамической тары были обнаружены вдоль стен. В этой массе обломков обсолютное большинство принадлежит амфорам, среди которых выделяется 7 типов (таб. II-VII). Часть из них импортные (таб. II-VI), а часть – обломки местных, Колхидских амфор (таб. VII).

В падвальном помещении башни №20 кроме амфор, встречаются фрагменты других видов посуды (таб. VI 1, 2). Среди находок так-же отмечаются обломки строительной керамики (таб. VIII 1-5) и фрагменты стеклянной посуды (таб. VI 4, 5). Археологический материаль из башни №20 Гонио-Апсара датируется VII веком.

ტაბ. I



ტაბ. II





1 (46)



2 (3)


1 (25)
2 (38)
3 (24)
4 (8)
5 (26)
6 (73)

ტაბ. V



1 (87)


1 (90)
2 (1)
3 (101)
4 (48)
5 (49)


1 (97)
2 (66)


1 (82)
2 (18)
3 (94)
4 (41)
5 (20)

ნათელა ჯაბუა

# ქრიზმის ასახვის ვერსია საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში

ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში საეკლესიო ნაგებობას, რომელიც უპირველესად სამწყსოს შესაკრებ ადგილს წარმოადგენს, ღრმა საკრალური და სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ეკლესია ის ადგილია, სადაც თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ დადგენილი წმინდა საღმრთო საიდუმლონი აღესრულება, სადაც საღმრთო ლიტურგიის დროს სულიწმიდის მოწოდებით პური და ღვინო ქრისტეს ჭეშმარიტ სხეულად და სისხლად გარდაარსდება. ამდენად, საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა განსაკუთრებული, საკრალური სივრცის შექმნის იდეას ემსახურება და ქრისტიანული რელიგიის დოგმატური მოთხოვნებით განისაზღვრება. სიმბოლური არსი, გარკვეულწილად, მის ფორმასა და გეგმაშიც ჰპოვებს ასახვას.

ადრექრისტიანულ ხანაში, როდესაც ქრისტიანული ტაძრის მშენებლობისას ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი იქნა გამოყენებული, წაგრძელებული გეგმარების მქონე ბაზილიკა ხომალდთან ასოცირდა, რაც IV-V სს-ის წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. ეკლესია შედარებულია გემს («წესნი მოციქულთანი» [16, გვ. 24]), ხოლო დიაკვნები გემის გამცილებლებს, რომელნიც ტაძარში შესულ მრევლს ეგებებიან (Testamentum Domini) [17, გვ. 25]. შესაბამისად, სიმბოლური მნიშვნელობით ტაძარი გემი-კიდობანი-ხომალდია მორწმუნეთა სულების ზეციურ სასუფეველში გადასასვლელად აგებული და სასულიერო პირნი მრევლის წარმმართველი ამ რთულ გზაზე. ტაძრის ამგვარი სიმბოლური გააზრების არსი საქართველოში ქრისტიანობის და, შემდგომ ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გავრცელებასთან ერთად, უთუოდ იქნა გაცხადებული.

VI ს-დან საქართველოს ხუროთმოძღვრებაში წამყვანი როლი მიენიჭა გუმბათიან არქიტექტურას, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებთან თანხვედრის პირობებში ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციების საფუძველზე განვითარდა. გუმბათიანი არქიტექტურის ფორმირებამ ახალი ამოცანები დააყენა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წინაშე. არქიტექტურის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაგებობის გეგმარებაში რთული ფორმის სიმბოლოს ასახვა დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. ამდენად, გუმბათიან არქიტექტურულ ტიპებს გეგმარების საფუძვლად სახეობრივად მარტივი, ამავდროულად ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო - ჯვარი დაედო.

ჯვარი კონსტანტინე დიდის ხანაში, ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების და საბოლოო დაკანონების პერიოდიდან, ქრისტიანული რწმენის ყოვლისმომცველ სიმბოლოდ იქცა. IV ს-ის მოღვაწე ეფრემ ასური განმარტავს «ჯუარი არს სასოი ქრისტიანთაი, ჯუარი აღდგომა არს მკვდართაი, ჯუარი სინათლე არს მწუხარეთაი... საფუძველი ეკლესიისაი» [5, გვ. 219] VI ს-ის თხზულებაში ალექსანდრე კვიპრელი აღწერს ბრძოლის წინ ჯვრის ხილვის სასწაულით

შთაგონებულ კონსტანტინე დიდის წარგზავნილ დედოფალ ელენეს მიერ ცხოველმყოფელი ჯვარის მიკვლევის ისტორიას და მიუთითებს, რომ კონსტანტინე დიდმა «...ბრძანა დღესასწაულის დაწესებად პოვნისათვის პატიოსანისა ჯუარისა" [1, გვ. 69]. IV ს-ში საქართველოში წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგების და ქართლის მოქცევის ისტორიას უკავშირდება სამი ჯვარის აღმართვა. «ითხოვეს ხე ებისკოპოსმან და ნინო, რაითა შექმნან ჯუარი... და უბრძანა ხუროთა მოკუეთაი ხისაი მის და შექმნეს სახე პატიოსნისა ჯუარისა" [9, გვ. 86]. ამდენად, საქართველოში მაცხოვრის ვნებისა და ძლევის სიმბოლო, ჯვარი, იმთავითვე ქრისტიანობის აღიარების და დამკვიდრების სიმბოლოდ იყო აღქმული.

ჯვარი დაედო გეგმარების და სივრცული გადაწყვეტის საფუძვლად საქართველოს გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ძირითად არქიტექტურულ ტიპებს - ტეტრაკონქს (მაგ.: მანგლისი – V ს, ძველი გავაზი – VI ს, ნინოწმინდა – VI ს, მცხეთის ჯვარი _ VI-VII სს-ის მიჯნა) და თავისუფალი ჯვრის ტიპს (მაგ.: ერალაანთ საყდარი - V-VI სს, იდლეთის ნათლისმცემელი – VI ს, შიომღვიმე – VI ს, სამწევრისი – VII ს.), შემდგომში ჩახაზული ჯვრის ტიპს (წრომი – VII ს.) და ტრიკონქს (მაგ.: დორთქილისა - VIII-IX სს, ისი - VIII-IX სს, ოშკი – X ს, ბაგრატი – XI ს, ალავერდი – XI ს.). ამ ტიპის ტაძრებში ჯვრის მკლავებით შექმნილ ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატზე გუმბათია ამოყვანილი. საეკლესიო ნაგებობის გეგმასა და სივრცეში ჯვრის, კვადრატისა და წრის თანაზიარობა, უთუოდ, გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ჯვარი, ქრისტეს მსხვერპლ-შეწირვის და აღდგომის სიმბოლო, ნაგებობის გეგმისა და სივრცული გადაწყვეტის საფუძველია. ცენტრში კვადრატი, ოთხი გვერდით - ოთხივ მხარეს, შესაბამისად მიწას და ამქვეყნიურ ყოფიერებას გამოსახავს [18, გვ. 153]. მის თავზე ნაგებობის დამაგვირგვინებელი გუმბათის ფუძით შექმნილი წრე, მარადიულობის, უსასრულობის და ზეციური სამყაროს სიმბოლოა [18, გვ. 153].

ამგვარად, საეკლესიო ნაგებობის საკრალურ სივრცეში ნიშანთა სისტემის მეშვეობით გაცხადებულია ეკლესიის არსობრივი მიზანი წარმართოს მორწმუნენი უფლის სწავლითა და მოძღვრებით ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რათა ჰპოვონ მათ ჭეშმარიტი გზა უფლისა და საუკუნო ცხოვრებისა. ნიშანდობლივია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული გუმბათიანი არქიტექტურის ამ კონცეფციას შეესატყვისება მოგვიანებით შემუშავებული ტაძრის მოხატვის სქემაში გუმბათის ფუძესთან, კვადრატიდან წრეზე გადასვლის ზღვარზე, აფრებში, ქვეყნის ოთხივ მხარეს ქრისტიანული მოძღვრების გამავრცელებელი ოთხი მახარებლების გამოსახვის წესი.

საქართველოს გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ამ არქიტექტურული ტიპების სტრუქტურაში წარმოჩენილი სიმბოლური კონცეფცია ერთი შეხედვით არ მიესადაგება მრავალაფსიდიან არქიტექტურულ ტიპს, რაც უთუოდ კითხვას ბადებს და გარკვეული ვერსიის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მრავალაფსიდიანი ტაძრების არქიტექტურული ტიპის რვა ძეგლია ცნობილი. ამათგან ხუთი – ოლთისი [6, გვ. 67-70; 11, გვ. 64-68, 189-190], გოგიუბა [6, გვ. 67-70, 11, გვ. 64-68, 189], კიაღლის-ალთი [6, გვ. 67-70; 11, გვ. 64-68, 190-191], კუმურდო [14, გვ. 236-261], ბოჭორმა [15, გვ. 416-423] X ს-ით თარიღდება; ნოჯიხევი [4, გვ. 241-254] X-XI ს-თა მიჯნის,

კაცხი [2, გვ. 53-94] და ნიკორწმინდა [14, გვ. 236-261] XI ს-ის დასაწყისის ხანისაა. ტერიტორიულად ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარეობს. ოთხი ძეგლი სამხრეთ საქართველოშია – კუმურდო ჯავახეთში, ხოლო ოლთისი, გოგიუბა და კიაღლის-ალთი დღეს თურქეთის ტერიტორიაზე. სამი ძეგლი დასავლეთ საქართველოშია: კაცხი იმერეთში, ნიკორწმინდა რაჭაში, ნოჯიხევი სამეგრელოში. აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, ერთი ძეგლია – ბოჭორმა. მრავალაფსიდიანი ტაძრები დაცულობის მხრივ სხვადასხვა დონეზეა შემორჩენილი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნოჯიხევის მხოლოდ გეგმა იკითხება. დანარჩენი ძეგლები მეტ-ნაკლები დაზიანებით შემორჩა.

მრავალაფსიდიანი არქიტექტურული ტიპის მთავარ მახასიათებელს ნაგებობის სტრუქტურაში ხუთი ან მეტი აფსიდის გამოყენება წარმოადგენს. აფსიდები გუმბათქვეშა სივრცის მიმართ, ძირითადად, რადიალურადაა განლაგებული, რაც ნაგებობის ცენტრულობას განაპირობებს. საქართველოში ხუთ, ექვს და რვააფსიდიანი ძეგლები გვხვდება. ყველაზე გავრცელებულია ექვსაფსიდიანი კომპოზიცია (ოლთისი, გოგიუბა, კიაღლის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი). რვააფსიდიანია მხოლოდ ერთი ძეგლი – ნოჯიხევი. ხუთაფსიდიან ძეგლებს, ნიკორწმინდას და კუმურდოს, განსხვავებული გადაწყვეტა ახასიათებს. ნიკორწმინდაში რადიალურად განლაგებული ექვსი სეგმენტია, რომელთაგან ხუთი აფსიდით ბოლოვდება. კუმურდოში ხუთი აფსიდიდან ერთი აღმოსავლეთით, ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრეთითაა, ხოლო დასავლეთით სწორკუთხა მკლავია.

ნაგებობათა კონფიგურაციის მხრივ საქართველოს მრავალაფსიდიანი ტაძრები ორი სახისაა. პირველ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ცენტრული, მრავალწახნაგა ფორმის ნაგებობები – ექვსაფსიდიანი ოლთისი, გოგიუბა, კიაღლის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი და რვააფსიდიანი ნოჯიხევი. მეორე ჯგუფის ძეგლებია ხუთაფსიდიანი კუმურდო და ნიკორწმინდა, რომელთა გარშემოწერილობა ე. წ. თავისუფალი ჯვრის ფორმას ქმნის. ამათგან კუმურდოში ჯვრული მოხაზულობა უფრო მკვეთრად არის გამოვლენილი.

